# კვირის პალიტრა

№ 46 (455) ◆ 17 – 23 ნოემბერი. 2003 წ. ◆ ფასი 50 თეთრი ◆ დაარსებულია 1995 წ.

## დრო, როცა „დუმილი ოქრო“ არ არის... და არც ჟამია „ქვათა სროლისა“

ქვეყანაში ბატონობს გაჭირვება, კორუფცია, უსამართლობა... და ეს ყველაფერი უნდა შეიცვალოს!.. მაგრამ როგორ? რა გზით? რა თქმა უნდა — კონსტიტუციურად, მშვიდობიანად, მეთოდურად...

თორემ ვაითუ, კიდევ ერთი უკურნებელი სენი შევიყაროთ, სენი („ტრადიცია“) პრეზიდენტთჩამოგდებისა და ამით მომავალი პრეზიდენტ-ებიც წინდაწინვე გავწიროთ ჩამოსაგდებად... რადგანაც ნებისმიერ პრეზ-იდენტს ყოველთვის გამოუჩნდება პოლიტიკური (ან სხვა) ძალა, რომელ-იც მისი მმართველობით უკმაყოფილო იქნება.

...და მომავალ პრეზიდენტს გადაყენებისგან გადარჩენისთვის რა გზას ვუტოვებთ — დიქტატურას? რომელმაც ძლივს მოშვებულ სადავეებს ისევ მძლავრად უნდა მოქაჩოს და შიშით დათრგუნოს ხალხი?

**ყველას დიდი დაფიქრება გვმართებს...**

*„კვირის პალიტრა“*

## „ამ კვირაში ჩვენ მშვიდობიანი მეთოდით მივაღწევთ ძალიან სერიოზულ შედეგს...“



**„თუკი დაიწყებენ ჩვენს წინააღმდეგ ტერორის დაფინანსებას, ამ ხალხის პატიება არ იქნება“.**

მე დამიკავშირდნენ პარტიზანული რაზმების ხელმძღვანელები, მაგრამ მათ ვთხოვე, არ ჩარეულიყვნენ... აღმითქვეს, რომ არ დაუშვებენ შეიარაღებული ხალხის ჩარევას საქართველოში მიმდინარე პოლიტიკურ პროცესებში. ის, რაც დღეს ქვეყანაში ხდება, ხალხის გადასაწყვეტია და არა შეიარაღებული ადამიანების...

გავიგეთ, რომ შევარდნაძემ დაავალა ემზარ კვიციანს, კოდორის ხეობაში პრო-ვოკაციის მსგავსი რამ გაითამაშოს...

ამ ხალხს და მათ დამფინანსებლებს ვაფრთხილებ — ჩვენ ყველას ვინაობა ვიცით და მათ პასუხს მოვთხოვთ.

...არა მგონია, ბადრი ბიწაძის პროკურატურაში ყოფნა ნინო ბურჯანაძისთვის რამეს ცვლიდეს. ნინო ძალზე პრინციპულად, ვაჟკაცურად იქცეოდა,

მისი ქმრის გემოვნებისა და არჩევანის საკითხია, სად იქნება... ქმარი ქმარია და ცოლი — ცოლი.

...სოციალური გადასახადები უნდა გადაიხადონ ბიზნესმენებმა, მაგრამ ის გადასახ-ადი, რომელიც შევარდნაძის რეპრესიული აპარატისა და სამხარეო ადმინისტრაციე-ბის შენარჩუნებას მოხმარდება, უნდა გაუქმდეს.

## „2 ნოემბერი“ 20 ნოემბერს დამთავრდება?

# ქაოსი არავის უნდა!..

## როგორ მივაღწიოთ კომპრომისს?..

**სიყალბე უნდა გასწორდეს!**



## როგორი საპრეზიდენტო არჩევნები გვექნება?

— საშინელი... ეს ზღაპარი იქნება იმას-თან შედარებით, რადგან ვერც ერთ ჩვენს პოლიტიკოსს ვერ დააჯერებ, რომ არ შეი-ძლება მისი საქართველოს პრეზიდენტად გახდომა. ყველას სჯერა, რომ სხვებს სჯო-ბია. ისეთი ამბავი ატყდება, დღევანდელი სანატრელი გაგვიხდება.

გვ.5

## „ჩემი იქ მისვლა სამოქალაქო ომის დასაწყისი იქნება“

გვ.6



**„ჩემს დანახვაზე იქ სულ მცირე, 10 000 კაცი მოვიდოდა და იქვე, მოედანზევე ატყდებოდა ჩხუბი“**

მისცა მილიონები, გაახსნევინა არა-სამთავრობო ორგანიზაციები, მაგრამ პრეზ-იდენტს აღარ გაახსენდა, რომ ბევრი სულ-თანი თავისმა მსახურებმა დაამხეს...

თვითონ გადადგება, წავა და რას უპი-რებს ქართველ ხალხს, ვის ხელში ტოვებს?



## ეს იქნება ურთულესი პარლამენტი...

**რას ფიქრობენ „ახლები“?!**

მიუხედავად იმისა, რომ მე ნამდვილად არ მომწონს, რაც აჭარაში არჩევნების დროს ხდება, მისი შედეგების გაუქმება, გარე ძალების წისქვილზე დაასხამს წყ-ალს და ქვეყანას შესაძლოა დაშლის საფრთხეც კი გაუჩნდეს...

გვ.6

## ხალხი ყველაზე მტკივნეული წერტილია...



**ხალხის გრძნობებს ბოროტად ნუ ვეთამაშებით, ბატონებო...**

რას გვპირდება და როგორ „მოგვესიყვარულება“ სააკაშვილი, ჯერ არ ვიცით, მაგრამ რაკი წინამ „არც ისე გაგვიმართლა“, ხალხი ცოტა შიშობს, თან არც იმის დავიწყება გვმართებს, ამ ორის გარდა საქართველო სხვებსაც რომ „უყვართ“, ისეთებს, თავიანთ გრძნობებს საქვეყნოდ რომ არ აჩენენ და გულში ინახავენ (საჭირო მომენტს ელოდებიან).

გვ.7

# მშვიდობიან კვირას გისურვებთ!

ყვითელი ლურჯი შავი წითელი

## ოპოზიციამ ხალხი იხმო

საქართველოს პრეზიდენტ ედუარდ შევარდნაძის გადადგომის მოთხოვნით ნაციონალური მოძრაობის ლიდერმა მიხეილ სააკაშვილმა 14 ნოემბერს „ქუდზე კაცი“ იხმო პარლამენტის წინ გამართულ საპროტესტო აქციაზე. „დღეს წყდება თითოეული ჩვენგანის ბედი... თუ გინდათ, გადავრჩეთ წყვდიადს და შვილებს მომავალი მივცეთ, ყველა უნდა დავდგეთ რუსთაველზე და ვაჩვენოთ შევარდნაძეს ჩვენი ძალა!“ — მოუწოდა მოსახლეობას, განურჩევლად ეროვნებისა, მიხეილ სააკაშვილმა და პოლიციელებსა და ჯარისკაცებსაც ხალხის გვერდით დგომა ურჩია. ამ მოწოდების შემდეგ პარლამენტის წინ შეკრებილ მოქალაქეებს (რომელთა რიცხვი, სააკაშვილის თქმით, 50 ათასი იყო, ხელისუფლების თქმით კი — 16 ათასი) სააკაშვილმა ჯერ ცესკო დაალაშქრინა, შემდეგ კი ჟვანიასთან და ბარამიძესთან ერთად მომიტინგეები კანცელარიაზე ალყის შემოსარტყმელად წაიყვანა. პოლიციისა და დაცვის სხვა სამსახურების და ავტოტექნიკის კორდონის გამო პროტესტანტებმა კანცელარიასთან ახლოს მისვლა ვერ მოახერხეს. ამიტომ ცოცხალი ჯაჭვი შეკრეს კანცელარიის მიმდებარე ქუჩებზე და სიმბოლურ ალყაში მოაქციეს პრეზიდენტისა და ხელისუფლების ადგილსამყოფელი. „ალყა“ დაახლოებით ნახევარ საათს გაგრძელდა, რის შემდეგაც მომიტინგეები ძველი დისლოკაციის ადგილს დაუბრუნდნენ, საიდანაც მიხეილ სააკაშვილმა მთელ ერს საყოველთაო დაუმორჩილებლობისაკენ მოუწოდა. ჟვანიამ და სააკაშვილმა იგივე გაიმეორეს 16 ნოემბერს ფილარმონიაში მხარდამჭერებთან შეხვედრისას, სადაც შეკრებილთ საყოველთაო დაუმორჩილებლობის გეგმა გააცნეს და საქართველოს სტუდენტებსა და მოსწავლეებსაც სასწავლო პროცესის პარალიზებისკენ მოუწოდეს.

## რუსეთისთვის სულერთი არ არის...

იმ დროს, როდესაც სახელმწიფო კანცელარია რადიკალური ოპოზიციონერების სიმბოლური ალყის ტყვეობაში იმყოფებოდა, საქართველოს პრეზიდენტი რუს კოლეგას ტელეფონით ესაუბრებოდა. შევარდნაძის პრესსამსახურის ხელმძღვანელის, კახა იმნაძის თქმით, საუბარი პუტინის ინიციატივით შედგა და მან კიდევ ერთხელ დააფიქსირა, რომ დაინტერესებულია საქართველოში სტაბილურობის შენარჩუნებით. რუსეთის საგარეო საქმეთა მინისტრმა კი ასლან აბაშიძესთან შეხვედრის შემდეგ განაცხადა, რომ რუსეთი საქართველოს შინაურ საქმეებში ჩარევას არ აპირებს. მისი აზრით, მიმდინარე საპროტესტო აქციების ბედი პრეზიდენტისა და ოპოზიციის ერთობლივი გადასაწყვეტია. რუსეთი საქართველოს დაძაბული მდგომარეობიდან გამოსვლას კონსტიტუციისა და სამართლის ფორმით ურჩევს. „რუსეთისთვის სულერთი არ არის, რა მოხდება საქართველოში, რადგან იგი ჩვენი მეზობელი ქვეყანაა“, — განაცხადა ივანოვმა და მზადყოფნა გამოთქვა, მონაწილეობა მიიღოს კავკასიის ოთხეულის შეხვედრაში და რეგიონში არსებული პრობლემების გადაჭრის გზები აზერბაიჯანის, სომხეთისა და საქართველოს წარმომადგენლებთან ერთად განიხილოს.

თავის მხრივ, აჭარაში დაბრუნების შემდეგ ასლან აბაშიძემ განაცხადა, რომ მეზობლებთან ვიზიტი შედეგიანი იყო. საქართველომ არ უნდა დაუშვას 1991-92 წლის მოვლენების მსგავსი პრეცედენტი. კავკასიის ოთხეულმა კი ძალ-ღონე არ უნდა დაიშუროს, რათა მიმდინარე პროცესები უმართავი არ გახდეს.

## დიალოგი არ შედგა

შევარდნაძესა და რადიკალური ოპოზიციის ლიდერებს შორის პირველ უშედეგო შეხვედრას გაგრძელება არ მოჰყოლია. კანცელარიაში ოპოზიციონერთა ხანგრძლივი, მაგრამ ამაო ლოდინის შემდეგ შევარდნაძემ საზოგადოებას სინანულით ამცნო, რომ დიალოგი არ შედგა. ალბათ ოპოზიციის ლიდერები რაღაცაზე ვერ შეთანხმდნენ და ამიტომაც არ მოვიდნენ, მე კი უხერხულ მდგომარეობაში ვარ. არ ვიცი, როგორ გავიგო, რა სურთ მათ, — განაცხადა შევარდნაძემ. ხელისუფლების წარმომადგენელთა აზრით, ოპოზიციონერ ლიდერთა შორის აზრთა სხვადასხვაობაა და ისინი ერთმანეთს არ ენდობიან. ამის მოტივად ხელისუფლება ჯორბენაძე-სააკაშვილის საიდუმლო შეხვედრას ასახელებს, რის შესახებაც ბურჯანაძე-ჟვანიამ პოსტფაქტუმ გაიგეს. თუმცა ამ შეხედულებებს უარყოფენ თვით ოპოზიციონერები. სააკაშვილის თქმით, მან იმთავითვე იცოდა, რომ შევარდნაძე კომპრომისზე არ წავიდოდა და ამიტომაც არ შეხვდნენ მას. ჯორბენაძესთან შეხვედრას კი ამერიკის ელჩის, რიჩარდ მაილსის ინიციატივის ანგარიშგაწევით ხსნის და ნინო ბურჯანაძესთან ერთად კატეგორიულად აცხადებს, რომ ხელისუფლების დიდი სურვილის მიუხედავად, სააკაშვილი-ჟვანია-ბურჯანაძის ალიანსი ურყევია.

## სააკაშვილის წინააღმდეგობის ფრონტი

თუ ანტისახელმწიფოებრივი ან ანტიკონსტიტუციური მოტივით პოლიცია რეგიონებში ნაციონალების მიერ შექმნილი წინააღმდეგობის ფრონტის მონაწილეებს დააპატიმრებს და რეპრესიებით ხელს შეუშლის მათ პრეზიდენტის ლაქია გუბერნატორებისა და გამგებლების საქმიანობის პარალიზებაში, სააკაშვილი ირწმუნება, რომ იგი გადათელავს პოლიციის შენობებს და თავის მხარდამჭერებს გაათავისუფლებს. მიხეილ სააკაშვილის თქმით, დღე-ღამის განმავლობაში შევარდნაძის გადადგომის მოთხოვნით 140 ათასი ხელმოწერა შეგროვდა, 3-4 დღეში კი მილიონი შეგროვდება.

## კონდოლელებმა შსს „დაამარცხეს“

„პანკისის ხეობაში სიტუაცია სტაბილურია და იქ დიდი რაოდენობით საბრძოლო ტექნიკა საჭირო აღარ არის. ზამთარში შენახვისათვის საჭირო პირობების არარსებობის გამო, საგუშაგოებზე ტექნიკის დატოვება წამგებიანია და აუცილებელია მისი შესაბამის ადგილებზე გადატანა“, — ასეთი ინფორმაცია გაავრცელა შსს-მ, რომელიც პანკისიდან მძიმე ტექნიკის გამოყვანას შეუდგა, თუმცა უშედეგოდ. თელავის რაიონის სოფელ კონდოლთან მოსახლეობამ გზა გადაუკეტა შინაგან ჯარს. მათი თქმით, სამართალდამცველებს სამხედრო ტექნიკა თბილისში, საპროტესტო აქციის დასაშლელად სჭირდებოდათ. „არ მოგცემთ ჩვენი ძმების, ქმრებისა და შვილების დარბევის საშუალებას“ — ემუქრებოდნენ ძალოვნებს კონდოლელები, რომელთა უმრავლესობას ქალები შეადგენდნენ. ყოველივე ამის გამო შსს-მ ტექნიკა უკან გააბრუნა. მინისტრის მოადგილის, შოთა ასათიანის თქმით, მუხროვანში დისლოკაციის ადგილზე ტექნიკის გადატანა მას შემდეგ მოხდება, როცა თბილისში დაძაბულობა განიმუხტება და ხალხი აღარ გაღიზიანდება.

## აი, მესმის ძმობა

„თუ საქართველოში ოპოზიცია შევარდნაძის გადაყენებას შეძლებს, სომხეთს დესტაბილიზაცია ემუქრება. თუ მოვლენები ქართველ ოპოზიციონერთა სასარგებლოდ განვითარდება, სომხური ოპოზიციაც დაუყოვნებლივ ამოქმედდება და რობერტ ქოჩარიანის გადაყენებას მოვითხოვთ“, — აცხადებს სომხეთის პარლამენტის დეპუტატი და ოპოზიციური ბლოკის, „სამართლიანობის“ ლიდერი ვიქტორ დალაქიანი. იგი აზერბაიჯანში იმავე მოვლენების განვითარებას გამორიცხავს. მისი თქმით, აზერბაიჯანში სხვა ვითარებაა, იქ ხელისუფლება ბევრად უფრო ძლიერია, ვიდრე ოპოზიცია. „თუ ქართული ოპოზიცია გაიმარჯვებს, კავკასიაში თავისუფლების ცეცხლს დავანთებთ“, — ირწმუნება დალაქიანი და ქართველ ძმებს წარმატებებს უსურვებს.

## ევროკავშირი შეშფოთებულია

„ევროკავშირი შეშფოთებულია საქართველოში შექმნილი ვითარების გამო და სტაბილურობის შენარჩუნება ხელისუფლებისა და ოპოზიციის უმთავრეს მოვალეობად მიაჩნია“, — ნათქვამია ბრიუსელში ევროკავშირის მიერ გავრცელებულ განცხადებაში. მასში, კერძოდ, აღნიშნულია, რომ ორი ნოემბრის საპარლამენტო არჩევნების დროს დაფიქსირებული ეუთოს ფარგლებში არსებული ვალდებულებებისა და საერთაშორისო სტანდარტების უგულებელყოფა ცხადყოფს პოლიტიკური ნებისა და არჩევნების ჩასატარებელი მზადყოფნის უკმარისობას. ევროკავშირი საქართველოს ყველა პოლიტიკურ ძალას შექმნილ ვითარებაში ძალადობისგან თავშეკავებას და ჩიხიდან გამოსასვლელად ძალისხმევის გააქტიურებას ურჩევს. განცხადებაში ასევე მითითებულია, რომ საქართველოს ხელისუფლებამ შეძლებისდაგვარად სწრაფად გადაჭრას პრობლემები, რომლებიც 2 ნოემბრის საპარლამენტო არჩევნების ჩატარებისას წარმოიქმნა. შესაბამისად, ევროკავშირი ეუთოსთან ერთად აპირებს ხელი შეუწყოს საქართველოს წინსვლას პოლიტიკური სტაბილურობისა და ეკონომიკური განვითარებისკენ.

## შევარდნაძეს მეგობრებთან შუამავლები არ სჭირდება

საქართველოს პრეზიდენტის პრესმდივნის, კახა იმნაძის თქმით, ოპოზიციის მიერ გავრცელებული ინფორმაციები, თითქოსდა აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მეთაური ასლან აბაშიძე დესპანის როლს ასრულებს საქართველოს პრეზიდენტსა და მეზობელი ქვეყნების ხელმძღვანელებს შორის, აბსურდულია. იმნაძის განცხადებით, შევარდნაძეს მეგობრებთან შუამავლები არ სჭირდება და აზერბაიჯანის, სომხეთისა და რუსეთის პრეზიდენტებთან აბაშიძის საიდუმლო მისიებზე ლაპარაკი გაბოროტებულთა ფანტაზიის ნაყოფია. წარსულში შევარდნაძესთან ოპოზიციაში მყოფი აბაშიძე კი შევარდნაძისთვის გამოცხადებულ თანადგომას იმით ხსნის, რომ იგი ოპოზიციის მიერ კანონიერი ხელისუფლების წინააღმდეგ ანტიკონსტიტუციურ გამოსვლებს არ ეთანხმება.

## მედეა მეზვრიშვილმა ჩანთა ამოალაგა?

როგორც ჩანს, მომიტინგეებს თელავიდან დეზინფორმაციას აწვდიან. საპროტესტო აქციაზე მათი განცხადება, რომ „მედეა მეზვრიშვილს ჩანთა უკვე ჩალაგებული აქვს და თანამდებობას ტოვებს“, არ გამართლდა. თელავის რაიონის გამგებელი გავრცელებულ ინფორმაციას ვიღაცის აუსრულებელ ოცნებას უწოდებს და აცხადებს, რომ მას არც უახლოეს მომავალში უწერია ახდენა. თანამდებობის დატოვების არავითარი საფუძველი არ მაქვსო, ამბობს მეზვრიშვილი და თურმე მუშაობის გაგრძელებას გულდინჯად აპირებს.

## აფხაზები ღელავენ

საქართველოში ბოლო დროს განვითარებული მოვლენების გამო, აფხაზეთის თვითგამოცხადებული რესპუბლიკის ხელისუფლება დროებით თავს იკავებს ქართულ-აფხაზური კონფლიქტის ზონაში საერთაშორისო პოლიციის მიწვევისგან. „ეს ჯერჯერობით მიზანშეუწონელია“, — აცნობა აფხაზურმა მხარემ გაეროს. ოც საერთაშორისო სამოქალაქო პოლიციელს ნოემბერში უნდა დაეწყო კონფლიქტის ზონაში მუშაობა. მათი მოწვევის მიზანია დაპირისპირებულ მხარეთა სამართალდამცავი ორგანოების თანამშრომელთა კვალიფიკაციის ამაღლება და კონფლიქტის ზონაში სიტუაციის გასაუმჯობესებელი რეკომენდაციების შემუშავება.

## პოლიტიკურს სოციალური პროტესტიც შეიძლება მოჰყვეს

განათლების მუშაკთა პროფკავშირი ფინანსთა სამინისტროსგან პედაგოგთა კუთვნილი სექტემბერ-ოქტომბრის ხელფასების დროულად გამოყოფას მოითხოვს. წინააღმდეგ შემთხვევაში, ზუგდიდში დაწყებული სოციალური გაფიცვები მთელ ქვეყანაში გავრცელდება. საქართველოს 3.135 სკოლის უმრავლესობას ჯერ კიდევ არ მიუღია ე. წ. გაყინული ხელფასები (1998-2002), რაც 20 მლნ ლარზე მეტია. „თუ ამ თანხას წლევანდელი გაუცემელი ხელფასებიც დაემატება, გაფიცვები დაიწყება და სასწავლო პროცესი მასობრივად ჩაიშლება“, — აცხადებს განათლების მუშაკთა პროფკავშირების თავმჯდომარე მანანა კობახიძე.

## ბურჯანაძის მაჟორიტარობას წყალი შეუდგა?

„აღორძინების კავშირის“ ქუთაისის ორგანიზაციისა და ლეიბორისტების მიერ ქუთაისის საოლქო სასამართლოში სარჩელების შეტანის საფუძველზე მიღებულ იქნა გადაწყვეტილება, რომლის მიხედვით ქუთაისის საოლქო საარჩევნო კომისიაში საუბნო კომისიების მაჩვენებლებს ხელახლა დააჯამებენ. ქუთაისში არჩევნების ტოტალური გაყალბებით წარმართვის გამო, არავინ იცის, ხმების ხელახალი გადათვლის შემდეგ რა მონაცემებს მიიღებს ცესკო. თუ საოლქო კომისია 2 ნოემბერს მომხდარ ყველა დარღვევას დააფიქსირებს, მაშინ არჩევნები ჩაშლილად გამოცხადდება. ხმების გადათვლა ყველაზე დიდ საშიშროებას სახელისუფლებო ბლოკს უქმნის. არსებობს ვარაუდი, რომ ქუთაისში პროპორციული წესით არჩევნებში ხელისუფლებამ კი არა, ლეიბორისტებმა გაიმარჯვეს. „ბურჯანაძე-დემოკრატები“ აღაშფოთა ცესკოს გადაწყვეტილებამ, რომ ქუთაისში არა მარტო პროპორციულის, მაჟორიტარული არჩევნების ხმებიც უნდა გადაითვალოს. „ეს იყო ხელისუფლებისა და „აღორძინების“ ერთდროული გარიგება, მიმართული ნინო ბურჯანაძის წინააღმდეგ“, — განაცხადა სასამართლოს გადაწყვეტილების შესახებ ბლოკის ქუთაისის შტაბის ერთ-ერთმა ხელმძღვანელმა, გოჩა თევდორაძემ.

## რჩეულიშვილი ემიგრანტობას აპირებს

ნაციონალური მოძრაობის ლიდერის მიხეილ სააკაშვილის გაპრეზიდენტების შემთხვევაში ვახტანგ რჩეულიშვილი ქვეყნის დატოვებას და საზღვარგარეთ ცხოვრებას აპირებს. მისი თქმით, ასე მოიქცევა ქვეყნის მოსახლეობის ნახევარი. რჩეულიშვილის აზრით, სრული უაზრობაა შევარდნაძის გადადგომის მოთხოვნა და თუ პრეზიდენტი გადადგება, ის ამით არასერიოზულ ნაბიჯს გადადგამს, რომელიც სამშობლოს ღალატის ტოლფასი იქნება. რჩეულიშვილი მომიტინგეებს მოუწოდებს, კიდევ ერთი წელი აცალონ შევარდნაძეს პრეზიდენტობა და მერე თუ უნდათ, მიხეილ სააკაშვილი აირჩიონ პრეზიდენტად.

## ნატოსთან ჩავიჭერით

„საქართველოს არ გააჩნია არავითარი შანსი იმისა, რომ უახლოეს მომავალში ნატოს წევრი ქვეყანა გახდეს. ჩრდილოატლანტიკური ალიანსი არ არის ინტერესთა კლუბი ან საქველმოქმედო ორგანიზაცია“, — განაცხადა ვაშინგტონში ნატოს გენერალურმა მდივანმა ჯორჯ რობერტსონმა. მაისში, თბილისში ვიზიტისას, მან სრულიად საპირისპირო რამ უწინასწარმეტყველა საქართველოს და განაცხადა, რომ საქართველოს ნატოში შესასვლელად დიდი დრო არ დასჭირდებოდა. სახელმწიფო კანცელარიაში რობერტსონის კატეგორიულ განცხადებას უარყოფენ. პოლიტოლოგი რამაზ კლიმიაშვილი კი ნატოს გენერალური მდივნის გამონათქვამს, 2 ნოემბრის საპარლამენტო არჩევნებზე დასავლეთის „მწვავე რეაქციას“ უკავშირებს. პრეზიდენტ შევარდნაძეს ჯერ კიდევ 2002 წელს, ნატოს პრაღის სამიტზე მოახსენეს, რომ განვითარების იმ დონის მქონე ქვეყნის ნატოში გაწევრება, როგორიც საქართველოა, შეუძლებელია. მიუხედავად ამისა, პრაღიდან დაბრუნებული შევარდნაძე ირწმუნებოდა, რომ 2005 წელს საქართველო ნატოს კარს მიუკაკუნებდა. „ნატო ელიტური ორგანიზაციაა. ხელისუფლებას უნდა სცოდნოდა, რომ ჩვენი სამარცხვინო ეკონომიკითა და საპარლამენტო არჩევნების ხარისხით, იქ არავინ მიგვიღებდა“, — განაცხადა კლიმიაშვილმა.

## ზუგდიდის „მთავარი გმირი“ დაკავებულია

პოლიციამ დააკავა ზუგდიდში 4 ნოემბერს ნაციონალური მოძრაობის აქციის მიმდინარეობისას მომხდარი ინციდენტის ორგანიზებაში ბრალდებული 29 წლის ედუარდ თორდია, ის დანაშაულს აღიარებს. იმ დღეს რამდენიმე შეიარაღებული პირი აქციის მონაწილეებს მიუახლოვდა და ავტომატით სტიქიურად ცეცხლი გახსნეს, რომლის დროსაც ორი კაცი დაიჭრა. შს მინისტრის, კობა ნარჩემაშვილის განცხადებით, ზოგიერთი პოლიტიკური ძალის მცდელობა, მომხდარში პოლიციელები დაედანაშაულებინათ, არ გამართლდა. თორდია ზუგდიდის რაიონის ზემო ეწერის მკვიდრია, იგი უნიღბოდ იყო. დაკავებული დანაშაულის ჩადენის მოტივად ასახელებს ანგარიშსწორებას და ამბობს, რომ 23 ოქტომბერს ზუგდიდში იგი მიხეილ სააკაშვილის დაცვის წევრებმა სცემეს იმის გამო, რომ თორდია იმ ავტომანქანის საჭესთან იჯდა, რომელიც სააკაშვილის მომხრეებმა მათთან მიახლოებისას გააჩერეს. თორდია ამტკიცებს, რომ იმ დროს მანქანაში იმყოფებოდნენ მეცხრე არხის ჟურნალისტი და მისი მეუღლე.

## აფხაზები რუსულ არჩევნებში მიიღებენ მონაწილეობას

რუსეთში 7 დეკემბრისთვის დანიშნული საპარლამენტო არჩევნებისთვის მზადება აფხაზეთშიც მიმდინარეობს. რუსეთში არჩევნების დღეს აფხაზეთში სამი საარჩევნო ოლქი გაიხსნება: ორი სოხუმში, ერთი — გუდაუთაში, რუსული სამხედრო ბაზის ტერიტორიაზე. სეპარატისტთა ე.წ. სახალხო პარტიის ლიდერმა იაკობ ლაკობამ, რომელიც რუსეთის სახალხო პარტიის საარჩევნო სიაში მეხუთე ნომერია, მოუწოდა რუსეთის მოქალაქეობის მქონე აფხაზ მოსახლეობას, აქტიური მონაწილეობა მიიღოს არჩევნებში. სეპარატისტთა მონაცემებით, რუსეთის მოქალაქეობა მიღებული აქვს 100 ათასამდე აფხაზს. ლაკობას განცხადებით, რუსეთი საერთაშორისო თანამეგობრობას მალე მოსთხოვს აფხაზეთის დამოუკიდებლობის აღიარებას(?!).

## მოულოდნელი დარტყმა მოულოდნელი ძალებით

კოდორში პრეზიდენტის რწმუნებული ემზარ კვიციანი აცხადებს, რომ თბილისში განვითარებულ მოვლენებს არაქართული ძალები მართავენ და სიტუაციის გართულების შემთხვევაში სვანები მათ შტაბებს დაესხმებიან თავს. გარეშე ძალების ვინაობასა და შტაბების ადგილსამყოფელს კვიციანი არ აზუსტებს. მისი თქმით, ეს იქნება მოულოდნელი დარტყმა მოულოდნელი ძალებით. თბილისში ვითარების დაძაბვა კოდორის ხეობის ჩაბარებას გამოიწვევს და მთელი ის შრომა, რაც ბოლო ათი წლის განმავლობაში გაწიეს ხეობის შესანარჩუნებლად, გაცამტვერდება. კვიციანი ირწმუნება, რომ კოდორის შესანარჩუნებლად მიტინგის ორგანიზატორებს ხელიც არ გაუნძრევიათ და დასძენს, რომ სვანები განზე დგომას არ აპირებენ, მაგრამ ტყვიას ქართველს არ ესვრიან.

## სასამართლო პროცესი გაგრძელდება

ოთხთვიანი პაუზის შემდეგ გიორგი სანაიას მკვლელობის სასამართლო პროცესი განახლდება. მსჯავრდადებულმა გრიგოლ ხურცილავამ სააპელაციო საჩივრით საოლქო სასამართლოს მიმართა. ამჯერად „გრიცკოს“ სურს სასამართლო დაარწმუნოს, რომ როცა გარეთ ვიღაც იყინება, არ შეიძლება შენ „ბრძენის“ პოზიცია გქონდეს. გრიცკომ მკვლელობა აფექტურ მდგომარეობაში ჩაიდინა, რაც პირველი ინსტანციის სასამართლოში ვერ დაამტკიცა. თავის მხრივ, სააპელაციო სარჩელის განხილვას ითხოვს გიორგი სანაიას მეუღლე, დაზარალებული ხათუნა ჩხაიძეც, რომელიც პროცესუალური დარღვევების გამო საქმის წინასწარ გამოძიებაში დაბრუნებას ითხოვს. იგი აცხადებს, რომ გიორგი სანაიას საქმე ჯერაც გაუხსნელია, ანუ „გრიცკოს“ როგორც მკვლელს, დაზარალებული მხარე არ ცნობს. სასამართლო პროცესი 28 ნოემბერს განახლდება.




## ჩეჩნეთი და ინგუშეთი გაერთიანდება?

ჩეჩნეთის რესპუბლიკის პრეზიდენტის, „კრემლის კაცად“ წოდებული აჰმად კადიროვის განცხადებით, რუსეთს სიურპრიზი ელის. კადიროვი თავის უმთავრეს მიზნად ჩეჩნეთისა და ინგუშეთის კვლავ ერთ რესპუბლიკად გაერთიანებას თვლის და ამბობს, რომ ეს მოხდება, ოღონდ როდის, არ იცის. „მე გაერთიანების მომხრე ვარ და ორი რესპუბლიკის გაერთიანება სახალხო რეფერენდუმის გზით უნდა მოხდეს,“ — აცხადებს კადიროვი.

## „იტერას“ „გაზპრომი“ შთანთქავს

რუსული სააქციო საზოგადოება, ენერგოგიგანტი „გაზპრომი“, ენერგოსამყაროს დაპყრობას აპირებს. გავრცელებული ცნობებით, „გაზპრომი“ ერთ დროს ბიზნესპარტნიორ კომპანია „იტერას“ ყიდულობს. ეს საკითხი კონკრეტულად დირექტორთა საბჭოზე გაირკვევა უახლოეს დღეებში. ენერგოგიგანტი „იტერას“ ხელში ჩასაგდებად 500 მლნ დოლარის გადახდას აპირებს, თუმცა, თავად კომპანია „იტერა“ საკუთარ აქტივებს 2 მლრდ დოლარად აფასებს. რაც, სპეციალისტების აზრით, „გაზპრომს“ განზრახვაზე ხელს ვერ ააღებინებს და ყველაფერს იღონებს „იტერას“ ჯიბეში ჩასასმელად.

# „პრეზიდენტის გადადგომა პლებისციტით უნდა გადაწყდეს“

საქართველო წინასაარჩევნო ვითარებაში „გაიჭედა“ — მიუხედავად გამოქვეყნებული წინასწარი შედეგებისა, ჯერჯერობით, კვლავაც უცნობი რჩება, საბოლოოდ რომელი პარტია თუ ბლოკი რომელ ადგილზე გავიდა, ან ხმათა რა რაოდენობა დააგროვა ამა თუ იმ მაჟორიტარმა კანდიდატმა. არადა, ერთი შეხედვით, ყველაფერი მარტივად უნდა იყოს — ავად თუ კარგად, ხალხმა თავისი არჩევანი გააკეთა. კი, ბატონო, ხმების დათვლაში დარღვევები იყო. მაგრამ რა საჭიროა ამდენი შეხლა-შემოხლა და დავიდარაბა? საკმარისია, გადათვლა ხელახლა ჩატარდეს... მაგრამ საქმეც ის გახლავთ, რომ მხოლოდ ხმების გადათვლა საკმარისი არ არის — ხელისუფლება პოლიტიკურ მანევრებს ატარებს და სხვადასხვა ძალასთან მოლაპარაკებებს აწარმოებს. ალბათ არჩევნების შედეგებს მხოლოდ მას შემდეგ გადახედავენ, რაც მის მონაცემებს წინასწარ(!) დააზუსტებენ და გათვლიან... ამასობაში კი ოპოზიციის ერთი ნაწილი ეროვნულ დაუმორჩილებლობას აცხადებს და საქართველოს ყველა კუთხეში თავის მომხრეებს მოუწოდებს, მხარეთა გუბერნატორები და გამგებლები ადმინისტრაციულ შენობებში არ შეუშვან. მოწოდება გადასახადებსაც შეეხო — ჯერ ხომ „მილიარდები“ შედის ჩვენს გაძვალტყავებულ ბიუჯეტში და ახლა იმ ორ შაურსაც რომ აღარ გადაიხდიან, რა მოხდება?!. ყოველ შემთხვევაში, ჩვენს გაქსუებულ ჩინოსნებს რომ არაფერი დააკლდებათ, ფაქტია (მათი შემოსავალი რომ ბიუჯეტზე იყოს დამოკიდებული, სამიტინგოც ხომ არაფერი იქნებოდა). სალაპარაკო კი ნამდვილად მიეცემათ, როდესაც პენსიების გაცემაზე მიდგება საქმე. ოპოზიციის მეორე ნაწილი „დაუმორჩილებლობას“ მედიის ერთ ნაწილს უცხადებს და საერთო ეროვნულ საფრთხეზე ლაპარაკობს. მესამე ნაწილი კი, უბრალოდ, დუმს... რაც მთავარია, ყველა მათგანს ჭეშმარიტ ოპოზიციონერობაზე აქვს პრეტენზია...

ერთი სიტყვით, ქართული საზოგადოების თითქმის ყველა სფერო სხვადასხვა ნაწილად დაიყო. საქართველო კი კვლავაც უპატრონოდ რჩება... გასული კვირის ბოლოს თბილისი და მთელი ქვეყანა ერთ დიდ განსაცდელს უკვე გადაურჩა — საბედნიეროდ, მომიტინგეებმაც და საჯარისო თუ პოლიციის ნაწილებმაც გაცილებით მაღალი შეგნება გამოიჩინეს, ვიდრე პოლიტიკოსებმა ბოლო თვეების მანძილზე: ლეონიძის ქუჩის ვიწრო მონაკვეთში შინაგანი ჯარი და დემონსტრანტების ეგზალტირებული კოლონა პირისპირ აღმოჩნდა. არც ერთი მხარე უკან დახევას არ აპირებდა და შუაში მომწყვდეულმა ქართველმა თუ უცხოელმა რეპორტიორებმა უკვე თავშესაფარს დაუწყეს ძებნა. სულ ორიოდე წუთში მსოფლიოს მრავალ „ცხელწერტილ“ გამოვლილი მათი კამერები ჯერ არნახულ კადრებს აფიქსირებდნენ — დემონსტრანტებმა მეგაფონით დაიწყეს სკანდირება — „სახელოვან ქართულ ჯარს გაუმარ-ჯოს! სახელოვან ქართულ პოლიციას გაუმარ-ჯოს!“ — ეგებ, ყოველდღიურობიდან გამომდინარე, აღნიშნული სტრუქტურების ქება ჩვენთვის ირონიის მომგვრელიც იყოს, მაგრამ ჩემ გვერდით მდგომმა ამერიკელმა ჟურნალისტმა სკანდირების ტექსტი რომ გაიგო, ჯერ ეჭვის თვალით შემომხედა (არ დამიჯერა), შემდეგ კი აღფრთოვანებულ-დაბნეულმა მითხრა, — მსოფლიოს ასამდე ქვეყანაში ვარ ნამყოფი, ასიათასიანი დემონსტრაციებიც მინახავს, დარბევაც, დაჩეხვაც და დახვრეტაც, მაგრამ ორი რამ არც მინახავს და არც გამიგია — ხალხი ხელისუფლებისადმი უკიდურეს აღშფოთებას ცეკვითა და სიმღერით რომ გამოხატავს და მათ დასარბევად გამოყვანილ ჯარს სკანდირებით აქებსო... მოგვიანებით, როდესაც პოლიციელები და ჯარისკაცები ერთმანეთს გადარჩენას ულოცავდნენ, ჩემდა უნებურად ჩავილაპარაკე, — არც ერთი იყო ვენეციელი და არც მეორე ფრანგი, ორივე ბედკრული საქართველოს შვილები იყვნენ-მეთქი. ამერიკელისთვის კი აღარაფერი მითქვამს — დასაფიქრებლად თავისიც ეყოფოდა...



მაგრამ ყველაფერი ჯერ კიდევ წინ არის, რადგან არჩევნების გარშემო ჯერაც არაფერია გარკვეული. საპარლამენტო არჩევნების ფონზე კი გაცილებით უფრო მნიშვნელოვანი, საპრეზიდენტო არჩევნების კონტურები იკვეთება — როგორც აღმოჩნდა, მისი „აჩრდილია“ დღეს უკვე ყველაფრის წარმმართველი. თუ როგორ განვითარდება მოვლენები, ან სად შეიძლება იყოს გამოსავალი, ამის შესახებ ვესაუბრებით იურისპრუდენციის ექსპერტს, **დავით უსუფაშვილს:**

— დღეს საქართველო საკმაოდ სერიოზული პოლიტიკური და კონსტიტუციური კრიზისის წინაშე დგას, რაც, შესაძლოა, ქვეყნისთვის სავალალო აღმოჩნდეს. ძალიან ბევრი შეიძლება ვილაპარაკოთ იმაზე, თუ რამ გამოიწვია შექმნილი ვითარება, რადგან მისი ფესვები არჩევნების დღემდე გაცილებით ადრე წარმოიშვა. მთავარი მიზეზი შექმნილი კრიზისისა კი ის გახლავთ, რომ მიუხედავად ამასთან დაკავშირებით წინასწარ, უამრავჯერ გამოთქმული მოსაზრებებისა, ქართველმა პოლიტიკოსებმა და უწინარესად, პოლიტიკოსებმა სახელისუფლებო ბლოკიდან, წლევანდელი საპარლამენტო არჩევნები შესაბამისად ვერ შეაფასეს. მათთვის დამახასიათებელი მეთოდებით მოხდა სიების შედგენა, ბიულეტენების გაყალბება და, რაც მთავარია, შედეგების შეჯამება. სწორედ ამის გამო აგორდა დემონსტრაციები და სამართლიანი არჩევნების მოთხოვნა პრეზიდენტისა და აღმასრულებელი ხელისუფლების გადადგომის მოთხოვნაში გადაიზარდა. ჩემი აზრით, პრეზიდენტის გადადგომის მოთხოვნა წარმოიშვა არა თავისთავად არჩევნების გაყალბების, არამედ იმ პერსპექტივის გამო, რაც არჩევნების შედეგების დაკანონების შემთხვევაში გამოიკვეთა. კერძოდ, პოლიტოლოგები არჩევნებამდე დიდი ხნით ადრე აკეთებდნენ პროგნოზებს, რომ პარლამენტი უაღრესად ფრაგმენტირებული იქნებოდა. თავად საპრეზიდენტო ბლოკიც, პოლიტიკური მრავალფეროვნების გამო, მაღალი შედეგების შემთხვევაშიც კი, პარლამენტში შესვლის შემდეგ საიმისო ერთსულოვნებას ვერ გამოიჩენდა, რომ ამა თუ იმ გადაწყვეტილების მიღებაზე საბოლოო ზემოქმედება მოეხდინა და შევარდნაძის დასაყრდენი ძალა ყოფილიყო. ეს ერთგვარად ასეც მოხდა. სამაგიეროდ, საპრეზიდენტო ბლოკთან სტრატეგიული ალიანსის შედეგად, არჩევნების შემდეგ ასლან აბაშიძის „დემოკრატიული აღორძინების“ სახით, მონოლითურად შეკრული პოლიტიკური ძალა გამოიკვეთა. საყურადღებო ის არის, რომ ეს არანაირად არ იქნება შევარდნაძის საპარლამენტო ძალების დახმარება და გაძლიერება — პირიქით, მცირედი მანიპულაციების შემთხვევაში, „აღორძინება“ და ე.ი. ასლან აბაშიძე პარლამენტის ერთპიროვნული მმართველი ხდება. ჩემი აზრით, ამ ფაქტორმა უდიდესი საფრთხის წინაშე დააყენა ის მცირედი დემოკრატიული მონაპოვარი, რაც დღემდე საქართველოში არსებობდა. აჭარის მაგალითის გათვალისწინებით, ასეთ შემთხვევაში გარდაუვალი იქნება შეტევები თავისუფალ მედიაზე, დემოკრატიულ ინსტიტუტებზე, ზოგადად, განსხვავებული აზრის მქონე საზოგადოებაზე... ამას ერთვის მოსალოდნელი კარდინალური ცვლილებები ქვეყნის საგარეო პოლიტიკურ სტრატეგიაში, რაც არა მხოლოდ აღნიშნული ბლოკის ლიდერის ყველასთვის ცნობილი განწყობის შედეგი იქნება, არამედ თვითონ დასავლეთის დამოკიდებულების შედეგიც, რომელიც საქართველოში ზემოხსენებული პროცესების განვითარების შემდეგ პოლარულად შეიცვლება... ანუ ეს იქნება ურთიერთშემხვედრი პროცესი — ერთი მხრივ, ადგილზე განვითარებული მოვლენები, მეორე მხრივ კი, ევროპა-ამერიკის მიერ „ხელის ჩაქნევა“, რაც, საბოლოო ჯამში, საქართველოს ძალიან რთული პერსპექტივის წინაშე დააყენებს, პერსპექტივისა, საიდანაც მხოლოდ ერთი გამოსავალი იქნება — დამოუკიდებლობის დაკარგვა ჩრდილოელი მეზობლის სასარგებლოდ. სწორედ ამ პერსპექტივის გააზრებამ მოიტანა ოპოზიციის რადიკალიზაცია და არა საპარლამენტო შედეგების მეტმა ან ნაკლებმა პროცენტულმა მაჩვენებლებმა. დარწმუნებული ვარ, თუ სახელისუფლებო ბლოკი და პრეზიდენტი საზოგადოების წინაშე ღიად დააფიქსირებს, რომ „აღორძინებასთან“ დაახლოება რეალობით გამოწვეული რიგითი ტაქტიკაა და არა სტრატეგიული თანამშრომლობა, საპარლამენტო არჩევნების შედეგების გადახედვის შემთხვევაში, არა მგონია, საზოგადოებამ და ოპოზიციურად განწყობილმა პოლიტიკურმა სპექტრმა შევარდნაძის კიდევ ერთი წლით პრეზიდენტობა არ მოითმინონ და საპრეზიდენტო უფლებამოსილების კონსტიტუციური ვადის გასვლას არ დაელოდონ...

> დღეს წინასწარმეტყველების დრო აღარ არის, მოქმედებაა საჭირო. მოქმედება, რომელიც უპირველესად, ხალხს, და შემდეგ თავად პოლიტიკოსებს გააცნობიერებინებს, რომ ქვეყანაში მიმდინარე გლობალური პროცესების მთავარი წარმმართველი საქართველოს მოსახლეობაა და არა თუნდაც რამდენიმე ათეული ათასი კაცი. თუ დღეს პრეზიდენტი პარლამენტის წინ შეკრებული მიტინგების მოთხოვნის საფუძველზე გადადგება, გამორიცხული არ არის, ახალმოსულ პრეზიდენტსაც იგივე შეემთხვეს, რადგან პრეცედენტი უკვე არსებობს.



**— მაგრამ თქვენ მიერ აღწერილი სიტუაცია საპრეზიდენტო არჩევნებზე კიდევ უფრო გამძაფრდება. უკვე გავრცელდა მოსაზრება იმის შესახებ, რომ ასლან აბაშიძე საპრეზიდენტო არჩევნებისთვის წინასწარ იჭერს თადარიგს — მისი ვიზიტები ბაქოსა და ერევანში, მოგვიანებით კი მოსკოვში, პოლიტოლოგებს აფიქრებინებს, რომ „აღორძინების“ ლიდერი ქვემო ქართლიდან და ჯავახეთის კომპაქტურად დასახლებული რეგიონებიდან ხმათა გარანტირებულ მიღებას ცდილობს. თუ ამას აჭარის ხმებსაც დავუმატებთ, სურვილის შემთხვევაში, მის პრეზიდენტობას წინ არაფერი უდგას...**

— თავისთავად, ნებისმიერ პიროვნებას აქვს საპრეზიდენტო არჩევნებში მონაწილეობის უფლება, თუკი ის კონსტიტუციის შესაბამის მოთხოვნებს აკმაყოფილებს. ამდენად, ვერანაირად ვერ ვიქნები წინააღმდეგი იმისა, რომ აბაშიძეს პრეზიდენტობა მოისურვოს. მაგრამ ერთია სურვილი და მეორე რეალობა — თუნდაც ქვემო ქართლის, ჯავახეთის და აჭარის პოლიტიკური სიტუაციის გათვალისწინებით, წმინდა არითმეტიკულად, მხოლოდ ამ რეგიონების ხმები მას არ ეყოფა, რადგან დანარჩენ საქართველოში ამომრჩეველი გაცილებით მეტია. ნებისმიერ პიროვნებას, ნებისმიერ ქვეყანაში პრეზიდენტობა გაუჭირდება, თუ მას ფართო მასების სახით დასაყრდენი არ ეყოლება. სხვაგვარად, ჯერ კიდევ საპრეზიდენტო არჩევნებამდე საჭირო იქნება უკიდურესი რეპრესიული ზომების გატარება, მედიისა და ცალკეული პოლიტიკური ჯგუფების შეზღუდვა და ასეთ შემთხვევაშიც კი, ქვეყანა გამუდმებით სამოქალაქო დაპირისპირების წინაშე იდგება. ისევ ვიმეორებ, ვერავინ ვერავის ვერ აუკრძალავს და მათ შორის ვერც აბაშიძეს, ასეთი სურვილი ჰქონდეს... ამ თემასთან დაკავშირებით, სხვათა შორის, საკმაოდ არაერთგვაროვანი დამოკიდებულებაა თვით სახელისუფლებო ბლოკის წარმომადგენელთა შორის — მათ მნიშვნელოვან ნაწილს ერთი მხრივ, აფრთხობს ასლან აბაშიძის გაპრეზიდენტების პერსპექტივა, მაგრამ მეორე მხრივ, აშინებს მიხეილ სააკაშვილის პრეზიდენტობაც. თუ ამ ორ პერსპექტივას შევადარებთ, შესაძლოა, არჩევანი „აღორძინების“ ლიდერის სასარგებლოდ გაკეთდეს, რადგან აბაშიძის შემთხვევაში მათ, შესაძლოა, მხოლოდ დაკავებული თანამდებობები და წილები დაკარგონ, ხოლო სააკაშვილის შემთხვევაში კი ციხეშიც ამოყონ თავი... რომ არა ეს ფაქტორი, დარწმუნებული ვარ, ბევრი მათგანი ძალიან მკვეთრ ნაბიჯს გადადგამდა. ისიც გასათვალისწინებელია, რომ სახელისუფლებო ბლოკში მყოფთაგან ყველა ერთნაირად კორუმპირებული არ არის და არც ყველა მათგანია სრულიად ინდიფერენტულად განწყობილი ქვეყნის მომავლისადმი. ამ ადამიანებისთვის აბაშიძის პრეზიდენტობა მიუღებელია, მაგრამ მათ სჭირდებათ თუნდაც მცირედი გარანტიები სააკაშვილისგან, რომ ხელისუფლებაში მისი მოსვლის შემთხვევაში, მასობრივი რეპრესიების მსხვერპლი არ გახდებიან, რომ არ მოხდება საზოგადოების დაყოფა მკვეთრად დაპირისპირებულ ორ ნაწილად, რომ ბოლოს და ბოლოს, ქვეყნის პრეზიდენტი მართლაც პრეზიდენტი იქნება და ხელს შეუწყობს ხალხის კონსოლიდაციას.

**— ზვიად გამსახურდიას პრეზიდენტობისდროინდელი გამოცდილებით, უახლოესმა წარსულმაც დაგვანახვა, რომ სახელმწიფოებრივი აღმშენებლობისა და საზოგადოების ერთიანობისთვის არც მხოლოდ ერთპიროვნული სიმართლეა საკმარისი და არც ერთპიროვნულად გამოტანილი გადაწყვეტილებები...**

— რასაკვირველია, ასეა. თუმცა, აქ მხოლოდ ერთ პოლიტიკურ ძალაზე არ არის ყველაფერი დამოკიდებული. ერთი მხრივ, შევარდნაძემ ერთპიროვნულად უნდა დააფიქსიროს, რომ მისი წასვლის შემდეგ არჩევანის გაკეთებას ხალხს მიანდობს და მემკვიდრის დასატოვებლად პოლიტიკურ-სტრატეგიულ ინტრიგებს არ გააბამს. მეორე მხრივ კი, მიხეილ სააკაშვილს, ან ნებისმიერ სხვა პოლიტიკურ ლიდერს მოუწევს ხალხისთვის დამტკიცება, რომ მისი პრეზიდენტობის შემთხვევაში ქვეყანაში რაღაც მარგინალური ჯგუფები არ ჩამოყალიბდება, რომლებიც, იმის გამო, რომ ადრე, ვთქვათ, მიხეილ სააკაშვილს მხარს არ უჭერდნენ ან თუნდაც, სახელისუფლებო ბლოკს წარმოადგენდნენ, არაპატრიოტულ ძალებად და „არასრულყოფილ ადამიანებად“ არ გამოცხადდებიან. თუ მიხეილ სააკაშვილის გამონათქვამებს გავითვალისწინებთ, როგორიცაა „კორუფციაში გასვრილი ხალხის ციხეში დალპობა“ და ა.შ. ბუნებრივია, შეშფოთების საბაბი იქნება, რადგან თუნდაც უმძიმესი დანაშაულის ჩამდენის დალპობას ციხეში კონსტიტუცია და საყოველთაოდ აღიარებული ადამიანის უფლებათა დეკლარაცია არ ითვალისწინებს — ციხეში ადამიანები ადამიანურად უნდა იყვნენ და დანაშაულს ინანიებდნენ. თუმცა მე პირადად, ღრმად ვარ დარწმუნებული, რომ ეს მხოლოდ და მხოლოდ მიტინგის ემოციურ ფონზე იყო ნათქვამი და რეალობასთან კავშირი არ ექნება... მაგრამ მაინც მიმაჩნია, რომ ხალხს ცუდსა და უარესს შორის არჩევანი არ უნდა გავაკეთებინოთ. ქვეყანას არც პოლიტიკური ბალანსის მოყვარული შევარდნაძე წაადგება, არც აბაშიძის ავტორიტარული რეჟიმი და არც სააკაშვილის ერთპიროვნული, მაგრამ სამართლიანი მმართველობა. ქვეყნის მომავალი ორი და სამი კაცის გადასაწყვეტი არ უნდა იყოს და სხვათა შორის, არც პარლამენტის წინ შეკრებილი 20 და თუნდაც 40 ათასი კაცისა. პირველ რიგში, ამ პროცესში მთელი პოლიტიკური სპექტრი უნდა ჩაერთოს. ნამდვილად არ მესმის იმ პოლიტიკოსებისა, რომლებიც დღეს აცხადებენ, რომ მოვლენათა ასეთი განვითარების შესახებ დიდი ხნის წინ იცოდნენ. დღეს წინასწარმეტყველების დრო აღარ არის, მოქმედებაა საჭირო. მოქმედება, რომელიც უპირველესად, ხალხს და შემდეგ თავად პოლიტიკოსებს გააცნობიერებინებს, რომ ქვეყანაში მიმდინარე გლობალური პროცესების მთავარი წარმმართველი საქართველოს მოსახლეობაა და არა თუნდაც რამდენიმე ათეული ათასი კაცი. თუ დღეს პრეზიდენტი პარლამენტის წინ შეკრებული მომიტინგეების მოთხოვნის საფუძველზე გადადგება, გამორიცხული არ არის, ახალმოსულ პრეზიდენტსაც იგივე შეემთხვეს, რადგან პრეცედენტი უკვე არსებობს. ამიტომაც, საუკეთესო გამოსავლად პლებისციტი მიმაჩნია — არჩევანი ხალხმა უნდა გააკეთოს და რეკომენდაცია მისცეს პრეზიდენტს გადადგომის თაობაზე. ასეთ შემთხვევაში სახელმწიფო ცაიტნოტში არ იქნება — პლებისციტი დანიშვნიდან არა უადრეს ორი თვის შემდეგ უნდა ჩატარდეს. შესაბამისად, მხარეებს საშუალება ექნებათ, თავისი სიმართლე და პოზიცია უფრო მშვიდ ვითარებაში აუხსნან ხალხს — პრეზიდენტმაც თავისი თქვას და ოპოზიციამაც. კვლავ გავიმეორებ — პლებისციტის (რეფერენდუმით ხალხის აზრის გაგება) მოწყობა თუნდაც მხოლოდ იმით არის კარგი, რომ პირველ რიგში ხალხი დარწმუნდეს — პოლიტიკური პროცესები მისი ნების მიხედვით იმართება და არა ამა თუ იმ პარტიათა გარიგებებით და სცენარებით. თუ პლებისციტზე ხალხმა პრეზიდენტს გადადგომა ურჩია, ამის შემდეგ 2-3 თვე კიდევ იქნება, რაც საშუალებას მოგვცემს ამა თუ იმ კანდიდატს მოვუსმინოთ და მის უპირატესობაში დავრწმუნდეთ. ეს ძალზე მნიშვნელოვანი იქნება, რათა მოვლენებს ცივი გონებით შევხედოთ და არა მიტინგებზე წარმოქმნილი ემოციებით.

> საუკეთესო გამოსავლად პლებისციტი მიმაჩნია — არჩევანი ხალხმა უნდა გააკეთოს და რეკომენდაცია მისცეს პრეზიდენტს გადადგომის თაობაზე. ასეთ შემთხვევაში სახელმწიფო ცაიტნოტში არ იქნება — პლებისციტი დანიშვნიდან არა უადრეს ორი თვის შემდეგ უნდა ჩატარდეს. შესაბამისად, მხარეებს საშუალება ექნებათ, თავისი სიმართლ ე და პოზიცია უფრო მშვიდ ვითარებაში აუხსნან ხალხს – პრეზიდენტმაც თავისი თქვას და ოპოზიციამაც.

***დაჩი გრძელიშვილი***

CMYK

# — სულ რატომ უნდა გვეშინოდეს მომავლის...



საქართველოში შექმნილმა დაძაბულმა პოლიტიკურმა მდგომარეობამ გულგრილი არავინ დატოვა, ხალხს თითქმის ყველა სატკივარი დაავიწყა და მხოლოდ ერთი საფიქრალით განმსჭვალა. მაინც მოხდა თბილისში ისეთი რამ, რაც თითქოს პოლიტიკასთან არაფერ შუაშია, მაგრამ ჩვენს ერთ-ერთ მთავარ სადარდელად კი იქცა... ეს ბატონი **რამაზ ჩხიკვაძის** შეუძლოდ ყოფნაა...

თუმცა ზემოთ ნათქვამი, თითქოს პოლიტიკა არაფერ შუაშიაო, არცთუ სიმართლეა, პოლიტიკურ დაპირისპირებას მოჰყვა მსახიობის ავადმყოფობა. ბატონმა რამაზმა ამ დღეებს თავისებური კვალი დაამჩნია.

რა უნდა იყოს ხელოვანისათვის ამაზე დიდი აღიარება?! ქუჩაში ღამენათევი, გაყინული მომიტინგეებიც კი პირველ რიგში კითხულობდნენ, როგორ იყო მათი საყვარელი არტისტი, შინ დარჩენილები გაფაციცებით ადევნებდნენ თვალს ტელესაინფორმაციო გამოშვებებს, რომ გაეგოთ, როგორი იყო მისი მდგომარეობა. როცა რუსთაველზე პირველად გაიგეს რამაზ ჩხიკვაძის საავადმყოფოში გადაყვანის ამბავი, ერთმა შუახნის მამაკაცმა, რომელიც კახეთიდან ჩამოსული აღმოჩნდა, ხმამაღლა დაიძახა: — ე, რამოდენა გული ჰქონია, დიდი მსახიობი რომ იყო, ვიცოდი, მაგრამ ასე თუ ჰქონდა გული საქართველოზე დარდითა და საქართველოს მტრებზე ბოღმით სავსე, არ მეგონა... ვენაცვალე გულშიო...

ამ სიტყვების გაგონებაზე გამახსენდა: ადრე ბატონმა რამაზმა ინტერვიუს ჩაწერისას მითხრა: — ძალიან მტკივა გული... რა გახდა, საქართველოში ვერა და ვერ მივაღწიეთ, რომ ნორმალური ცხოვრების პირობები გვქონდეს... სულ რატომ უნდა გვეშინოდეს მომავლის, ვერ გავიგე... ასეთი მდიდარი რესურსების ქვეყანაა საქართველო და ნუთუ შეუძლებელია ხალხს სითბო, სინათლე, საარსებო მინიმუმი ჰქონდეს?! ჩემს თავზე არაფერს ვამბობ, ვიცხოვრებ, როგორც იქნება, მაგრამ ხალხმა რა ქნას, როგორ უნდა გაიტანოს თავი?! — ამას რომ ამბობდა, ბატონ რამაზს თვალებში უსაზღვრო სევდა ედგა. აღარსად იყო მისი ჩვეული იუმორით სავსე, ხალისიანი პასუხები. ხმაც კი შეცვლილი მომეჩვენა. ამ ტკივილმა, კარგა ხანს გულით რომ ატარებდა, საქართველოს ბედის გადაწყვეტის კულმინაციურ მომენტში მთელი ძალით იჩინა კიდეც თავი.

საბედნიეროდ, ყველაფერი კარგად დამთავრდა. როგორც ბატონი რამაზ ჩხიკვაძის მეუღლემ გვითხრა, — თავს კარგად გრძნობსო. ჩვენი გაზეთის გამოსვლის დღეს კი შინ გაწერენ კიდეც. კვლავაც მხნედ არის, არც შემართება დაუკარგავს და არც სიმშვიდის საშუალებას აძლევს საქართველოზე ფიქრი...

***ლელა ჯიყაშვილი***

# ამ რეჟიმთან ერთად ქვეყანაში ფერებიც შეიცვლება...

***მას შემდეგ, რაც რადიკალური ოპოზიცია და მისი მომხრეები „უიქენდზე" წავიდნენ და ქვეყნის რეგიონებში ხელისუფლების საწინააღმდეგო მოძრაობების გაჩაღება გადაწყვიტეს, თბილისში შესაძლოა ახალი საპროტესტო აქციები დაიწყოს, რომლის ინიციატორი და ორგანიზატორი ზოგის აზრით აპოლიტიკური შოუმენი, ზოგის აზრით კი, უკვე სერიოზული პოლიტიკური პერსონა — ცნობილი „უცნობი" გია გაჩეჩილაძე იქნება. მისი ძმის, ლევან გაჩეჩილაძისა და საერთოდ, „ახლების" გუნდისგან განსხვავებით გია ყოველთვის რადიკალური განცხადებებით გამოირჩეოდა არსებული ხელისუფლებისა და პრეზიდენტ შევარდნაძის რეჟიმის მიმართ. ერთ-ერთ ინტერვიუში ისიც კი მითხრა — ჩემს ქვეყანას ასეთ საშინელ მდგომარეობაში ვეღარ ვუყურებ, ამიტომ მიკროფონს დავდებ და თუ საჭირო გახდება, ავტომატს ავიღებო. ვფიქრობ, გია მაშინ ემოციურად დაძაბული იყო. სხვანაირად, მოწოდებით პაციფისტი ალბათ იარაღზე ვერც იფიქრებდა. „უცნობს" კვლავ ბევრი რამ არ მოსწონს ქვეყანაში და ბრძოლის გზას ირჩევს.***

— ვაკვირდები მოვლენების განვითარებას და ვფიქრობ, რომ ერთ დღეში ან თუნდაც ერთ კვირაში შეუძლებელია რაღაც დასკვნები გააკეთო. დღევანდელი გადასახედიდან კი ძალიან მიხარია ხალხის აქტიურობა, — საკუთარი პოზიცია რომ დააფიქსირა. ეს ყველაზე კარგია, რაც მოხდა, მაგრამ ჩნდება კითხვა — რა მოხდება ხვალ? ეს უკვე დასაფიქრებელია და მანიშნებელი იმისა, რომ მკვეთრი ნაბიჯების ემოციებზე დაყრდნობით გადადგომა არ შეიძლება. ამ შემთხვევაში მე „ახლების" პოზიციას ვიზიარებ აბსოლუტურად.

**— ფიქრობ, რომ რევოლუციის მომასწავებელი გამოსვლები აღარ უნდა გაგრძელდეს?**

— ევოლუციის მომასწავებელი მოძრაობა უნდა დაიწყოს და არა რევოლუცია, რომელიც არასდროს ხდება უსისხლოდ. ჩვენთან კი აღარ შეიძლება სისხლის დაღვრა! ვიმეორებ, ძალიან მეამაყება ის, რაც მოხდა ხალხის მოქმედების თვალსაზრისით, რომ ჩვენ, ჩვეულებრივმა მოქალაქეებმა, ჩვენს პოლიტიკოსებს და მსოფლიოს დავანახვეთ, რომ შეგვიძლია მოვლენების რეალური შეფასება, ვაზროვნებთ და დავიცავთ საკუთარ უფლებებსა და ნებას. ჩვენ გამოვხატეთ პროტესტი არსებული რეჟიმის და ხელისუფლების მიმართ. ახლა მოვლენები სხვანაირად უნდა წარიმართოს.

**— გულისხმობ უკვე გაკეთებულ განცხადებებს შენ მიერ დაგეგმილი აქციების შესახებ?**

— ვგულისხმობ სახალხო მოძრაობის დაწყებას ჩემს მეგობრებთან ერთად. ეს იქნება არა ქუჩაში, არამედ განსაზღვრულ ტერიტორიაზე მშვიდობიანი აქცია, რომელიც გაგრძელდება ერთი კვირის განმავლობაში და ვინც ამ ხელისუფლების და რეჟიმის წინააღმდეგია, დააფიქსირებს თავის პოზიციას.

**— როგორი ფორმით?**

— როგორც 21-ე საუკუნეს, საქართველოს ეკადრება, მაგრამ არა ქუჩური აქციებით. თუ არჩევნებში ხალხმა ვერ დააფიქსირა თავისი პოზიცია, მათ შეუძლიათ ეს დააფიქსირონ ჩვენთან. ძალიან ბევრი თემა გვაქვს საამისოდ შოუს, სიმღერის, ცეკვის სახით. ეს იქნება დიდი სიყვარულის, სითბოსა და ურთიერთჩახუტების აქცია. აქ შეიკრიბება ყველა თანამოაზრე. არ გვექნება არანაირი პოლიტიკური მოთხოვნები, ჩვენს აქციას გააშუქებს მასმედია და მთელი მსოფლიო დაინახავს, რა რაოდენობის ხალხია ამ ხელისუფლების წინააღმდეგი და როგორი კულტურულია ეს ხალხი, რომელთაც ძალოვანი სტრუქტურების კორდონები არ დასჭირდება.

**— ამბობენ, რომ შენ ძალზე აქტიურად მონაწილეობდი „ახლების" წინასაარჩევნო კამპანიის დაგეგმვაში, ანუ კონკურენციას უწევდი ამერიკელ „პიარჩიკებს".**

— არა, არა! ამ საქმეს მთლიანად ამერიკელები გეგმავდნენ. უბრალოდ, ჩემი და ბასას ინიციატივით, არჩევნებამდე ორი კვირით ადრე მოვამზადეთ „დოუ-ნანას" კლიპი.

**— როცა პოლიტიკურ სიტუაციაზე რაიმე კომენტარს აკეთებ, ლევანისგან თუ იღებ კონსულტაციას, თუ უთანხმდები.**

— არანაირ კონსულტაციას არ ვიღებ, რადგან ვთვლი, რომ რასაც მე ვამბობ, პოლიტიკური განცხადება არ არის. ეს არის ელემენტარულად ის, რაც მე მტკივა და რასაც განვიცდით ცხოვრებაში — ჩემი სამშობლო, რომელიც პირველსავე სიმღერაში მქონდა მთავარ თემად. გემახსოვრებათ „ქვეყანაშია ფერები მუქი"... იქიდან დაწყებული სულ პროტესტს გამოვთქვამ ქვეყნის მძიმე მდგომარეობის გამო. შეიძლება ვინმემ ჩემს ნათქვამს პოლიტიკური განცხადება დაარქვას. მაგრამ ამას ჰქვია ჩემი სიმართლე, ჩემი ტკივილი, რომელსაც სულით



და გულით ვაკეთებ. არც არასოდეს მიფიქრია პოლიტიკაში მისვლა დ არც მივალ...

**— მიტინგზე თუ იყავი მისული?**

— ვიყავი, იქ ჩემი მეგობრებიც იყვნენ. რამდენიმე დღე დავდიოდი, გავცივდი კიდეც. მაინც კმაყოფილი ვიყავი, მაგრამ არ მინდოდა ხალხის გულწრფელი პოზიცია ვინმეს ცუდად გამოეყენებინა, როგორც ამას ხშირად აკეთებენ პოლიტიკოსები. მე არ მინდოდა, ეს რომელიმე კონკრეტული პარტიის მიტინგი და აქცია ყოფილიყო, რაშიც გადაიზარდა კიდეც. ამას რომ მასობრივი ხასიათი არ მიეცეს, ამიტომ შევთავაზე ხალხს სახალხო და არა პარტიული მოძრაობის ერთკვირიანი აქცია, რასაც ვერავინ გამოიყენებს საკუთარი პოლიტიკური ქულების დასაწერად.

**— როგორ ფიქრობ, ქვეყანაში ისევ ძალიან მუქი ფერებია?**

— სამწუხაროდ, ისევ ისეა, რადგან იგივე ხელისუფლება და რეჟიმია ისევ. როდესაც ეს აღარ იქნება, ფერებიც შეიცვლება ალბათ ქვეყანაში და ამოვა მზე, რომელსაც კარგა ხანია ველოდებით.

***ეკა ლომიძე***



# ო, ენავ ჩემო!..

**ცივილური თუ ცივილიზებული? — ორივე, ოღონდ სხვადასხვა, მხოლოდ თავის ადგილზე და თავისი მნიშვნელობით. ნუ გამოვიყენებთ ცივილურს განათლებულის, კულტურულის მნიშვნელობით. ამის გამომხატველია სიტყვა ცივილიზებული, ხოლო თავად ცივილური ნიშნავს — არასამხედროს, სამოქალაქოს.**

**(ეს განმარტება საჭიროდ მივიჩნიეთ, რადგან ხშირად ცნობილი პიროვნებების სატელევიზიო გამოსვლებში ზედმეტად გაქართულების ეშხით, ცივილიზებულს ცივილურად მოიხსენიებენ).**

# ჩვენი სახელით თაღლითი სარგებლობს!

## აფერა

ამას წინათ რედაქციაში დარეკა და ჩვენთან შეხვედრა ითხოვა ვაჟაფშაველას შვილიშვილმა, ბატონმა ალექსიმ. სიამოვნებით მოვიწვიეთ.

მობრძანდა დიდი პოეტის შთამომავალი და პალტოს შიდა ჯიბიდან თავისი ლექსების კრებული ამოიღო — „კვირის პალიტრის" რედაქტორი ბატონი გიორგი თევდორაშვილი შემპირდა გამოქვეყნებას, ჩემთან როცა იყო ჩარგალშიო...

გაკვირვებულებმა შევხედეთ, კარგად ვიცოდით, არ ყოფილა გიორგი ჩარგალში...

ახლა პირდაპირ სათქმელზე გადავალთ...

თურმე, ეს „ვინმე — გიორგი თევდორაშვილი", რომელიც სავარაუდოდ, შეიძლება სულაც სხვა გვარსახელისა გახლავთ, დადის საქართველოს რაიონებში (რატომ ვლაპარაკობთ მრავლობითში, ქვემოთ ნახავთ), ეცნობა იქაურებს, როგორც „კვირის პალიტრის" მთავარი რედაქტორის მოადგილე, დაჰყოფს მოწონებულ ადგილებში ზოგან 3-4 დღეს, სხვაგან სულაც მთელ კვირას, და ამაყად აცხადებს — „კვირის პალიტრა" კარგად იცით, ხალხში რა სიყვარულით სარგებლობს და თუ თქვენზე სტატიებს დავწერ, ხომ წარმოგიდგენიათო...

მისმა ალალმა მასპინძლებმაც „წარმოიდგინეს" და სუფრიდან სუფრაზე დაბრძანდება ეს ჩვენი თვითმარქვია „მოადგილე"... ილხენს და იფერებს „თანამდებობას".

ასე ყოფილა ჩარგალშიც — ბატონმა ალექსიმ, როგორ მომივიდა, კაცო (საბუთიც არ მოვთხოვე), ნანადირევის ხინკალიც კი ვაჭამე და მეზობლის გოგომ მთელი თავისი ბინა დაუთმო, თვითონ სხვაგან ათევდაო...

ეს ამბავი კი უფრო ადრეც დაწყებულა — ლაგოდეხშიც ჰქონია ვითომ რედაქტორს ვოიაჟი, ისინიც გაუბრუებია... მერე კი მათ ერთი ჩვენი თბილისელი მეგობარი დაეხმარა სიმართლის გარკვევაში. ერთ-ერთმა იქაურმა „დესპანმა" ჩუმად გადაამოწმა: ნამდვილ გიორგი თევდორაშვილს ეწვია რედაქციაში და სულ სხვა რომ შერჩა ხელთ, სახტად დარჩა, — არ დამიჯერებენ ლაგოდეხში, ეს რომ დაგვემართაო(?!).

ნუ გგონიათ, მხოლოდ ასე იოლად არის საქმე — იქნებ, იმ ვინმე თვითმარქვია რედაქტორმა მოინდომოს და ჩვენი (გაზეთის) სახელით რაღაც ბოროტ საქმესაც მოაწეროს ხელი(!). ვინ იცის, გაზეთისთვის ჩრდილის მიყენებაც სცადა...

ამ დღეებში ერთი ამბავიც გამჟღავნდა: ოქტომბერში ნეკრესის გათხრებსაც სწვევია ყვარელში. ექსპედიციის ხელმძღვანელი, აკადემიკოსი ლევან ჭილაშვილი ბრძანებს, — როგორც პოპულარული გაზეთის ხელმძღვანელს, მთელი კვირა ლამის „ხელისგულზე" ვატარებდითო...

ასე კვაჭი კვაჭანტირაძეობს იგი.

ჩვენ ამ თაღლითის ფოტოც მოვიპოვეთ, მაგრამ სამართალდამცავების თხოვნით ჯერჯერობით არ ვაქვეყნებთ (არ დაფრთხეს და დაიმალოსო), მაგრამ მისი დაკავების შემთხვევაში აუცილებლად შემოგთავაზებთ.

ბატონებო! ნუ მოგერიდებათ — ჩვენი სახელით მოსულ ნებისმიერ პიროვნებას მოსთხოვეთ პირადობის დამადასტურებელი მოწმობა და თუ მცირეოდენი ეჭვი გაგიჩნდებათ, დაგვიკავშირდით რედაქციაში, რათა საკადრისი პასუხი გავცეთ სხვის სახელსა და გვარს შეფარებულ თაღლითს.

***„კვირის პალიტრა"***

## მკითხველის პრემია ✱ მკითხველის პრემია

**ეს თქვენი გაზეთია და რადგან ასეა, „კვირის პალიტრის" ჟურნალისტებს თქვენ ანიჭებთ ყოველკვირეულ პრემიას. შეაფასეთ ამ ნომრის მასალები, აღნიშნეთ რეიტინგის ქვითარში თქვენი აზრით, ნომრის საუკეთესო ჟურნალისტური ნამუშევარი. იმ მასალის ავტორს, რომელიც ყველაზე მეტ ხმას მიიღებს თქვენგან, მკითხველის სახელით, რედაქცია პრემიას — 50 ლარს გადასცემს. გამარჯვებული ჟურნალისტის ვინაობას მომდევნო ნომერში შეიტყობთ.** *რეიტინგის ქვითარი იხ. 35-ე გვერდზე.*

## წინა ნომრის მკითხველის პრემიის შედეგები ასეთია:

1. **ინგა ჯაყელი** — „ატირდა მზე და თვალდახრილმა იცრუა უფლის წინაშე..." — 77 ხმა
2. **ვაჟა გავაშელი** — „რატომ იღვრება უდანაშაულო სისხლი საქართველოში" — 73
3. **ეთერ ერაძე** — „გაიღეთ ხმა, თქვე კაიდედმამიშვილებო, ვერ ხედავთ, ჭილყვავები დაეპატრონნენ საქართველოს?!" — 51
4. **ზვიად ჩაკვეტაძე** — „ყვავს რა ჰქონდა, ბუს გაჰქონდაო" — 39
5. **იზო რიკაძე** — „ყველას დიდი დაფიქრება მართებს" — 27
6. **დაჩი გრძელიშვილი** — „შევარდნაძე გარემოცვის, ოპოზიციისა და აღორძინების სამკუთხედში გაიჭედა..." — 25
7. **ირაკლი ალადაშვილი** — „სამხედრო თემაზე" — 24
8. **მარინა ბაბუნაშვილი** — „კიდევ კარგი, დროზე გამჟღავნდა სიმართლე" — 11
9. **რატი ახალაძე** — „15 კაცი ქალაქის ცენტრში სროლასროლით დადიოდა(?!)" — 10
10. **ეკა ლომიძე** — „ხომ ხედავენ, რომ ცოცხლები ვართ, ადგნენ და ყური დაგვიგდონ" — 8

თქვენს პრემიას ამჯერად **ინგა ჯაყელი** მიიღებს.

***„მკითხველის პრემიის" მფლობელი 363-მა რესპონდენტმა გამოავლინა***

CMYK

# როგორ მივაღწიოთ კომპრომისს, ქაოსი არავის არ უნდა...

**სიყალბე უნდა გასწორდეს!**

მაშინ, როდესაც ხელისუფლება საზოგადოებას სრული სიმშვიდისკენ თუ მორჩილებისკენ მოუწოდებს და არჩევნების ობიექტურობაზე საუბრობს, ირკვევა, რომ არჩევნები მართლაც ტოტალურად გაყალბდა სახელისუფლებო ბლოკისა და „აღორძინების" სასარგებლოდ. ამჟამად არასამთავრობო ორგანიზაცია „სამართლიანი არჩევნები" ერთმანეთს უდარებს საარჩევნო ოლქიდან წამოღებულ და ცესკოს მიერ წარმოდგენილ ოქმებს. ორგანიზაცია „სამართლიანი არჩევნების" ხელმძღვანელმა ზურაბ ჭიაბერაშვილმა „კვირის პალიტრას" აჩვენა არაერთი გაყალბებული ოქმი, რომელიც მართლაც იმის მიმანიშნებელია, რომ საქართველოში არჩევნები, რბილად რომ ვთქვათ, „სასტიკად" გაყალბდა. აღშფოთებული ხალხის პროტესტი კულმინაციას აღწევს და უკვე გაჩნდა პრეზიდენტის გადადგომის მოთხოვნა. არადა, უსაფუძვლო სულაც არ არის შიში, რომ პრეზიდენტის გადადგომის შემთხვევაში ქვეყანა სრული ქაოსის წინაშე აღმოჩნდეს. გასული კვირის მოვლენებმა კიდევ ერთხელ დაგვარწმუნა, რომ ხელისუფლების მხრიდან (ოპოზიციის მხრიდანაც) აუცილებელია კომპრომისი. აუცილებელია, რომ ხელისუფლებამ ანგარიში გაუწიოს თუნდაც პარალელურ დათვლებს, რომელიც ახლოს არის რეალობასთან; ასევე მაქსიმალურად იქნეს გათვალისწინებული ყველა ის დარღვევა, რაც სხვადასხვა ორგანიზაციის ინიციატივით არის გასაჩივრებული ცესკოსა და სასამართლოებში, რათა გამოქვეყნდეს ის ობიექტური სურათი, რაც არჩევნებზე ხალხმა გააკეთა. სხვა შემთხვევაში ვფიქრობთ, კომპრომისი ვერ მოხდება და ხელისუფლებაც ყველა შანსს დაკარგავს პრობლემის მშვიდობიანად მოსაგვარებლად. „კვირის პალიტრა" კონკრეტული გაყალბების ფაქტებზე ესაუბრა ორგანიზაცია „სამართლიანი არჩევნების" ხელმძღვანელს **ზურაბ ჭიაბერაშვილს**.

— ჩვენი შეფასება ასეთია: არჩევნები ჩატარდა უკიდურესად არაორგანიზებულად და ქაოსურად, რაც პრაქტიკულად შეგვიძლია მივიჩნიოთ ერთგვარ საბოტაჟად ხელისუფლების მხრიდან. ეს გამოიხატა თუნდაც იმით, რომ არჩევნების დღეს გადაწყვეტილება — „შეეძლოთ თუ არა ხმის მიცემა, ვთქვათ, იმ ადამიანებს, რომლებიც არ იყვნენ საარჩევნო სიებში", ცენტრალურმა საარჩევნო კომისიამ რამდენჯერმე შეცვალა. საოლქო ან საუბნო კომისიას აღნიშნული გადაწყვეტილება ჯერ კიდევ არ ჰქონდა მიღებული, რომ ცესკო უკვე სხვა გადაწყვეტილებას იღებდა, გზაში აწევდა პირველს და მთელი დღის განმავლობაში იყო გაუგებრობა... ჩვენ დავინახეთ, რომ ამ გაუგებრობის დროს საოლქო და საუბნო კომისიები სხვადასხვაგვარად მოიქცნენ. ასე რომ, ამ პროცესმა აჩვენა, რომ საარჩევნო ადმინისტრაციამ არჩევნების ადმინისტრირებას ვერ გაართვა თავი, მაგრამ გამოიკვეთა შეგნებული გაყალბების მცდელობები, რომელთა შორის ყველაზე მნიშვნელოვანი იყო შემდეგი: არჩევნების წინაღამეს, 1-ელ ნოემბერს, ღამის 11 სთ-ზე თბილისის საოლქო სასამართლოს მოსამართლემ, ტარიელ ზამბახიძემ მიიღო აბსოლუტურად უკანონო გადაწყვეტილება, რომლის თანახმად, პოლიციელებს მათი რეგისტრაციის ადგილის მიუხედავად, დართო ნება მონაწილეობა მიეღოთ მაჟორიტარული სისტემის არჩევნებში. ანუ სიღნაღში მცხოვრებ პოლიციელს, რომელიც არჩევნების დღეს იმყოფებოდა თერჯოლაში, შეეძლო თერჯოლაში მიეცა ხმა მაჟორიტარი კანდიდატისთვის. ამას შედეგად მოჰყვა პოლიციელთა „კარუსელი" არჩევნების დღეს. პრაქტიკულად, ეს იყო არა მარტო ამომრჩევლის, არამედ ამ პოლიციელების დაცინვაც, რადგან მათ უბრალოდ უბრძანეს, იძულებულნი გახადეს ბრძანება შეესრულებინათ.

— **მაგრამ 3 ნოემბერს თქვენ განაცხადეთ, რომ დარღვევები არ იყო იმ სახის, რაც საფუძველს მოგცემდათ გეთქვათ, რომ არჩევნები ტოტალურად გაყალბდა...**

— კი, მაგრამ ჩვენ ისიც ვთქვათ, რომ რჩებოდა მეორე მნიშვნელოვანი მომენტი — ხმების დათვლა, ანუ საუბნო დონეზე დაფიქსირებული შედეგების დათვლა ცენტრალურ საარჩევნო კომისიაში. ჩვენ მაშინ ვთქვით, რომ თუ ცესკოში იქნებოდა დარღვევები, „სამართლიანი არჩევნები" იტყოდა, რომ არჩევნები მასობრივად გაყალბდა. ახლა გაჩვენებთ, კონკრეტულ ფაქტებს, რომელიც მიუთითებს, რომ ხმების დათვლის პროცესში მასობრივ გაყალბებას აქვს ადგილი. აი, ავიღოთ გლდანის 35-ე უბანი (მაჩვენებს საუბნო საარჩევნო კომისიის კენჭისყრის შედეგების შემაჯამებელ ოქმს და დაფიქსირებულ ხმებს ადარებს ცესკოს მონაცემებს იმავე უბანზე. — მ.მ.), აქ ყველა გრაფა არის შევსებული, როგორც ხედავთ „ახალი საქართველოსთვის" გრაფას უწერია — 48, „აღორძინებას" — 35 ხმა. ცესკოს მონაცემებში კი „ახალი საქართველოსთვის" გადატანილია 48-ის მაგივრად, 448 ხმა, „აღორძინებას" — 35-ის ნაცვლად — 135. და ა.შ.

— **ანუ პირდაპირ შავით თეთრზეა გაყალბება?**

— კი. ნახეთ, თქვენც ხომ ხედავთ. ჩვენ ოქმებსაც გაჩვენებთ. ავიღოთ კრწანისის რაიონის მე-15 უბანი: „ახალი საქართველოსთვის" — 81, „აღორძინება" — 36, უკვე ცესკოს მონაცემებში აღნიშნულია „ახალი საქართველოსთვის" — 181; „აღორძინება" — 336; სამგორის რაიონი მე-4 უბანი: „ახალი საქართველოსთვის" — 28 ხმა; ცესკოს მონაცემებში უკვე 128 ხმა გახლავთ მითითებული. დანარჩენ პარტიათა მონაცემები ამ შემთხვევაში სწორად არის გადატანილი. შესაბამისად, არ ემთხვევა ამომრჩეველთა რაოდენობაც. ასეთი მაგალითები არც ისე ცოტაა.

— **ყველა პარტიას აქვს გაყალბება თუ მარტო „აღორძინებას" და სახელისუფლებო ბლოკს?**

— ძირითადი არის „ახალი საქართველოსთვის", შემდეგ „აღორძინება"

— **ნაციონალებს, ბურჯანაძე-დემოკრატებს, ლეიბორისტებს?**

— რაც ვნახე, ჯერჯერობით ნაციონალებს და ლეიბორისტებს საერთოდ არ აქვთ გაყალბება. ბურჯანაძე-დემოკრატებს — ცოტათი აქვთ.






23. საარჩევნო სუბიექტების მიერ მიღებულ ხმათა რ...

| № | პარტია/საარჩევნო ბლოკი | მიღებული ხმების რაოდენობა |
|---|---|---|
| 1 | "ახალი საქართველოსთვის" | 8 1 |
| 2 | [illegible] | 3 6 |
| 3 | [illegible] | 1 8 |
| 4 | [illegible] | 1 0 8 |
| 5 | [illegible] | 4 1 1 |
| 6 | [illegible] | 1 |
| 7 | [illegible] | 5 1 |
| 8 | [illegible] | 1 |
| 9 | [illegible] | 3 |
| 10 | [illegible] | X X X X |
| 12 | [illegible] | 1 5 4 |



წინასწარი მონაცემები

წინასწარი მონაცემები შეტანილია საორგანიზაციო განყოფილების მიერ მიღებული ტელე... საფუძველზე (მონაცემები გადმოცემულია საწერებისა და განცხადებების გარეშ...

საქართველოს პარლამენტის არჩევნები – 2003 წელი

# 4 კრწანისის საარჩევნო ოლქი

# 15 საარჩევნო უბანი

საქართველოს პარლამენტის არჩევნები / 10 /./ 11 /.03

საუბნო საარჩევნო კომისიის კენჭისყრის შედეგების შემაჯამებელი

ოქმი

| № | პარტია/საარჩევნო ბლოკი | |
|---|---|---|
| 1 | [illegible] | 181 |
| 2 | [illegible] | 336 |
| 3 | [illegible] | 18 |
| 4 | [illegible] | 108 |
| 5 | [illegible] | 411 |
| 6 | [illegible] | 1 |
| 7 | [illegible] | 51 |
| 8 | [illegible] | 1 |
| 9 | [illegible] | 3 |
| 11 | [illegible] | 0 |
| 12 | [illegible] | 154 |

**იპოვეთ განსხვავებები — უბნის ოქმსა (ზემოთ) და ცესკოს მონაცემებს შორის**

გაყალბების მიმდევრობა ასეთია: 1) „ახალი საქართველოსთვის", 2) „აღორძინება", 3) „მრეწველები", 4) „ახლები", ხანდახან „ბურჯანაძე-დემოკრატები".

— **რატომ დაგიბარეს კანცელარიაში გასულ კვირას? ხომ არ ნიშნავდა ეს იმას, რომ ხელისუფლება თქვენ მიერ დაფიქსირებულ დარღვევებზე სერიოზულ რეაგირებას აპირებს.**

— სხვათა შორის, არ დამიბარეს. სამშაბათს პრეზიდენტს მივწერე წერილი, სადაც ავუხსენი — რას ნიშნავს ხმების პარალელური დათვლა და რა ფუნქცია ეკისრება მას; ვაცნობე, რომ ხმების პარალელური დათვლა არ გულისხმობს მხოლოდ ციფრების გამოცხადებას, რაც 3 ნოემბერს გავაკეთეთ და პირველ რიგში გულისხმობს იმას, რასაც ამჟამად ვაკეთებთ. ანუ უბნებიდან წამოღებული გვაქვს შედეგები და ვამოწმებთ, რამდენად სწორად ითვლის ცესკო. დათვლის პარალელიზმი სწორედ ისაა, რომ გვაქვს ცესკოზე კონტროლის მექანიზმი, შეგვიძლია შევამოწმოთ მისი ყველა ნაბიჯი. ამის გამო მქონდა შეხვედრა კანცელარიაში. სულ მეკითხებიან — ვის შევხვდი. ჩემთვის მნიშვნელობა არა აქვს, ვის შევხვდი, მთავარია, რომ ხელისუფლებამ უკვე ძალიან მკაფიოდ და კარგად იცის, რას ვაკეთებთ. თუ ჩვენს აღმოჩენილ დარღვევებს არ გაითვალისწინებს ცესკო, მაშინ ჩვენ მივდივართ სასამართლოში.

— **დევდარიანს თუ აჩვენეთ ეს ოქმები?**

— 2 ნოემბრის შემდეგ მასთან კონტაქტი არ გვქონია. როგორც ვიცი, მას ჰგონია, რომ ჩვენ გვაქვს მხოლოდ 600 უბნის შედეგები. ამ დროს „სამართლიან არჩევნებს" ხელთ აქვს 2.000 უბნის მონაცემი. ისე კი, დამეთანხმებით, ბორშჩს რომ გემო გაუსინჯო, არ არის აუცილებელი, მთელი ქვაბი ბორშჩი შეჭამო.

***მარინა მამისაშვილი***

# „2 ნოემბერი" 20 ნოემბერს დამთავრდება?




**ისეთი ამბავი ატყდება დღევანდელი სანატრელი გაგვიხდება**

*ორი ნოემბრის საპარლამენტო არჩევნების საბოლოო შედეგების გამოცხადებამდე სულ მცირე დრო დარჩა. თუმცა, განვითარებული მოვლენების გამო არსებობს ვარაუდი, რომ შეიძლება ეს ვადა კიდევ გაგრძელდეს, ან სულაც არჩევნები ჩაშლილად გამოცხადდეს. მიუხედავად ამისა, საოლქო სასამართლოები არჩევნებში მონაწილე სუბიექტების საპროტესტო განაცხადებს ვერ აუდიან. მანამდე კი, ცესკოს შენობაში ოპოზიციის წარმომადგენლებმა ბრძოლის ახალი მეთოდი დანერგეს. საპროტესტო მჯდომარე აქცია მათი მხარდამჭერები საბოლოო შედეგების გამოცხადებას სულმოუთქმელად ელიან*

— **ქალბატონო ნანა, როდის აპირებს ცესკო საპარლამენტო არჩევნების საბოლოო შედეგების გამოქვეყნებას და დამთავრდება თუ არა „2 ნოემბერი"?**

— ძნელი სათქმელია დამთავრდება თუ არა „2 ნოემბერი", რადგან ჩვენ, ქართველები არჩევნებიდან არჩევნებამდე ვცხოვრობთ, მაგრამ დასკვნები არასოდეს გამოგვაქვს. ასეთივეაჟიოტაჟი და ინტერესი რატომ არ გამოიწვია 1999 წლის არჩევნებმა, როცასაარჩევნო სუბიქტები ელემენტარულად არათანაბარ პირობებში იყვნენ ჩაყენებული? ახლა ვინც აპროტესტებს არჩევნების შედეგებს ერთ-ერთი მათგანს დავუსვი ეს კითხვა და მიპასუხა — თქვენ, ცესკოს თავმჯდომარე, ამას როგორ მეკითხებით, მაშინ თუ იყო დარღვევები ახლაც იყოსო? არც მაშინ უნდა ყოფილიყო და არც დღეს. მაგრამ ამათი მოქალაქეობრივი პოზიცია მაშინ ღრმად იყო მიძინებული რადგან მოგებულები იყვნენ. დღეს მე ვერავის ვეტყვი რომ შენ გექნება პირველი ადგილი, იმას მეორე და ა.შ. როცა კომისია შემაჯამებელ დოკუმენტს გამოიტანს, ვისაც არ მოეწონება, შეუძლიათ სასამართლოში იჩივლონ. საბოლოო შედეგების გამოქვეყნების ვადა 20 ნოემბრამდეა, მაგრამ ვფიქრობ უფრო ადრეც მოვახერხებთ ამას.

— **ოპოზიციის წარმომადგენლებმა, რომლებმაც ცესკოს შენობაში მჯდომარე საპროტესტო აქცია დაიწყეს, აჭარისა და ქვემო ქართლის არჩევნების შედეგების გაუქმებას ად თქვენს გადადგომას მოითხოვდნენ...**

— ბესო ჯუღელს მიაჩნია, რომ ჩემი გადადგომა პოლიტიკურ დაძაბულობას განმუხტავს. რომ ვკითხე, როგორმეთქი, პასუხი ვერ გამცა. მე აქ იმიტომ არა ვარ, რომ სიტუაცია განვმუხტო. აქ იმიტომ ვარ, რომ დავამთავრო საქმე, რისთვისაც მოვედი. ცესკოს თავმჯდომარის წასვლით ახალი თავმჯდომარე ვერ დაინიშნება. არჩევნების საბოლოო შედეგების გამოცხადების ყველა ვადა გავა და შედეგები ვერ შეჯამდება. თუ ეს უნდათ მაგათაც თქვან ბარემ პირდაპირ. დღეს მაგათ არ აკმაყოფილებთ შედეგები, ხვალ რომ არჩევნები მართლაც თავიდან ჩავატაროთ, ახლა სხვა გამოჩნდება უკმაყოფილო და მაგათ ჭირვეულობას ხომ არ გადავყვებით. რა გამოდის, ვინც უფრო მეტ ხალხს გამოიყვანს, იმას მივცეთ პირველი ადგილი?! .არჩევნებში მონაწილე არც ერთ მხარეს არ აქვს მორალური უფლება მთელი ერის სახელით ილაპარაკოს.

— **ნაციონალებმა ცესკოს მიმართ პროტესტის გამოხატვის დროს განაცხადეს, რომ თუ ნანა დევდარიანი მათ მითითებებს არ გაითვალისწინებს ციხე მოუწევს წასვლა. თქვენ უპასუხეთ — ციხეშიც მოგვარებული მაქვს საქმეო. რას გულისხმობდით? ამ ნათქვამმა დიდი მითქმა-მოთქმა გამოიწვია.**

— ჯერ ერთი, პოლიტიკაში მისვლა იმ განცხადებებით, რომ ხალხის ციხეში დავაჯენო, მთლად ლამაზი არ უნდა იყოს. მე ყველა ჩემს ნაბიჯზე პასუხისსაგებად ვარ მზად, არაფერი გამიკეთებია ისეთი, ციხეში წასვლის საფრთხეს რომ მიქმნიდეს და მე ყოფილმა სახალხო დამცველმა ამიტომაც ვთქვი რომ არ მექნება ციხეში საქმე ცუდად-მეთქი.



— **ტელევიზიისთვის ცესკოში აკრედიტაციის გაუქმებას**

— ერთი მითხარით რა ნორმებში ეტევა ის, რაც რუსთავი 2-ზე გააკეთეს? აუხსნეს, უთხრეს რომ იმ საშინელი „კმარას" კლიპით ცოცხალი ადამიანების უფლებები ირღვევა. შენი ეშმაკობის გამო ბაბუას შვილიშვილმა არ უნდა კითხოს — ბაბუ შენ გიჭირენო? ადამიანის უფლება არ უნდა დაარღვიო იმიტომ, რომ რაღაც თანხა მიიღო რეკლამით. „კმარაც" სამართლებრივ პასუხს მიიღებს. მიმდინარე აქცია კონკრეტულ პოლიტიკურ მიზნებს ემსახურება და ამიტომაც არა მგონია საქართველოში იყოს ადამიანი, ვისაც ეჭვი ეპარება, რომ „რუსთავი-2" პოლიტიკურ მოთამაშედ გადაიქცა საეთერო სივრცეში. მათი თამაშის წესები უკვე სხვა რამეა, ვიდრე სიტყვის თავისუფლება.

— **არსებობს ვარაუდი, რომ ქუთაისში მაჟორიტარული არჩევნების ხმების ხელახალი გადათვლის შემდეგ, ნინო ბურჯანაძეს მეორე ტურში მოუწევს გასვლა. ეს ხალხს არ გაღიზიანებს?! თანაც პრეზიდენტმა ის გამარჯვებულად უკვე გამოაცხადა.**

— წაგებულად მას არავინ არ აცხადებს ჯერ დაველოდოთ ხელახალი გადათვლის შედეგებს, თანაც ბურჯანაძე-დემოკრატებმა ხომ განაცხადეს არ შევალთ პარლამენტშიო, მაშინ რატომ აწუხებთ ეს საკითხი?

— **როგორ ფიქრობთ, პარლამენტის წინ მდგომი ხალხი დაწყნარდება თუ არა, საბოლოო შედეგების გამოქვეყნებით?**

— რა გითხრათ, მათ ალბათ დააკმაყოფილებთ მათთვის სასურველი შედეგები. თუ შედეგები არ მოეწონებათ, შეიძლება არც დაშოშმინდნენ. მე მაგათ მოთხოვნებზე ხომ ვერ გადავეწყობი, ვმოქმედებ საარჩევნო კოდექსის მკაცრი რეგლამენტით, სადაც არცერთი მუხლი არ არის, სადაც ეწეროს — თუ მომიტინგეები გამოვლენ პროტესტით, მათი მოთხოვნა დააკმაყოფილე და კოდექსი უარყავიო. ხალხის გარეთ გამოსვლა არგუმენტად ვერ გამომადგება. მიუხედავად იმისა, რომ დიდ პატივს ვცემ თითოეულს. ეს ვალდებულებებისგან არ მათავისუფლებს კანონის წინაშე.

— **როგორ ფიქრობთ როგორი იქნება საპრეზიდენტო არჩევნები?**

— საშინელი. ეს ზღაპარი იქნება იმასთან შედარებით, რადგან ვერცერთ ჩვენს პოლიტიკოსს ვერ დააჯერებ, რომ არ შეიძლება მისი საქართველოს პრეზიდენტად გახდომა. ყველას სჯერა, რომ სხვებს სჯობია. ისეთი ამბავი ატყდება, დღევანდელი სანატრელი გაგვიხდება.

***ეკა ლომიძე***

# „ჩემი იქ მისვლა სამოქალაქო ომის დასაწყისი იქნება“

## „ჩემს დანახვაზე იქ სულ მცირე, 10 000 კაცი მოვიდოდა და იქვე, მოედანზევე ატყდებოდა ჩხუბი“



*ნაციონალების და გაერთიანებული დემოკრატების აქციაზე სხვა ოპოზიციური ძალები არ ჩანან. ზოგიერთების პოზიცია, ასე თუ ისე, გასაგებია, მაგრამ რატომ არ ერთვება ამ პროცესში ლეიბორისტული პარტია, რომელმაც ჯერ კიდევ რამდენიმე თვის წინ, 200 ათასი ხელმოწერა შეაგროვა შევარდნაძის გადადგომის მოთხოვნით? როგორც პირველმა ლეიბორისტმა* ***შალვა ნათელაშვილმა*** *ბრძანა, საამისოდ მას მყარი არგუმენტები ჰქონია:*

— ეს არჩევნები ისეთი მარაზმი იყო, როგორსაც ველოდით, მაგრამ ჩვენი პროგნოზი, რომ მასობრივი გაყალბება ველარ მოხდებოდა, გამართლდა. ვერც ერთმა სახელისუფლებო სუბიექტმა ვერ შეძლო პარლამენტში უმრავლესობის გაყვანა. რაკი დეპუტაცია უმრავლესობით ვერ გაიყვანეს, ორთქლი დარჩათ გამოსაშვები. მარტო ოთხნი ხომ არ დაიწყებდნენ ერთმანეთში ბრძოლას — ამისთვის გახდა საჭირო ხალხის ქუჩაში გამოყვანა და მოწოდებები, რომლებიც ურთიერთსაწინააღმდეგოა დღემდე... თუ სააკაშვილს პირველ ადგილზე გაიყვანდნენ, შევარდნაძე არ უნდა გადამდგარიყო (თუ მესამეზე გავიდოდა, მაშინ პრეზიდენტი უნდა გადამდგარიყო), თუ ბურჯანაძე-ჟვანია ბარიერს გადალახავდნენ და პარლამენტში შევიდოდნენ, ყველაფერი კარგად იქნებოდა და ა.შ... მერე მოითხოვეს ახალი საპარლამენტო არჩევნები და პრეზიდენტის გადადგომა. თქვეს, პრეზიდენტს არ ვეახლებითო და მერე კი შინ მიადგნენ, ოჯახში ეწვივნენ (სადაც პრეზიდენტმა ჩაი, ყავა და ბუხრის დანთება შესთავაზა). თქვეს, კონსულტაციებს ვწყვეტთო და სააკაშვილი იმ ღამესვე გაჩნდა ჯორბენაძის კაბინეტში... ის, რაც დღეს საქართველოში ხდება, არის ბუნტი საქართველოს ხელისუფლებაში, რომელშიც უმაღლესი თანამდებობის პირები — პრეზიდენტი, პარლამენტის თავმჯდომარე, ყოფილი სპიკერი და თბილისის საკრებულოს თავმჯდომარე მონაწილეობენ. ისინი სკამებისა და მანდატებისთვის ბრძოლაში მზად არიან, ხალხს სასაკლაო მოუწყონ. ასეთ ვითარებაში ლეიბორისტულ პარტიას მიაჩნია, რომ ოთხივე უნდა წავიდეს — ერთმანეთზე უკეთესები არაფრით არ არიან. ქვეყნის დანგრევაში შევარდნაძეს სწორედ ეს სამი პირი ედგა გვერდით. მიუღებელია გულწრფელი ხალხის დეკორაციად გამოყენება. სიტუაციის განსამუხტავად. ოთხივენი უნდა წავიდნენ პოლიტიკიდან — თანაც ერთი პირობით, რომ უახლოესი წლების განმავლობაში პოლიტიკას არ გაეკარებიან. იმიტომ, რომ თუ შევარდნაძემ არ დაასრულა მეორე ხუთწლიანი ვადა და ახლა გადადგა, მას უფლება რჩება, კენჭი მესამედ იყაროს. არ გამოვრიცხავ, პრეზიდენტს ეს გარიგებაც ჰქონდეს თავის თანამოაზრეებთან. თუ შევარდნაძის ვადაზე ადრე მოცილება სურთ, იგი იმპიჩმენტით უნდა წავიდეს, მაგრამ საქმე აქამდე არ მიჰყავთ. ლეიბორისტული პარტიისთვის ეს ფიგურები თანაბრად მიუღებელნი არიან და ამიტომ არ ვდგავართ მათ გვერდით და ამიტომ არ ვმონაწილეობთ მიტინგში, თორემ ჩემი სული და გული ხალხთან არის, ის ჩემი ხალხია.

— **მერე მისულიყავით თქვენს ხალხთან...**

— იქ მისვლით მე თვითონ ვაღიარებდი, რომ სააკაშვილი, ბურჯანაძე და ჟვანია ოპოზიციონერები არიან და მთავარი — ჩემი იქ მისვლა სამოქალაქო ომის დასაწყისი იქნება. ჩემს დანახვაზე იქ სულ მცირე 10 ათასი კაცი მაინც მოვიდოდა, (ოღონდ არა იმ ლიდერების მხარდასაჭერად) და იქვე, მოედანზევე ატყდებოდა ჩხუბი. ეს დაპირისპირება მთელ ქვეყანას მოედება და იტყვიან, — აი, პროვოკატორი ნათელაშვილი მიტინგზე მოვიდა, შევარდნაძის დავალებით ასეთი არეულობა მოაწყო და ჩვენლა დავრჩით ზნეობრივები და ანგელოზებიო, მაგრამ არ გამოუვიდათ.

— **თამაში ნამდვილად არ იგრძნობა სააკაშვილის მოწოდებებში...**

— ესენი ალტყინებულნი იმიტომ არიან, რომ 22 ნოემბრამდე (როდესაც ახალი პარლამენტი დაიწყებს მუშაობას) როგორმე აიძულონ შევარდნაძე, რომ გადადგეს. თუ ასე მოხდა, ქვეყნის პირველი პირი 45 დღის მანძილზე ნინო ბურჯანაძე იქნება და ის ჩაატარებს საპრეზიდენტო არჩევნებს. ამ დროს დგება საკითხი — ან ნინო ბურჯანაძე დავტოვოთ ამ პოსტზე და ჩავაბაროთ ქვეყნის ბედ-იღბალი, ან სააკაშვილი, ან კიდევ ჟვანია. სხვა ალტერნატივები ისპობა იმიტომ, რომ ისინი ჩაიგდებენ ხელთ ქვეყანას. ამ სამიდან ერთ-ერთის გაპრეზიდენტება საქართველოს დაშლას და სამოქალაქო ომს გამოიწვევს. მის გაჩაღებას ხელს შეუწყობენ ოლიგარქები, შევარდნაძის გარემოცვა და რაც მთავარია, ისინი ვერასოდეს იპოვიან საერთო ენას აჭარასთან. ამასთან, ისე არიან „დაპიარებულები“ სხვადასხვა ეროვნებასთან, შესაძლოა, ქვემო ქართლში სომხებისა და აზერბაიჯანელების შეტაკებაც მოხდეს.

— **გასულ კვირას ევროპის ქვეყნების ელჩებსა და საერთაშორისო ორგანიზაციების წარმომადგენლებთან გქონდათ შეხვედრა. როგორ აფასებენ ისინი არჩევნების შემდგომ განვითარებულ მოვლენებს?**

— ყველა გადაჭრით აცხადებს, რომ შევარდნაძის წასვლა ხელისუფლებიდან მშვიდობიანი გზით უნდა მოხდეს.

— **მიუხედავად თქვენი ნათქვამისა, ხალხი მრავლად არის მიტინგზე...**

— ხალხის მოთხოვნები ჩემთვისაც მისაღებია. 9 წელია შევარდნაძის გადადგომას ვითხოვთ, იმპიჩმენტის საკითხს ვსვამთ, ამისთვის 200 ათასი ხელმოწერა შევიტანეთ პარლამენტში, მაგრამ არ განიხილეს და ახლა გამწარდნენ, როდესაც საპარლამენტო პორტფელების განაწილებაზე მიდგა საქმე და დაინახეს, შევარდნაძემ მოგვატყუაო. სააკაშვილს პირველ ადგილს დაჰპირდნენ და გადააგდეს (აბა, რას იზამდნენ?!). მე რომ პირველ ადგილზე გავსულიყავი, სააკაშვილი ვერ იყვირებდა, თავისუფლების მოედანს ორ წრეს დაარტყამდა და ისევ საკრებულოში შევარდებოდა, მაგრამ ხელისუფლებამ — ამ გაუმაძღრების კასტამ იღორა, პირველ ადგილს ვერ შეელია და სააკაშვილი გამწარდა. სააკაშვილმა ჩემზე მეტი ხმა მიიღო. მისი გამარჯვებისთვის უზარმაზარი ფული გაიღო ცნობილმა ფილანთროპმა, ჯორჯ სოროსმა. პარლამენტთან მიმდინარე აქცია კარგად არის დაფინანსებული. ფინანსებისა და ორგანიზების გარეშე ასეთ მიტინგებს ვერ მოაწყობ. ამ სამ ლიდერს სინამდვილეში შევარდნაძის გადაყენება კი არა, გარანტიები უნდა, რომ მისი წასვლის შემდეგ ქვეყნის ბედს დაეპატრონებიან.

მათ შევარდნაძის გადაყენების იდეით მიიტყუეს მიტინგზე ხალხი, სინამდვილეში კი სადეპუტატო მანდატებსა და საპრეზიდენტო გარანტიებზე ვაჭრობენ. ყველაზე სამწუხარო ის არის, რომ მეძახიან, — მიტინგზე მოდიო, რათა მერე ჩემი მანდატები გადაინაწილონ.

— **როგორ?**

— სინამდვილეში ბურჯანაძე-დემოკრატებმა ვერ გადალახეს ბარიერი. მამალაძემ მარნეულში 10 ათასი ხმა დაუწერა, ბოლნისში კი — 7 ათასი, ამით ბარიერი გადაალახვინეს, მე კი 5 სადეპუტატო მანდატი დავკარგე. ერთი სიტყვით, ჩემს ხარჯზე ჟვანია გაიყვანეს...

— **ისინი პირიქით ამბობენ და ხელისუფლებასთან გარიგებაში თქვენ გადანაშაულებენ, ამ რთული ვითარებიდან გამოსავალს რაში ხედავთ?**

— ეგ ახალი აღარ არის, სხვა რამე მოიგონონ, მობეზრდა ხალხს ერთი და იმავე ტყუილის მოსმენა, რაც შეეხება გამოსავალს, როგორმე უნდა შეიკრიბოს ახალი პარლამენტი, რომელმაც შევარდნაძის იმპიჩმენტის პროცედურა უნდა დაიწყოს. არ ვაპირებ ახალ მილიონერებს გადავცე საქართველოს პრეზიდენტის პოსტი და არც იმას ვიზამ, ხელისუფლებაში არეულობისა და სისხლის ღვრის ფასად მოვიდე.

— **როგორ უნდა მოიქცეს ასეთ ვითარებაში პრეზიდენტი?**

— პრეზიდენტს 1994 წლის ბოლოს ვუთხარი, — ეს ჯგუფი, რომელსაც ქვეყანას აბარებთ, საქართველოსაც დაღუპავს და თქვენც-მეთქი. კარგს იზამდა, დაეჯერებინა, მაგრამ მიპასუხა, — არა, შალვა, ესენი დალვინდებიანო. ვერ ხედავთ, პრეზიდენტს სულ ძმრად ადინეს ძველი შეცდომა. იფიქრა, ამათ ვინ გაჰყვებაო. მისცა მილიონები, გაახსნევინა არასამთავრობო ორგანიზაციები და ტელეკომპანია „რუსთავი-2“ (რომელიც პოლიტიკური ორგანიზაციაა). სამწუხაროდ, პრეზიდენტს აღარ გაახსენდა, რომ ბევრი სულთანი თავისმა მსახურებმა დაამხეს... ასე რომ, ჟვანიასა და სააკაშვილის წამოწევა შევარდნაძის ყველაზე ტრაგიკული შეცდომა იყო... თვითონ გადადგება, წავა და რას უპირებს ქართველ ხალხს, ვის ხელში ტოვებს? ბაქოს მოვლენების დროსაც ხალხმა იზარალა. თორემ დღეს ოპოზიციის ლიდერი ისა ღამბარი სახლში ზის, ტოლმას ჭამს და შერბეთს აყოლებს, ილჰამ ალიევი პრეზიდენტობას იფერებს, ხალხს კი ხელკეტებით გადაუარეს.

— **„რუსთავი 2“-ზე ძალიან გაბრაზებული ხართ. რატომ?**

— ეს არის ანტიეროვნული ტელეკომპანია, რომელიც ძალადობის, სექტანტობისა და პორნოგრაფიის პროპაგანდას ეწევა. მის შესაქმნელად 15 მლნ დოლარი ზურაბ ჟვანიამ გაიღო და მისივე ინტერესებს ემსახურებიან კიდეც. როგორ შეიძლება ასეთი ტელევიზია ობიექტური იყოს... ამიტომ მას ჩვენ ბოიკოტი გამოვუცხადეთ (მარტო ჩვენ არა) და აკრედიტაცია შევუწყვიტეთ.

— **არჩევნების ხელახალი ჩატარება თუ არის გამოსავალი?**

— უარეს შედეგს მივიღებთ...

ჩემს ხალხს ერთს ვეტყვი, — შევარდნაძის ეპოქა ისედაც მთავრდება, მის წასვლას არავითარი სამოქალაქო ომი არ სჭირდება. არ დაუშვათ, რომ „შევარდნაძის გამოზრდილებმა“ აგიყოლიონ და ისინი დაუსვათ უფროსად თქვენს შვილებს...

***მარი ზანდუკელი***

საპარლამენტო არჩევნების ბოლო მონაცემებით, „ახალმა მემარჯვენეებმა“ 7-პროცენტიანი ბარიერი გადალახეს, რაც იმის მაუწყებელია, რომ ახალ პარლამენტში, მართალია მცირე შემადგენლობით, მაგრამ „ახლების“ ფრაქცია კვლავაც იარსებებს. მას აშკარად საინტერესო და დაძაბულ სიტუაციაში მოუწევს მუშაობა. რადიკალური ოპოზიციისგან განზე დგომამ და ქუჩის საპროტესტო აქციებში მონაწილეობაზე უარის თქმამ მათ სერიოზული მეტოქეები გაუჩინა. სააკაშვილი-ჟვანია-ბურჯანაძის ალიანსი ალბათ ყოველთვის გაუხსენებს ამ „ღალატს“, უფრო სწორად პოზიციას, რომელსაც „ახალი მემარჯვენეების“ ლიდერი **დავით გამყრელიძე** ასე განმარტავს:

— რაც ხდებოდა 2 ნოემბრის საპარლამენტო არჩევნების შემდეგ, იყო ავანტიურა, რომელიც მიზნად ისახავდა მოვლენების რევოლუციური სცენარით განვითარებას, ხელისუფლების შეცვლას და მის ნაცვლად, სააკაშვილის გუნდის მოსვლას. რაც ძალიან კარგი სასტარტო პოზიცია იქნებოდა სააკაშვილის საპრეზიდენტო არჩევნების კამპანიისთვის.

# ეს იქნება ურთულესი პარლამენტი...

## რას ფიქრობენ „ახლები“?!

— **რადიკალურ ოპოზიციაში ბურჯანაძე-დემოკრატებიც არიან.**

— მე ქუჩის ოპოზიციას ვუწოდებ და არა რადიკალურს. მისი მეორე ფლანგის — ბურჯანაძე-დემოკრატებისთვისაც პარლამენტში პირველი ადგილი ასევე კარგი სტარტი იქნებოდა საპრეზიდენტო არჩევნებში. მათთვის მიუღებელი აღმოჩნდა არჩევნების შედეგები და ეს ყველაფერი იმიტომ წამოიწყეს, რომ საზოგადოებისთვის ეთქვათ — არჩევნები ტოტალურად გაყალბდაო. ცდილობდნენ, არჩევნების ჩაშლისთვის მიეღწიათ და გარკვეული სახელისუფლებო ბერკეტები შეენარჩუნებინათ. ხელისუფლებამ მართლაც სერიოზული გაყალბებით ჩაატარა არჩევნები. ქუჩის ოპოზიციას კი ავანტიურული გეგმის განხორციელების მცდელობა ჰქონდა. ეს იმას ნიშნავს, რომ ორივე მხარე ერთი და იმავე ინტერესებისთვის იბრძვის. ორივეს სურს ძალაუფლების შენარჩუნება, მოპოვება ან განმტკიცება. სამწუხაროა, რომ ბურჯანაძე-დემოკრატებიც და სააკაშვილიც ამისთვის ხალხს იყენებენ, რომელიც ყოველთვის ბუნებრივად გამოხატავს თავის აზრს.

— **როგორ ვარაუდობთ მოვლენების განვითარებას?**

— სერიოზულ დესტაბილიზაციას ამ ეტაპზე არ ველოდები, თუ ფორსმაჟორული სიტუაცია არ შეიქმნა და ხელისუფლებამ საბედისწერო შეცდომა არ დაუშვა.

— **კონკრეტულად?**

— არ დავაკონკრეტებ. მაგრამ თუ ეს არ მოხდა, გაზაფხულამდე სიტუაციის გამწვავებას აღარ ველოდები. თუმცა, სააკაშვილი თავის მოძრაობას აუცილებლად გააგრძელებს, ძირითადი მესიჯით: „დავამხოთ შევარდნაძის რეჟიმი“ (ეს გაგრძელდება საპრეზიდენტო არჩევნებამდე) და შეეცდება იმის ილუზიის შექმნას, რომ პარლამენტში სააკაშვილის ბლოკი განსაკუთრებულად იბრძვის ხალხისთვის.

— **ანუ თქვენ ფიქრობთ, რომ სააკაშვილი პარლამენტში მაინც შევა თუ ცესკოს საბოლოო მონაცემებით პირველი არ იქნება მისი გუნდი?**

— რა თქმა უნდა. ისევე როგორც პარასკევს ეცადა, მსოფლიოს ენახა ეს ამბები. ამას რომ მიაღწია, დაასრულა შეკრება და დაშალა ხალხი. ანალოგიურად მოძებნის მიზეზს, რითაც პარლამენტში შესვლას „თავისუფლად“ შეძლებს. თუმცა, პირველ დღეებში პარლამენტის სხდომის ბლოკირებას ან რაღაც ასეთს ეცდება. დარწმუნებული ვარ, რომ 22 ნოემბერს 99%-ით არც პარლამენტი შეიკრიბება. ეს იქნება ურთულესი პარლამენტი, სადაც იქნება ბევრი ემოცია, სერიოზული დაპირისპირება და მუშტი-კრივიც.



— **გაზაფხულზე სააკაშვილის მიერ სიტუაციის გამწვავებაში რას გულისხმობთ?**

— ეს უფრო პრეზიდენტ შევარდნაძეზე იქნება დამოკიდებული. თუ იგი გაზაფხულამდე კონკრეტულ ნაბიჯებს არ გადადგამს საკადრო პოლიტიკის, აფხაზეთის და სხვა საკვანძო საკითხებში და ქვეყანას კვლავ არ ექნება ეკონომიკური წინსვლა, მაშინ ხელისუფლებისადმი აგრესიული დაპირისპირების მიზეზი ყოველთვის მოიძებნება. ისევ დაიწყება ქუჩის აქციები, რომელიც შეიძლება ბევრად უფრო მასობრივი იყოს, ვიდრე დღეს არის.

— **თქვენ მაშინაც განზე გადგებით, როგორც ამბობთ, „ქუჩის ოპოზიციისგან“?**

— ჩვენ დავდგებით იქ, სადაც ნამდვილად იქნება სახელმწიფო ინტერესები. პარლამენტის წინ გამართულ აქციებში ჩადებული არ იყო ეს ინტერესი. მიუხედავად იმისა, რომ მე ნამდვილად არ მომწონს, რაც აჭარაში არჩევნების დროს ხდება, მისი შედეგების გაუქმება, გარე ძალების წისქვილზე დაასხამდა წყალს და ქვეყანას შესაძლოა დაშლის საფრთხეც კი გასჩენოდა. ქვეყანაში პოლიტიკური პრობლემების მოგვარების ასპარეზად, სწორედ პარლამენტი უნდა იქნას გამოყენებული და არა ის ადგილი, სადაც შეიძლება სწორედ ქვეყნის ინტერესები დაემხოს.

***ეკა ლომიძე***

# რატომ აუქნიეს „რუსთავი-2“-ს ხელი

## „თუ ვინმე ფიქრობს, რომ ჩვენ ჟვანია-სააკაშვილისთვის ვირჯებოდით, ეს მისი პრობლემაა...“



*საქართველოში განვითარებული მოვლენების ფონზე რამდენიმე დღის წინ ტელეკომპანია „რუსთავი-2“-ს ცესკომ აკრედიტაცია შეუწყვიტა, რამდენიმე პოლიტიკურმა ძალამ კი პირი შეკრა, ტელეკომპანია არაობიექტურობაში დაადანაშაულა და ბოიკოტი გამოუცხადა. რამ აიძულა პოლიტიკოსები პოპულარული ტელევიზიის ეთერზე უარი ეთქვათ? რა ხდება დემოკრატიის გარიჟრაჟზე? რატომ აუქნიეს „რუსთავი-2“-ს ხელი? თუმც „რუსთავი-2“-ის საინფორმაციო სამსახურის ხელმძღვანელს,* ***ეკა ხოფერიას*** *ტელეკომპანიის გარშემო ატეხილი ხმაური დიდად არ აშინებს:*

— ხელისუფლებამ, მთავრობამ და მათმა პარტნიორმა პოლიტიკურმა პარტიებმა ვერ შეძლეს იმ პრობლემის მოგვარება, რომელსაც მათთვის რუსთაველზე გამართული მიტინგი წარმოადგენდა. ამიტომ გახდა საჭირო ვინმესთვის დარტყმა (ჭკუის სასწავლებლად) და საამისოდ „რუსთავი-2“ აირჩიეს. დარტყმა ბოიკოტით გამოიხატა. ხელისუფლების პარტნიორმა ლეიბორისტებმა, მრეწველებმა და „აღორძინებამ“ ეს საჯაროდ განაცხადეს, სხვებმა უფრო შეფარული ხერხი არჩიეს. როგორც იცით, ჩვენთან, ეთერში „კმარას“ ფასიანი რეკლამა გადიოდა. ეტყობა, ესეც არ მოეწონათ ცესკოსა და ხელისუფლებას, მაგრამ „კმარას“ ვერაფერი შეჰბედეს და გამოსავალი იპოვეს — აკრედიტაცია გაგვიუქმეს. არ ვიცი, ვის მოსდის აზრად ასეთი უცნაური გეგმები. ეტყობა, ფიქრობენ — თუ „რუსთავი-2“-ს ბრძოლას გამოვუცხადებთ, რუსთაველზე მიმდინარე საპროტესტო მიტინგს შევასუსტებთო. ვერ ხვდებიან, რომ ამით იმ ხალხს ებრძვიან, რომლებიც რუსთაველზე დგანან. ჩვენს ტელეკომპანიას ამაზე უარესი დღეები და გაცილებით მეტი ზეწოლა ჰქონია ხელისუფლებისგან, მაგრამ ამით უფრო მობილიზებული ვხდებით.

— **თქვენს ეთერში „ახლებიც“ არ ჩანან, ისინიც ბოიკოტს გიცხადებენ?**

— „ახლები“ ამ პოლიტიკურ პროცესებში ჩარევისაგან თავს იკავებენ, ნეიტრალური პოზიცია აირჩიეს. მათი ასეთი განწყობა თუმცა არ მომწონს, მაგრამ ისიც უნდა ვთქვა, რომ როდესაც ცესკოში აკრედიტაციას გვიხსნიდნენ, „ახლებმა“ მხარი დაგვიჭირეს. ამ შემთხვევაში, „ახლებს“ ნამდვილად ვერ შევადარებ ვერც ლეიბორისტებსა და ვერც „აღორძინებას“.

(გაგრძელება იხ. გვ. 27)

CMYK

# ხალხი ყველაზე მტკივნეული წერტილია...

წვიმა და ნოემბრის ცივი ქარი. ქუჩაში (რუსთაველის გამზირზე) დანთებულ კოცონზე მიფიცხებული ხელისგულები და მუჭში მომწყვდეული ასობით მოციმციმე სანთელი. „შავლეგოსა“ და „ჩემო კარგო ქვეყანას“ გუგუნი. სიცივის მიუხედავად, საოცრად ანთებული თვალები და მთელი მთავრობის სასახლის მოედანი — ასეთი ნოემბერი გვიდგას თბილისში, ძალიან რომ ჰგავს თხუთმეტი წლის წინანდელს. მაშინაც ასე იყო — ხელიხელჩაკიდებული, თვალაციმციმებული, ერთმანეთის გვერდით დგომით გამთბარი ქართველობა. დიახ, ასე იყო, ოღონდ ახლა დრო, ვითარება და გულისტკივილი გვაქვს სხვაგვარი.

მაშინ „სხვისი“ „თავსმოხვეული“ მთავრობა არ გვინდოდა. დღეს კი „ჩვენმა არჩეულმა“ გვატკინა გული, მერე მასზე უკეთესის არჩევის ნება არ მოგვცა, გვაწყენინა და ქუჩაში გამოსვლა გვაიძულა. დღეს შეურაცხყოფილმა და გაბრაზებულმა ქართველობამ თავის შეურაცხმყოფელს მუშტი კი მოუღერა, მაგრამ მისგან სულ მცირე რამ — პატივისცემა მოითხოვა. ხელისუფლებამ ხალხს უკეთესი მომავლისთვის ბრძოლის შანსი წაართვა, ამით დანაშაული ჩაიდინა და ამიტომ ხალხი გამყალბებლების დასჯას სამართლიანად მოითხოვს. მიმტევებელმა ქართველობამ (უშუქობას, სიდუხჭირესა და ამ გაუსაძლის ყოფას რომ შეუნდობს ხოლმე ხელისუფალთ) ღირსების წართმევა ველარ აიტანა და მოძალადისთვის ჭკუის სწავლება განიზრახა...



მთავრობის სასახლესთან ძალიან ბევრი ხალხი მივიდა. მაგრამ ეს ხალხი არის „იმისი“, „ამისი“ და კიდევ „სხვისი“... საინტერესოა, ვინ რისთვის მივიდა იქ? ვის რა უნდა?

ცნობილი თეზაა —



ქვეყანა, რომლის მოსახლეობის უმეტესობა ლატაკი და უბედურია, ბედნიერი ვერ იქნება. დღეს ჩვენი ხალხი ბედნიერებისათვის, უკეთესი ყოფისთვის იბრძვის და ამ მიზნისთვის ბრძოლამ დააყენა ქარ-წვიმაში მის გვერდით, რომელიც ამ მიზნის მიღწევას ჰპირდება. ცესკოს ოქმები და გაყალბების ტექნოლოგიები მას ნაკლებად აინტერესებს. თუ დაპირებულ ბედნიერებას მიიღებს და წელში გაიმართება, 1 თვეს თოვაშიც გაძლებს.

მისცემს კი ოპოზიცია ხალხს იმას, რასაც მისგან ელიან? ალბათ მისცემდა, თვითონ რომ ყოფილიყო ერთიანი და არა — გაყოფილ-გათიშული. სააკაშვილს, ბურჯანაძესა და ჟვანიას ხალხის გამოყვანა არ გასჭირვებიათ, მაგრამ ერთიათად მეტს არ გამოიყვანდნენ (მთელ ოპოზიციას), ერთი პირი რომ ჰქონოდათ?! ყველანი რომ ერთად დამდგარიყვნენ, უფრო ძალუმადაც იქუხებდნენ და უფრო მკაცრად ეტყოდნენ უარს დღევანდელ ყოფას. სამწუხაროდ, ასე არ მოხდა. ამჟამად განზე მდგომი ოპოზიციის აზრით სააკაშვილის, ბურჯანაძისა და ჟვანიას ბრძოლა პარლამენტში გავლენის მოპოვების მცდელობა და მომავალი საპრეზიდენტო არჩევნებისთვის მზადება უფროა, ვიდრე ხალხის ბედ-იღბალზე ზრუნვა, თორემ „ხალხის ბედნიერებისთვის“ ბრძოლაში როგორ არ ალაპარაკდებოდნენ „ერთ ენაზე“. იმის შიშით მაინც დაუდგებოდნენ ერთმანეთს გვერდით — ხალხის თვალში ფასი არ დავკარგოთო... ასე არ მოხდა...

ისიც ფაქტია, რომ სააკაშვილისნაირი „ცეცხლის დანთება“ სხვამ ვერ შეძლო (ან არ მოინდომა). ქუჩაში გამოსული ოპოზიცია პრეზიდენტს ყველაზე ღირებულს — ხალხის სიყვარულს ეცილება. მაგრამ დათმობს შევარდნაძე იმას, რაც ყველაზე მეტად თავად სჭირდება? შევარდნაძე წასვლისათვის ემზადება და როგორც ყველა „წამსვლელს“, არ უნდა უკან წყევლა-კრულვა მიჰყვებოდეს. გამოცდილი პოლიტიკოსი არც იმას იზამს, დამხობილი პრეზიდენტების ამალა შეავსოს და შერცხვენილს გასაქცევად გაუხდეს საქმე. ის ღირსეულად ფიქრობს წაბრძანებას (ოღონდ როდის?). მას თბილად, სიყვარულით უნდა გაცილება, მაგრამ დააცლიან?!

ხალხი ჩვენი პრეზიდენტისთვის ყველაზე მტკივნეული წერტილია. შევარდნაძე თავისი „დიდი სიყვარულისთვის“ რომ იბრძოლებდა, ცხადი იყო და ასეც მოხდა... ჩემო ხალხო, რომ მიყვარხარ, ამ გასაჭირში იმიტომ არ გტოვებთო, — „გამოგვიტყდა“ პრეზიდენტი... მერე კი სიყვარული საქართველოს კუთხეების მონახულებით დაგვიმტკიცა. ამას მოჰყვა „ჩემობით“ გამხელილი სიყვარული — „ჩემი სამეგრელო“ და „ჩემი აჭარა“, „ჩემო სისხლო და ხორცო“... ჩვეულებრივ, პრეზიდენტები ასე არ ლაპარაკობენ, მაგრამ შევარდნაძე წესებსა და კანონებს „არ ცნობს“, ალბათ იმიტომ, რომ შევარდნაძეა.

ცნობილი ამბავია — შეყვარებულს ხელის წაშველება ყოველთვის სჭირდება და „თავისი სიყვარულის“ დასაცავად შევარდნაძემ აჭარის ხელმძღვანელს უხმო. ასლან აბაშიძემაც „ოდეს კაცსა გაუჭირდეს, მაშინ უნდა ძმა და თვისიო“ და რკინის ქალამნები ჩაიცვა, მიდგა-მოდგა, დასუსტებულ, შეშინებულ „შეყვარებულს მოკეთეები“ (სომხეთი, აზერბაიჯანი, რუსეთი) კიდევ ერთხელ მოუმადლიერა და სატრფოს დაბრუნებაშიც აღუთქვა დახმარება. მაგრამ საქმე ისაა, რომ მოხუცი შევარდნაძისთვის სააკაშვილი მეტისმეტად უხერხული მეტოქეა. ახალგაზრდობის გარდა, საკრებულოს თავმჯდომარე სიყვარულის გამხელაშიც სჯობნის ჯერჯერობით პრეზიდენტს. „შენთვის მოვკვდები“, „შენს წილ ტყვიას შევეგებები, ოღონდ თმის ღერი არ ჩამოგვარდესო“... — ცხადია, ხალხისთვის სიყვარულის ასე ახსნა შევარდნაძემაც ვერ შეძლო... და ჩვენც ალბათ ბედნიერი ერი უნდა ვიყოთ, როდესაც „წინამძღოლები“ და „ბელადები“ ასე გვიტყდებიან სიყვარულში, მაგრამ... შევარდნაძის სიყვარული (ცოტა არ იყოს, სადომაზოხისტური, — მიყვარხართო და გვაწამებს) უკვე ვიგემეთ. რას გვპირდება და როგორ „მოგვესიყვარულება“ სააკაშვილი, ჯერ არ ვიცით, მაგრამ რაკი წინამ „არც ისე გაგვიმართლა“, ხალხი ცოტა შიშობს, თან არც იმის დავიწყება გვმართებს, ამ ორის გარდა საქართველო სხვებსაც რომ „უყვართ“, ისეთებს, თავიანთ გრძნობებს საქვეყნოდ რომ არ აჩენენ და გულში ინახავენ (საჭირო მომენტს ელოდებიან).

დღეს ერთი ვიცით, ხალხს გამარჯვება სჭირდება — ქართველობის დამარცხება არ იქნება... მან იმდენი კი აიტანა, რომ ბედნიერების უფლება ახლა (მაინც) მოითხოვოს და ნამდვილ (ორმხრივ) სიყვარულს ეზიაროს. ნუ მოატყუებთ, თორემ ცუდად მოგიბრუნდებათ... პატიების უნარსაც აქვს ზომა-წონა და ზღვარი. ერთხელ ეს აღუვსებელი საწყაული — ხალხის მოთმინების ფიალაც აივსება და მტერს მისწვდება იქიდან გადმოღვრილი რისხვა... ხალხის გრძნობებს ბოროტად ნუ ეთამაშებით, ბატონებო...

# „ამ კვირაში ჩვენ მშვიდობიანი მეთოდით მივაღწევთ ძალიან სერიოზულ შედეგს...“



„თუკი დაიწყებენ ჩვენს წინააღმდეგ ტერორის დაფინანსებას, ამ ხალხის პატიება არ იქნება“.

*გაერთიანებული ოპოზიცია ბრძოლის ახალ ეტაპზე გადადის — ის მთელ საქართველოში საყოველთაო დაუმორჩილებლობას აცხადებს(?!). რეგიონებში წინააღმდეგობის კომიტეტები იქმნება. ბევრის აზრით, შეიძლება სწორედ ასეთი კომიტეტები იქცეს სამოქალაქო დაპირისპირების მიზეზად. არის საშიშროება, რომ ადგილებზე მათ სამართალდამცველ და ძალოვან სტრუქტურებთან მოუხდეთ შეტაკება (რაც ასე აფრთხობს და აშინებს მოსახლეობას). რა გეგმები აქვს ასეთ არაორდინარულ ვითარებაში ოპოზიციას, რომელმაც საპროტესტო განწყობა შეუქმნა დედაქალაქს და ახლა რეგიონებისკენ აპირებს გადანაცვლებას. ვესაუბრებით ნაციონალური მოძრაობის თავმჯდომარეს,*

***მიხეილ სააკაშვილს:***

— ყველა სახელმწიფო დაწესებულებას გაფიცვისკენ მოვუწოდებთ იმიტომ, რომ მათზე აშკარა ზეწოლა ხდება. ხალხს ეუბნებიან, გამოდით, მხარი დაუჭირეთ შევარდნაძეს, თორემ სამსახურებიდან გაგაგდებთო... მოვუწოდებთ ბიზნესმენებს, შეუერთდნენ თავიანთ კოლეგებს, მათ, რომელთაც უარი თქვეს გადასახადების გადახდაზე. დაწესებულებებში არ შეუშვან არც ერთი მაკონტროლებელი... წინააღმდეგობის კომიტეტები უნდა შეიქმნას ყველგან. მათი მოვალეობა იმ ხალხის დაცვა იქნება, რომლებიც უარს ეუბნებიან ფულის მიცემაზე გამომძალველ ინსპექტორს და სახელმწიფო უწყებებში მაკონტროლებლებს არ უშვებენ. ამით ვაგრძნობინებთ მთავრობას, რომ არ ვაპირებთ, ძალადობას დავემორჩილოთ. ძალადობა არის არა მარტო არჩევნების გაყალბება, უკანონო გადასახადების აკრეფაც. ბოლოს და ბოლოს, რამდენიმე დღეში, შევარდნაძის ბედი მშვიდობიანად უნდა გადაწყდეს. გავიგეთ, რომ შევარდნაძემ დაავალა ემზარ კვიციანს, კოდორის ხეობაში პროვოკაციის მსგავსი რამ გაითამაშოს. არის ასეთი ინფორმაციაც, კანცელარიაში მოკალათებული ფულიანი ხალხი გასამხედროებული ფორმირებების (რომელიც ყარყარაშვილმა შეკრიბა) მაგრამ თავად ამაში არ მონაწილეობს) მეშვეობით დაიწყებს ტერორს. ამ ხალხს და მათ დამფინანსებლებს ვაფრთხილებ — ჩვენ ყველას ვინაობა ვიცით და მათ პასუხს მოვთხოვთ. მე დამიკავშირდნენ პარტიზანული რაზმების ხელმძღვანელები, მაგრამ მათ ვთხოვე, არ ჩარეულიყვნენ პროცესებში. აღმითქვეს, რომ არ დაუშვებენ შეიარაღებული ხალხის ჩარევას საქართველოში მიმდინარე პოლიტიკურ პროცესებში. ის, რაც დღეს ქვეყანაში ხდება, ხალხის გადასაწყვეტია და არა შეიარაღებული ადამიანების.

ფილარმონიაში შეიკრიბნენ ნორმალური ადამიანებიც და რამდენიმე ასეული ბანდიტიც — ყოფილი გვარდიელები და მხედრიონელები. შევარდნაძემ როგორც თქვა, — დღეს ხალხის ორი მხარე არსებობს (იგულისხმება ბანდიტები და დემონსტრანტები). ნურას უკაცრავად, არავითარი ორი მხარე არ არსებობს — არის ქართველი ხალხი და, სამწუხაროდ, არიან ბანდიტები. ისევე, როგორც არსებობს შევარდნაძე და ამავდროულად, საღად მოაზროვნე პოლიტიკური სპექტრი და მათ წინააღმდეგობას ვერავინ წარმოაჩენს საზოგადოების ორი ნაწილის დაპირისპირებად.

— **ხშირად ისმის კითხვა, თუკი მეწარმეებმა უარი თქვეს გადასახადების გადახდაზე, როგორ მიიღებს ხალხი კუთვნილ ხელფასებს?**

— ხალხი ხელფასს შევარდნაძის მმართველობის პირობებში ვერასოდეს მიიღებს. უკვე 3 თვეა, რაც თბილისელებს პენსია არ აუღიათ, რაიონებში კი 6 თვეა პენსიები არ გაცემულა. დღეს ნებისმიერი თეთრი, რომელიც ხაზინაში შედის, შევარდნაძის ოჯახის ჯიბისკენ მიედინება. რა თქმა უნდა, სოციალური გადასახადები უნდა გადაიხადონ ბიზნესმენებმა, მაგრამ ის გადასახადი, რომელიც შევარდნაძის რეპრესიული აპარატისა და სამხარეო ადმინისტრაციების შენარჩუნებას მოხმარდება, უნდა გაუქმდეს.

— **როგორ ფიქრობთ, თუ სამართალდამცავები და სხვა ადმინისტრაციული სამსახურები ვერ იფუნქციონირებენ წინააღმდეგობის კომიტეტების გამო, არ შეიქმნება ქაოსი, რითაც კრიმინალები ისარგებლებენ?**

— დამნაშავეები ისარგებლებენ იმით, თუ შევარდნაძე ხელისუფლებაში დარჩება. დღეს შევარდნაძე აშკარად მიდის კრიმინალიზაციაზე, დაუფარავად ეყრდნობა შეიარაღებულ ფორმირებებს. მინდა გავაფრთხილო ყველა დამნაშავე და მათი დამფინანსებლები, ჩვენ არავისთან ვაპირებთ დაპირისპირებას. მაგრამ თუკი დაიწყებენ ჩვენს წინააღმდეგ ტერორის დაფინანსებას, ამ ხალხის პატიება არ იქნება. ჩვენ მთავრობის არც ერთ წევრს და არც აპარატის თანამშრომლებს არ ვუპირისპირდებით. ყველას ხელშეუხებლობის გარანტიას ვაძლევთ, მაგრამ ვურჩევთ, ნურავინ ჩაერევა ტერორის დაწყებაში, თორემ ცუდად მოუბრუნდებათ.

— **თუკი ცესკომ ნაციონალური მოძრაობა პირველ ადგილზე გასულად გამოაცხადა, პრეზიდენტის გადადგომის მოთხოვნას შეწყვეტთ?**

— მხოლოდ ჩვენი გამარჯვების გამოცხადება არ კმარა. უნდა აღიარონ, რომ მოხდა გაყალბება. გამყალბებლები უნდა დაისაჯონ. დანარჩენს თავად ხალხი გადაწყვეტს. პირადად მე შევარდნაძის წინააღმდეგ აუცილებლად გავაგრძელებ ბრძოლას. ჩემთვის პირველი ადგილი კი არა, მთავარი ისაა, რომ კრიმინალიზებული რეჟიმი აღარ იყოს საქართველოში.

— **ხშირად გაიგონებთ, ბურჯანაძე როგორ არის ოპოზიციონერი, როდესაც მისი მეუღლე გენპროკურორის პირველი მოადგილეაო... როგორ ფიქრობთ, უნდა დარჩეს ბადრი ბიწაძე თავის თანამდებობაზე?**

— ქმარი ქმარია და ცოლი — ცოლი. პროკურატურა ფორმალურად არის ხელისუფლების დამოუკიდებელი შტო (სხვა საქმეა, როგორ არის რეალურად), მაგრამ არა მგონია, ბადრი ბიწაძის პროკურატურაში ყოფნა ნინო ბურჯანაძისთვის რამეს ცვლიდეს. ნინო ძალზე პრინციპულად, ვაჟკაცურად იქცეოდა, ჩვენი პოზიციები სავსებით ემთხვევა ერთმანეთს... მისი ქმრის გემოვნებისა და არჩევანის საკითხია, სად იქნება... ამ შემთხვევაში ნინოს დანაშაულს ვერ ვხედავ. შევარდნაძე გააგდებს თუ არა ბადრი ბიწაძეს, ამით ნინოს პოზიცია არ შეიცვლება...

— **თქვენი და თქვენი მეუღლის პოზიციები ემთხვევა ერთმანეთს?**

— რა თქმა უნდა! სანდრა არის სანდრა, ბადრი არის ბადრი. ნინო კი მიუხედავად ყველაფრისა, ძალიან კარგად იქცევა.

— **როგორ ხსნით ასლან აბაშიძის ვოიაჟებს სომხეთში, აზერბაიჯანსა და რუსეთში?**

— შევარდნაძემ ასლან აბაშიძეს უთხრა, ჩემი შემცვლელი ხარო და აბაშიძემ ამიტომ დაიწყო მხარდაჭერის დაბევება მეზობელ დედაქალაქებში. მოსკოვში მას ჰქონდა მოლაპარაკება აფხაზეთის მიმართულებით რკინიგზის გახსნაზე. პუტინთან შეხვედრაც სცადა, მაგრამ უარი უთხრეს, მიუხედავად შევარდნაძის სამგზის თხოვნისა (შევარდნაძემ სამჯერ დარეკა ამისთვის პუტინთან). ასლან აბაშიძე თავის თამაშს თამაშობს, მას ამ ეტაპზე შევარდნაძეც უჭერს მხარს. იგია პრეზიდენტის ბოლო დასაყრდენი, მაგრამ რას უქადის ეს საქართველოს თითოეულ მოქალაქეს, ყველამ კარგად იცის.

— **რას გეგმავს ამ კვირაში ოპოზიცია?**

— ამ კვირაში ჩვენ მშვიდობიანი მეთოდით მივაღწევთ ძალიან სერიოზულ შედეგს შევარდნაძის რეჟიმის წინააღმდეგ ბრძოლაში. არ მაქვს იმის ილუზია, რომ შევარდნაძის რეჟიმი ერთ დღეში დაემხობა, მაგრამ ბრძოლა გაათკეცდება და რეგიონებშიც გავრცელდება.

ჩვენ მშვიდობიან ბრძოლას გავაგრძელებთ და დარწმუნებული ვარ, გამარჯვებამდე მივალთ.

***გვერდი მოამზადა იზო რეკაძემ***

# საბრძოლო ტექნიკა მზადყოფნაში ჰყავდათ...

## კანცელარიასავით სოხუმი რომ დაეცვათ...

პარასკევს, 14 ნოემბერს, დიდი გამოცდის წინაშე დადგნენ არა მარტო დემონსტრანტები, არამედ კანცელარიის დამცველი პოლიციელები, სპეცრაზმელები და შინაგანი ჯარების წარმომადგენლები.

9 აპრილისა და თბილისის ომის სინდრომისთვის დღემდე ვერ დაგვიღწევია თავი; 2003 წლის 14 ნოემბერი მათთან შედარებით შეიძლება მონაგონი ყოფილიყო.

საბედნიეროდ, გადავრჩით, ოღონდ ჯერჯერობით.

ოპოზიციამ არავითარ შემთხვევაში არ უნდა მოინდომოს რომელიმე სახელმწიფო დაწესებულების ძალით, თუნდ უიარაღოდ აღება. ეს აგრესიად შეფასდება და ხელისუფლება ძალას გამოიყენებს.

ჩვენს შემთხვევაში, პირველ რიგში, გამოიყენებდნენ შსს-ს სპეცრაზმებს (როგორც გულუას სახელობის, ისე მღებრიშვილის ხელქვეითებს), შინაგანი ჯარების ოპერატიულ (თბილისისა და ქუთაისის) და სპეცდანიშნულების (მუხროვანი, ტყიბული) ბრიგადების დანაყოფებს.

14 ნოემბრის საღამოს პარლამენტთან ათასობით მშვიდობიანი მომიტინგე შეიკრიბა, სწორედ იმ დროს შინაგან საქმეთა სამინისტროს წინ სხვა „საიდუმლო სერობა“ დაიწყო. ავტობუსებისა და სატვირთო „კამაზების“ უკან სამი ჯავშანტრანსპორტიორი და ერთი ჯავშნიანი სადაზვერვო მანქანა „დაიმალა“, იქვე დადგა შინაგანი ჯარების ასეული.

ცხადია, რომ შსს-სა და შინაგანი ჯარების ხელმძღვანელობა ამ ჯავშანტექნიკას (მათ ალბათ დამატებითი ძალებიც მიემატებოდნენ) უყოყმანოდ დაძრავდა თავისუფლების მოედნისკენ, თუკი დემონსტრანტები კანცელარიის წინა მოედანზე შეღწევას ეცდებოდნენ.

БТР-ების რუსთაველზე და თავისუფლების მოედანზე გამოჩენა კი ბევრს 9 აპრილის ავბედით დღეს გაახსენებდა და დემონსტრანტებს შორისაც გამოჩნდებოდნენ უმართავი (ან სპეციალურად მართვადი) ჯგუფები, რომლებიც ხელისუფლების ჯავშანტექნიკაზე მიიტანდნენ იერიშს. ამას რა მოჰყვებოდა, მკითხველმა წარმოიდგინოს...

დაარბევს თუ არა დემონსტრანტებს ჯარი? ეს კითხვა არ ასვენებს დღეს საქართველოს მოქალაქეთა მომეტებულ ნაწილს, რადგან ხელისუფლებას უკმაყოფილო ადამიანებთან დასაპირისპირებლად მხოლოდ შეიარაღებული ჯარი დარჩა.

მაგრამ ესვრის კი ჯარისკაცი და ოფიცერი თავისსავე მეზობელს ან ნათესავს?

ეს ძალიან რთული საკითხია, რადგან ბევრი რამ გარემოებებზე იქნება დამოკიდებული. მართალია, ხელისუფლება იფიცებოდა, კანცელარიას მხოლოდ ხელკეტიანი ჯარისკაცები და პოლიციელები იცავენო, მაგრამ თავად კანცელარიაში იყო სახელმწიფო დაცვის სპეციალური სამსახურის კუთვნილი ცეცხლსასროლი იარაღის გარკვეული მარაგი. შინაგანი ჯარი, თუკი ჯავშანტრანსპორტიორებს ამზადებს და ქალაქში გამოჰყავს (თითოეული ჯავშანტრანსპორტიორის საშტატო შეიარაღებაში შედის ერთი 12,7 მმ კალიბრის КПВТ და ერთიც 7,62 მმ კალიბრის ПКТ ტიპის ტყვიამფრქვევი), მაშინ სავარაუდოა, რომ ასევე გამზადებულია საჭირო რაოდენობის ტყვია-წამალი და „კალაშნიკოვები“, რომლებიც დროის უმცირეს პერიოდში გადაეცემათ რეზინის ხელკეტებით შეიარაღებულ ჯარისკაცებს.

**ჩვენი დოსიე: საქართველოს შსს-ს შინაგანი ჯარების პირადი შემადგენლობა სიით 4.194 კაცს შეადგენს. იგი სტრუქტურულად შედგება მმართველობისგან, ხუთი ბრიგადისგან (თბილისის 1-ელი ოპერატიული ბრიგადა ყოფილი მე-8 პოლკის ბაზაზე, ქუთაისის ოპერატიული ბრიგადა, მუხროვანის და ტყიბულის სპეცდანიშნულების ბრიგადები და ორთაჭალაში მდგარი ობიექტების დაცვის ბრიგადა), ერთი პოლკის (საპატრულო-საგუშაგო), ხუთი ცალკეული ბატალიონისა და სამხედრო ნაწილისგან.**

**შინაგანი ჯარების შეიარაღებაში მძიმე ტექნიკიდან არის 12 ტანკი (მათ შორის Т-72 ტიპისაც), 17 ქვეითთა საბრძოლო მანქანა БМП-1 და 7 ჯავშანტრანსპორტიორი (БТР-70 და БТР-80 ტიპისა), 8 ჯავშნიანი გამწევი МТЛБ და ამდენივე შეჯავშნული სადაზვერვო მანქანა БРДМ-2. თუმცა აღსანიშნავია, რომ საბრძოლო ტექნიკის ნაწილი გაუმართავია.**

თუ საბჭოთა ჯარში მეტ-ნაკლებად მოქმედებდა დისციპლინა, ჩვენ, სამწუხაროდ, ამით დიდად ვერ დავიტრაბახებთ. თუმცა, ასეთ დროს ეს, ერთი მხრივ, მომგებიანიცაა, რადგან ჯარისკაცი უიარაღო დემონსტრანტს მაშინაც არ ესვრის, თვით სარდალმა ან მინისტრმაც რომ უბრძანოს.

მაგრამ, მეორე მხრივ, თუკი რომელიმე დემონსტრანტი ქვით თავს გაუხეთქავს რომელიმე ჯარისკაცს, მისმა თანარაზმელმა თავისუფლად შეიძლება ცეცხლი გაუხსნას ქვის მსროლელს.

ამგვარი დაპირისპირების შემთხვევაში მკვეთრად გაიზრდება დეზერტირ ჯარისკაცთა და სერჟანტთა რიცხვი, რადგან ისინი არ მოისურვებენ ხელისუფლების მხარეს ბრძოლას.

მათ შეიძლება ოფიცრებიც მიჰყვნენ, რადგან მწირხელფასიანი ოფიცერი ხვდება, რომ ამ დაპირისპირებაში იგი ქვეყნის ინტერესს კი არა, უფრო სრა-სახლების პატრონი თავისი გენერლების, სარდლებისა თუ მინისტრების პირად ქონებას იცავს.

ამ კვირიდან ოპოზიცია სამოქალაქო დაუმორჩილებლობის დაწყებით იმუქრება. საგულისხმოა, რომ ეს საპროტესტო აქციები საქართველოს ბევრ ქალაქში გაგრძელდება და მარტო სახელმწიფო კანცელარიის შენობის ალყით არ ამოიწურება.

ამიტომაც მოსალოდნელია ადგილობრივი მასშტაბის „შეტევები“ სხვადასხვა ქალაქში. როგორც გამოჩნდა, ოპოზიციას ეყოფა ძალა სახელისუფლებო შენობების ბლოკირებისთვის თითოეულ ქალაქში, რასაც ვერ ვიტყვით ხელისუფლებაზე, რადგან მარტო თბილისში კანცელარიის შენობის დასაცავად მან თითქმის მთელი ქალაქის პოლიციისა და შინაგანი ჯარების ბევრი დანაყოფი გამოიყვანა.

მაგრამ ხელისუფლებას რომ გაუჭირდეს და აღარ ეყოს შინაგანი ჯარების დანაყოფები, რომელთა სარდლობა ყველაზე ლოიალურადაა განწყობილი პრეზიდენტ შევარდნაძისადმი, მიმართავს დახმარებისთვის არმიას?

შეიარაღებულ ძალებს, წესით, ეკრძალება საშინაო საქმეებში ჩარევა, მაგრამ საქართველოში არაფერია გამორიცხული. თუმცა, რატომღაც გვგონია, რომ თევზაძის უწყება მაინცდამაინც ვერ გამოდგება დემონსტრანტების დასაშლელად, თუნდაც იმიტომ, რომ თავდაცვის სამინისტროს ბევრ ნაწილში უფრო ნაკლები დისციპლინაა, ვიდრე იმავე შინაგან ჯარებში.

ვერც მესაზღვრეები გამოდგებიან დემონსტრანტების დასაშლელად.

თუმცა რჩება კიდევ ერთი რეალური ძალა, რომელიც შეიძლება ჩაერთოს საქართველოს საშინაო საქმეებში. ეს გახლავთ საქართველოს ტერიტორიაზე განთავსებული რუსული სამხედრო ბაზები და ცხინვალსა და აფხაზეთში დისლოცირებული ე.წ. სამშვიდობო ძალები.

მიუხედავად იმისა, რომ რუსეთის ოფიციალური პირები პირწმინდად გამორიცხავენ რუსი სამხედროების საქართველოს საშინაო საქმეებში ჩარევას, ჩვენ გვაქვს საფუძველი, რომ მათ ფიცს არ ვენდოთ.

არც ისე შორეულ წარსულში, საქართველოს პირველი პრეზიდენტის ხელისუფლების ჩამოსაგდებად, მაშინდელმა ოპოზიციამ აქტიურად გამოიყენა არა მარტო რუსული სამხედრო ნაწილებიდან მიღებული საბრძოლო ტექნიკა და ტყვია-წამალი, არამედ თვით რუსი დაქირავებული სამხედრო სპეციალისტებიც.

ორი წლის შემდეგ კი უკვე მორიგმა მთავრობამ თავისი ხელისუფლების დასაცავად ფოთში შემოიყვანა ადმირალ ბალტინის შეიარაღებული დანაყოფები.

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ლიდერი და ამიერიდან უკვე „სარდალიც“, ასლან აბაშიძე, რამდენჯერმე უკვე დაეყრდნო რუსულ სამხედრო ძალას, კერძოდ, ბათუმის რუსულ სამხედრო ბაზას და ამიტომაც სულაც არ არის გამორიცხული, მან ეს ექსპერიმენტი ტერიტორიულად უფრო განავრცოს.

მიუხედავად პირადი შემადგენლობის სიმცირისა, რუსული სამხედრო ბაზების პოტენციალი შეიძლება გამოიყენონ საქართველოში რუსული სტრატეგიული ინტერესების გასატარებლად და ისიც ჩვენი სახელისუფლებო სტრუქტურების ზოგიერთი წარმომადგენლის დიდი ხელშეწყობით.

ეს ხალხი, თავისი ძალაუფლებისა და, რაც ასევე მთავარია, დღემდე უკანონოდ ნაშოვნის შესანარჩუნებლად ათასნაირ ავანტიურაზე წავა. ეს შეიძლება გამოიხატოს პირდაპირ პროვოკაციებში (დემონსტრაციების რიგებში შეგზავნილი პირები) ან ტერორში — ოპოზიციის ლიდერების ფიზიკურ განადგურებაში.

მოვლენების ასე ტრაგიკულად განვითარების შემთხვევაში დასავლეთი და, პირველ რიგში, აშშ, ნაკლებად სარწმუნოა, რომ აშკარა დახმარებაზე წამოვიდნენ. ვაშინგტონი და დასავლეთის ქვეყნების ხელისუფალნი მხოლოდ პოლიტიკური შეფასებებით შემოიფარგლებიან. ვერც გაამტყუნებ. დღეს ოპოზიციის ყველაზე დიდი კოზირი ისაა, რომ იგი მშვიდობიან დემონსტრაციებს მართავს, მაგრამ როგორც კი დემონსტრანტები ძალით დაიწყებენ მანიპულირებას და ამით უკუქმედებების საბაბს მისცემენ ჩასაფრებულ ხელისუფლებას, შემდგომი მოვლენები, სამწუხაროდ, სავარაუდოა, ზემოხსენებული სცენარით განვითარდეს.



14 ნოემბრის საღამოს „სცენაზე“ გამოსვლას ორთაჭალაში „მიმალული“ შინაგანი ჯარების ჯავშანტრანსპორტიორებით ელოდნენ

**ჩვენი დოსიე: ბათუმში დისლოცირებული მე-12 რუსული სამხედრო ბაზის შეიარაღებაშია 41 ცალი Т-72 ტიპის ტანკი, 133 ჯავშანტრანსპორტიორი (თუმცა მათი უმრავლესობა აფხაზეთში ჰყავთ წაყვანილი რუს „ცისფერჩაფხუტიანებს“), 205 ჯავშანმანქანა, 76 ერთეული საარტილერიო დანადგარი და 4 ხიდგამდები. სამხედრო ბაზის პირადი შემადგენლობა 2.500 კაცს აღწევს.**

**ახალქალაქში რუსეთის 62-ე სამხედრო ბაზის შეიარაღებაშია 41 ტანკი, 76 ქვეითთა საბრძოლო მანქანა, 52 ჯავშანმანქანა, 64 საარტილერიო დანადგარი და 2 ხიდგამდები. 62-ე ბაზაში 1.800 სამხედრო მსახურობს.**


# რას გადაიხდით საკუთარ წარმატებაში?

გრანდიოზული ფასდაკლება!



რეკლამა „სიტყვა და საქმეში“

| | | | |
|---|---|---|---|
| 5 გამოქვეყნება | -20% | 25 გამოქვეყნება | -40% |
| 10 გამოქვეყნება | -25% | 30 გამოქვეყნება | -45% |
| 15 გამოქვეყნება | -30% | 35 გამოქვეყნება | -50% + უფასო დამზადება |
| 20 გამოქვეყნება | -35% | | |

☎ 33-78-07

გაზარდეთ თქვენი შესაძლებლობები!


# ივანოვს თარსი ფეხი ჰქონია...

## რუსეთის თავდაცვის მინისტრის სტუმრობას ავიაკატასტროფები მოსდევს

ორიოდე თვის წინ, რუსეთის თავდაცვის მინისტრი სერგეი ივანოვი შორეულ აღმოსავლეთში გამართულ გრანდიოზულ სამხედრო მანევრებზე დასასწრებად სტრატეგიული ბომბდამშენით, Ту-160-ით, ჩაფრინდა.

პოლიგონზე, ივანოვის თვალწინ, ორი საბრძოლო შვეულმფრენი Ми-24 ერთმანეთს ჰაერში შეეჯახა, ხოლო ის Ту-160, რომლითაც თავდაცვის მინისტრმა იფრინა, ერთ თვეში, სარატოვის ახლოს, ცაში აფეთქდა.

ახლახან, 12 ნოემბერს, სერგეი ივანოვის თარს ფეხს კიდევ ერთი ავიაკატასტროფა მოყვა. გასული კვირის დასაწყისში იგი სომხეთს ოფიციალური ვიზიტით ეწვია.

ვიზიტის მიზანი იყო სომხეთში რუსული 102-ე სამხედრო ბაზის შემდგომი დისლოკაციის საკითხების განხილვა. რუსეთის თავდაცვის მინისტრი შეჰპირდა თავის სომეხ კოლეგას, რომ რუსეთი სომხეთს სამხედრო პროდუქციას შეღავათიან ფასად მიაწვდის.

მოლაპარაკებების მეორე დღეს კი გიუმრიში, სადაც რუსული სამხედრო ბაზის დანაყოფებია განთავსებული, საჩვენებელი წვრთნები მოეწყო, მათ შორის МиГ-29 ტიპის გამანადგურებლების მონაწილეობით.

აეროდრომზე აღარ დაბრუნდა ერთი МиГ-29, რომელსაც 39 წლის მაიორი კონსტანტინ კარდაში მართავდა. მაშველებმა მხოლოდ ორი დღის ძებნის შემდეგ მიაგნეს მის ცხედარს და თვითმფრინავის ნამსხვრევებს.

როგორც აღმოჩნდა, სომხეთის ცაში მფრენმა რუსულმა გამანადგურებელმა კატასტროფა შირაქის ოლქის სოფელ ჯაჯურთან განიცადა. თვითმფრინავი, სავარაუდოდ, შტოპორში მოექცა და მფრინავმა ვერ მოახერხა მისი იქიდან გამოყვანა. კატასტროფის მიზეზის გამოძიებამდე შეჩერდა ყველა ამ ტიპის გამანადგურებლის ფრენა. ზოგიერთი მონაცემის თანახმად, კატასტროფამდე სომხეთში 18 ასეთი რუსული გამანადგურებელი იდგა. როგორც ჩანს, რუსეთის თავდაცვის მინისტრ სერგეი ივანოვს თარსი ფეხი აქვს და სადაც ჩავა, იქ მყოფ მის ქვეშევრდომებს ხიფათი არ ასცდებათ.

# აფეთქებები ხალხის გადასარჩენად!

## ექსკლუზიური რეპორტაჟი ბომბების განადგურების ეპიცენტრიდან

„ნამდვილად არ მოველოდი, თუკი ქართველი სპეციალისტები ასეთი პროფესიონალიზმით განახორციელებდნენ ამ საშიში ბომბებისა და ჭურვების უტილიზაციას“, — განუცხადა „კვირის პალიტრას“ საქართველოში OSCE-ს (ეუთო) მისიის ხელმძღვანელმა, ბატონმა **როი რივმა** საავიაციო ბომბების განადგურების პროცესის ნახვის შემდეგ.

მკითხველს ერთი თვის წინ შევპირდით, რომ დაწვრილებით გავაცნობდით დიდ შირაქში უვარგისი საავიაციო ბომბების განადგურების დეტალებს.

თუმცა, თავდაპირველად პრობლემის დედააზრი ავხსნათ. საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ რუსეთის არმიამ საქართველოში დიდი რაოდენობის საბრძოლო საჭურველი დატოვა, თუმცა მისი ნაწილი უკვე გამოუსადეგარი იყო. ჩვენმა ბევრმა ვაისამხედრომ ეს პროცესი, ანუ ბომბებისა და ჭურვების მწყობრიდან გამოყვანა, თავისი დაუდევრობით ან წინასწარგანზრახვით გააგრძელა. ამას დაემატა ყოფილი საბჭოთა სამხედრო ნაწილების ახლომახლო მცხოვრებთა „დიდი ცნობისმოყვარეობაც“, რის შემდეგაც რაკეტებისა თუ თვით ბომბების ნაწილებმა მათ ეზოებში გადაინაცვლა პრინციპით — „ვინ იცის, რაში და როდის დაგვჭირდესო“.

ამან განაპირობა საქართველოს ტერიტორიაზე საბრძოლო მოქმედებებისთვის გამოუსადეგარი ათიათასობით სხვადასხვა კალიბრის ჭურვის, საავიაციო ბომბისა და საზენი-



უტილიზაციის რიგში ათეულათასობით ვადაგასული ჭურვია

ტო რაკეტის დაგროვება. ის, რისი მოპარვაც და ჯართში ჩაბარებაც ვერ მოასწრეს, უკვე მოძველდა და მისი გამოყენება აღარ შეიძლება.

ამ „ნელი მოქმედების ნაღმებმა“ საქართველოს სახელმწიფო ინტერესები შეიძლება რამდენიმე მიმართულებით „ააფეთქონ“. არ არის გამორიცხული, ჩვეულებრივმა მოქალაქეებმა ბომბები და ჭურვები დაშალონ და ჯართის მიმღებ პუნქტებს ჩააბარონ (ამაზე ჩვენ ვწერდით). თუკი ისინი მათი დაშლის პროცესში ღმერთმა უბედურებისგან დაიფარა (არადა ვაზიანის პოლიგონზე ამ „სასიკვდილო ბიზნესს“ არაერთი ადამიანი შეეწირა), მაშინ ეს საშიში „ჯართი“ უკვე ან ტერმინალზე ფეთქდება (გაიხსენეთ ფოთში მომხდარი ტრაგედია), ან ბრძმედში (თურქეთში, დნობისას, აფეთქდა ფოთიდან გატანილ ჯართში შერეული ჭურვი).

მაგრამ არის კიდევ არანაკლები საფრთხე საერთაშორისო ტერორიზმისა — უმეთვალყურეოდ დარჩენილი ბომბიდან ან ჭურვიდან ამოღებული ტროტილი ტერორისტული აქტების ჩასატარებლად შეიძლება გამოიყენონ. ამიტომაც არ არის გამორიცხული, ქართული უვარგისი ბომბებისა და ჭურვების შიგთავსზე ათასი ჯურის ტერორისტი ნადირობდეს, თუნდაც ჩეჩნეთში გასატანად.

სახელმწიფო, რომელსაც ცოცხალი ადამიანი არ ანაღვლებს, ტრიალ მინდორზე მიყრილ ბომბებზე როგორ იზრუნებს! ამიტომაც იკისრა ამ საშიში რუსული „საჩუქრის“ გაუვნებლობა OSCE-მ. 2003 წლის 30 იანვარს დაიდო ურთიერთგაგების მემორანდუმი OSCE-სა და სახელმწიფო სამეცნიერო-ტექნიკურ ცენტრ „დელტას“ შორის „საარტილერიო საბრძოლო მასალებისა და ავიაბომბების უტილიზაციის“ შესახებ.

ამ პროგრამის პირველ ეტაპზე OSCE-ს მიერ გამოყოფილი 100 ათასი დოლარით ა.წ. 30 იანვრიდან 30 აპრილამდე დაიშალა 5.000 საარტილერიო ჭურვი, განადგურდა 15.000 საკაფსულე მილისი და განხორციელდა მათი განთავსების ეკოლოგიური მონიტორინგი. მეორე ეტაპი აგვისტოში დაიწყო. იგი 10 თვე გაგრძელდება. უნდა განადგურდეს 600 ავიაბომბი, გადამუშავდეს 180 ტ დენთი, დაიშალოს 20.000 საარტილერიო ჭურვი და ა.შ.

მკითხველს მარტო ეს ციფრები სრულ წარმოდგენას ვერ შეუქმნის იმაზე, თუ რა ხდება სინამდვილეში. „კვირის პალიტრას“ მიეცა ექსკლუზიური შესაძლებლობა, ენახა საბრძოლო მასალების უტილიზაციის მთელი პროცესი.

საბრძოლო მასალების საუტილიზაციო ბაზა დედოფლისწყაროში, თავდაცვის სამინისტროს სამხედრო ნაწილის ტერიტორიაზეა, სადაც საბჭოთა პერიოდში ერთ-ერთი ყველაზე მსხვილი საინჟინრო ბაზა გახლდათ განთავსებული. აქ ინახებოდა ჰაერსაწინააღმდეგო თავდაცვის ჯარების დიდძალი შეიარაღება.



საქართველოში OSCE-ს (ეუთოს) მისიის ხელმძღვანელი როი რივი (მარცხნიდან მეორე) ეცნობა ჭურვების უტილიზაციის პროცესს

ჩვენი მისვლის დროს სპეციალისტები საზენიტო ქვემეხის, KC-19-ის, ჭურვებს შლიდნენ. თავდაპირველად, ჭურვს ხსნიან თავში დაყენებულ ამფეთქს, ხოლო საკაფსულე მილისს — ჰილზის ბოლოში. შემდეგ ჭურვს ამაგრებენ ჩარხზე და საბრძოლო ქობინს ფრთხილად აჭრიან წყლის ჭავლის ქვეშ, რათა ჭურვის შიგთავსი არ გადახურდეს და დეტონაცია არ განიცადოს. ჰილზიდან იღებენ დენთის ღეროებს და წვრილად ჭრიან, ხოლო საბრძოლო ქობინიდან გამოაქვთ ტროტილი და ადნობენ.

გამოთავისუფლებულ ჰილზებს, გადამდნარ ტროტილს და დამუშავებულ დენთს „დელტა“ გადასცემს თავდაცვის სამინისტროს. ეს უკანასკნელი კი მათი გაყიდვით გაზრდის არასაბიუჯეტო შემოსავალს.

ამ საუტილიზაციო ბაზიდან რამდენიმე კილომეტრში, დიდი შირაქის აეროდრომზე, პარალელურად, აფეთქების გზით ანადგურებენ უვარგის ავიაბომბებს.

ეს აფეთქებები არჩევნების წინ დროებით შეაჩერეს, რადგან ეპიცენტრიდან ოთხიოდე კმ-ში მდებარე სოფელ ზემო ქედის მცხოვრებნი ჩიოდნენ — აფეთქებები სახლებს გვიზიანებსო.

ჩვენ სპეციალურად დავდექით აფეთქების ადგილიდან 800-ოდე მეტრში და ვთვლით, რომ აფეთქების ძალა არ არის იმ დონის, რომ მან რამდენიმე კმ-ით დაშორებული სახლები დააზიანოს. მით უფრო, რომ ერთდროულად აფეთქებენ არა უმეტეს 250 კგ ფეთქებად მასალას და იმასაც 3 მ სიღრმის ღრმულში.

უტილიზაციის პროგრამის კოორდინატორი, ქართველთა მხრიდან, „დელტას“ გენერალური დირექტორის მოადგილე, ბატონი **დავით ფირცხალავა** ამბობს: — დედოფლისწყაროდან ორიოდე კმ-ში, კარიერში, 3 ტ ამონალს აფეთქებენ და არავინ ჩივის. დაუჯერებელია 4 კმ-ის დაშორებით აფეთქებულმა 250 კგ-მა ტროტილმა რამე დაუშაოს ზემოქედელებს.

სიმართლე რომ ითქვას, ბევრად უფრო საშიში სულ სხვა რამეა, თუნდაც ის, რომ ბომბსაცავის მეზობელი სოფლის მცხოვრებთა ნაწილმა მოიპარა სხვადასხვა ფეთქებადსაშიში მასალები თუ მათი შესანახი ალუმინის კონტეინერები (ზოგი მათში თაფლსაც კი ინახავს). უტილიზაციის პროგრამის აღმსრულებლებმა სოფლელებს სთხოვეს, ნებით ჩააბარონ შინ შენახული ან გადამალული საშიში ფეთქებადი მასალა ან ამოუცნობი სამხედრო დანიშნულების ნაკეთობა; ეს ნივთები უსათუოდ უნდა განადგურდეს.

თითოეული ასეთი ბომბისა თუ ჭურვის უკან დიდი საფრთხე იმალება, ხოლო ყოველი განადგურებული ბომბი ერთი მშვიდობიანი ადამიანის სიცოცხლეს მაინც ზოგავს.

საქართველოში OSCE-ს მისიის სამხედრო მრჩეველი, ვიცე-პოლკოვნიკი **ჯო მაკდონა** აცხადებს: — „რამდენიმე უცხოურ ფირმას სურდა აელო ჩვენი გრანტი და თვითონ განეხორციელებინა უტილიზაციის ეს პროგრამა თქვენს ქვეყანაში. არ გვეგონა, რომ საქართველოში ამ საქმის ასეთი პროფესიონალები იყვნენ“.

პროფესიონალიზმი კი ნამდვილად საჭიროა, რადგან საბრძოლო მასალების



ავიაბომბები მინდორში ყრია და სასწრაფოდ განადგურებას მოითხოვს, რომ არავინ ემსხვერპლოს მათ საჯართედ მოპარვისას

უტილიზაცია უდიდეს საფრთხესთანაა დაკავშირებული. თქვენ წარმოიდგინეთ, ავიაბომბების აფეთქებით განადგურება ბევრად უფრო ნაკლებსარისკოა, ვიდრე ჭურვიდან დაჟანგული ამფეთქის ამოხრახნა. ფაქტობრივად, ეს ხალხი საფრთხეს არიდებს მოქალაქეებს, რომლებსაც შეიძლება ხელში ჩავარდნოდათ ფეთქებადსაშიში მასალები.

მაგრამ საფრთხე ქართულ მიწაზე მარტო ვადაგასული და უვარგისი ჭურვებისა და ავიაბომბების უტილიზაციით არ ამოიწურება. ორი კვირის წინ NATO-მ ისევ „დელტასთან“ ერთად დაიწყო ახალი პროგრამა სახელწოდებით „C-75 ტიპის საზენიტო-სარაკეტო სისტემების უტილიზაცია“.

ამ პროგრამის პირველ ეტაპზე გამოყოფილი 340 ათასი დოლარი მოხმარდება ფონიჭალასა და ჭალადიდში რაკეტების დასაშლელი ბაზების შექმნას. საერთო ჯამში, უნდა დაიშალოს 306 ცალი C-75 ტიპის საზენიტო რაკეტა, რომლის კორპუსის ნაწილები გადაეცემა თავდაცვის სამინისტროს ჯართში ჩასაბარებლად, ხოლო რაკეტების საბრძოლო ქობინები განადგურდება ვაზიანის პოლიგონზე.

მეორე ეტაპზე განსაზღვრულია 216 ერთეული КРУГ-ის ტიპის საზენიტო რაკეტის უტილიზაცია, ხოლო მესამე ეტაპზე — 100-მდე C-125-ის დაშლა.

საგულისხმოა, რომ უტილიზაციის პროგრამას თან სდევს ეკოლოგიური მონიტორინგის პროცესიც. „დელტას“ სპეცგანყოფილების უფროსის და დედოფლისწყაროს საუტილიზაციო ბაზის დირექტორის, ბატონ **დავით სუპატაშვილის** თქმით, მუდმივად ტარ-



აფეთქებები 3 მ-იან ღრმულში ხორციელდება

დება აფეთქების შემდეგ ნიადაგის როგორც ქიმიური, ისე ბიოქიმიური ანალიზი და ეს აფეთქებები, ეკოლოგიური თვალსაზრისით, სახიფათო არ არის.

დაბოლოს, დასავლეთს არცთუ უსაფუძვლოდ ეშინია, რომ თითქმის დაუცველი, ტრიალ მინდორში უპატრონოდ მიმოფანტული ბომბები ათასი ჯურის ტერორისტს არ ჩაუვარდეს ხელში და ამიტომაც არ ზოგავს ფულს მათ გასანადგურებლად. თავის მხრივ, უტილიზაციის ეს პროგრამები, პირველ რიგში, თავდაცვის სამინისტროს ინტერესებში უნდა შედიოდეს, რადგან უცხოური დაფინანსების შემდეგ მას მზამზარეული მაღალი ხარისხის ჯართი და, შესაბამისად, დამატებითი არასაბიუჯეტო თანხები გადაეცემა.

უკმაყოფილონი კი ალბათ ისინი დარჩებიან, რომლებიც აღუწერავი ბომბებით, რაკეტებითა და ჭურვებით დღემდე ჩუმად ვაჭრობდნენ და მათი არა მარტო ჯართის შემგროვებლების, არამედ მეზობელი ქვეყნის სამხედროებისა თუ საეჭვო პირებისთვის მიყიდვით ითბობდნენ ხელს...

***რუბრიკა მოამზადა ირაკლი ალადაშვილმა***

# სამხედრო კალეიდოსკოპი

## პენტაგონი ფულში „იძირება“

თეთრმა სახლმა კვლავ განაცვიფრა მთელი მსოფლიო: 2004 საფინანსო წელს აშშ-ში, სამხედრო მიზნებისთვის, 401 მლრდ დოლარი გამოიყოფა! ამ გადაწყვეტილებას 95-მა სენატორმა დაუჭირა მხარი, წინააღმდეგი მხოლოდ სამი წავიდა. იგი ხელმოსაწერად პრეზიდენტ ბუშს გაეგზავნა.

ახალი ბიუჯეტი ითვალისწინებს სამხედრო მოსამსახურეებისთვის ხელფასის 4%-ით გაზრდას, აგრეთვე დაემატებათ ანაზღაურება საბრძოლო მოქმედებებში მონაწილეებს.

9 მლრდ დოლარზე მეტი გამოიყოფა ანტისარაკეტო პროგრამის შემდგომ განვითარებაზე, ხოლო 15 მლნ დოლარი — მცირე სიმძლავრის ბირთვული ქობინების შექმნისთვის საჭირო გამოკვლევებს დაეთმობა.

ამერიკელი სენატორები ყველაზე მეტად აპროტესტებენ პენტაგონის გადაწყვეტილებას 100 სამოქალაქო ლაინერის, „ბოინგ-767“-ის, ბაზაზე საჰაერო ტანკერების შექმნის შესახებ.

## პუტინმა ლუკაშენკოსთვის მაინც გაიმეტა C-300-ები



კრემლმა, ბოლოს და ბოლოს, მაინც გადაწყვიტა, მისცეს ბელორუსიის არაპროგნოზირებად პრეზიდენტს შედარებით თანამედროვე ორი საზენიტო-სარაკეტო სისტემა C-300. ბელორუსი სამხედროები სამი წელი ელოდნენ რუსი კოლეგების საჩუქარს, მაგრამ მოსკოვი დღემდე თავს იკავებდა. შეიძლება იმიტომაც, რომ საბჭოთა კავშირის დაშლისთანავე მინსკმა ერთ-ერთ უცხოურ კერძო ფირმას მიჰყიდა პირველი თაობის C-300 სისტემის ერთი საბრძოლო მანქანა, რითაც ძალზე გააღიზიანა რუსი მერაკეტეები — მაშინ მოსკოვმა ჩათვალა, რომ ბელორუსებმა საბჭოთა საიდუმლო გაყიდეს.

C-300-ების ახალი პარტიის გამოჩენა ბელორუსიაში, პირველ რიგში, შეაშფოთებს NATO-ს, რომელიც აღმოსავლეთისკენ გაფართოებას ესწრაფვის, რადგან ამ საზენიტო-სარაკეტო სისტემების რადიოლოკაციური აღმოჩენის საშუალებებს ბელორუსიიდან დასავლეთით, 150-200 კმ-ის სიღრმეში, შეუძლიათ საჰაერო სივრცის გაკონტროლება.

## ლატვია რუსეთის ცაში „იჭრება“

ალბათ ეს ჩვენთვისაა ძნელად წარმოსადგენი, თორემ ლატვია იქით უქმნის პრობლემებს მეზობელ რუსეთს, მათ შორის წმინდა სამხედრო თვალსაზრისითაც.

ლატვიელმა სამხედროებმა, მათი ქართველი კოლეგებისგან განსხვავებით, ბიუჯეტის სახსრებით „ჯიპების“ ყიდვასა და უაზრო საზღვარგარეთულ მივლინებებსა და რესტორნებში ფულის ხარჯვას ამჯობინეს, 14 მლნ დოლარად სამკოორდინატური ამერიკული რადიოლოკაციური სადგური TPS-117 შეეძინათ და რუსეთის საზღვართან დაედგათ. ამ რადიოლოკაციური სადგურის ამუშავების შემდეგ ლატვიელ სამხედროებს უკვე ექნებათ წინასწარი ინფორმაცია იმის შესახებ, თუ რომელი რუსული თვითმფრინავი ან შვეულმფრენი დააპირებს ლატვიის საჰაერო სივრცეში შეჭრას, რადგან იგი რუსეთის საჰაერო სივრცის სიღრმეში 400 კმ-ზე „იჭვრიტება“.

მალე ანალოგიური რადიოლოკაციური სადგურების ამუშავებას ლიტველები და ესტონელებიც აპირებენ, რის შემდეგაც შეიქმნება საერთობალტიური სარადარო ქსელი, რომელიც მკვეთრად გაზრდის არა მარტო ბალტიისპირეთის, არამედ ჩრდილოეთ ევროპის საჰაერო სივრცის უსაფრთხოებას აღმოსავლეთის ანუ რუსეთის მხრიდან.

ჩვენ კი კვლავ დავრჩებით მწყემსებისა (როგორც საზღვარზე გადმოფრენილი უცხო თვითმფრინავების დამაფიქსირებლების) და „რაგატკების“ იმედად.

# საქართველოს შეუძლია ბიოტერორიზმის დამარცხება?!



ბაქტერიოფაგის სამეცნიერო ლაბორატორიაში ეს დანადგარები აღარ არსებობს

*ამას წინათ რუსულ პრესაში გამოჟონა ცნობამ იმის შესახებ, რომ 1999 წლის ზაფხულში, ქვეყნის სამხრეთ რეგიონებში, იფეთქა უცნობმა ეპიდემიამ, რომელსაც „არანჟევაია ლიხორადკად" მოიხსენიებდნენ. განცხადებაში ისიც ნათქვამია, რომ ბევრი დასახლებული პუნქტი, რომლებიც ეპიდემიის კერად იქცნენ, გარშემორტყმული იყო სამხედროებით. ხალხი საკონცენტრაციო ბანაკის პირობებში ცხოვრობდა. ოფიციალური მონაცემებით დაიღუპა 17.776 კაცი...*

*არ შეიძლება ადამიანი არ შეძრას ამ ცნობამ, მით უმეტეს, საქართველოში, საიდანაც, როგორც იტყვიან, ერთი ხელის გაწვდენაზეა ეს საშიში ზონა. ინფორმაციის გადამოწმების მიზნით საქართველოს ბიოქიმიისა და ბიოტექნოლოგიების ინსტიტუტის დირექტორს, აკადემიკოს* ***გიორგი კვესიტაძეს*** *ვესტუმრეთ:*

— დღევანდელ რუსეთზე ვერაფერს გეტყვით, მაგრამ დაბეჯითებით შემიძლია გითხრათ, რომ სსრ კავშირს ჰქონდა ბიოლოგიური იარაღი და მის დასახვეწად ინტენსიური მუშაობაც მიმდინარეობდა. ზემონახსენებ შემთხვევაში, ჩანს, ლაპარაკია ავარიაზე რომელიღაც ლაბორატორიაში. საზოგადოდ, ძალზე დიდი სიფრთხილეა საჭირო, რათა პათოგენური ბაქტერიები, რომლებიც სწრაფად მრავლდება და ასნებოვნებს ყველა ცოცხალ ორგანიზმს, ატმოსფეროში არ გამოიფრქვეს. ამას ზოოტერორიზმი ჰქვია. მის შედეგად ვითარდება ჯილეხი, ანუ ციმბირული წყლული, მუცლის ტიფი, დიზენტერია და სხვა დაავადებანი. აგროტერორისას ბაქტერიები კულტურულ მცენარეებსაც ანადგურებენ. სიცოცხლისათვის საშიში ბაქტერიების საწინააღმდეგო პრეპარატებზე დიდი ხნის განმავლობაში წარმატებით მუშაობდა ბაქტერიოფაგიის, მიკრობიოლოგიისა და ვირუსოლოგიის ინსტიტუტი და რაკი ცხოვრებამ ამის საჭიროება მოიტანა, ჩვენც გვინდა ჩავერთოთ ამ საქმეში.

**თეიმურაზ ჭანიშვილი**, საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ბაქტერიოფაგიის ინსტიტუტის დირექტორი, აკადემიკოსი: — ამგვარი ავარიის შესახებ არაფერი მსმენია, რუსეთთან ხომ ჩვენ ძველებური ურთიერთობები აღარ გვაქვს. საბჭოეთის დროს კი თითქმის ყველაფერი გასაიდუმლოებული იყო. თუ არ ვცდები, 1977 წელს ასეთი აფეთქება სვერდლოვსკის რომელიღაც ლაბორატორიაში მოხდა. ამის შესახებ ოფიციალური ცნობაც გამოქვეყნდა. მაშინ ჩვენი ინსტიტუტიდან წაიღეს გამოფრქვეული ბაქტერიების საწინააღმდეგო პრეპარატი.

(„კვირის პალიტრამ" მიაკვლია დოკუმენტს, რომლის თანახმად ავარია 1973 წელს მოხდა. საზოგადოებამ ეს ავარიიდან ოცდაათი წლის შემდეგ რუსეთის ორგანული ქიმიისა და ტექნოლოგიის სამეცნიერო კვლევითი ინსტიტუტის ინჟინრის, ანდრეი ჟელეზნიაკოვის საჯარო განცხადებით შეიტყო. ჟელეზნიაკოვი პირადად მონაწილეობდა ბინარული იარაღის გამოცდაში კოდური სახელწოდებით „ნოვიჩოკ". ეს იყო ნერვულ-პარალიტიკური მოქმედების ნივთიერება. ავარიის შედეგად ინჟინერი სამუდამოდ დაინვალიდდა).

**— მაშასადამე, ამ ბომბს თუ პრეპარატს, ლაბორატორიული გზით იღებენ. საინტერესოა, რამდენად სიცოცხლისუნარიანია იგი?**

— თუ მას სპორებად აქცევ, შეიძლება ათეული წელიც გაძლოს. სპოროვანი მიკროორგანიზმი ნიადაგშიც დიდხანს ცოცხლობს.

**— ვის გაუჩნდა პირველად ეს ვერაგული იდეა?**

— მეორე მსოფლიო ომის შემდეგ იაპონელებმა სცადეს შეექმნათ ისეთი იარაღი, რომლითაც დაასნებოვნებდნენ მოსახლეობას და გააკეთეს კიდეც კერამიკული ბომბები. მათში რამდენიმე კილოგრამი შავი ჭირის ბაქტერია იყო ჩატვირთული, მაგრამ იაპონელებმა ვერ მოასწრეს მათი გამოყენება — მოკავშირეთა ჯარებმა ის ლაბორატორია, სადაც ბომბები ინახებოდა, გაანადგურეს. ასე რომ, იდეა იაპონელებს ეკუთვნის.

**— სამაგიეროდ, სადამ ჰუსეინი ემუქრებოდა ბაქტერიოლოგიური იარაღით ამერიკელებს 1991 წლის იანვარში. პენტაგონი საამისოდ იმდენად მოუმზადებელი აღმოჩნდა, რომ ოფიციალური თხოვნით მიმართა რუსულ მხარეს, ციმბირული წყლულის საწინააღმდეგო ვაქცინებით დაგვეხმარეთო, მაგრამ რუსებს „არ ეყოთ საამისო საწარმოო სიმძლავრეები", რათა ვაქცინები სპარსეთის ყურეში განლაგებული ამერიკული სამხედრო შენაერთებისათვის მიეწოდებინათ. მაგრამ ეტყობა, არც სადამს ჰქონდა ამ ტიპის იარაღი, ან გამოყენება ვერ გაბედა.**

— სხვათა შორის, თერთმეტი სექტემბრის ცნობილი მოვლენების შემდეგ, ამერიკის შეერთებულ შტატებში ბაქტერიული ტერორის მცდელობაც იყო. ტერორისტებმა საფოსტო კონვერტებით სცადეს ციმბირული წყლულის გავრცელება, მაგრამ მხოლოდ იმას მიაღწიეს, რომ სულ ოთხი კაცი დაავადდა. ეს ბაქტერია ადამიანს კი ასნებოვნებს, მაგრამ იგი გადამდები არ არის და ამდენად გაცილებით ნაკლებსაშიშია, ვიდრე მუცლის ტიფი, დიზენტერია ან შავი ჭირი. ეს უკანასკნელი ხომ კატასტროფული სისწრაფით ვრცელდება. ამჟამად აშშ-ში ინტენსიური მუშაობა მიდის ბაქტერიული ტერორის საწინააღმდეგოდ — მუშავდება სპეციალური პროგრამები.

**— როგორც ვიცით, პათოგენური ბაქტერიების მისაღებად სულაც არ არის საჭირო ძვირად ღირებული აპარატურა, საკმარისია პატარა ლაბორატორიაც და ჰერმეტული ბოქსები. ბაქტერიული იარაღის შესანახად საჭირო არ არის დიდი საწყობები, რომელთა აღმოჩენა კოსმოსური თანამგზავრებიდან შეიძლება. ამასთან, ბიოლოგიური კვლევის სპეციალისტების მონახვა უფრო იოლად შეიძლება, ვიდრე ატომური ბომბის ან ბალისტიკური რაკეტების შემქმნელებისა. რამდენად შესაძლებელია ვინმე თავზეხელაღებულმა საყოფაცხოვრებო პირობებში შექმნას ასეთი იარაღი?**

ამერიკული და ინგლისური დაზვერვის მონაცემებით, საბჭოთა კავშირი განაგებდა სიმძლავრეებს, რომლებითაც ყოველდღიურად სუპერეპიდემიის გამომწვევი ორასი კილოგრამი ნივთიერების წარმოება შეეძლოთ(!). მხოლოდ ერთი კილოგრამი ასეთი ნივთიერება ნახევარი მილიონი კაცის გასანადგურებლად იყო საკმარისი.

— უნდა გითხრათ, რომ საქმე არც ისე მარტივადაა. ამგვარი ბომბების შექმნას მილიონები, უახლესი ტექნოლოგიები და ინტელექტუალური კადრები სჭირდება... თავის დროზე, თითქმის სამოცი წლის წინ, იაპონელები რამდენიმე ბომბით დაახლოებით ხუთი მილიონი კაცის მოწამვლას ვარაუდობდნენ. დღეისათვის გაცილებით უარესი მდგომარეობაა იმ თვალსაზრისით, რომ ბუნებაში გავრცელდა ისეთი მიკრობები, რომლებზეც ანტიბიოტიკები არ მოქმედებს. უპირველესად იმიტომ, რომ ისინი ბუნებრივად წარმოიშვნენ, ასევე შესაძლებელია მათი ლაბორატორიებში გამოყვანა-გამრავლება და ამდენად საშიშროების ხარისხიც იზრდება. აქედან გამომდინარე, აშშ-მაც დაიწყო საპასუხო ღონისძიებების განხორციელება. მომწამვლელ ბაქტერიას რომ სხვა, მისი გამანადგურებელი დავუპირისპიროთ, ჯერ უნდა დავადგინოთ, რა ბაქტერიასთან გვაქვს საქმე, რა მიკრობები გვიტევენ და მერე გავაფრქვიოთ ის ნივთიერება, რომლითაც გავანადგურებთ მათ. თუმცა ამ პროცესს გვერდითი მოვლენაც ახლავს — ორივე ბაქტერია ადამიანს აზარალებს. მაგრამ არსებობს ისეთი ბაქტერიოფაგები, ანუ ვირუსები, რომლებიც მხოლოდ ბაქტერიებზე ზემოქმედებენ. შესაბამისი დაფინანსების შემთხვევაში, ესაა ყველაზე ოპტიმალური და უმტკივნეულო ბრძოლის ხერხი.

**— და ამის გაკეთება საქართველოში შეგვიძლია? რამდენადაც გავიგე, იდეა ჩვენ გვეკუთვნის...**

— დასავლეთ ევროპა და ამერიკა დაინტერესდა ამ იდეით. მსოფლიოში ერთადერთი სამეცნიერო დაწესებულება, რომელიც ამ პრობლემაზე 1926 წლიდან მუშაობს, ჩვენი ინსტიტუტია. მისი შექმნის იდეა საფრანგეთიდან ჩამოიტანა ამ ინსტიტუტის დამაარსებელმა გიორგი ელიავამ. იგი პირადად შეხვდა და გაეცნო კანადელ ფრანგს, მეცნიერ დერელს, რომელმაც 1917 წელს აღმოაჩინა ბაქტერიოფაგული ვირუსი. მალე, 1918 წელს, გიორგი ელიავამაც აღმოაჩინა მტკვრის წყალში ვირუსი, რომელიც ქოლერის ვიბრიონებს შლიდა. სწორედ ეს გარემოება გახდა იმის საფუძველი, რომ ინსტიტუტის საქმიანობა ამ მიმართულებით განვითარებულიყო.

**— რატომ არ პოვა ამ იდეამ გამოხმაურება ევროპაში, თუნდაც ანალოგიური პროფილის ინსტიტუტის შექმნის თვალსაზრისით?**

— დერელი ამ აღმოჩენას სხვადასხვა ინფექციური დაავადების სამკურნალოდ იყენებდა, — ამზადებდა სხვადასხვა ბაქტერიოფაგს. თავდაპირველად, ევროპაც დაინტერესდა ამით და ბაქტერიოფაგის გამოყენება განსაზღვრულ ტერიტორიაზე სცადეს. როგორც აღმოჩნდა, მისი მოხმარება ამართლებს, მაგრამ არა ფართო არეალით, რადგან ვირუსიც სპეციფიკურად მოქმედებს ამა თუ იმ ბაქტერიაზე (გარდაიქმნება). საამისოდ საჭიროა სხვადასხვა ბაქტერიის ბანკის შექმნა და მისი შესაბამისი ბაქტერიოფაგების წარმოება. ჩვენ ეს გავაკეთეთ. ევროპაში კი, სამწუხაროდ, ამ მხრივ შორს არ წასულან...

თავის დროზე პირადად დავაშვებინე მოსკოვს ბრძანება, რათა ის ბაქტერიები, რომლებსაც ვერ შლიდა ჩვენს ინსტიტუტში წარმოებული ბაქტერიოფაგები, შეეგროვებინათ და ჩვენთვის გადმოეგზავნათ. ერთ წელიწადში ოთხი ათასი სხვადასხვა სახის ბაქტერია გადმოგვიგზავნეს. გამოყვანილ იქნა მათი შესაბამისი ბაქტერიოფაგები და თუ მანამდე ჩვენი პროდუქცია მავნე ბაქტერიების 50%-ს ანადგურებდა, ამის შემდეგ მაჩვენებელი 96%-მდე ავიდა. აი, ასეთი იყო საქმის სწორი ორგანიზაციის შედეგი. მუდმივად მიმდინარეობდა მავნე და სასარგებლო ნივთიერებების გაცვლა-გამოცვლა. მაშინ ამას სპეციალური ფოსტით ვაკეთებდით, რაც ამ ოპერაციების უსაფრთხოების გარანტია იყო. ახლა ასეთი რამ წარმოუდგენელია...

**— საქართველოში ან მეზობლად რომ მოხდეს მსგავსი აფეთქება, ვართ თუ არა მზად იმისათვის, რომ დავიცვათ ქვეყანა?**

— გააჩნია, რა სახის ბაქტერიებთან გვექნება საქმე. ზოგისაგან შეგვიძლია დავიცვათ. ზოგს კი ჯერ არ ვიცნობთ და მათთან გამკლავება გაჭირდება, მაგრამ უკვე მუშავდება თავდაცვის პროგრამა ამერიკული დაფინანსებით. ხუთი მილიონი დოლარია გამოყოფილი ბიოტერორიზმის პრობლემების გადასაწყვეტად. ამერიკელებმა მოითხოვეს ჩვენი ინსტიტუტის შესაძლებლობების მთელი პაკეტი. შესაბამისი დაფინანსების პირობებში ჩვენი პროგრამა ეფექტიანი იქნება არა მარტო ბიოტერორიზმის წინააღმდეგ, არამედ ბუნებრივი კატაკლიზმების დროსაც. ვთქვათ, მიწისძვრა, წყალდიდობა და ა.შ., რასაც თან ახლავს ინფექციების გავრცელება.

უნდა დადგინდეს, როგორი სახე მიეცემა საბოლოოდ მას — აეროზოლური, ცივი, მშრალი ტაბლეტებისა თუ სხვ. შემდეგ საჭიროა მათი ტირაჟირება...

ყველაფერი დაფინანსებაზეა დამოკიდებული. მსოფლიოში ამ პროფილის ერთადერთი ინსტიტუტიც პრივატიზაციაში მოჰყვა და გაასხვისეს მისი საწარმოო ბაზა (წარმოიდგინეთ, საცხობიც კი იყო აქ გახსნილი). დარჩა მხოლოდ სამეცნიერო ნაწილი. მერე ისიც მეცნიერებათა აკადემიის გამგებლობაში გადავიდა, იქიდან კი ყოველწლიურად კადრების შემცირებებს ითხოვენ და ორასორმოცდაათი კაციდან სამოცდაათი დავრჩით. თუმცა ეს ის ხალხია, რომლებსაც შეუძლიათ მთელი დატვირთვით აამოქმედონ ინსტიტუტი. ჩვენი ბიუჯეტი ჯერჯერობით მხოლოდ სახელფასო ფონდით შემოიფარგლება. ისევ ამერიკელები თუ გვიშველიან, თორემ წყლის ფულიც ვერ გადაგვიხდია და საწერი ქაღალდი ვერ გვიყიდია...

ასეთ სავალალო პირობებში უხდება არსებობა იმ ინსტიტუტს, რომლის მნიშვნელობა და ინტელექტუალური შესაძლებლობები ფასდაუდებელია მოსალოდნელი საფრთხის ფონზე. არადა, ჩვენ უკვე ოცდამეერთე, ანუ ბიოლოგიის საუკუნეში ვცხოვრობთ, ბიოლოგიური იარაღი „პერსპექტიული" და საშიში ხდება და არავინ იცის, როდის იფეთქებს.

იმ დროს, როცა მსოფლიო თავგამოდებით იბრძვის ამგვარი შეიარაღების გაუვნებლებისთვის, ჯერ სსრ კავშირი და შემდეგ მისი მემკვიდრე რუსეთი ბიოლოგიური იარაღის დამზადების ახალ-ახალ ტექნოლოგიებს ითვისებს. ჯერ კიდევ 1982-83 წლებში კოლცევოში, ობოლენსკში, ჩეხოვსა და ლენინგრადში დაიწყო ეპიდემიის გამავრცელებლების გამოკვლევები სამხედრო მიზნებისათვის. ამერიკული და ინგლისური დაზვერვის მონაცემებით, საბჭოთა კავშირი განაგებდა სიმძლავრეებს, რომლებითაც ყოველდღიურად სუპერეპიდემიის გამომწვევი ორასი კილოგრამი ნივთიერების წარმოება შეეძლოთ(!). მხოლოდ ერთი კილოგრამი ასეთი ნივთიერება ნახევარი მილიონი კაცის გასანადგურებლად იყო საკმარისი.

1989 წელს საბჭოთა გიგანტი საწარმო „ბიოპრეპარატი" ქიმიური ლაბორატორიებისათვის საჭირო დანადგარების შესყიდვის შესახებ მოლაპარაკებებს აწარმოებდა ერთ-ერთ ფრანგულ ქარხანასთან. ქალაქ ტულუზაში კონტრაქტზე ხელისმომწერთა შორის იყო საბჭოთა დელეგაციის წევრი, გენერალ-მაიორი ვლადიმირ პასეჩკინი, რომელიც საბჭოთა ბაქტერიოლოგიური იარაღის ერთ-ერთი შემქმნელი გახლავთ. სწორედ იმ დროს მან პარიზში ინგლისის საელჩოს პოლიტიკური თავშესაფარი სთხოვა. ცნობამ ბაქტერიოლოგიური ომის რუსული პროგრამის შესახებ, რომელიც პასეჩკინმა გაახმაურა, დასავლეთი შოკში ჩააგდო. პასეჩკინი წარუდგინეს ამერიკისა და ინგლისის უმაღლესი თანამდებობის პირებს. ასეთი პატივი მანამდე მხოლოდ სუპერმზვერავ პენკოვსკის ერგო.

1990 წლის აპრილში ამერიკისა და ინგლისის მთავრობებმა ერთდროულად წარუდგინეს საბჭოთა მხარეს მტკიცებულებები იმის შესახებ, რომ „რკინის ფარდის" იქით მიმდინარეობს ბაქტერიოლოგიური იარაღის დამუშავება. კრემლმა ბრალდებას დუმილით უპასუხა. იმავე წლის ივნისში ჯორჯ ბუში-უფროსი და მარგარეტ ტეტჩერი ცალ-ცალკე შეხვდნენ მიხაილ გორბაჩოვს და კვლავ დააყენეს ეს საკითხი. საბჭოთა გენსეკმა ყველაფერი უარყო, თუმცა პირობა დადო, რომ ყველაფერს გაარკვევდა. ორი თვის შემდეგ მაშინდელმა საგარეო საქმეთა მინისტრმა, ედუარდ შევარდნაძემ გაგზავნა ოფიციალური პასუხი, რომლითაც სრულიად უარყოფდა საბჭოეთისთვის წაყენებულ ბრალდებას(?!). დეკემბერში საბჭოთა კავშირს ეწვია ინგლისურ-ამერიკული დელეგაცია, მაგრამ მან ბაქტერიოლოგიური იარაღის წარმოების მხოლოდ უმნიშვნელო სამხილები აღმოაჩინა.

1992 წლის თებერვალში შედგა ჯორჯ ბუშისა და ბორის ელცინის პირველი სამიტი. რუსეთის პრეზიდენტმა აღიარა ბიოიარაღის პროგრამის არსებობა. 11 აპრილს ელცინმა ხელი მოაწერა ბრძანებულებას პროგრამის შეწყვეტაზე, მოგვიანებით კი რუსულ კანონმდებლობაში ცვლილებები შევიდა ბაქტერიოლოგიური იარაღის წარმოების, შეძენისა და შენახვისათვის პასუხისმგებლობის შესახებ. სამწუხაროდ, ყველაფერი ეს თვალთმაქცობა იყო. მახსენდება რუსი მეცნიერი ვლადიმირ უგლევი. მან 15 წელი იმუშავა დახურულ ქალაქ ვოლსკი-17-ში და 1993 წელს გაახმაურა რუსეთში საბრძოლო მომწამლავ ნივთიერებათა ახალი სახეობის შექმნის ამბავი. ცოტა ხნით ადრე იგივე გააკეთა მისმა კოლეგამ ვილი მირზიანოვმა, მოგვიანებით კი ზემონახსენებმა, ინჟინერმა ჟელეზნიაკოვმა საბოლოოდ ახადა ფარდა რუსული ბაქტერიოლოგიური იარაღის საიდუმლოს.

ასე რომ, ჩვენი „მეგობარი" მეზობელი ამ საშიშ იარაღს დიდი რაოდენობით ფლობს, რაც მთელი მსოფლიოს ყურადღების საგანია (განსაკუთრებით, ტერორისტებს აინტერესებთ ასეთი იარაღი). როგორც ირკვევა, საქართველოს აქვს იმის რესურსი, რათა გაუმკლავდეს ამ საშიშ იარაღს. ამას ამერიკელების დაინტერესებაც ცხადყოფს. ბატონებო, იქნებ ღირს დაფიქრება. გამოვიყენოთ ჩვენი შესაძლებლობები იმ იარაღის წინააღმდეგ ბრძოლაში, რასაც ბიოლოგიური იარაღი ჰქვია.

***ვაჟა გავაშელი***

# რას გვიქადის მეწყერსაშიში ზონები თბილისში



ბენზინგასამართი სადგურის ნარჩენები

გასულ კვირას, თბილისში, მაყაშვილის ქუჩაზე მდებარე ბენზინგასამართ სადგურთან საშინელი ტრაგედია დატრიალდა. მთის ფერდობს წვიმის წყლით გაჟღენთილი უზარმაზარი მიწის მასივი მოსწყდა, მეწყერი ჩამოწვა და მიწის მასივმა თითქმის მთლიანად დამარხა ბენზინგასამართი სადგური, სადაც სამი თანამშრომელი იმყოფებოდა. სამაშველო სამსახურის მუშაკები დროულად მივიდნენ შემთხვევის ადგილზე, მაგრამ მათი გადარჩენა დაგვიანებული იყო.

მთაწმინდა-კრწანისის რაიონის პროკურატურაში აღიძრა სისხლის სამართლის საქმე და ალბათ გამოძიება დაადგენს, ვინ არის მომხდარში დამნაშავე. იმედია, გამოძიება არ შეეცდება მომხდარში ბუნებრივი მოვლენა დაადანაშაულოს(!) და მიაგნებს იმ პირს, რომელმაც საშიშ ზონაში მშენებლობის ნებართვა გასცა. ოფიციალური დოკუმენტებით დასტურდება, რომ მაყაშვილის ქუჩის მარცხენა მხარე მეწყერსაშიში ზონაა და იქ ყველა სახის მშენებლობა აკრძალულია. მიუხედავად ამისა, 1995 წელს დედაქალაქის მუნიციპალიტეტმა დროებით საკუთრებაში გასცა აღნიშნული მიწის ნაკვეთი. იმავე წელს შპს „ალზე" გაიცა ბენზინგასამართი სადგურის მშენებლობის პასპორტი, ხოლო 1996 წელს თბილისის არქიტექტურის სამსახურში მშენებლობის პროექტი დამტკიცდა.

აკრძალულ ზონაში აშენებულ ობიექტს სამი კაცის სიცოცხლე შეეწირა, ხვალ შეიძლება მსხვერპლი გაცილებით მეტი იყოს, რადგან დედაქალაქის მთავარი არქიტექტორის თქმით, თბილისში უამრავი საცხოვრებელი სახლი და ობიექტია აშენებული მეწყერსაშიშ და ზვავსაშიშ ზონებში.

თბილისის მთავარი არქიტექტორი, **ირაკლი როსტომაშვილი:** „სამწუხაროდ, ჩვენს ქვეყანაში არ არსებობს იმის კულტურა, რომ რეალურად გავითვალისწინოთ გეოლოგიური პირობები. საბჭოთა პერიოდში მეტ-ნაკლებად დაცული იყო გეოლოგების მოთხოვნა და მშენებლობა უხიფათო ზონებში მიმდინარეობდა. დღეს ყველაფერს „ზემოდან" ზარები წყვეტენ. თბილისის გაშენება მტკვრის მარჯვენა სანაპიროდან დაიწყო. დედაქალაქი მთაგორიანი რელიეფით ხასიათდება, აქ უამრავი ხევია და პროექტის შედგენამდე აუცილებელია სათანადო გეოლოგიური დასკვნა. აღნიშნულ შემთხვევას თუ განვიხილავთ, მე მასალები მოვიპოვე არქივიდან და შესაბამის ორგანოებს გადავეცი. მაყაშვილის ქუჩაზე მშენებლობა არ შეიძლებოდა, იგი აკრძალულ და სახიფათო ზონად არის მიჩნეული. მიუხედავად ამისა, მუნიციპალიტეტმა მაინც გასცა მშენებლობის ნებართვა. მერე სასამართლოც ჩაერია და საბოლოო გადაწყვეტილება მან მიიღო.

— **ე. ი. ვინ არის დამნაშავე — სასამართლო, მუნიციპალიტეტი, თქვენი წინამორბედი, გეოლოგები თუ ყველანი ერთად?**

— სასამართლო არა მგონია, გადაწყვეტილების მიღებამდე იგი აუცილებლად დანიშნავდა გეოლოგიურ ექსპერტიზას. ვერც გეოლოგებს დავადებ ხელს. შეიძლება გეოლოგებმა მშენებლობის ნებართვა კი გასცეს, მაგრამ მშენებლობის დაწყებამდე უსაფრთხოების პირობების დაცვა მოითხოვეს. მაგალითად, ფერდობზე ტერასების მოწყობა ან დამცავი კედლის აშენება. არც ქალაქის მთავარი არქიტექტურის სამსახურია დამნაშავე. პროექტი ამ სამსახურში კი შეიქმნა, მაგრამ სასამართლოს გადაწყვეტილებას დაემორჩილა ჩემი წინამორბედი.

— **ე. ი. ყველა მართალია და დამნაშავე მთის ფერდობი ყოფილა.**

— იქნებ მშენებელია დამნაშავე, რომელმაც არ გაითვალისწინა გეოლოგების დასკვნა, ეკონომიის მიზნით, ძლიერი რკინაბეტონის კონსტრუქციების ნაცვლად, იაფი და სუსტი კონსტრუქციები გამოიყენა მფლობელის მითითებით. გამოძიება დაადგენს დამნაშავეს.

— **როგორც თქვენ ამბობთ, თბილისში უამრავი სახიფათო ზონაა.**

— მართალია. თბილისში ბევრი საშიში უბანია, მაგრამ მაშინ დაფაცურდებიან, როდესაც მეწყერსაშიშ ზონებში აშენებული ობიექტის ნგრევას მსხვერპლი მოჰყვება. მაგალითად, ვაკე-საბურთალოს გზა ერთ ადგილას მთის ქედშია გაჭრილი. გაიხსენეთ, ამ გზაზე თუ გაგივლიათ, რამხელა ლოდები ყრია ხოლმე სავალ ნაწილზე. განსაკუთრებით, წვიმების შემდეგ. 40 წელია, რაც ვაკე-საბურთალოს გზა გაიჭრა და ამ ხნის განმავლობაში ამ მონაკვეთზე ელემენტარული უსაფრთხოების ზომები არ არის მიღებული. რაც ქალაქის ხელისუფლებას გორაკიდან ჩამოცვენილი ქვების გატანა ერთ წელიწადში უჯდება, იმ თანხით დამცავ ბადეს მაინც გავაკეთებდით. რომელი ერთი ჩამოვთვალო? გახსოვთ ალბათ, როდესაც ბახტრიონის ქუჩის მობინადრეებმა გორაკის ფერდობს ძირი გამოუთხარეს და ავტოფარეხები ააშენეს, ფერდობი ჩამოწვა და ავტოფარეხები ავტომანქანებთან ერთად მიწასთან გაასწორა. კიდევ კარგი, მსხვერპლი არ მოჰყოლია. ასევე საშიშია ნაძალადევის რაიონში ე. წ. „გორის" დასახლება, ვარაზისხევი, ატენის, მცხეთისა და კეკელიძის ქუჩები. უკანასკნელ წლებში განსაკუთრებით მეწყერსაშიშ ზონებში ბევრი მრავალსართულიანი სახლი აშენდა და მშენებლობა დღესაც მიმდინარეობს, ნებართვები ჩემს ამ თანამდებობაზე დანიშვნამდეა გაცემული. სასამართლოში სარჩელის შეტანას აზრი არა აქვს. მშენებელი ყოველთვის პოულობს გამოსავალს, რათა სასამართლომ გასამართლებელი განაჩენი გამოიტანოს...

— **რა მოვუხერხოთ მეწყერსაშიშ ტერიტორიებს?**

— სასწრაფოდ უნდა მოხდეს ასეთი ადგილების კაპიტალური გამაგრება (რა ფინანსებით არ ვიცი, მაგრამ ეს აუცილებელია, თორემ უბედურებას ვერ ავცდებით), რაშიც საზოგადოების მხარში დადგომა გვჭირდება, რომ გამოინახოს ინვესტიციები და ამ პრობლემას ერთხელ და სამუდამოდ მოვუაროთ, თორემ ყოველი დიდი წვიმის შემდეგ არის საშიშროება მეწყრის ჩამოწოლისა.

ჩვენ კომენტარი ვთხოვეთ თბილისის სახელმწიფო ტექნიკური უნივერსიტეტის ჰიდროგეოლოგიისა და სამშენებლო გეოლოგიის კათედრის გამგეს, პროფესორ **ომარ ქუცნაშვილს**: — თქვენ იმ კათედრაზე მობრძანდით, რომლის პროფესორ-მასწავლებლებმა მთელი საქართველოს, მათ შორის, თბილისის განვითარების გენერალური გეგმის შედგენაში აქტიური მონაწილეობა მიიღეს. მას საფუძვლად დაედო იმ დროის შესაბამისი საინჟინრო-გეოლოგიური რუკა, სადაც ყველა საშიში უბანი იყო დატანილი.

— **თბილისის განვითარების გენერალურ გეგმას რატომ არ იყენებენ?**

— რა მოგახსენოთ. ფაქტია, რომ ამ გეგმას ყურადღებას არავინ აქცევს და აბსოლუტურად დარღვეულია ქალაქის გაშენების სქემა. მეწყერსაშიშ ზონებში დღეს საცხოვრებელი მასივებია აღმართული. უგულებელყოფილია გეოლოგიისა და სეისმომედეგობის სამსახურები. მეტიც, ქალაქში არ მუშაობს გეოლოგიური სამსახური. არა აქვთ შესაბამისი ნორმატიული ბაზა. წესითა და კანონით, მშენებლობის პროექტი საინჟინრო-გეოლოგიური კვლევებითა და დასკვნებით უნდა იწყებოდეს. დღეს 300 ლარად წერენ ვაიგეოლოგები გეოლოგიურ დასკვნას. მაგალითად, ნუცუბიძის პლატოზე აშენებული საცხოვრებელი მასივის 16-სართულიანი სახლების ზემო სართულების ბინადართ ნევროზი სჭირთ. რატომ? იმიტომ, რომ როდესაც ამ კორპუსების მშენებლობა მიმდინარეობდა, არ გაითვალისწინეს ქარის სიძლიერე. დღეს ეს კორპუსები ძლიერი ქარის მუდმივი დატვირთვის ქვეშ იმყოფებიან. სახლი ერთი მეტრის ამპლიტუდით ქანაობს ხან მარცხნივ და ხან მარჯვნივ. წარმოიდგინეთ, ზემო სართულების ბინადართა მდგომარეობა. ქარის გამოა, რომ ნუცუბიძის პლატოს ბევრ კორპუსს ექსპლუატაციის ვადა კატასტროფულად შეუმცირდა. ხედავთ, ქარი რას აკეთებს და გამოუკვლევ ნიადაგზე აშენებული კორპუსი რაღას იზამს?!..

საუბარში კათედრის გამგის მოადგილე **დავით როგავა** და პროფესორი **დევი ჩხეიძე** ჩაგვერთნენ. „თქვენ თბილისში საშიში უბნების დასახელება გვთხოვეთ. მაგალითად, ე.წ. სატივის უბანი. იქ მაღალსართულიანი კორპუსების მშენებლობა კი არა, საკალათბურთო დარბაზის აშენების ნებართვას არ ვიძლეოდით, სანამ სპეციალური საძირკვლის გაკეთება არ მოვითხოვეთ. ახლა კი სატივის უბნის უკიდურეს დამრეც ფერდობზე ერთ-ერთი ცნობილი სამშენებლო კომპანია რამდენიმე მრავალსართულიან სახლს აშენებს. სხვათა შორის, ჩვენი სტუდენტების სადიპლომო და საკურსო თემების უმრავლესობა სწორედ სატივის უბანში აშენებული სახლების საშიშროებას ეძღვნება. არ გვინდა მოსახლეობაში პანიკა დავთესოთ, მაგრამ სამწუხარო ფაქტია და მას ვერსად გავექცევით. სანამ ახლააშენებულ კორპუსში ბინას შეიძენთ, დააკვირდით, რომ ქანების დაქანება არ ემთხვეოდეს ფერდობისას. ადრე თუ გვიან, ქანის ასეთი გეოლოგიური აგებულება მეწყრულ მოვლენას განავითარებს".

***რატი ახალაძე***


**საზოგადოებრივი კავშირების ბიზნეს პროგრამა: ქართველი მეწარმეების და პროფესიონალების სტაჟირება აშშ-ში**

აშშ-ის სახელმწიფო დეპარტამენტის განათლებისა და კულტურის საკითხთა ბიურო (ECA), აშშ-ის საელჩო საქართველოში და ამერიკული არამომგებიანი ორგანიზაცია პროექტი ჰარმონია გთავაზობთ საზოგადოებრივი კავშირების პროგრამაში მონაწილეობის მიღებას. საზოგადოებრივი კავშირების პროგრამა ითვალისწინებს ქართველი მეწარმეებისა და კერძო კომპანიების ხელმძღვანელთა აშშ-ში 5-კვირიან სტაჟირებას. პროგრამის მიზანია მონაწილეებს გააცნოს ამერიკის ბიზნესი და პროფესიული გარემო, ხელი შეუწყოს საზოგადოებრივ და კერძო სექტორებს შორის პარტნიორული ურთიერთობების ჩამოყალიბებას და კავშირების დამყარებას აშშ-სა და საქართველოს რეგიონებს შორის. აშშ-ის მთავრობა თავის თავზე იღებს ყველა ხარჯს, როგორიცაა მგზავრობის ღირებულება, დაზღვევა, პროფესიული და კულტურული პროგრამები, საცხოვრებელი ადგილი და კვება აშშ-ში. პროგრამის მონაწილეები იცხოვრებენ ამერიკელ მასპინძელ ოჯახებში.

*დეკემბრის თვეში შეირჩევა ორი ჯგუფი:*

- თბილისის ბიზნეს (10-კაციანი) ჯგუფი
- ქვეყნის მასშტაბით ბიზნეს (10-კაციანი) ჯგუფი

საზოგადოებრივი კავშირების ბიზნეს პროგრამა ქართველ მეწარმეებს აშშ-ში ინდივიდუალური სტაჟირებით უზრუნველყოფს და თავის კოლეგებთან მუშაობის საშუალებას აძლევს.

საზოგადოებრივი კავშირების ბიზნეს პროგრამაში მონაწილეობისათვის უნდა აკმაყოფილებდეთ შემდეგ პირობებს:

- იყოთ საქართველოს მოქალაქე
- მონაწილეობა არ გქონდეთ მიღებული მწვანე ბარათის გათამაშებაში
- ცხოვრობდეთ და მუშაობდეთ საქართველოში
- თავისუფლად ფლობდეთ სასაუბრო და პროფესიულ ინგლისურ ენას
- ბიზნესში საპასუხისმგებლო, მმართველობით თანამდებობაზე მუშაობდეთ (გადაწყვეტილების მიღების პროცესში უნდა იღებდეთ აქტიურ მონაწილეობას ან იყოთ მფლობელი/თანამფლობელი)
- შეავსოთ ანკეტა (აპლიკაცია) წერილობით და ჩააბაროთ იგი პროექტ ჰარმონიის ოფისში
- მიიღოთ მონაწილეობა პროექტ ჰარმონიის წარმომადგენლების მიერ დანიშნულ გასაუბრებაში.

*საბუთების ჩაბარების ბოლო ვადა: 5 დეკემბერი, 2003 წელი, 17:00 საათი*

ანკეტები აიღეთ და ჩააბარეთ შემდეგ მისამართზე:
პროექტი ჰარმონია, ფალიაშვილის ქუჩა 82, მე-4 სართული, ბინა 16,
ტელ/ფაქსი: 22-23-49; 25-23-29
ელ-ფოსტა: ccgeorgia@projectharmony.ge
ბიზნეს ანკეტები ასევე შეიძლება ჩამოტვირთოთ საზოგადოებრივი კავშირების ვებ-გვერდიდან: www.projectharmony.ge/cc.htm

*კონსულტაციები:* პროექტი ჰარმონია, 24-25 ნოემბერს, 15:00 და 18:00 საათზე.
*გასაუბრებები:* პროექტი ჰარმონია, 8-11 დეკემბერს.








# საით მიდის საქართველოს ურემი...

*გასული საუკუნის დასასრულს ქართველებმა ეროვნული თავისუფლებისთვის ბრძოლა ილია ჭავჭავაძის ლოზუნგით „ენა, მამული, სარწმუნოება“ დავიწყეთ. სულ ცოტა ხანში ამ სამი ცნებიდან ერთის მთლიანობა დაირღვა — „მამული“ გაგვინახევრდა. სანამ ერთად ვიყავით, ასეთი რამ ვერ წარმოგვედგინა, მაგრამ ურემი სხვადასხვა აზრზე დგომამ გადააბრუნა და წამხდარ საქმეს ვერაფერი ვუშველეთ; თუმცა მალე ჩვენისთანა პატარა ერისათვის ზომაზე მეტად დაღვრილმა სისხლმა თითქოს გონს მოგვიყვანა და მივხვდით, გადარჩენისთვის გამთლიანება იყო საჭირო. ახლა კი აღმოჩნდა, რომ გზა, რომელსაც მივყვებოდით, მომავალში არ მიდის, ჩიხში ვართ და ამ ჩიხიდან გამოსვლას ისევ გათითოკაცებული ვაპირებთ ლოზუნგით „დავიბრუნოთ საქართველო!..“ ახლა საით მიდის ურემი?*



**რეზო ძირაძე** (თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორი):

— სამწუხაროდ, ასეთმა მოვლენებმა, რაც დღეს საქართველოში ხდება, 1956 წლის მიტინგების ჩათვლით, ბევრჯერ ჩაიარა ჩემ თვალწინ. მთავრობა მრავალმხრივ დამნაშავეა, მაგრამ რევოლუციური გზით მისი ჩამოშორება არ შეიძლება... ეს ოპოზიციამაც იცის, მაგრამ უკვე ინერციას მიჰყავს რევოლუციამდე... არის ხალხის მოწოდებები და შეძახილი, მაგრამ სალი განსჯა არ ჩანს... არის ეიფორია ხალხის მხარდაჭერით, მაგრამ გამარჯვების შემთხვევაში განახორციელებენ მიზნებს, რაც ჩაფიქრებული აქვთ? მიზნის მიღწევა ეიფორიით არ ხდება... არ ვიცი... პროგნოზი ძალიან ძნელია, მაგრამ მე ნამდვილად მაქვს იმედი, რომ იმ საშინელებას არ დაუშვებენ, რაც სამოქალაქო ომით გავიარეთ. ისიც უნდა გვახსოვდეს, რომ გარედან ბევრი მტერი გვიყურებს.

**მერაბ კოკოჩაშვილი** (კინორეჟისორი):

— რას ვფიქრობ? იმას ვფიქრობ, რომ თუ ოპოზიცია ორგანიზებულად წამოაყენებს თავის მოთხოვნებს, ხელისუფლებაში მოვა... ის ხელისუფლება, რომელმაც ხალხი ქუჩაში გამოიყვანა, უნდა წავიდეს... მაგრამ ეს უნდა გაკეთდეს არა რევოლუციური გზით, არამედ პროფესიონალურად. ვთქვათ ისე, როგორც ბალტიისპირეთში გაკეთდა. იქ ახლა ხელისუფლებაში ერთი პარტია კი არ ზის, არამედ პარტიები მიდიან და მოდიან. მათ შორის, კომუნისტებიც იყვნენ... ასე როდემდე უნდა ვიჩანჩალოთ? ასეთი გზით სიარული ბოლოს ჭაობში ჩაგვიყვანს და იმ ჭაობიდან მერე ველარაფერი ამოგვიყვანს... მე ვთვლი, რომ ეს ხალხი ქუჩაში სწორად გამოვიდა და ცუდს არაფერს დააშავებს... ჩვენ ღირსი ვართ, დემოკრატიულ ქვეყანაში ვიცხოვროთ. არ უარვყოფ, რომ ლიდერებს პოლიტიკაში პროფესიონალიზმი აკლიათ, მაგრამ დრო სჭირდებათ და პროფესიონალი პოლიტიკოსებიც გახდებიან...



*გულს მიკლავს დარდი — საითკენ მიდის ჩვენი ქვეყანა*

**გურამ დოჩანაშვილი** (მწერალი):

— რა გითხრათ? არც ვიცი, რა შედეგი მოჰყვება ამ მოვლენებს და ვარ ასე გულშემოყრილი. აღარ ვიცი, სანამდე ვიქნებით ასე. ტელევიზორს ვერ ვუყურებ, წნევამ ამიწია, სერიოზულად ვარ ავად... რა ვქნა? მე რომ რაიმეს გაკეთება შემეძლოს, ამ აწეწილი ყოფის დასალაგებლად, უკან არ დავიხევდი, მაგრამ ახლა პასუხს ველარაფერზე ვიძლევი. ცუდად მოქმედებს ეს ყველაფერი ჩემზე. ვარ ასე, განცდებში და გულს მიკლავს დარდი — საითკენ მიდის ჩვენი ქვეყანა...

**თენგიზ კიკაჩეიშვილი** (თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორი):

— პრეზიდენტი მართლა უნდა გადადგეს. როდესაც დამოუკიდებელ ქვეყანაში 12 წლის მანძილზე სამჯერ მოწვეული პარლამენტი ქვეყნის ბედს ვერ წყვეტს, მაშინ ქუჩაში იღებენ გადაწყვეტილებებს... ასე მოხდა იუგოსლავიაში, რუმინეთში... სხვა რა უნდა ქნა, როცა ხელისუფლება არჩევნებს აყალბებს. მეოთხედ მოწვეულ პარლამენტში კი იმავე იდეოლოგიის ხალხი მოდის, როგორიც წინანდელ სამ პარლამენტში იყო, რაღას უნდა ველოდოთ, ან სადამდე შეიძლება ლოდინი? ხელისუფლებამ ხალხს პროტესტის ეს ფორმაღა დაუტოვა, რომ ქუჩაში გამოვიდეს. ჩვენ მაინც უნდა მოვემზადოთ, რომ ცუდი არაფერი მოხდეს. ისე, როგორც ყინულზე გადასვლის დროს ემზადება ადამიანი. სიფრთხილე გვჭირდება და არა შიში, რომ არ დავზარალდეთ და არ დავეცეთ... უნდა გადავიდეთ ამ ყინულზე, სხვა გზა არ დაგვრჩა.

**მერაბ ელიოზიშვილი** (მწერალი):

— ნასესხებში ვცხოვრობთ 13 წელია, ნამათხოვრალ-ნაქირავებ-ნაგირავებში ვართ, როდის უნდა გავისტუმროთ ვალები? მკვდრები ხომ არა ვართ? ცოცხლები ვართ და უნდა გავინძრეთ, შევცვალოთ რაღაც. მოაზროვნე ადამიანისათვის ეს ხელისუფლება საფრთხობელაა. საფრთხობელასაც რომ დაკიდებენ, მეორე წელს ცვლიან... ჩვენი მთავრობა კი მტრის ნაცვლად ჩვენვე გვაფრთხობს უკვე ამდენი ხანია. არ შეიძლება შენი ცოდვების გამო, საკლავ ხარად გაუგო შენი სახელმწიფო ვინმეს. ყველამ უნდა იცოდეს, რომ ქართველი იბრძვის, რათა ცოდვილთა ხელში არ დარჩეს საქართველო.

შიმშილს კი არა ვდარდობ, ვდარდობ, რომ თურმე პასუხიც ვერ უნდა გავცე ამათ. რით გვაშინებენ, რუსეთით გვაშინებენ? როგორ შეიძლება, შენი ცოდვებისთვის მთელი ქვეყანა აქციო ზვარაკად?

არჩევნებზე ხმა იმას მივეცი, ვინც იცის წიგნის ფასი... ეს ხალხი უზნეობას და უბედურებას აგვაშორებს. აბა, იმათ როგორ დავუჭერდი მხარს, წიგნის ფურცელი ქაღალდის ხელსახოცისგან რომ ვერ გაურჩევიათ...



*იმ უცხოელებს, რომლებიც გვენდნენ და დაგვიჯერეს, უკვე ეშინიათ ჩვენი.*

**ჯემალ ჭკუასელი** (ანსამბლ „ერისიონის“ ხელმძღვანელი):

— აღარც სიცოცხლე მინდა, აღარც ლაპარაკი... არ იფიქროთ, რომ ხელისუფლების აპოლოგეტი ვიყო, მაგრამ იმას ნამდვილად ვფიქრობდი, ძლივს კარები გაგვეხსნა და ხალხმა გაგვიცნო-მეთქი — ახლა ისევ გვეხურება ეს კარი...

ტელევიზორში მესმის, მიტინგებზე როგორ მღერიან „ჩაკრულოსა“ და „ხასანბეგურას“. ეს ხელისუფლებისთვის ბრძოლის სიმღერები არ არის. ეს გამთლიანების სიმღერებია. არ ვარ პოლიტიკოსი, მაგრამ იმას კი ვხვდები, რომ სულ ცოტა გვიკლია სამოქალაქო ომამდე. ეს საშინელება ხომ რამდენიმე წლის წინ გამოვიარეთ? თუ იგი განმეორდა, მაშინდელზე უფრო უარესი დღე დაგვადგება, რადგან მეტი ტყვიაწამალი გვაქვს... იმ უცხოელებს, რომლებიც გვენდნენ და დაგვიჯერეს, უკვე ეშინიათ ჩვენი. ამით ბევრს დავკარგავთ. რაზეა ლაპარაკი, როცა კულტურულ ურთიერთობებზეც თავს იკავებენ. უკვე მირეკავენ და მეუბნებიან, გასტროლებზე თავი ხომ არ შევიკავოთო... მე ჩემი ანსამბლის გასტროლებს არ ვდარდობ მარტო, მთელი ქართული კულტურა ჩაიკეტება... რა ხდება? არც ამ ხელისუფლებას აქვს ჭკუა და არც ოპოზიციას. სიმართლე არავის აინტერესებს. ასე დაბნეული ჩემს ცხოვრებაში არ ვყოფილვარ, ცუდად ვარ. ოჯახში მეუბნებიან, დაწყნარდი, რაც ხდება, შენი ბრალი ხომ არ არისო. ჩემი ბრალი რომ იყოს, თავს მოვიკლავდი, მაგრამ ვერც ეს უშველიდა საქმეს... მთელი ეს ამბავი ჩემი და ზურა ქაფიანიძის ერთ თავგადასავალს მაგონებს: ახალგაზრდები ვიყავით, სადღაც მივდიოდით მანქანით. ვხედავ უზარმაზარი მანქანა გვეჯახება, უსათუოდ დაგვხოცავს... არ გადავიდა ზურა, გვერდზე, რომ ჩაიარა იმ მანქანამ, მაშინ ვკითხე, რას შვრებოდი ბიჭო-მეთქი... მიპასუხა: მართალი ხო ვიყავითო... არ გვაქვს ამის უფლება ახლა ჩვენ, რაც უნდა მართლები ვიყოთ, ერთმანეთს დავერიოთ.



*ჰორიზონტი აგერ-აგერ გვიახლოვდება და მერე სადღაც ქრება...*

**სოფიკო ჭიაურელი** (მსახიობი):

— ძალიან მიჭირს იმაზე ლაპარაკი, რაც დღეს ხდება. ჩემი შვილი გახარებული მოვიდა, ბედნიერი ვარ, რომ ასეთი ძალა გვქონიაო. ღმერთმა ქნას, ასე იყოს, მაგრამ მე მაინც აღარ მჯერა არაფრის. საშინელი უნდობლობა გამიჩნდა ყველას მიმართ. ეს ჩემი უბედურებაა... მაგრამ ამ ურწმუნოებას თავისი საფუძველი აქვს, სხვა დროსაც ხომ იყო ასეთი მოვლენები, მაგრამ მუდამ ისე ხდებოდა, რომ ხალხის გულწრფელობას ზოგიერთები სათავისოდ იყენებდნენ. ბევრი მათგანი ხომ ახლაც ისე არ ფიქრობს, როგორც ლაპარაკობს...

ერთი ზღაპარი მახსენდება დრაკონზე, რომელიც სოფლის ქონებას დაეპატრონა: ვინც მასთან საბრძოლველად გააგზავნა, ხალხმა იმან დრაკონის ოქრო ხელში ჩაიგდო და თვითონაც დრაკონად იქცა... აი, ამის მეშინია. თორემ მეც მშვენივრად ვხედავ, რომ ხალხი მოატყუეს და გააბითურეს... გამაოცა არჩევნებზე ქართველი ხალხის აქტიურობამ. ვინ აღარ ვნახე იქ. ყველა ფიქრობდა, რომ მის ხმას ფასი ექნებოდა, რაღაცას შეცვლიდა... ხელისუფლებამ ეს ერთი იმედიც წაშალა და რაც თვითონ უნდოდა ის გააკეთა შეიძლებოდა ხალხის ასეთი დამცირება? პირუტყვიც იმიტომ ირჩევს წინამძღოლს, მას მოუაროს და სწორი გზით წაიყვანოს. ამათ მოვლის ნაცვლად დაღუპვისკენ წაიყვანეს ხალხი... ცხოვრების მიზანი იმ ჰორიზონტს დაამსგავსეს, რომელსაც, გგონია აგერ-აგერ მიუახლოვდები და სადღაც ქრება... ასე ბოლოს და ბოლოს, მონებიც აჯანყდებიან... მაგრამ არ შეიძლება არ გაითვალისწინო, როგორ დამთავრდება ეს აჯანყება. ჩვენ სწორედ ამას არ ვითვალისწინებთ. ემოცია და ტემპერამენტი სჭარბობს ჩვენს გონიერებას. სჯობს, დავსხდეთ და ცივი გონებით განვსაჯოთ, მოვიფიქროთ, რა გავაკეთოთ, რა რეფორმები ჩავატაროთ, როცა პრეზიდენტი მშვიდობიანად წავა, რომ ქვეყანა ჭაობიდან ამოვიყვანოთ... მომავალს პროფესიონალურად უნდა განსჯა და არა ხალხის ბედის სასწორზე დადება. იძახიან, აქცია მშვიდობიანიაო. ჩვენ კი გავუფრთხილდებით ერთმანეთს, მაგრამ ხომ არის მესამე ძალა, რომელსაც უნდა ჩვენი დაღუპვა, ის ხომ შორიდან გვიცქერს ერთმანეთს წაკიდებულებს და ხელსაყრელ დროს ელის? თუ მაინცდამაინც ვერ მოგვითმენია და დროზე ადრე გვინდა გავაგდოთ პრეზიდენტი, სჯობს ჩავატაროთ რეფერენდუმი და ხალხმა, მთელმა ერმა გადაწყვიტოს თავისი ბედი.

***ეთერ ერაძე***
***ლელა ჯიყაშვილი***



## რას გვეტყვი, მამაო?

**— ვინ არის მფარველი ანგელოზი, რა დანიშნულება აქვს მას ადამიანის ცხოვრებაში?**

— მფარველი ანგელოზი არის ღვთისგან შექმნილი უსხეულო სული. უფალი ყოველ ადამიანს ნათლობის შემდეგ მიუჩენს მფარველ ანგელოზს, რომელიც მასთანვე რჩება მთელი ცხოვრების მანძილზე. მფარველობს მას სიხარულსა და განსაცდელში, ლოცულობს მისთვის უმძიმეს წუთებში და ეხმარება ტკივილების ატანაში. როცა ჩვენ უზნეოდ ვიქცევით, ჩავდივართ ბოროტებას, მფარველი ანგელოზი დროებით განგვეშორება და გვაგრძნობინებს, რომ მიგვატოვა ჩვენი საქციელით დამწუხრებულმა, თუმცა მალე ჩვენდამი სიყვარულის გამო, როგორც მშობელი, ისევ გვიახლოვდება... მფარველი ანგელოზი ჩვენთან არის სიკვდილის შემდეგაც და მიგვაცილებს უფლის სამსჯავრომდე... მერე კი, როცა უფალი ჩვენი იმქვეყნიური ცხოვრების ბედს გადაწყვეტს, უჩინარდება... მფარველ ანგელოზებს სახელი არ აქვთ (მხოლოდ მიქაელ და გაბრიელ მთავარანგელოზებისა და უფალთან ყველაზე ახლოს მყოფ 9 დასის ანგელოზთა სახელები ვიცით), მაგრამ მათ შეგიძლიათ შეევედროთ დილისა და საღამოს ლოცვებში, სადაც საგანგებო თავით არის მინიშნებული „ლოცვა მფარველი ანგელოზისადმი სამარადისო...“

**— მე ვიცნობ მოძღვარს, რომელიც ისე სათნოდ არ იქცევა, როგორც სასულიერო პირს შეეფერება და მისი საქციელის შესახებ ახლობელთან ვსაუბრობ. ცოდვას ხომ არ ჩავდივარ?**

— ჯერ ის განვსაჯოთ, თუ რატომ დავდივართ ჩვენ, ქრისტიანები, ტაძარში — რა თქმა უნდა, იმისთვის, რომ უფალი გვიყვარს და მასთან მიახლოება გვწადია... რახან ეს ასეა, მაშინ გავიხსენოთ, რომ უფალი ადამიანს, პირველ რიგში, საკუთარი თავის შეცნობას და იმ ცოდვების მონანიებას გვთხოვს, რომელთაც ყოველი ჩვენგანი სჩადის. ხოლო საკუთარ თავს კარგად შევიცნობთ, და დავინახავთ, რამდენი ცოდვა აქვს თითოეულ ჩვენგანს, მაშინ აღარ აღვშფოთდებით და არ განვიკითხავთ მოყვასის ცოდვებს, თუნდაც სასულიერო პირისას. თუკი ცოდავს ყოველი კაცი, რომელიც საერო ცხოვრებას ემსახურება, მაშინ რატომ არ შეიძლება შეეშალოს ღვთის მსახურს?.. მოყვასის განკითხვა დარღვევაა ათი მცნებისა... უფალი თავად განიკითხავს იმ ადამიანს, რომელსაც თქვენ განსჯით და მიუხედავად იმისა, რომ იგი ისევე უყვარს, როგორც ყოველი თქვენგანი, მას უფრო მეტად მოეკითხება, რადგან უფრო მძიმე ტვირთი და პასუხისმგებლობა აქვს ღვთის წინაშე, ვიდრე ჩვეულებრივ ადამიანს... ნუ განიკითხავთ და არ განიკითხებით... დაეხმარეთ უფალს თქვენი კაცთმოყვარეობით.

**— ძალიან მეუხერხულება აღსარების თქმა, რას მირჩევთ, როგორ გადავლახო ეს უხერხულობა?**

— ასეთი რამ ხშირად ემართებათ პირველი აღსარების წინ. ამიტომ არის საჭირო, ყოველმა ქრისტიანმა იცოდეს, რომ მოძღვარი მხოლოდ შუამავალია ადამიანსა და უფალს შორის და არა დამსჯელი. აღსარება ცოდვების მხოლოდ ზეპირი ჩამოთვლა არ არის, აღსარება სულიერი განწმენდაა, ტკივილია ჩვენი ჩადენილი ცოდვების გამო... მაგრამ ეს მკურნალი ტკივილი გახლავთ... ასეთი განცდა მხოლოდ სინანულით სინდისის გაღვიძებით მოდის და ამ სინანულს წირვა-ლოცვაზე სიარული აღვიძებს... თუ თქვენ წირვა-ლოცვაზე ივლით, გული თავადვე მოემზადება აღსარებისთვის... მოელაპარაკეთ მოძღვარს აღსარების წინ, ჰკითხეთ აღსარების რიტუალის შესახებ... მას შეუძლია გირჩიოთ, აღსარებისას როგორ მოიქცეთ, რაზე უნდა გაამახვილოთ ყურადღება. თუ გერიდებათ საუბარი, მასვე სთხოვეთ, რომ აღსარებისას თავად გკითხოთ თქვენი განვლილი ცხოვრების შესახებ... მასვე შეუძლია მოგცეთ კურთხევა, რომ ის, რაც თქვენ გაწუხებთ, ქაღალდზე დაწეროთ და აღსარებისას წარმოთქვათ. შესაძლოა პირველი აღსარებისას ყველა ცოდვა ვერ გაიხსენოთ, მაგრამ რაც დაგავიწყდათ, ეკლესიური ცხოვრება გაგახსენებთ და შემდგომ აღსარებაზე მოინანიეთ.

**— სად წავიღო ჯვრის პატარა ნატეხი, რომელიც ბავშვობიდან შემომრჩა, ან რა ვუყო დამწვარი სანთლის ნარჩენებს?**

— დაზიანებული სიწმინდის ნაწილის, თუ დამწვარი სანთლის ნარჩენების დაფლვა ყოველთვის შეგიძლიათ სუფთა ადგილზე... ასევე შეგიძლიათ ჩაუშვათ ისინი მდინარეშიც... თუ სურვილი გაქვთ, დაწვის შემდეგ დარჩენილი ნარჩენები ხელახლა ჩამოქენით სანთლებად... დაზიანებული სიწმინდე და სანთლის ნაღვენთი ეკლესიაშიც შეგიძლიათ მიიტანოთ.

**— რას ნიშნავს სახარებისეული განმარტება, როცა მარჯვენა ლოყაში გაგარტყამენ, მარცხენა მიუშვირეო? მტერს პასუხი არ გავცეთ?**

— ქრისტიანული ხედვით ეს იმას ნიშნავს, რომ როცა ერთი ადამიანი მეორე ადამიანის მიმართ აგრესიას, სიძულვილს ავლენს, მეორემ მიტევება, სიყვარული უნდა დაუპირისპიროს... სიყვარულია ერთადერთი იარაღი ადამიანებს შორის თანხმობის ჩამოგდებისთვის. კაცობრიობას თავისი არსებობის მანძილზე ხშირად დაუმტკიცებია, რომ აგრესიას შეგებებული აგრესია სასურველ მიზანს ვერასოდეს აღწევს, პრობლემა არათუ წესრიგდება, არამედ ღრმავდება... სიძულვილზე სიყვარულის შეგებების ნიმუში თვით უფალმა მოგვცა თავისი ჯვარცმის დღეს, როდესაც მას შეურაცხყოფდნენ, ხოლო ის ლოცავდა და მიუტევებდა... ეს არ ნიშნავს იმას, რომ არ ვუპასუხოთ იმ აგრესიას, როცა სამშობლოს ომი აქვს, როცა აგრესიით მოყვასი ზარალდება და ზნეობანი უზნეობად იქცევა... ამ შემთხვევაში აგრესიას შეიძლება ძალაც დავუპირისპიროთ, მაგრამ ეს პირადი პატივმოყვარეობის წარმოჩენა არ უნდა იყოს.

***თქვენთვის საინტერესო კითხვები მოგვაწოდეთ „კვირის პალიტრის“ ყუთების საშუალებით. მათი განლაგების შესახებ იხ. გვ. 36.***

***მკითხველთა შეკითხვებზე უპასუხებენ მართლმადიდებელი მამები.***

CMYK

# საქართველოს პარლამენტის არჩევნები 2003 წლის 2 ნოემბერი

**გთავაზობთ, საქართველოს საპარლამენტო არჩევნებში გამარჯვებულ მაჟორიტარ დეპუტატთა სიას უბნების მიხედვით. აქვე მითითებულია თითოეული მათგანის მიერ მიღებული ხმების რაოდენობა**

**№2 ვაკე**
**ლევან გაჩეჩილაძე** („ახალი მემარჯვენეები" (ახლები)) 14004

**№5 ისანი**
**გიორგი ყარყარაშვილი** („ახალი საქართველოსთვის") 13102

**№8 დიდუბე**
**გიორგი ბარამიძე** („ბურჯანაძე-დემოკრატები") 9336

**№9 ნაძალადევი**
**მერაბ სამადაშვილი** („ახალი საქართველოსთვის") 23426

**№11 საგარეჯო**
**თენგიზ ოქროცვარიძე** („ახალი საქართველოსთვის") 14525

**№12 გურჯაანი**
**ნიკოლოზ კვეზერელი** („ახალი საქართველოსთვის") 9837

**№13 სიღნაღი**
**ნუგზარ შოშიაშვილი** (საინიციატივო ჯგუფი) 11454

**№14 დედოფლისწყარო**
**ლაერტ ზუბადალაშვილი** („ახალი საქართველოსთვის") 5728

**№15 ლაგოდეხი**
**ლაშა ნაცვლიშვილი** („ახალი საქართველოსთვის") 5785

**№16 ყვარელი**
**ნანა პატარკაციშვილი** (საინიციატივო ჯგუფი) 9180

**№17 თელავი**
**თამაზ ხიდეშელი** („საააკაშვილი-ნაციონალური მოძრაობა") 9876

**№20 რუსთავი**
**გიორგი სალაყაია** („ახალი საქართველოსთვის") 10517

**№21 გარდაბანი**
**ნუგზარ ფერიაშვილი** („ახალი საქართველოსთვის") 17381

**№22 მარნეული**
**ადილ ჯაფაროვი** („ახალი საქართველოსთვის") 54012

**№24 დმანისი**
**კახაბერ ოქრიაშვილი** (საინიციატივო ჯგუფი) 3054

**№25 წალკა**
**აიკ მელტონიანი** („მრეწველობა გადაარჩენს საქართველოს") 10987



**№26 თეთრიწყარო**
**დავით ბეჟუაშვილი** (საინიციატივო ჯგუფი) 6083

**№27 მცხეთა**
**ბადრი ხატიძე** („ახალი საქართველოსთვის") 13690

**№28 დუშეთი**
**თემურ დოლიძე** („საქართველოს ლეიბორისტული (შრომის) პარტია") 7553

**№29 ყაზბეგი**
**რეზო სუჯაშვილი** (საინიციატივო ჯგუფი) 1324

**№30 კასპი**
**ლევან გზირიშვილი** (საინიციატივო ჯგუფი) 13496

**№31 ახალგორი**
**ცეზარ ჩოჩელი** („ახალი საქართველოსთვის") 3678

**№32 გორი**
**ირაკლი ოქრუაშვილი** („სააკაშვილი-ნაციონალური მოძრაობა") 28686

**№33 ქარელი**
**აკაკი ყიფიანი** („ახალი მემარჯვენეები" (ახლები)) 8796

**№36 ბორჯომი**
**ნოდარ გრიგალაშვილი** („სააკაშვილი-ნაციონალური მოძრაობა") 6441

**№38 ადიგენი**
**გოჩა ქიმაძე** („ახალი საქართველოსთვის") 5926

**№40 ახალქალაქი**
**ჰამლეტ შახბეკიანი** (საინიციატივო ჯგუფი) 11791

**№41 ნინოწმინდა**
**ენზელ მკოიანი** (საინიციატივო ჯგუფი) 8711

**№43 ონი**
**დავით საგანელიძე** („ახალი მემარჯვენეები" (ახლები)) 2477

**№44 ამბროლაური**
**ნიკოლოზ ლეკიშვილი** (საინიციატივო ჯგუფი) 5050

**№45 ცაგერი**
**ავთანდილ სილაგაძე** („ახალი საქართველოსთვის") 9257

**№46 ლენტეხი**
**გოგი ლიპარტელიანი** („ახალი საქართველოსთვის") 4920

**№47 მესტია**
**ვიქტორ ჯაფარიძე** (საინიციატივო ჯგუფი) 3122

**№49 თერჯოლა**
**ბეჟან (ზურაბ) ბუცხრიკიძე** (საინიციატივო ჯგუფი) 12653

**№50 საჩხერე**
**ვალერიან გელბახიანი** (საინიციატივო ჯგუფი) 5743

**№51 ზესტაფონი**
**დავით მუმლაძე** („სააკაშვილი-ნაციონალური მოძრაობა") 10846

**№52 ბაღდათი**
**გია მეფარიშვილი** („ახალი საქართველოსთვის") 6548

**№53 ვანი**
**ბეჟან ხურციძე** („ბურჯანაძე-დემოკრატები") 8743

**№57 ტყიბული**
**ბონდო შალიკიანი** (საინიციატივო ჯგუფი) 17480

**№58 წყალტუბო**
**ლაშა ნარჩემაშვილი** (საინიციატივო ჯგუფი) 23939

**№62 ჩოხატაური**
**ვასიკო ჩიგოგიძე** („ახალი საქართველოსთვის") 16380

**№63 აბაშა**
**თენგიზ კალანდაძე** („ახალი საქართველოსთვის") 5729

**№64 სენაკი**
**კახაბერ რუსია** („მრეწველობა გადაარჩენს საქართველოს") 21167

**№65 მარტვილი**
**ფრიდონ რუხაია** (საინიციატივო ჯგუფი) 9955

**№67 ზუგდიდი**
**გოჩა ფიფია** (საინიციატივო ჯგუფი) 17164

**№69 ჩხოროწყუ**
**ვალერიან იზორია** (საინიციატივო ჯგუფი) 7396

**№79 ბათუმი**
**ჯემალ გოგიტიძე** („დემოკრატიული აღორძინების კავშირი" (დაკ)) 79808

**№80 ქედა**
**არსენ მგელაძე** („დემოკრატიული აღორძინების კავშირი" (დაკ)) 15029

**№81 ქობულეთი**
**როსტომ ჯაფარიძე** („დემოკრატიული აღორძინების კავშირი"(დაკ)) 54805

**№82 შუახევი**
**იური დავითაძე** („დემოკრატიული აღორძინების კავშირი"(დაკ)) 15195

**№83 ხელვაჩაური**
**ვახტანგ აბაშიძე** („დემოკრატიული აღორძინების კავშირი"(დაკ)) 65981

**№84 ხულო**
**ოთარ ღორჯომელაძე** („დემოკრატიული აღორძინების კავშირი"(დაკ)) 21323

**№85 ლიახვი**
**გურამ ვახტანგაშვილი** („ახალი საქართველოსთვის") 2230


# ოსტეოართროზი: ახლებური მიდგომა ძველი დაავადებისადმი

*დღესდღეობით მედიკოსები სახსრების დაახლოებით ასეულ დაავადებას მოითვლიან. 50 წლის ასაკის ზევით, პრაქტიკულად, ყველას აწუხებს ართრიტი, ართროზი, ოსტეოქონდროზი და სახსრების სხვა დაავადებები. სამწუხაროდ, ისინი, მხოლოდ ხანდაზმულებში არ შეინიშნება. ახალგაზრდები, რომლებსაც გადატანილი აქვთ ტრავმა ან ინფექციური დაავადებები, აქვთ ჭარბი წონა და მათი სახსრები მუშაობისას თუ ფიზიკური ვარჯიშისას მუდმივ დატვირთვას განიცდიან, ან გააჩნიათ გენეტიკური ფაქტორი, რისკის ჯგუფს მიეკუთვნებიან და დაავადების პირველ ნიშნებს 30 წელს გადაბიჯებისთანავე შეიგრძნობენ.*

სახსრების ნებისმიერი დაავადებისას, მისი გამომწვევი მიზეზის მიუხედავად, ვითარდება ანთება და ხრტილი ზიანდება, თანაც თუ დაზიანება ჭარბობს, პროცესს - ართროზი, ხოლო ანთებისას - ართრიტი ეწოდება.

ართრიტსაც და ართროზსაც ახასიათებთ გამწვავებები და მდგომარეობის პროგრესირებადი გაუარესება, რასაც თან ახლავს მზარდი ტკივილები, სახსრების დეფორმაცია, მათი ფუნქციის დარღვევა და სხვა. ყველაფერი ეს ავადმყოფის ცხოვრებას გაუსაძლისად აქცევს და მისი ხარისხი ეცემა.

ოსტეოართროზის ფარმაკოლოგიური მკურნალობა თანამედროვე მედიცინის რთულ და ძნელად გადასაჭრელ პრობლემას წარმოადგენს. ოსტეოართროზის მკურნალობისადმი საყოველთაოდ მიღებული მიდგომა ძირითადად ღრმად სიმპტომატიურია და პირველ რიგში, მიმართულია სახსარში ტკივილის შემცირებისა და ანთებითი გამოვლინებების ჩახშობაზე. თუმცა ოსტეოართროზის თერაპიაში ერთ-ერთი მთავარი ამოცანაა - ხრტილის დაკარგვის პროგრესირების (მისი სტრუქტურის მოდიფიკაცია) შეჩერება.

„უკანასკნელ წლებში ამ სფეროში შესამჩნევი პროგრესი შეინიშნება. სერიოზული გამოკვლევები დაკავშირებულია ორ სამკურნალო საშუალებასთან - გლიკოზამინგლიკანების წარმოებულთან: ქონდროიტინის სულფატსა და გლუკოზამინების კომპლექსთან. ორივე ეს ნივთიერება - ხრტილის ქსოვილის ბუნებრივი კომპონენტია. მიღებულია სამეცნიერო მტკიცებულებები, რომ ქონდროიტინის სულფატსა და გლუკოზამინებს შეუძლიათ ხრტილის სტრუქტურებში შეღწევა, მისი სინთეზის სტიმულაცია და ნგრევის პროცესის ჩახშობა. ეს თვისებები შესაძლოა საფუძვლად ედოს მათი სტრუქტურულ-მამოდიფიცირებელ (ქონდროპროტექტორულ) მოქმედებას - გავლენა ოსტეოართროზის პროგრესირების პროცესის შენელებაზე. გარდა ამისა, დამტკიცებულია გლიკოზამინგლიკანების წარმოებულის კლინიკური ეფექტურობა. მათი მიღების ფონზე კლებულობს ტკივილი და ანთება დაზიანებულ სახსრებში, მოძრაობის უნარი უმჯობესდება, ჩნდება არასტეროიდული ანთების საწინააღმდეგო პრეპარატების მიღებისას დოზის შემცირების ან მათი სრული შეწყვეტის შესაძლებლობა. ქონდროიტინის სულფატი ან გლუკოზამინები რაიმე სერიოზულ გვერდით მოვლენებს არ იწვევენ და პაციენტები კარგად იტანენ მათ". - რუსეთის მედიცინის მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტის, რუსეთის სამედიცინო მეცნიერებათა აკადემიის რევმატოლოგიის ინსტიტუტის დირექტორის ე.ლ. ნასონოვის მოხსენების „ოსტეოართროზი: თანამედროვე სამედიცინო მკურნალობის პერსპექტივები" მასალები (2002წ.).

ბოლო დროს, გამოჩნდა ისეთი კომბინირებული ბიოპრეპარატები, რომლებიც ქონდროიტინის სულფატსა და გლუკოზმინს შეიცავენ. ერთ-ერთი ყველაზე წარმატებული კომბინაციის მაგალითია - პრეპარატი **„მუვ ფრი"**, რომელიც **ართრიტის ფონდმა** მოიწონა და ოსტეოართროზის სამკურნალოდ გამოყენებისთვის დაამტკიცა. ამ პრეპარატის ერთ-ერთი ღირსება იმაში მდგომარეობს, რომ მასში ოპტიმალურადაა შერჩეული აქტიური ინგრედიენტების (ქონდროიტინის სულფატი და გლუკოზამინების კომპლექსი, რომელიც სამი წარმოებულისგან შედგება) და მათი დოზირება (1500მგ:1200მგ). აქტიური ინგრედიენტების ხარისხი GMP საერთაშორისო სტანდარტებს შეესაბამება. პრეპარატმა სრული კლინიკური გამოცდა გაიარა ამერიკისა და ევროპის რამდენიმე სამედიცინო ცენტრში.

**„მუვ ფრი"** - თქვენი სახსრების ჯანმრთელობის საფუძველია.




## ოსტეოართროზი?









**„მუვ ფრი" – თქვენი სახსრების ჯანმრთელობის საფუძველია**

- **გააჩნია ხანგრძლივი ტკივილგამაყუჩებელი და ანთების საწინააღმდეგო ეფექტი. არ გააჩნია გვერდითი ეფექტი.**
- **აღადგენს დაზიანებულ ხრტილის ქსოვილს და ხელს შეუწყობს სინოვიალური სითხის გამომუშავებას.**
- **შეგინარჩუნებთ მოძრაობის სიფართესა და სახსრის ფუნქციონალურ მდგომარეობას.**

*„მუვ ფრი"* - უკანასკნელი ათწლეულის მანძილზე ოსტეოართროზის მკურნალობაში ერთ-ერთ უდიდეს მიღწევას წარმოადგენს. **ართრიტის ფონდი** რეკომენდაციას უწევს ბიოპრეპარატს *„მუვ ფრი"* ოსტეოართროზის ყველა ფორმის მკურნალობისათვის. *„მუვ ფრი"* - ხარისხის სისტემა სერტიფიცირებულია GMP-ის საერთაშორისო სტანდარტით.

**თქვენ დარწმუნებული უნდა იყოთ მათში, ვისაც ყველაზე მთავარს - საკუთარ ჯანმრთელობას ანდობთ!**

ჯეოვიტი GEOVIT

ამერიკული კომპანია „შიფ"-ის ოფიციალური დისტრიბუტორი საქართველოში კომპანია „ჯეოვიტი"
მის: ილია ჭავჭავაძის 41 (ვაკის პარკის პირდაპირ),
☎29-20-91; 899 10-99-20; 899 14-35-56 ყოველდღე, შაბათ-კვირის ჩათვლით
www.schiffvitamins.com


CMYK

# რევოლუციამდე ჯერ საქმე არ მისულა

რამდენიმე ათასი დემონსტრანტის გამოსვლა ქუჩებში ჯერ კიდევ რევოლუციას არ ნიშნავს. თუმცა ქართული ოპოზიციის ლიდერი ცდილობს, პრეზიდენტს დაუმტკიცოს ეს და აიძულოს, დატოვოს პოსტი. ვიდრე თბილისის ქუჩებში ასიათასობით ადამიანი არ გამოვა, პრეზიდენტი კიდევ მოახერხებს თავისი ხელისუფლების გადარჩენას. ორი წლის შემდეგ ის მაინც ხომ უნდა გადადგეს. მაგრამ მანამდე 76 წლის შევარდნაძე ყველა ღონეს ხმარობს, თავისი ტკბილი სიბერის უზრუნველსაყოფად. მხოლოდ ლოიალურად განწყობილი პარლამენტი შეძლებს პრეზიდენტს და მის ოჯახს გარანტია მისცეს, რომ მის წინააღმდეგ სისხლის სამართლის საქმეს არავინ აღძრავს. მას სურს ისეთივე მყარი გარანტიები მიიღოს, როგორც ბორის ელცინმა ვლადიმირ პუტინისგან. სწორედ ამიტომ აიძულა შევარდნაძემ თავისი მომხრეები არჩევნები გაეყალბებინათ. საქართველოში ჩატარებული არჩევნები ცხადყოფს, რომ ყოფილი საბჭოთა კავშირის ტერიტორიაზე დემოკრატია კი არ მართავს სახელმწიფოებს, არამედ ცალკეული კლანების ინტერესები. მაგ. საქართველოს მეზობელ აზერბაიჯანში ფალსიფიცირებული არჩევნებით პრეზიდენტის სავარძელში სახელმწიფოს ყოფილი მეთაურის ვაჟი აღმოჩნდა. დასავლეთი საქართველოზე ოდესღაც დიდ იმედებს ამყარებდა — დემოკრატიული გზით განვითარდებაო, მაგრამ ამ არჩევნებმა ცხადყო, რომ ეს იმედები დაიმსხვრა.

***ფრანკფურტერ რუნდშაი***

# რა მოხდება?

ეპიდემიად ქცეული კორუფცია, ხელისუფლების რყევა, საყოველთაო სიღარიბე, მწირი ხელფასები, ანარქია რეგიონებში ჩვეულებრივ მოვლენად იქცა ყოფილი საბჭოთა კავშირის ამ ერთ დროს მდიდარ ქვეყანაში. ამ ულამაზეს, კულტურულ და ნიჭიერ ხალხს ჯერ კიდევ მართავს საერთაშორისო და ადგილობრივი პოლიტიკის ყოფილი ოსტატი.

12 ნოემბერს, დემოკრატიის ე.წ. დამცველი ედუარდ შევარდნაძე თავისი ოფისის მე-11 სართულზე გამაგრდა. შენობის ირგვლივ ქუჩები ავტობუსებით და დაცვის სამსახურის თანამშრომლებით აივსო. შენობაში შეკეტილნი ბრძოლისათვის მზად იყვნენ... ასე არ იქცევა ის პრეზიდენტი, ვისაც ხალხი უჭერს მხარს...

პანკისის ხეობიდან თბილისში შესაყვანად წამოყვანილ ჯარს ადგილობრივმა მოსახლეობამ გზა გადაუღობა — ლიანდაგზე უზარმაზარი ხეები დააწყო. მომიტინგენი პრეზიდენტის გადადგომამდე შინ დაბრუნებას არ აპირებენ. ისინი უძლებენ წვიმას, შიმშილსა და სიცივეს და აცხადებენ, ეს „მშვიდობიანი პროტესტიაო".

პრეზიდენტის გარემოცვის ერთ-ერთმა მაღალჩინოსანმა „გარდიანს" განუცხადა, — „მთავრობას არ სურს ძალის გამოყენება, მაგრამ მომიტინგეთაგან გაისმის მოწოდებები — სახელმწიფო კანცელარიაში შევიჭრათო. გვაქვს ცნობები, რომ ზოგიერთი მომიტინგე შეიარაღებულია. აღმოვაჩინეთ იარაღის დიდი სამალავიო.

ოპოზიციის ლიდერები აცხადებდნენ, რომ მზად არიან მოლაპარაკებებისათვის, ამავე დროს, ზოგიერთმა მომიტინგემ მშრალი შიმშილობა გამოაცხადა. ბევრი ანალიტიკოსის აზრით, მშვიდობიანი დასასრული ნაკლებ მოსალოდნელია. პრეზიდენტი შეხვდა ოპოზიციის ლიდერებს, მაგრამ უშედეგოდ. შევარდნაძის თქმით, მოლაპარაკებები ჩაიშალა იმიტომ, რომ ბატონმა სააკაშვილმა მას „შეურაცხყოფა მიაყენა". მთავრობის წარმომადგენლის განცხადებით, „სააკაშვილმა შევარდნაძე ჩაუშესკოს შეადარა და მისი ბედი უწინასწარმეტყველა". ეს შედარება ცხადყოფს, თუ როგორ შეიცვალა ის ადამიანი, ვისაც წვლილი მიუძღვის ცივი ომის დასრულებაში. შევარდნაძის პრესმდივანი კი აცხადებს, — არჩევნები დარღვევებით კი ჩატარდა, მაგრამ საქართველოში ამაზე სამართლიანი არჩევნები არასოდეს ჩატარებულაო. ზოგიერთის თქმით, შევარდნაძის ალერსიანი ღიმილის მიღმა ისეთივე დიქტატორი იმალება, როგორიც ცენტრალური აზიის ქვეყნების მეთაურები არიან. ბატონი იმნაძე კატეგორიულად აცხადებს: — ბატონი შევარდნაძე 2005 წლის შემდეგ მთავრობის მეთაურის პოსტს აღარ დაიკავებს, მაგრამ პოლიტიკა ვერასოდეს შეელევა მას. ის ქართული პოლიტიკის პატრიარქია და მსოფლიოში ერთ-ერთი ყველაზე ძველი, გამოცდილი პოლიტიკოსი. ეს პროტესტებიც იმის მაჩვენებელია, რომ შევარდნაძემ საქართველოში დემოკრატია დაამკვიდრა.

***გარდიანი***

14 ნოემბრიდან! ბუთქუნას ახალი თავგადასავალი + ახალი საჩუქარი პატარა მკითხველისთვის




ამიერიდან ბუთქუნას წიგნებში ახალი კუპონი იქნება, რომლითაც შეგიძლიათ უფასოდ მიიღოთ „თოლიას" ნამცხვრის „ლიმპოპოს" უგემრიელესი შეკვრა

კუპონები განაღდდება ყველა სავაჭრო ობიექტში, სადაც იყიდება „თოლიას" ნაწარმი

საჩუქარი მკითხველისთვის!




ბუთქუნას ყველა სერიას კომიქსები ახლავს

იკითხეთ საგაზეთო ჯიხურებში

# ქართული მრავალხმიანობა — ლოტბარის გარეშე



ერთმა მოსკოველმა ქართველმა თქვა, როგორც კი ორი ქართველი შეიყრება, პოლიტიკურ პარტიას ქმნის და მაშინვე ორივე ლიდერობას იჩემებსო. ეტყობა, ეს მართლაც ასეა... საქართველოს არცთუ დიდ ტერიტორიაზე არის რაიონები, სადაც თბილისის ძალაუფლება სუსტად ან სულ არ ვრცელდება, მაგ. აფხაზეთი, აჭარა, სამხრეთ ოსეთი, სვანეთი... 235 სადეპუტატო მანდატზე 3700 კანდიდატი აცხადებს პრეტენზიას. პარტიებს ვერც ერთმანეთში და ვერც ხელისუფლებასთან ვერ მოუნახავთ საერთო ენა. შევარდნაძისგან მხოლოდ ერთს ითხოვენ — გადადგომას. „კავკასიელი მელა" კი ძალიან დაბერდა, ეტყობა, დასუსტდა და სიტუაციას ველარ აკონტროლებს.

რაც დღეს საქართველოში ხდება, შევარდნაძის ბრალია. მისი სტრატეგიული იდეა ხომ აშშ-ის მეშვეობით რუსეთის გავლენიდან გამოსვლა და დასავლეთისთვის იმ მცირეოდენი სიმდიდრის გადაცემა იყო, რაც საქართველოს გააჩნდა. დასავლეთისთვის კი მთავარი სიმდიდრე — ამ ქვეყნის სტრატეგიული ადგილმდებარეობაა. მის ტერიტორიაზე ხომ რუსეთის გვერდის ავლით ნავთობსადენის გაყვანა და ნატოს სამხედრო ობიექტების განლაგება შეიძლება. მაგრამ დასავლეთზე ჩასულმა ფსონმა არ გაამართლა, რადგან დასავლეთმა თავის გეოპოლიტიკურ თამაშში მაშინვე გაწირა საქართველო — რუსეთთან მეგობრობა მისთვის უფრო სარფიანი გამოდგა. შევარდნაძე „გადააგდეს". საქართველოს პრეზიდენტმა რუსეთის ნდობა დაკარგა, დასავლეთის თანადგომაც ვერ მიიღო და სამშობლოშიც ავტორიტეტი აღარ აქვს. ახლა შევარდნაძე თავის შეცდომების საზღაურს იხდის.

***კომსომოლსკაია პრავდა***

# ხომ არ დადგა შევარდნაძის გადარჩენის დრო?

რესპუბლიკა აგონიაშია. ქუჩაში გამოსული ათასობით ადამიანი არჩევნების შედეგებს აპროტესტებს. ე. შევარდნაძემ ვ. პუტინსაც კი დაურეკა და აცნობა, რა ხდება მის ქვეყანაში. გამორიცხული არ არის, რომ თუ ხელისუფლება არჩევნებში თავის დამარცხებას არ აღიარებს, ხოლო ოპოზიცია უკან არ დაიხევს, საქართველოს პრეზიდენტს გაქცევა მოუწევს, გზა კი ერთი ექნება — საქართველოში განლაგებული რუსეთის სამხედრო ბაზების გავლით — მოსკოვისაკენ. ეს ყველაზე უსაფრთხო გზაა, მაგრამ უკიდურეს შემთხვევაში. პოლიტიკოსთა აზრით, თუ შევარდნაძესა და ოპოზიციას შორის კონფლიქტი გაგრძელდა, ქვეყნის ხელისუფლება აჭარის ლიდერს, ასლან აბაშიძეს ფეხებში ჩაუვარდება და სწორედ ის აღმოჩნდება საქართველოს გამაერთიანებელ-გადამრჩენის როლში.

აჭარა დიდი საქართველოს ერთ-ერთი პროვინციაა და სამოქალაქო დაპირისპირების დროს, სწორედ ასლან აბაშიძემ შეძლო აქ სტაბილურობის შენარჩუნება. იგრძნო რა ასლან აბაშიძის ავტორიტეტი და ძალა, შევარდნაძემ ის დიდ პოლიტიკაში შეიყვანა და აფხაზეთთან მომლაპარაკებლად დანიშნა. ასე რომ, დღეისათვის, მას რეალური ეკონომიკური და პოლიტიკური ძალა გააჩნია. თანაც მეზობლებთანაც კარგი ურთიერთობა აქვს შენარჩუნებული.

რა შეუძლია გააკეთოს აბაშიძემ საქართველოში შიდადაპირისპირებების აღსაკვეთად, აფხაზეთის და სამხრეთ ოსეთის პრობლემების მოსაგვარებლად? ეს ტერიტორიები დამოუკიდებლობისათვის იბრძვიან, მაგრამ თუ კონფედერაციულ სტატუსს მიანიჭებენ, ალბათ დაწყნარდებიან. ეს აშშ-ს, ევროპასაც და რუსეთსაც ხელს მისცემდა.

კიდევ რა არგუმენტებია აბაშიძის სასარგებლოდ, რათა ის გახდეს საქართველოს ახალი ლიდერი? მას საუცხოო ურთიერთობა აქვს რუს პოლიტიკოსებთან, ბიზნესმენებთან, ჟურნალისტებთან და, რაც მთავარია, ძალოვნებთან — ისინი აჭარის პატრონის ხშირი სტუმრები არიან. თავად აბაშიძე კი საქართველოში 4-5 სუბიექტისაგან შემდგარი ფედერაციული სახელმწიფოს ფორმირების წინააღმდეგი არ არის. კუთხეების მიხედვით სუბიექტები შეიძლება მეტიც იყოს, მაგრამ მეტწილად მათ შორის მკვეთრი ზღვარი არ არსებობს. ეს არ ეხება აფხაზეთს, აჭარას და სამხრეთ ოსეთს.

ამ სიტუაციაში რა უნდა გააკეთოს რუსეთმა? რასაკვირველია, არავითარ შემთხვევაში არ უნდა შეუწყოს ხელი შეიარაღებული დაპირისპირების პროვოცირებას. ჩვენთვის ხელსაყრელია შევთავაზოთ არა მარტო საქართველოს, არამედ მთელ ამიერკავკასიას კარგა ხნის მომწიფებული კავშირი ოთხი ძირითადი საკითხის გათვალისწინებით:

1. ეკონომიკური ინტეგრაცია; 2. თავდაცვითი ურთიერთქმედება. ეს აუცილებელია შესაძლო ტერიტორიული პრეტენზიების შემთხვევაში თურქეთისა და ირანის მხრიდან. 3. ანტიტერორისტული ღონისძიებების კოორდინირება; 4. ერთიანი სამიგრაციო პოლიტიკა.

თუ ამ გეგმით მთელი კავკასიის გაერთიანება მოხერხდა, მაშინ ჩვენი მეზობლების მომავალი ცხადი გახდება და საქართველოს ახალი ლიდერი ჯ. პატიაშვილის, ზ. გამსახურდიას და ახლა კი შეიძლება ე. შევარდნაძის ბედს არ გაიზიარებს.

***არგუმენტი ი ფაქტი №46***

# რა უნდოდა აბაშიძეს სომხეთში?

რადიკალური ოპოზიცია საქართველოში ბოლომდე აპირებს ბრძოლას. პრაქტიკულად, მას სხვა გამოსავალი არა აქვს. საქართველოს ჰყავს უფრო „მაგარი" და მოქნილი პოლიტიკოსი, ვიდრე შევარდნაძის ბუდიდან აფრენილი ახალგაზრდა და ამბიციური ინტელექტუალები. ასლან აბაშიძემ ამ დღეებში ერევანში ჩასვლაც მოასწრო. უძველესი არისტოკრატიული გვარის წარმომადგენელი (თაყვანისმცემლები მას ასლანბეგს უწოდებენ, ოსმანური იმპერიის დროის ტიტულის მსგავსად) აჭარის ლიდერი ქარიზმატული პიროვნებაა, ტყუილად კი არ ეშინია მისი თავად შევარდნაძეს!

ასლან აბაშიძე, პირველ რიგში, პირად ინტერესებს იცავს და ეს უკვე ნიშნავს იმას, რომ მას „ელჩობა" არ შეუძლია, სწორედ ამის გამო ჩნდება კითხვა — რატომ ეწვია ასე მოულოდნელად აჭარის ლიდერი ერევანს?

რასაკვირველია, დღეს ის შევარდნაძესთან ერთად არის. ანდა, როგორც ზოგი ამტკიცებს, შევარდნაძეა მასთან ერთად. ეს ახალი ამბავი არ არის. არჩევნების დროს ხშირად ხდებოდა ამგვარი რამ. ერთხელ, საქართველოს პრეზიდენტს ისე აუჩუყდა გული, რომ „კეთილი ნების" გამოსახატავად ასლან აბაშიძეს დაჰპირდა — აჭარის შემადგენლობაში რომელი რაიონიც გინდა, ის შეიყვანეო. აბაშიძემ დაუყოვნებლივ უპასუხა — სამცხე-ჯავახეთი მინდაო. მერე ბათუმის ლიდერი წარამარა აცხადებდა, რომ ჯავახეთი („ჯავახკი", — ასე მოიხსენიებს ამ ძირძველ ქართულ მხარეს რუსი მიმომხილველი. — რედ.) ოდესღაც აჭარის შემადგენლობაში შედიოდა და მას შეუძლია ამ რეგიონის სოციალურ-ეკონომიკური პრობლემების მოგვარება. შევარდნაძეს ვითომ არ ესმოდა ეს. მას დაავიწყდა დანაპირები. არადა, სწორედ მისი ხელმოწერა ჰქონდა „მოქალაქეთა კავშირის" მიერ 1995 წელს მიღებულ დოკუმენტს სამცხე-ჯავახეთში შესაბამისი რეფერენდუმის ჩატარების შესახებ. ამ ნიუანსმა მისცა აჭარის ლიდერს იმის საფუძველი, რომ 1999 წელს ეთქვა: „ოფიციალური თბილისის განცხადება იმის თაობაზე, რომ ჯავახეთის აჭარის შემადგენლობაში შესვლა სომხეთის, რუსეთის და თავად ბათუმის ინსპირირებულია — სრულიად უსაფუძვლოა". ზოგიერთის აზრით, აჭარის ლიდერმა, საქართველოს პრეზიდენტის სახელით, სომხებს ოპოზიციის მოსაგერიებლად სამხედრო დახმარება სთხოვა. თანაც ერევანს საქართველოს პრეზიდენტების გადარჩენის დიდი გამოცდილება აქვს. 1993 წელს სწორედ ლევონ ტერ-პეტროსიანს სთხოვა შველა საქართველოს მაშინდელმა ლიდერმა ზვიად გამსახურდიამ. სომხეთის პრეზიდენტმა კოლეგას თავშესაფარი მისცა. ახლა, ეტყობა, მოვლენების განმეორების საშიშროება შეიქნა.

(გაგრძელება იხ. გვ.27)



ძვირფასო მშობლებო და ჩვენო პატარებო!

კვლავ მივიღეთ თქვენი წერილები. გმადლობთ, რომ ასე აქტიურად გვეხმიანებით და მოგწონთ თქვენი გვერდი. თითოეულ ბარათს ვინახავთ და შევეცდებით, მათ შორის საუკეთესოები მომდევნო ნომრებში შემოგთავაზოთ.

## პატარები გვიამბობენ

**ანა ჯერვალიძე** დედას ეკითხება:

— დაძინებისას ღორებს პამპერსებს უკეთებენ?

4 წლის **ფირუზ ქეთიაშვილი** საბავშვო ბაღში ყოველდღე დიდი ხვეწნა-მუდარით და მოტყუებით მიჰყავდათ მეზობლის გიორგისთან ერთად. ერთხელ ისე მოხდა, რომ ფირუზი წაიყვანეს და გიორგი — არა. საღამოს შინ დაბრუნებულმა ფირუზმა გაბრაზებით მოიხსნა ზურგჩანთა და მე ბაღში აღარ ჭავალო, — გამოაცხადა. რატომო, — ჰკითხეს. მე უკვე ვიყავი მალტოკა და ახლა გიოლგი ჭავიდესო — აუხსნა შინაურებს.

5 წლის **თიკო კოზერიძეს** დედამ არჩევნებზე დაკეცილი კონვერტი მიაწოდა და უთხრა:

— შენ ჩააგდე, ვნახოთ, როგორი ხელი გაქვს.

თიკომ სიხარულით შეასრულა დავალება და დედას ინტერესით ჰკითხა:

— როდის გვეტყვიან, როგორი ხელები მაქვს?

შეიტანე კროსვორდის ბადის ცარიელ უჯრებში ნახატის შემადგენელი გამოსახულებების სახელწოდებები ვერტიკალურად და ყვითელ ჰორიზონტალურ რიგში მიიღებ შემდეგი გამოცანის პასუხს: „ცაზე ამომავალია, ხან ბურთი, ხან ნამგალია.“




## I ანა, გამოიცანი

**1) ვინ იყო ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის პირველი რექტორი?**

ა) ივანე ჯავახიშვილი; ბ) პეტრე მელიქიშვილი; გ) ექვთიმე თაყაიშვილი; დ) აკაკი შანიძე.

**2) რომელი ცხოველის ჯიშებია: გიბონი, დიანა, ჯელადა, მაკაკა, მირიკინი, მანდრილი.**

ა) ლომის; ბ) ღორის; გ) მაიმუნის; დ) მელიის.

**3) რომელი სახელმწიფო არ მდებარეობს სამხრეთ ამერიკაში?**

ა) სურინამი; ბ) ჩილე; გ) ეკვადორი; დ) სენეგალი.

**4) ვის ეკუთვნის შემდეგი გამოთქმა: „სიცრუე და ორპირობა ავნებს ხორცსა, მერმე სულსა“.**

ა) დავით გურამიშვილს; ბ) ნიკოლოზ ბარათაშვილს; გ) გრიგოლ ორბელიანს; დ) შოთა რუსთაველს.

**5) რომელი არ არის პურეული მცენარე?**

ა) ჭვავი; ბ) ქერი; გ) შვრია; დ) სოია.

**6) გამორიცხე ზედმეტი სიტყვა:**

ა) პირმოთნე; ბ) ალალი; გ) ფარისეველი; დ) მლიქვნელი.

**7) რა ერქვა იმ ავაზაკს, რომელიც პილატემ ხალხის მოთხოვნით, იესოს ნაცვლად გაანთავისუფლა?**

ა) ბარნაბი; ბ) ბარნაული; გ) ბართლომე; დ) ბარაბა.

**8) რომელი ნაწარმოები არ ეკუთვნის ნოდარ დუმბაძეს?**

ა) „ჭინკები“; ბ) „ბოშები“; გ) „კორიდა“; დ) „განდეგილი“.

## იპოვე 10 განსხვავება






ზღაპარი

## ნადირთა ძმობა

დათვი, მგელი და მელია შეიკრიბნენ და ერთმანეთს შესჩივლეს, ხშირად რომ დიდი ხნობით შიმშილით კუჭი გვიხმება, მოდი, დავძმობილდეთ და ამიერიდან რაც მოვინადიროთ, ძმურად გავიყოთ ხოლმეო. დაძმობილდნენ და შეჰფიცეს, ერთმანეთისთვის არ ეღალატათ.

წავიდნენ სამივენი სანადიროდ. იმათ იღბალზე ბუჩქის ძირას მიგდებული ცხოველის ლეში ნახეს, ჩეროში მწვანეზე დასხდნენ და გაყოფას შეუდგნენ. დათვმა უბრძანა მგელს, რომელსაც შიმშილით კბილები უკაწკაწებდა:

— აბა, გაყავი!

მგელმა თქვა:

— თავი შენ, როგორც ჩვენს ბატონსა და მეთაურს, შუა ტანი მე და ფეხები მელიას, რომელსაც ცუნცული უყვარს.

ეს უკანასკნელი სიტყვები ჯერ არც კი გაეთავებინა მგელს, რომ დათვმა ისე ღონივრად ჩაჰკრა თავში თათი, რომ მთებმა ბანი მისცეს. მგელი ყმუილით განზე დაჯდა:

დათვი მიუბრუნდა მელიას და უთხრა:

— ჩემო მელიავ, შენ გაყავი!

ცბიერმა მელიამ მოწიწებით წარმოთქვა:

— თავი შენ, ვითარცა ჩვენს მეფეს, შუა ტანი შენ, რადგან შენ ჩვენზე მუდამ მამობრივადა ზრუნავ, და ფეხებიც შენ, ვინაიდან ჩვენდა საკეთილდღეოდ არიან წარმართული სვლანი შენნი!

— ბარაქალა ჩემო მელიავ, ვინ გასწავლა ეგეთი ჭკვიანური გაყოფა? — ჰკითხა მას დათვმა.

მელიამ მიუგო:

— შენ რომ წეღან ისე ძალიან ჩაარტყი მგელს თავში, ჭკუას როგორ ვერ ვისწავლიდი!

## დალოცვა

*ხალხური*

უფალმა ღმერთმა შენ მოგცეს
ოჯახი საძირკვლიანი,
ხარი, კამეჩი გუთნებით,
ურმები სავსე, ძნიანი,
იმყოფებოდე ხალხ-მრავლად,
დედ-მამა-რძლიან-ძმიანი,
ლამაზი შემოგეყვანოს,
მშვენიერი და ჭკვიანი.

## იავნანა

*ნოდარ დუმბაძე*

ბულბული ვარდის კოკორზე
მღეროდა იავნანასო,
კატამ თქვა: — მივეპარები
და გადავსანსლავ ამასო, —

ამის გამგონე ბულბულსა
ნისკარტში ჩაეცინაო,
ხმას აუწია და კატას
მკვდარივით ჩაეძინაო.

პასუხები იხილეთ 31-ე გვერდზე

გვერდი მოამზადა მამუკა ხუციშვილმა



ზღაპრების შეძენა შეგიძლიათ „კვირის პალიტრის“ საგაზეთო ჯიხურებში, აგრეთვე პრესის სხვა გამავრცელებლებთან და წიგნის მაღაზიებში. ერთი წიგნი-ზღაპარი 1 ლარი და 20 თეთრი ღირს

# ფული მარტო რესტორნებში სიარულისთვის ხომ არ სჭირდება ადამიანს...

## — მე ახლაც მიმაჩნია, რომ საქართველოდან არა ვარ წასული...

*არავინ იცის, საქართველოდან საზღვარგარეთ წასულთაგან რამდენი დაბრუნდება უკან. ბევრი ვერც იმას გიპასუხებთ, რატომ მიდის. აქ არ გაეძლებათ და მიდიან... ძნელია სამშობლოზე გულაყრილი კაცის განსჯა. მით უმეტეს მაშინ, როცა ერთ ნორმალურ სამუშაო ადგილსაც ვერ სთავაზობ გასაქცევად გამზადებულს...*

*ამ საერთო არეულობის ფონზე, ამერიკის შეერთებულ შტატებში ცხოვრობს ქართველი პროფესორი, ფიზიკოსი, რომელიც აინშტაინის თეორიის განვითარების საკითხებზე მუშაობის პარალელურად თავის სამშობლოზეც ფიქრობს... ვესაუბრებით თბილისის ივანე ჯავახიშვილის სახელობის სახელმწიფო და რათგერსის (აშშ) უნივერსიტეტების პროფესორს, ბატონ* **შოთა ვაშაკიძეს.**



— ყოველთვის ვცდილობდი მომეძია ამ ორ ქვეყანას შორის თანამშრომლობის ფორმები. ასე შეიქმნა საერთაშორისო ასოციაცია „კვალი“, რომელსაც მრავალი საინტერესო პროექტი აქვს. ერთ-ერთი მათგანია ამერიკაში სასწავლებლად ნიჭიერი ახალგაზრდების შერჩევა, მათი მომზადება, წაყვანა, ხელის შეწყობა...

**— რათგერსის უნივერსიტეტში სწავლობენ ჩვენი სტუდენტები?**

— არა მხოლოდ იქ, 1999 წლიდან უკვე 30-მდე სტუდენტი წავიყვანეთ სხვადასხვა უმაღლეს სასწავლებელში. სტუდენტებმა თავადაც შექმნეს ასოციაცია და თავიანთი ფონდიდან ფინანსურად ეხმარებიან ახალჩასულებს. დახვდებიან აეროპორტში, დააბინავებენ, ამერიკული ცხოვრების წესს გააცნობენ (საბანკო ანგარიში უნდა გახსნან, რეგისტრაცია გაიარონ... მთელი რიგი ბიუროკრატიული მოთხოვნებია).

**— რაც შეეხება სწავლის ფულს?**

— ძირითადად მაგისტრანტები და ასპირანტები მიგვყავს. ამერიკაში ასპირანტი მუშაობს და სწავლობს ერთდროულად. ასპირანტს პროფესორი უხდის სწავლის საფასურს. თუმცა გვაქვს ფონდი, რომლითაც ახლებს ვეხმარებით პირველ ხანებში, სანამ ფეხზე დადგებიან. საერთოდ არც არის საჭირო, რომ განსაკუთრებული, სალონური პირობები შევუქმნათ ქართველ სტუდენტებს. გვინდა მათ ისე იცხოვრონ, როგორც ამერიკელმა სტუდენტმა, ანუ საკუთარი შრომით გადაიხადონ სწავლის ხარჯები.

**— რა მიგაჩნიათ თქვენი პროექტის ძირითად ფუნქციად?**



*ბატონი შოთა ნიუ-ჯერსიში ქართველ ახალგაზრდებთან — მარცხნიდან: გიორგი ოდიშარია, ლევან ცუცქირიძე და დათო გოგიჩაიშვილი (პოპულარული ბლანჟეს გარეშე).*

— ვცდილობთ, სტუდენტებმა მხოლოდ რამდენიმე წელი დაყონ ამერიკაში. ასე უფრო მეტი შანსია, ისინი საქართველოს დაუბრუნდნენ. მოვიძიებთ იმათაც, ვინც ათეული წლების წინ წავიდა ამერიკაში.

**— ასოციაცია „კვალის“ მიერ წაყვანილთაგან ვინმე დაბრუნდა?**

— პრაქტიკულად მხოლოდ ერთმა მათგანმა დაამთავრა სწავლების კურსი რათგერსის უნივერსიტეტში. ეს გიორგი ხარძეიშვილია, რომელიც ამჟამად მუშაობს ნიუ-ჯერსიში და სხვათა შორის, გზები გაჰყავს აშშ-ში.

**— არადა, როგორ უჭირს ახლა საქართველოს გზათა მშენებლობას...**

— უჭირს, მაგრამ ამ შემთხვევაში გიორგის დაბრუნება საქართველოს ბევრს არაფერს მისცემს. უფრო მნიშვნელოვანი ის არის, რომ გიორგი აპირებს დაუკავშირდეს სატრანსპორტო დეპარტამენტებს ორივე ქვეყანაში, რათა ამერიკული ტექნოლოგიების ინოვაციები გადმოვიტანოთ საქართველოში...

**— ინტენსიურად უკავშირდებით საქართველოდან წაყვანილ სტუდენტებს?**

— ხშირად ვიკრიბებით. ჩემთანაც მოდიან სახლში. ყველანი ასოციაცია „კვალის“ წევრები არიან. თბილისში რომ ცენტრი დავაარსეთ, მისი დაფინანსების დიდი ნაწილი ქართველმა სტუდენტებმა გაიღეს.

**— ახლა თქვენი ოჯახიც გააცანით მკითხველს.**

— მეუღლე, ნანა ლეგრანი ინგლისურს ასწავლის ქართველებს ამერიკაში, ქართული ენის შესწავლის მსურველ ამერიკელებსაც ეხმარება. ქალიშვილი ნინო ბიოლოგია, ვაჟიშვილი ივიკო — კომპიუტერის სპეციალისტი. მომავალი წლის მაის-ივნისში მთელი ოჯახი ვაპირებთ საქართველოში ჩამოსვლას. გვინდა, უცხოეთში მცხოვრები ქართველებიც შევკრიბოთ და ერთად ვიმსჯელოთ იმის შესახებ, რის გაკეთებას შევძლებთ სამომავლოდ...

**— თქვენი მეუღლე ამერიკელია?**

— არა, არა (იცინის)! ჯიხაიშელი ფრანგია (თბილისში დაბადებული). მისი ბაბუა ჩამოსულა ჯერ კიდევ რევოლუციის დროს საფრანგეთიდან გზების გასაყვანად. ჯიხაიშელ კახაძის ქალს მოუხიბლავს და დარჩენილა. ჩემი წინაპრებიც ჯიხაიშელები არიან. ნანა ნაღდი ქართველია... ნიუ-ჯერსიში ჩურჩხელებსაც კი ავლებს...

**— თქვენი შვილები ქართველებს უფრო ჰგვანან თუ ამერიკელებს?**

— ვერ ვიტყოდი, რომ ამერიკელები არიან. თუმცა, აზროვნების სტრუქტურით ქართველებისგან აშკარად განსხვავდებიან. მაგრამ ენა ბევრ ქართველზე უკეთესად იციან. შინ მხოლოდ ქართულად ვლაპარაკობთ... თანაც, ჩემი შვილები „კვალის“ მუშაობაშიც არიან ჩართულნი. ერთ-ერთი პროექტი (სულ 12 პროექტი გვაქვს) ივიკომ დააფინანსა. საერთოდ, ასოციაციის დაფინანსების დიდი ნაწილი წლების მანძილზე ჩვენი ოჯახიდან მოდის.

**— თქვენი მუშაობის ძირითადი მიმართულება...**

— საქართველოს ახლა ის კი არ სჭირდება, რომ ფული მისცე, არამედ ის ცოდნა უნდა გადმოიტანო ქვეყანაში, ურომლისოდაც სახელმწიფო ვერ განვითარდება. აქცენტი არასოდეს გადაგვაქვს ფულზე. ბევრი ფული საქმეს აფუჭებს! მით უმეტეს, უკონტროლოდ თუ იხარჯება. ბევრი ფულით უბრალოდ იზიდავ იმ ხალხს, რომელსაც სიხარბე ამოძრავებს...

**— თქვენი პროექტი არცთუ ისე დიდი ხნის დაწყებულია, 5-6 წელი უმცირესი დროც კია. უკუგებას რაში ხედავთ?**

— თუნდაც ის, რომ თბილისში ჩამოვდივარ და ვმუშაობ, ეს უკვე უკუგებაა. თუნდაც ის, რომ ჩემ გარშემომყოფი მეგობრები ყველანი დაკავებულნი არიან ამ პროექტით, უკუგებაა. თანაც თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში, რომელიც ჩემთვის უსაყვარლესი ადგილია, შევქმენით საერთაშორისო ასოციაცია „კვალის“ ცენტრი... შემიძლია თამამად შემოვიდე მეორე კორპუსში იმიტომ, რომ აქ რაღაც მცირედი შემიქმნია... მე ახლაც მიმაჩნია, რომ საქართველოდან არა ვარ წასული... აქვე იმასაც დავძენდი, რომ „კვალით“ საქართველოში უკვე დაინტერესდნენ ის ადამიანებიც, რომელთაც ფული აქვთ და ეს ბუნებრივი პროცესიცაა. ფული მარტო რესტორნებში სიარულისთვის ხომ არ სჭირდება ადამიანს...

*უნივერსიტეტის მეორე კორპუსში მართლაც საინტერესო პროექტი განხორციელდა. ამ სამი წლის წინ აქ დაარსდა ყოველკვირეული ელექტრონული ჟურნალი „კვალი“, რომლის რედაქტორია ახალგაზრდა ფილოლოგი ნინო ტაბატაძე. უკვე ჩაიტვირთა პირველი ქართულ-ინგლისური ლექსიკონი. ჟურნალი მუშაობს ქართული დიასპორის გაერთიანება-გამთლიანებაზე, ეხმარება საზღვარგარეთ საქართველოდან ახალჩასულებს, თავშესაფარს აძლევს მათ, ატარებს ინგლისური ენისა და კომპიუტერის შემსწავლელ გაკვეთილებს და ა.შ. ერთ-ერთ რუბრიკაზე „წიგნის თარო“ ჩაიტვირთა მხატვრული ნაწარმოებები, რომელთაც შარშან გაიმარჯვეს კონკურსში.*

**P.S.** *ოქტომბერში, ასოციაცია „კვალის“ და ქართველ სპონსორთა დახმარებით აშშ-ში, რათგერსის უნივერსიტეტის სტუდენტურმა ცენტრმა საქართველოს კულტურის დღეების მონაწილეებს უმასპინძლა. კონკურსში გამარჯვებული პიესა (ვანო ჩხიკვაძის „ორი მდინარის შესაყართან კვდება ქალაქი“) ავტორთან ერთად წარადგინა მსახიობმა ჯემალ მონიავამ (პიესა ერთი მსახიობისთვისაა დაწერილი).*

*ქართული კულტურის დღეებს მრავალი სხვა ღონისძიებაც ახლდა — ეროვნული კერძების დეგუსტაციიდან დაწყებული, ქართველ მომღერალთა და მოცეკვავეთა კონცერტით დამთავრებული...*

*დამატებით იმასაც გაცნობებთ, რომ „კვალი“ ფლობს აშშ-ში ქართველი ემიგრანტების ისტორიულ არქივს, ასევე მოიძიებს ემიგრანტებს და მათგან აგროვებს ახალ მასალებს.*

# ნუ გადავაჩვევთ ჩვენს შვილებს ქართულად ფიქრს...

*„დოსიე“: ცნობილი ქართველი მოჭადრაკის, საერთაშორისო დიდოსტატ თამაზ გიორგაძის ძმისშვილი და სეხნია. ბავშვობაში ვუნდერკინდი. 12 წლისა ჩაირიცხა და 3 წელიწადში დაამთავრა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის საერთაშორისო ეკონომიკური ურთიერთობების ფაკულტეტი. ერთ წელიწადში გაიარა ასპირანტურის კურსი. ერთი წელი სახელმწიფო მეთაურის აპარატში იმუშავა ბატონ გელა ჩარკვიანთან. მერე კი გერმანიაში, გისენის უნივერსიტეტში აგრძელებს სწავლას. პარალელურად თბილისის უნივერსიტეტში იცავს საკანდიდატო დისერტაციას თემაზე „საერთაშორისო ეკონომიკური ინტეგრაციის მექანიზმი (ევროკავშირისა და დსთ-ის მაგალითზე)“. 21 წლის* **თამაზ გიორგაძე** *დოქტორი ხდება — ამჟამად გისენის სამეცნიერო საბჭოს წარუდგენს სადოქტორო დისერტაციას. ახლა 25 წლისაა და ფრანკფურტში, მსოფლიოში ცნობილი ეკონომიკური თანამშრომლობის ფირმა „მაკ კინზის“ ერთ-ერთ ფილიალში მუშაობს ეკონომიკურ მრჩევლად. გისენში ექსტერნად იურიდიული ფაკულტეტიც დაამთავრა... მის ყოველ ნაშრომს საქართველოში „ფრიადს“ უწერდნენ, გერმანიაში Sehr gut-ს, რაც „ძალიან კარგს“ ნიშნავს...*

**— თამაზ, ჭადრაკს თამაშობთ?**

— მოყვარულის დონეზე, თუმცა ჩემს ნაცნობებში ყველას ვუგებ...

**— თავს რომელი დარგის სპეციალისტად თვლით?**

— ეკონომიკის.

**— იურიდიულიც რომ დაამთავრეთ?**

— ევროკავშირის სამართლებრივი ჩარჩო მაინტერესებდა...

**— რომელ ქალაქში ცხოვრობთ?**

— გისენში. ფრანკფურტთან ახლოსაა, თანაც ბინის ქირა იქ შედარებით იაფია.

**— თქვენი ერთი ჩვეულებრივი სამუშაო დღე.**

— 6 საათზე ვდგები და პირდაპირ... მატარებელში! ჩვენს ფირმას მრავალ ობიექტთან უხდება თანამშრომლობა. შეიძლება ფრანკფურტში მომიწიოს წასვლა, შეიძლება ბერლინში, მიუნხენში ან სულაც ავსტრიის რომელიმე ქალაქში. „მაკ კინზის“ ძალზე ფართო სპექტრი აქვს.

**— რამდენად უკავშირდება თქვენი სამუშაო საქართველოს.**

— „მაკ კინზიმ“ რომ საქართველოს ეკონომიკურ მოდელზე იმუშაოს, ამას ძალზე დიდი სახსრები დასჭირდება ჩვენი ქვეყნის მხრიდან... თუმცა, ჩემი სადოქტორო დისერტაცია („ინტრარეგიონალური ვაჭრობა დსთ-ის ქვეყნებში და გავლენა საქართველოს ეკონომიკურ განვითარებაზე“) საქართველოს კრიზისიდან გამოყვანის ეკონომიკური მოდელიცაა ამავე დროს. ამ მოდელმა გერმანიაში დიდი მოწონება დაიმსახურა, საქართველოშიც მოსწონთ, მაგრამ მის გამოყენებაზე ჯერჯერობით თავს არავინ იწუხებს...

**— როგორც ვუნდერკინდი, სხვა ბავშვებისგან ყოველთვის გამოირჩეოდით. თანაც მუდამ თქვენზე ბევრად დიდებთან გიხდებოდათ სწავლა. როგორ აღიქვამდით ამ არაორდინარულობას?**

— არასოდეს მიფიქრია, რომ რაღაც განსაკუთრებული ვარ. რომ სხვებზე ბევრი შემიძლია, რომ ყველაფერში დიდოსტატი ვარ (ამას სხვები ამბობდნენ). ამიტომ ჩემი განცდა ჩვეულებრივი იყო, თუმცა „გარე სამყაროდან“ უარყოფითი მუხტები მავსებდა. აუცილებლად უნდა ეთქვათ, არიქა, უშველეთ ამ ბავშვს, როგორ შეიძლება ამდენი გადატვირთვა, გამოიფიტება და რა ვიცი, რას აღარ ამბობდნენ. არადა, ჩემთვის ის, რასაც „დიდ ტვირთად“ მითვლიდნენ, ძალზე ჩვეულებრივი იყო...

**— გერმანიაში თქვენი სამეგობრო წრე როგორია?**

— საკმაოდ ჭრელი. ბევრი მეგობარი მყავს — სხვადასხვა ფერიდან დაწყებული, სხვადასხვა პროფესიით დამთავრებული...

**— ძმაკაცები ქუთაისშიც გყავთ (თამაზ გიორგაძე ქუთაისელია)?**

— ახლა ძალიან ცოტა. მათი უმეტესობა სამუშაოს საშოვნელადაა გახიზნული საზღვარგარეთ...

**— გარდა იმისა, რომ სადოქტორო დისერტაცია საქართველოს ეკონომიკურ მოდელს დაუთმეთ, როგორია თქვენი დღევანდელი ურთიერთობა სამშობლოსთან?**



*თამაზ გიორგაძე (მარჯვნიდან მეორე): — საკმაოდ ჭრელი სამეგობრო წრე მყავს — სხვადასხვა ფერიდან დაწყებული, სხვადასხვა პროფესიით დამთავრებული...*

— ინტერნეტში სისტემატურად ვკითხულობ ქართულ ჟურნალებს, გაზეთებს, სხვათა შორის, „კვირის პალიტრასაც“, ხშირად ვურეკავ ჩემიანებს, როგორც კი ცოტაოდენ ფულს „მოვიხელთებ“, ქუთაისში მოვდივარ...

**— თამაზ, რომელ ენაზე ფიქრობთ?**

— აქ რომ ჩამოვდივარ, ქართულად ფიქრს თავიდან „ვსწავლობ“... გერმანიაში, რა თქმა უნდა, გერმანულად ვფიქრობ (თამაზი სრულყოფილად ფლობს როგორც ქართულსა და გერმანულს, ასევე ესპანურ და ინგლისურ ენებს. — ავტ.).

**— ევროპელ გოგონებზე, საერთოდ იქაურ ახალგაზრდებზე რას იტყვით?**

— მათ თავისუფალი ცხოვრების წესი აქვთ. არც მშობლებზე არიან დამოკიდებულნი. რაც მთავარია, მეც ბევრ ევროპელ გოგონას მოვწონვარ (იცინის)... საერთოდ, დასავლეთის სამყაროში იცი, რომ თუ რამეს ვერ მიაღწიე, შენი ბრალია. ჩვენთან ყველაფერი მშობლებს „ბრალდება“... აი, მამაჩემი დღესაც წამომყვა რედაქციაში (მართლაც თამაზი ჩვენთან მამასთან, ბატონ იუზასთან ერთად მოვიდა, რომელიც თურმე ქუთაისიდანაც ახერხებს შვილის ყოველი ნაბიჯის „გაკონტროლებას“. — ავტ.). და კიდევ, ვიცი, ახლა რასაც მკითხავთ, ქართველ გოგონას თუ მოვიყვან ცოლად... დედაჩემიც ამაზე ოცნებობს... ვერ გიპასუხებთ, მაგრამ შვილს რომ ქართულს აუცილებლად ვასწავლი და ქართველად გავზრდი, ეს ვიცი...

**— როგორ ფიქრობთ, ამ არჩევნებს და მით უფრო, შედეგებს თუ გადავურჩით, როგორი მომავალი აქვს ჩვენს ქვეყანას?**

— საქართველოს საწუწუნო არაფერი ექნება, თუ თავის პოტენციალს სრულად გამოიყენებს. ახალგაზრდა სპეციალისტები მყავს მხედველობაში. მე, მაგალითად, მირჩევნია იმის მეხუთედი ავიღო აქ, რასაც გერმანიაში მიხდიან, ოღონდ ჩემს სამშობლოს ვემსახურო. მაგრამ თვეში 50 ლარად, კანცელარიაში მუშაობისას რომ მიხდიდნენ, ყირაზე ნამდვილად ვერ დავდგები. იმასაც გეტყვით, რომ დღეს მარტო თბილისში 30 ათასი ახალგაზრდაა, რომელთაც უცხოეთში მიიღეს განათლება, მაგრამ სამუშაო არა აქვთ, ან თუ აქვთ, ისეთი, სადაც თავიანთი შესაძლებლობების მინიმუმსაც ვერ ამჟღავნებენ. ოცდაათიათასმეერთე ხელმოცარული სპეციალისტი რომ ვიქნები, რა პერსპექტივაზე შეიძლება ფიქრი... დროა, ძველი, არაფრისმაქნისი „გვარდია“ შეიცვალოს ხელისუფლებაში...

**— საქართველოზე რომ ფიქრობთ, რა წარმოგიდგებათ თვალწინ?**

— თბილისი, რუსთაველის პროსპექტი, ჯიხურები მეტ-ნაკლები უარყოფითი კუთხით და... უშუქობა, უშუქობის შიში... და კიდევ დედამენატრება, ძალიან, ძალიან სიმპათიური მანანა ტყაბლაძე, ბიოქიმიკოსი, რომელმაც ჩემ გამო საყვარელი საქმე დათმო. ვუნდერკინდს დედის გაათმაგებული ყურადღება სჭირდებოდა... ახლა კი ის და მამა გერმანიიდან ჩემს ზარს ელოდებიან გამუდმებით... მე უფლება არა მაქვს, მათ ვუღალატო...

***გვერდი მოამზადა ელენე სალარიძემ***

# „შაშვი მგალობელი" ვერსად წავა... მიზეზი — საქართველოს სიყვარულია



ჩრდილების თეატრი

ჩვენს ხმაურიან ცხოვრებაში, ხშირად „დაფითა და ნაღარით", ხშირად კი რისხვით ხვდებიან და აცილებენ ამა თუ იმ სფეროში მოღვაწე ადამიანებს. ჩვენთვის უცხო არ არის ბენეფისები და იუბილეები, მიტინგები და გამოსვლები... ერთი წუთით საკუთარ გულებში ჩავიხედოთ: განა ბევრია ადამიანი, ვინც ჩუმად, დიდი პროფესიონალიზმით აკეთებს საქმეს? დამეთანხმებით, არც ისე ბევრია.



ერთ-ერთი მათგანია კინორეჟისორი გელა კანდელაკი.

ბატონი გელა ყოველთვის განსაკუთრებული პოზიციით ცხოვრობდა. ალბათ, ამანაც განაპირობა, რომ საბჭოთა წლებში მის მიერ გადაღებული ფილმები თაროზე ხვდებოდა. ბევრმა ჩვენგანმა ამიტომაც არ იცის გელა კანდელაკის საინტერესო ფილმები: „გრძელი ღიღინი", „საქართველოს მუზეუმი", „უბედურება". არადა, 1988 წელს იტალიის საერთაშორისო კინოფესტივალი „პეზარო" დაიხურა გელა კანდელაკის ფილმით „უბედურება". ამას მოჰყვა კრიტიკოსთა აღფრთოვანებული შეფასება: — ეს არის „ბიბლიური ფილმი", „აღმოჩენა საქართველოდან". ძირითადი, რის გამოც ამ ფილმებს გზას არ აძლევდნენ, მათი და მათი რეჟისორის თავისუფლება იყო. ამ ცნებამ განსაზღვრა გელა კანდელაკის მთელი ცხოვრება.

გელა კანდელაკი მთავარ როლს თამაშობს ფილმში „იყო შაშვი მგალობელი". ამ როლით ის 100 საუკეთესო შემსრულებელს შორის დაასახელეს მოსკოვში მსოფლიო კინემატოგრაფის 100 წლისთავთან დაკავშირებით ჩატარებულ კონკურსზე.

წლების განმავლობაში მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყნის თეატრმცოდნეები და მაყურებლები აღფრთოვანებული ხვდებოდნენ ქართულ ჩრდილების თეატრს, რომლის ხელმძღვანელია რეჟისორი გელა კანდელაკი. რა ეპითეტით არ ამკობენ ამ თეატრს. „განსაკუთრებულად დახვეწილი ქართული ჩრდილების თეატრი" ღრმა ფესვებით უკავშირდება ძველ ქართულ კულტურას და ამავე დროს არის უაღრესად თანამედროვე", „ეს არის სრულყოფილებამდე მიყვანილი ხელოვნება", „ქართული ჩრდილების თეატრი თავისუფლად გრძნობს თავს მსოფლიო სცენაზე". დღეს ჩვენი რუბრიკის სტუმარია ბატონი გელა კანდელაკი. საუბარი დავიწყეთ თავისუფლებაზე, რომელიც მან ათეული წლების წინ მოიპოვა და ისე იცხოვრა, რომ ტოტალურმა სახელმწიფომ მისი პრინციპების შერყევა ვერ მოახერხა.

— თავისუფლების პოვნისა რა მოგახსენოთ... თავისუფლება იმდენად რთული ცნებაა, რომ ასე ადვილად არ მოიპოვება, არც ინდივიდის, მით უმეტეს, არც საზოგადოების მიერ. დღევანდელობა კარგი მაგალითია იმისა, თუ როგორ გვიჭირს თავისუფლებაში ცხოვრება. ძნელია ითქვას, რომ იმ ყოფაში (საბჭოთა წლებში) ბევრმა ჩვენგანმა იპოვა თავისუფლება, მაგრამ, თუ ჩავთვლით, რომ ეს საკუთარი თავისა და სინდისის წინაშე პასუხისმგებლობაცაა, მე თავისუფალი უკვე 14 წლის ასაკში ვიყავი, როცა კომკავშირში შესვლაზე უარი განვაცხადე. მე მაშინ უკვე ვიცოდი, თუ ცხოვრებაში რა გზას ვირჩევდი.

**— ამას მაშინ დიდი სანქციები მოჰყვებოდა ხოლმე, როგორ მოახერხეთ თქვენი პრინციპების დაცვა?**

— სიმართლე გითხრათ, ოჯახთანაც კი მექმნებოდა პრობლემები. სირთულეები მხვდებოდა სწავლისასაც საკავშირო კინემატოგრაფიის ინსტიტუტში. ჩვენ ხომ „იდეოლოგიური ფრონტის მუშაკებად" გვზრდიდნენ... მიუხედავად ყველაფრისა, ჩემი პრინციპების დაცვა მძიმე ტვირთად არასოდეს მქცევია. უბრალოდ, ვერ წარმომედგინა, სხვანაირად როგორ უნდა მეცხოვრა. თუ გავითვალისწინებთ ჩემ მიერ გადაღებული ფილმების სიმცირეს, ცხადია, გაცილებით მეტის გაკეთება შემეძლო, რომ არა ჩემი მსოფლმხედველობა. დღეს ბევრ განუხორციელებელ ფილმს ვატარებ. ეს დიდი ტკივილია. მათ გადაღებას სინდისთან კომპრომისზე წასვლით შევძლებდი, მაგრამ ვის რად უნდა ასეთი ადამიანის მიერ გადაღებული ფილმები?

**— სანაცვლოდ, როგორც აღვნიშნეთ, დიდი მსხვერპლის გაღება მოგიხდათ, დღეს არ ნანობთ?**

— სიყმაწვილეში სწორი გადაწყვეტილება მივიღე. სულაც არ ვნანობ, სხვაგვარად მოაზროვნე ადამიანებს სხვადასხვაგვარად ებრძოდნენ. თუ არ თმობდი შენს პრინციპებს, გზა გადაკეტილი გქონდა. თუ რაღაცნაირად შეძლებდი და ფილმს გადაიღებდი, იმწამსვე ამოქმედდებოდა ნაცადი ხერხი, რომელსაც რუსები Замолчивание-ს უწოდებენ. ეს ნიშნავს, რომ არ გამჩნევენ, თითქოს საერთოდ არ არსებობ. შენზე აქტიურ თავდასხმას, კრიტიკას პოპულარობა მოაქვს, რაც არაკეთილმოსურნეთათვის სახიფათოა. როცა სიჩუმით ხარ გარემოცული, მიუხედავად იმისა, თუ რას აკეთებ ან როგორ აკეთებ, მმართველი ჯგუფისათვის პრობლემას აღარ წარმოადგენ. ეს მარტო მე არ მეხება, მაშინ ამაზე არც ვილაპარაკებდი. ეს ეხება ჩემს მეგობრებს, ჩემს ყოფილ სტუდენტებს და სხვებსაც...



კადრი ფილმიდან: „იყო შაშვი მგალობელი"

**— ბრძანებთ, ჩემს ყოფილ სტუდენტებზეც გრძელდება ეს ე.წ. „მიჩუმათების" ტენდენციაო. ისინი მაინც ხომ არ მოღვაწეობენ იდეოლოგიური დიქტატის პერიოდში. მაშ, როგორ აიხსნება ეს?**

— დღეს, რაღაც კუთხით, კიდევ უფრო უარესი სიტუაციაა. დღევანდელ მაგალითებს მოგიყვანთ. კომპოზიტორი თეიმურაზ ბაკურაძე ბონში, ბეთჰოვენის საერთაშორისო ფესტივალზე დაჯილდოვდა „დოიჩე ველეს" პრიზით. გერმანელებმა საგანგებოდ ამ მოვლენის გამო მასზე გადაიღეს ფილმი. იცის ჩვენმა საზოგადოებამ ეს? არა! წარმოიდგინეთ, ასეთ მნიშვნელოვან ფესტივალზე, თუნდაც სტუმრის სტატუსით მაინც ყოფილიყო მიწვეული რომელიმე ე.წ. პარტიის მიერ შექმნილი საეჭვო ნიჭის „ავტორიტეტი"... ამ ინფორმაციას აქ კი არა, კუმურდოსა და დართლოში გაიგებდნენ. ტელევიზიით დილა-საღამოს იქნებოდა ძახილი: ნახეთ, ეს კაცი რა მაგარიაო! იცით, რატომ? მერე ჰკითხავენ, რომელ პარტიას უჭერს მხარსო და ისიც თავის „შემქმნელ" პარტიას დაასახელებს. დღეს თეიმურაზ ბაკურაძე არ სჭირდებათ, დღეს „შარიკოვები" სჭირდებათ (ბულგაკოვის „ძაღლის გულის" პერსონაჟი. — ლ.ჯ.). თუ ასე არ არის, რატომ არ იცის საზოგადოებამ კომპოზიტორ ზურაბ ნადარეიშვილის შესახებ? მასზე „ნიუ-იორკ ტაიმსში" წერენ. ჩვენთან კი არც ერთი სერიოზული რეცენზია არ დაწერილა. რატომ არ ახსენებენ აწ გარდაცვლილ დათო თაყაიშვილს, მის ფილმებს: „ყორანი", „ჭირი", „ბაბილინა"? ის ხომ კანის კინოფესტივალის მოკლემეტრაჟიანი ფილმების „გრან-პრის" მფლობელია! რატომ არ უჩვენებენ დღეს ჩვენს საზოგადოებას მისთვის ასე საჭირო დათო სიხარულიძის საინტერესო მხატვრული ფორმის ნაწარმოებს „იაკობ გოგებაშვილის ცხოვრება და მოქალაქეობა", დავით ჩუბინიშვილის ფილმს „პეტრე ოცხელი", რატომ არ იცის საზოგადოებამ კომპოზიტორ მიხო შუღლიაშვილსა და მის მიერ მუსიკალური განათლების სრულიად ახალი სისტემის შექმნის შესახებ? რატომ დატოვა საქართველო ფიზიკოსმა თენგიზ ბიბილაშვილმა? რატომ არ იმჩნევს ჩვენი საზოგადოება განათლების სისტემაში ვახტანგ როდონაიას ღვაწლს? მიუხედავად ჩემი და ბევრი ჩემი აღზრდილის მცდელობისა, ვერ მოვახერხეთ ამ მიჩუმათების გარღვევა. რატომ? იმიტომ, რომ მათ სჭირდებათ „შარიკოვების" საზოგადოება. მინდა სწორად გამიგოთ. არც მე და არც ზემოთ ჩამოთვლილ არც ერთ პიროვნებას პოპულარობა არ გვაღელვებს. ეს ჩვენი განვლილი ცხოვრებიდანაც ნათლად ჩანს. ახალგაზრდების გამო გვტკივა გული. მათ საეჭვო ფასეულობებზე ზრდიან.

**— ფიზიკოსი თენგიზ ბიბილაშვილი ახსენეთ, ის ამერიკაში წარმატებით მოღვაწეობს. არ გიფიქრიათ, რომ საზღვარგარეთ შეიძლებოდა თქვენც უფრო დიდი ასპარეზი მოგცემოდათ?**

— მეც ხშირად ვუსვამ ჩემს თავს ასეთ კითხვას — რაც ჩვენს ქვეყანაში ხდებოდა და ხდება, ყოველდღიურობის შემხედვარე კაცი აქ როგორ უნდა გაჩერდეს? როგორ უნდა გაუძლო შენი დამცირების ამდენ მცდელობას. ვუყურებ ამ ვითომ პოლიტიკოსებს და მიკვირს, ნუთუ ადამიანები ასეთი სულელები ჰგონიათ, რომ შეძლებენ, დააჯერონ, თეთრი შავიაო?! ვინც გუშინ პრეზიდენტის მზეს ფიცულობდა, დღეს მის ლანძღვა-გინებაში ათენ-აღამებს. მათ, თურმე, პრეზიდენტის ბოლო არჩევნების შემდეგ დაინახეს, რომ მათი „მზე" ქვეყანას ანგრევს. რატომ ტყუიან? ყველამ კარგად ვიცით, რომ მიუხედავად „მზისადმი" თქვენი ლაღადისა, „მზემ" არ ინდომა გამხდარიყავით მისი მემკვიდრე. აი, მიზეზი თქვენი ოპოზიციონერობისა. ყველამ კარგად უნდა იცოდეს და აფასებდეს ქართველი ხალხის მოთმინების უნარს, პატივისცემას თავისი ქვეყნისადმი. ამას ბოროტად არ უნდა იყენებდნენ. დაცინვა არ არის, რომ გამოდის დღეს პატიოსნების სიმბოლოდ ქცეული პოლიტიკოსი და უსირცხვილოდ აცხადებს, — სიმდიდრე ოჯახიდან მომდევსო? რომელი ოჯახიდან — ბაგრატიონებისა თუ დადიანებისა?

ნუ გვატყუებთ! ის მაინც თქვით, დღეიდან წესიერად ვილვაწებ ჩემი ქვეყნისთვისო. მიუხედავად ამ მძიმე სიტუაციისა, ვერსად წავალ! მიზეზი — აქაურობის სიყვარულია.

**— სასიამოვნოა ამ სიტყვების მოსმენა, მაინც ვინ იქონია გავლენა თქვენს ჩამოყალიბებაზე?**

— პირველ რიგში ჩემმა დედობილმა თამარ ნაცვლიშვილმა, რომელთანაც ვიზრდებოდი. მან შემიყვანა სამყაროში, რომელსაც საქართველო ჰქვია. თავად ისეთი ოჯახის შვილი იყო, რომელთა მსგავსებიც ბოლშევიკებმა მოსპეს. მამამისი — ვასილ ნაცვლიშვილი, თბილისის არქივარიუსი გახლდათ, მისი ძმა — დავით ნაცვლიშვილი — ფიზიოლოგი, რომელსაც გერმანიაში, ჯერ კიდევ სწავლისას, გაუხსნეს ექსპერიმენტული ლაბორატორია. 1918 წელს, ნოე ჟორდანიას თხოვნით, დავითი დაბრუნდა საქართველოში და მის რეფერენტად დაიწყო მუშაობა სამეცნიერო დარგში. მთავრობა ემიგრაციაში რომ წავიდა, დავითი დარჩა. 1921 წლის 26 თებერვალს დააპატიმრეს. სამი დღის შემდეგ დააბრუნეს შინ, უგონოდ იყო. ორ დღეში გარდაიცვალა. ამ უბედურებას ვერ გაუძლო მამამ და მალე აღესრულა. ამ ოჯახის კულტურის ტრადიციებზე გავიზარდე. სამწუხაროა, რომ მასმედია დუმს ასეთი ამბების შესახებ. ჩვენს უახლოეს ისტორიაში ვკარგავთ მათ, ვის მაგალითზეც თაობები უნდა იზრდებოდნენ.

ცხოვრებაში შეიძლება მოულოდნელადაც შეხვდე ადამიანს, ვინც ძალიან მნიშვნელოვანი გახდება შენთვის. ნატალია ხელიძე 89 წლის იყო, როცა გავიცანი. მან მთავარი როლი ითამაშა ჩემს ფილმში „უბედურება". სოფელ ძეძილეთიდან გახლდათ. წერა-კითხვა არ იცოდა, მაგრამ ნიჭით და სიყვარულით სავსე იყო. მას ყველაფერი უყვარდა. ქვედაწელით ეკალბარდს რომ წამოსდებოდა, იმასაც კი დალოცავდა, კაბის ნაფლეთს ზედ შეატოვებდა და მშვიდად გააგრძელებდა გზას...

ჩემს ცხოვრებაში მნიშვნელოვანი ადგილი უჭირავთ ჩემს მეგობრებს.

**— ამას წინათ, კინოს სახლში უჩვენეს „უბედურება". სამწუხაროა, რომ ამ ფილმს ფართო საზოგადოება არ იცნობს. ეს ფილმი გადაღებისთანავე აიკრძალა, არა?**

— ისე მოხდა, რომ „უბედურებას" საქართველოში მაყურებელს არ უჩვენებენ. მხოლოდ ახლა აჩვენა გოეთეს საზოგადოებამ კინოს სახლში ეს ფილმი. ეს იყო ერთ-ერთი ბედნიერი დღე ჩემს ცხოვრებაში, რადგან მე ვნახე პირველი ქართული აუდიტორია, რომელმაც ფილმი აღიქვა ისე, როგორც მე მქონდა ჩაფიქრებული. რაც მთავარია, ეს მაყურებლები ახალგაზრდები იყვნენ. მიუხედავად ყველაფრისა, კარგი თაობა მოდის.

**P.S.** მთავარი ის ხომ არ არის, დღეს ამჩნევენ შენს საქმეს თუ არა... მთავარს მომავალი იტყვის. მარტო ის ფაქტი რად ღირს, რომ ბატონი გელას ნამოწაფართაგან ორი ეპისკოპოსია, ერთი ნიქოზისა და ცხინვალის, მეორე — ახალქალაქისა. როცა გავიკვირვე, მშვიდად ამიხსნა: „რატომ? ხელოვნება ჩემთვის სულიერების ფიქსაციაა. მე არ გამკვირვებია, რომ ისინი ეპისკოპოსებად აკურთხეს".

**ლელა ჯიყაშვილი**

> **დღეს, კიდევ უფრო უარესი სიტუაციაა. დღევანდელ მაგალითებს მოგიყვანთ. კომპოზიტორი თეიმურაზ ბაკურაძე ბონში, ბეთჰოვენის საერთაშორისო ფესტივალზე დაჯილდოვდა „დოიჩე ველეს" პრიზით. გერმანელებმა საგანგებოდ ამ მოვლენის გამო მასზე გადაიღეს ფილმი. იცის ჩვენმა საზოგადოებამ ეს? არა! წარმოიდგინეთ, ასეთ მნიშვნელოვან ფესტივალზე, თუნდაც სტუმრის სტატუსით მაინც ყოფილიყო მიწვეული რომელიმე ე.წ. პარტიის მიერ შექმნილი საეჭვო ნიჭის „ავტორიტეტი"... ამ ინფორმაციას აქ კი არა, კუმურდოსა და დართლოში გაიგებდნენ. ტელევიზიით დილა-საღამოს იქნებოდა ძახილი: ნახეთ, ეს კაცი რა მაგარიაო!**


## განსხვავებული ჟურნალი

- რა აუკრძალეს ზაალ უდუმაშვილს პირდაპირ ეთერში
- სად იმყოფება სანდრა საააკაშვილი
- რითი არ მოსწონს ექიმი სიძე ლიზა ბაგრატიონის დედას
- „ინტროს" ბიჭებს გოგონების გარდა ყველაფერი საერთო აქვთ




ორშაბათობით!

# დედა ორი შვილით სამოწყალოდ იჯდა და მოწყალებას ვერ ითხოვდა



თბილისში და საერთოდ, საქართველოში ბოლო ხანს განვითარებული მოვლენების გამო, ვცდილობთ მეტ-ნაკლებად შევარბილოთ ხუმრობის, გართობის ტონი. მაია ჯაბუა, მაღალი პროფესიონალიზმით გამორჩეული მომღერალი, ყოველთვის აფიქსირებდა თავის მოქალაქეობრივ პოზიციას. ამჯერადაც საინტერესოა მისი თაყვანისმცემლებისთვის, როგორ აფასებს იგი შექმნილ ვითარებას.

**— მაია, რას ფიქრობთ, რა ხდება თქვენი აზრით?**

— აშკარაა, ამდენი ხალხის ქუჩაში გამოყვანა ძალიან რთულია, საქართველოს მოქალაქეებს ასე იოლად ვერ აიყოლიებ. როგორც ჩანს, ხალხის მოთმინების ფიალა მართლა აივსო. რაც ხდება, კარგი ცხოვრებისგან არ ხდება და აშკარა იყო, რომ ადრე თუ გვიან, მოვლენები ასე განვითარდებოდა. მიზეზიც სავსებით ნათელია. ნორმალურ, დალაგებულ ქვეყანაში, სოციალურ აფეთქებებს ადგილი არა აქვს, გუშინ საღამოს, გვიან, აფთიაქში შევედი წამალზე და ვნახე ქალი, დედა, რომელიც სამოწყალოდ იჯდა ორი პატარა მძინარე ბავშვით და ისე იყო დათრგუნვილი, მოწყალებას ვერ ითხოვდა. ისე შემძრა ამ სურათმა, რომ რაც მქონდა ჩანთაში, მივეცი და ვთხოვე, ბავშვები შინ წაეყვანა, აფთიაქში შესულთაგან ალბათ დალხენილი არავინ იყო, მაგრამ ყველა ჩემსავით მოიქცა. კი, კარგი იყო ჩვენი საქციელი, მაგრამ ხომ მართალია, რომ ეს ერთჯერადი დახმარება არაფერს ნიშნავს იმ საცოდავი ადამიანისათვის.

**— დღეს ბევრი ამბობს, თუ საქართველოში სიტუაცია ისევ აირევა, სამშობლოს დავტოვებთ და სხვაგან წავალთო. ამართლებთ მათ პოზიციას?**

— იმედი მაქვს, რომ უკიდურესობამდე არ მივა სიტუაცია და ღმერთი წარსულის მსგავსი კოშმარისაგან დაგვიფარავს. უარესი რამ ხდებოდა საქართველოში, მაგრამ არასდროს გამჩენია აქედან წასვლის სურვილი. აფხაზეთის ომიც ჩემ თვალწინ დაიწყო. მაშინ სოხუმში ვიყავი ჩემს 3 წლის ბავშვთან ერთად და ერთი კვირის წვალების შემდეგ, ძლივს დავაღწიე თავი უბედურებას, მაგრამ როცა საშა იოსელიანმა მთხოვა, სხვა მომღერლებთან ერთად მონაწილეობა მიმეღო აფხაზეთში გამართულ კონცერტზე, მაშინვე დავთანხმდი და რომ არა მოულოდნელად გაგრის დაცემა, ვერც ვერავინ გადამიდგებოდა წინ. აქედან წავიდნენ კი არა, თუ ვინმეს ერისთვის სასიკეთო პოტენციალი აქვს, აქ უნდა დარჩეს, ქვეყანას მიხედოს, რომ მერე არ გაუჩნდეს დანაშაულის გრძნობა. პურის გაყინულ რიგებში ვიდექი და მაშინ არ გამჩენია აქედან წასვლის სურვილი. ყველანაირი სოციალური კრიზისი სხვების მსგავსად მეც გამოვცადე. ვფიქრობ, პროგრესულად მოაზროვნე ადამიანები არ წავლენ საქართველოდან და არაპროფესიონალებს არ დაუთმობენ ასპარეზს. თორემ გვერდიდან შეხედვა და უკმაყოფილების გამოხატვა ძალიან იოლია.

**— თქვენი უფროსი შვილი უკვე 15 წლისაა, საუბრობს პოლიტიკაზე?**

— ბევრს არ საუბრობს, მაგრამ როცა ტელევიზიით ვინმე რაიმე საინტერესოს ამბობს პოლიტიკაზე, ვეუბნები, რომ უსმინოს, დაიმახსოვროს ყველაფერი, რადგან ეს ჩვენი ქვეყნის ისტორიაა, რომლის მონაწილე თვითონაცაა და ამ ყველაფერს წიგნებში ვერ ამოიკითხავს. ამას ალიქვამს, მიჯერებს, ხშირად მაგონებს წარსულს, აფხაზეთის ამბებს. მაშინ ძალიან პატარა იყო და ცოტა რამ ბუნდოვნად ახსოვს.

**— როგორ ფიქრობთ, ათი წლის წინანდელი და დღევანდელი საზოგადოება განსხვავებულია?**

— მკვეთრ განსხვავებას ვერ ვხედავ, არ მომწონს, როცა პიროვნება პოლიტიკურ ოპონენტს კამათის დროს შეურაცხყოფას აყენებს. ვისურვებდი მათგან ურთიერთპატივისცემას და ზრდილობას. ღირსეული კამათისა და დიალოგის მომხრე ვარ. სამწუხაროდ, ამის უნარი წინათაც აკლდათ და დღესაც არ ჰყოფნით თავშეკავება.

**— თქვენი თაობის მომღერლები ადრე სამშობლოს, სიყვარულს, ამაღლებულ ზოგად გრძნობებს უმღეროდნენ. ბოლო წლებში თემატიკა შეცვალეს...**

— სამწუხაროდ, დღეს მართლა აღარ არის აქტუალური ძველი თემები. ვფიქრობ, აღარც მსმენელს აინტერესებს ეს თემები, სხვა რამეს ითხოვს და ჩვენც ვითვალისწინებთ ამას. რაც მე თბილისზე მიმღერია, ვგონებ, არც ერთ მომღერალს არ უმღერია იმდენი, მაგრამ ახლა ეს თემა აღარ არის ძველებურად აქტუალური. თუმცა, ვაპირებ ახალი სიმღერის ჩაწერას ისევ თბილისზე.

**— უკვე ბევრმა მოისმინა თქვენი ლიზის მშვენიერი ხმა. მომღერლობას აპირებს?**

— ლიზის მომღერლობაც უნდა და მოცეკვავეობაც. იგი თეა დარჩიასთან (სუხიშვილების ანსამბლის სოლისტი) დადის და იქ სწავლობს ყველანაირ ცეკვას. ვფიქრობ, სცენაზე ორივე ხელოვნების სინთეზი გამოადგება. იმედი მაქვს, ჩანაფიქრს წარმატებით გაართმევს თავს. თუ რა თქმა უნდა, მშვიდობა იქნება და საქართველო ნამდვილად გახდება ქვეყანა, სადაც არსებულ მდიდარ ინტელექტუალურ რესურსს გამოყენების საშუალება ექნება, სადაც ხალხს სიმღერის და ცეკვის სურვილი ექნება და ეს არ იქნება სიმწრის სიმღერა, როგორც მიტინგებზე ხდება.

*ეკა ლომიძე*






ორშაბათი 17 ნოემბერი · სამშაბათი 18 ნოემბერი · ოთხშაბათი 19 ნოემბერი · ხუთშაბათი 20 ნოემბერი · პარასკევი 21 ნოემბერი · შაბათი 22 ნოემბერი · კვირა 23 ნოემბერი



# რა ხდება სინამდვილეში, მართლა ვერ ვხვდები



ყოველგვარი შესავლის გარეშე გთავაზობთ ინტერვიუს **მერაბ სეფაშვილთან**. სხვა დროს, ალბათ, სხვა კითხვა-პასუხებით წარვმართავდით დიალოგს, მაგრამ ახლა, როცა ყველას ერთი საწუხარი გვაქვს და გვაშინებს, ვფიქრობთ, გართობა გვერდზე გადავდოთ და სერიოზულად ვესაუბროთ ჩვენს აპოლიტიკურ მომღერალს პოლიტიკურ თემებზე.

**— დღეს ისეთი სიტუაციაა, კაცი ქუჩაში კაცს რომ შეხვდება და ჰკითხავს, როგორა ხარო, პასუხად იღებს — ეჰ, ძალიან ცუდი დრო დადგაო. ე.ი. პიროვნული განწყობა ზოგადთან გაიგივდა. ამიტომ ასე გკითხავთ, როგორი დრო გვიდგას?**

— დღეს ყველას ერთი საწუხარი აქვს, ყველას, ნერვიულობს, განიცდის შექმნილ მდგომარეობას... მეც მათ დღეში ვარ. ის კი, რაც დღეს ხდება, იმის შედეგია, რომ არასწორი დამოკიდებულებაა ხალხსა და ქვეყნის ხელისუფლებას შორის. ამდენი უკმაყოფილო ადამიანი ერთად არც მინახავს. არ ვგულისხმობ მარტო მომიტინგეებს, საერთო ჯამში ხალხი უზომოდ უკმაყოფილოა და ეს ყველგან ჩანს — ქალაქში, სოფელში, ქუჩაში, ოჯახში. მართლა არ დგას კარგი დრო. იცით, რაშია საქმე? რაც არ უნდა ცუდად მართო ქვეყანა, მოვლენები მაინც სწორი გზით განვითარდება. უბრალოდ, პროგრესი შეიძლება შეფერხდეს. ჩვენი მთავრობა, ჩემი აზრით, არასწორად მართავს სახელმწიფოს და სწორედ ამის შედეგია ასეთი სოციალური სიდუხჭირე.

**— მოდით, კონკრეტულად ვთქვათ, რა უნდა გამოასწოროს იმ ხალხმა, ვისი კომპეტენციაც ეს არის?**

— ჩვენმა პრეზიდენტმა პირველ რიგში საკადრო პოლიტიკა უნდა გამოასწოროს. არ ვიცი, როგორ უნდა მოხდეს ეს და არც არის გასაკვირი — მე ამ საქმის სპეციალისტი არა ვარ. ვფიქრობ, პრეზიდენტიც ხვდება ამას, სხვებსაც სტკივათ გული და გამოსავალზე ფიქრობენ. დასხდნენ ერთად, დაილაპარაკონ და ნახონ გამოსავალი, რათა ქვეყანა მართლა არ დაიქცეს. თორემ ამგვარი შედეგი მხოლოდ მიტინგებსა და სამოქალაქო ომს კი არ ახლავს, არასწორი საკადრო პოლიტიკაც ანგრევს ქვეყანას. მთავრობა და პარლამენტი წესიერი ხალხით უნდა იყოს დაკომპლექტებული და არა იმგვარი ადამიანებით, ვისაც დღეს უამრავ ბრალდებას უყენებენ. მე რომ მათსავით დამაბრალონ, შენ ამდენი რამ მოიპარეო, ან პასუხს მოვითხოვ ბრალდებისთვის, ან არადა, თუ ვტყუი, დავტოვებ ამ ქვეყანას და წავალ. ვერ გავიგე, რა ხდება, თუ მართლა ამდენ ფულს იპარავს ხელისუფლებაში ხალხი, ხომ უნდა აგებინოს მათ ვინმემ პასუხი, თუ არა და თვითონ რატომ არ იმართლებენ თავს, რატომ დუმან ასე საეჭვოდ?

**— გამოსავალს თუ ხედავთ?**

— რა გითხრათ. ამას რომ ვხედავდე, ალბათ პოლიტიკაში ვიქნებოდი. თანაც იმდენად ვარ ჩემი საქმით დაკავებული, რომ სამწუხაროდ თუ საბედნიეროდ, პოლიტიკაზე ფიქრისთვის ვეღარ ვიცლი. მაგრამ ახლა ძალიან მაინტერესებს, რა შედეგი ექნება ამ ყველაფერს.

**— როგორ ფიქრობთ, დადგა ჟამი „ქვების სროლისა“? რადიკალური ქმედებების მომხრე ხართ?**

— საერთოდ არა ვარ რადიკალური ქმედებების მომხრე. კარგი ანდაზაა „ასჯერ გაზომე და ერთხელ გაჭრიო“. ეს სიბრძნე რეალურად უნდა გამოვიყენოთ, დიდი სიფრთხილე გვმართებს. ხელისუფლებამ მართლა ასჯერ უნდა აწონ-დაწონოს მოვლენები. ხალხს შენი ნება-სურვილის მიხედვით არ უნდა გადაუწყვიტო ბედი. ვიმეორებ, მეტი სიფრთხილეა, ჩემი აზრით, საჭირო.

**— მიტინგზე გამოსვლის და ხალხისადმი მიმართვის სურვილი ხომ არ გაგჩენიათ?**

— არა. თუმცა ეს არ ნიშნავს იმას, რომ ჩემი პოზიცია არა მაქვს. იქნებ ჩავიდე მიტინგზე? ვაითუ ჩემი პოზიციის დაფიქსირებით საქმეს კი არ ვარგო, არამედ ცეცხლზე ნავთი დავასხა. მეშინია ამის, ამიტომაც თავს ვიკავებ. თანაც სინამდვილეში რა ხდება, მართლა ვერ ვხვდები, იქნებ მართლა რაღაც პოლიტიკური თამაში მიდის და მე გულუბრყვილოდ გავერიო მასში. ვფრთხილობ, ვფრთხილობ.

**— და მაინც, რიგითი მოქალაქის გადასახედიდან რა დააწყნარებს ხალხს?**

— სიმართლე. რა თქმა უნდა, სოციალურად ხალხი უკიდურესად ცუდ დღეშია, მაგრამ ამას მაინც ითმენდნენ. ახლა კი, როცა არჩევნებში ხალხმა შეურაცხყოფილად იგრძნო თავი, მისი მოთმინება ამოიწურა და პროტესტმა იფეთქა. როცა ხალხს ესმის, რომ ახალგაზრდა სახელმწიფოს ეკონომიკა სუსტია, რომ დროა საჭირო მისი მოძლიერებისათვის, როცა ხალხი ითმენს მატერიალურ ხელმოკლეობას, ნუგეში უნდა სცე და ლახვარი არ უნდა ჩასცე. არჩევნებს აყალბებ? ე.ი. ხალხის ნებას არაფრად აგდებ. აქ უკვე მოთმინების ფიალა ივსება. სულ იმ იმედით ვიყავით დღემდე, რომ ხვალ უკეთესად ვიქნებოდით, მაგრამ ეს უკეთესობა აღარ ჩანს და ხალხიც ძალიან დაიღალა.

**— თუ უარყოფითად განვითარდება მოვლენები (ღმერთმა ნუ ქნას), თუ ბარიკადების მიღმა ისევ დაპირისპირებული ქართველები აღმოჩნდებიან, თქვენ როგორ მოიქცევით?**

— არა მგონია, მოვლენები ასე განვითარდეს. იმედს ვიტოვებ, რომ ჩვენს პოლიტიკოსებს ეყოფათ გონიერება და აღარ მიიყვანენ ქვეყანას უფსკრულის პირას, საიდანაც თავის დაძვრენა ნამდვილად არ იქნება იოლი. და მაინც, თუ ეს მოხდა, ყველანაირად ვეცდები, ბარიკადების მოშლას. ძალიან ბევრი გარეშე მტერი გვყავს და ძალიან ბევრს სურს ჩვენი დაპირისპირება. არა მგონია, ვინმეს უნდოდეს ძმათა შორის შუღლი.

**— ცნობილი ფრაზაა: „ზოგჯერ სულ არ მემღერება, მაგრამ მაინც ვმღერივარ“. მაგ მდგომარეობაში ხომ არა ხართ?**

— ჩემი პროფესიიდან გამომდინარე, ამ დღეში ბევრჯერ ვყოფილვარ. ახლაც უამრავი საქმე მაქვს. მაგრამ გავჩერდი, რადგან სიმღერის განწყობა არა მაქვს და ტვინიც არანაირად არ მუშაობს, განვიცდი, რაც ხდება.

**— როცა ყველაფერი კარგად იქნება, რას შემოგვთავაზებთ?**

— სიმღერას, რომელიც საგანგებოდ დაიწერება იმისათვის, რომ მეტი სიყვარული გაგვიჩნდეს ერთმანეთის მიმართ. გაზაფხულზე ახალი პროგრამით სოლო კონცერტის ჩატარებასაც ვაპირებ, მაგრამ ჯერ მთავარია, ყველაფერი კარგად დასრულდეს!

*ეკა ლომიძე*

# „ვნანობ, რომ დაბადებიდან არ გღალატობდი!..“



„შენ დედოფლობა დაგშვენდებოდა,“ — გავიფიქრე, როცა მას პირველად შევხვდი. ტანწერწეტა, უძირო, ლურჯი თვალებით და... უმოწყალოდ გამრავლებული ნაოჭით თვალებთან!..

როიალზე ისე უკრავდა, ალბათ მუსიკოსია-მეთქი, — გავიფიქრე. მერე ლექსები წაიკითხა და — უთუოდ პოეტია-მეთქი!.. მასპინძლის შვილებს იმდენი ეფერა და აკისკისა პატარები, გამიელვა, რა საოცარი დედა და ბებია იქნება-მეთქი...

სამწუხაროდ, არც დედა ყოფილა და არც ბებია. ველარ მოვისვენე, ქალს კითხვები დავაყარე — ალბათ ყველას იწუნებდით... როგორ არავინ იფიქრა თქვენი მოტაცება... უკარება იყავით?!

სევდიანად გაიღიმა და ახლობლებს „მოსთხოვა“ — მომაშორეთ ეს გოგოო. ასე ადვილად მოვეშვებოდი?! როგორც იქნა, დავითანხმე, სასაუბროდ შემხვედროდა — ჩემს ერთ ჩანაწერს გადმოგცემთ და იქ იპოვით ყველა კითხვაზე პასუხსო. მეორე დღეს დაკეცილი თაბახის ფურცლები ჩამიდო ხელში. მთხოვა, — ჩემს სახელსა და გვარს ნუ გაამხელ. არა, კი არაფრის მრცხვენია ან მერიდება, უბრალოდ, ბევრი უბედო ქალის სათქმელს ვამბობ და ყველა კაცმა იფიქროს, რომ ბარათის ავტორი სწორედ მის მოლოდინში გაცრეცილი ქალიაო!..

წავიდა და ჩემსავით გააყოლა თვალი მთელმა ქუჩამ... მე კი ხელნაწერი გადავშალე და იქვე, ქუჩაში, დავიწყე კითხვა...

„ჩემს პოტენციურ ქმარს, თუკი ასეთი რეალობაში არსებობს!..

დღეს ჩემი დაბადების დღეა და სულ ცოტა ხნის წინ გავაცილე ბოლო სტუმარიც. უამრავი თაიგულია ჩემს ოთახში, მაგრამ მათ შორის არც ერთი არაა შენგან მოძღვნილი და ამიტომ არც მახარებენ, არც „მელამაზებიან...“

დღეს იმდენი წლის გავხდი, აზრი რომ დაკარგა შენმა მოლოდინმა და რომც გამოჩნდე, ტკივილის მეტს ვერაფერს მოიყოლებ თან... აღარასოდეს დაიბადებიან ოცნებებში ნაფერები ჩვენი შვილები და დაუსრულებელი სიცოცხლის ილუზიასაც ვერ შეგვიქმნიან... ამ ბოლო ხანებში აღარც მესიზმრებიან ნანატრი ანგელოზები და არც აღარავინ მეძახის დედას!.. ჩემი ტოლები ბებიები ხდებიან უკვე და ვერც ხვდებიან, რა ტკივილს მაყენებენ დაუფარავი აღტაცებით: თუ რა ლამაზი და საოცარი შვილიშვილები ჰყავთ... ღმერთმა დაუზარდოთ, მაგრამ... მე?!. მე რად ვერ გავხდი ღირსი ამ ერთი შეხედვით უბრალო ბედნიერების?!. სხვაზე ნაკლები რითი ვიყავი?!. ღმერთმა ხომ იცის, ავ ფიქრს არავისზე გავივლებ გუნებაში, თორემ საქმეზე ლაპარაკიც ხომ ზედმეტია. თამამად არასოდეს მოვქცეულვარ, მზერაც არ გამისწორებია ვინმესთვის. შენთვის მინდოდა ყველაფერი: უნაკლო, ოცნებებით სავსე სულიც და სხეულიც. მინდოდა შენთვის მომეძღვნა ყველაფერი საუკეთესო, მეგრძნობინებინა, რომ ბედის რჩეული ხარ — ასეთი ერთგულებითა და სილამაზით გამორჩეული ცოლი რომ შეგხვდა, საოცრად ლამაზი შვილების მამობა რომ გარგუნა განგებამ... მინდოდა ერთად აგვეშენებინა სახლი, სადაც სიხარული დაიდებდა ბინას...

სიმართლე გითხრა, არც იმაზე მიფიქრია, როგორი უნდა ყოფილიყავი: მაღალი თუ დაბალი, მსუქანი თუ გამხდარი, ცისფერთვალება და ქერა თუ შავტუხა, შავი, ბრიალა თვალებით!.. ყველანაირს მიგიღებდი, ოღონდ კი მეგრძნო, რომ გიყვარვარ, რომ შენც ისევე გასულდგმულებდა ჩემთან შეხვედრის მოლოდინი, როგორც მე და ჩემსავით ნანობდი მარტოობაში გატარებულ ყოველ წუთს!..

დიდხანს გელოდი!.. იმაზე დიდხანსაც, ვიდრე ეს გონიერებას შეშვენის, არ მინდოდა ფარხმლის დაყრა, მეშინოდა... მეშინოდა იმისი, რაც ახლა უნდა გითხრა და რისი დაფარვაც ასე აღემატება ჩემს ძალებს!..

მომიკვდა ნაფერები გრძნობა და სიყვარული, ერთმანეთის მიყოლებით ჩაიფერფლნენ ოცნებები და მივხვდი, შენდამი სიყვარულიც ჩამადნა ხელში — მე შენ აღარ მიყვარხარ! უფრო მეტიც — მძულხარ და ვნანობ შენს ერთგულებაში გატარებულ ყოველ წუთს, ვნანობ, რომ დაბადებიდან არ გღალატობდი და ავხორცი გრძნობებით არ ვბილწავდი სარეცელს, რომელიც ახლა მარტოობის ცრემლებითაა გაჟღენთილი...

ვერ შეამჩნიე მხოლოდ შენთვის განკუთვნილი ბედი და ერთგულება... ეჭვიც არ მეპარება, შენი ახალგაზრდობაც და სისუფთავეც სიძვის დიაცის და მისი ნაბიჭვრების ფერებას გადააყოლე, ან რომელიმე თვალთმაქცის მეოთხე ან მეხუთე „კანონიერი ქმარი“ ხარ და სულაც არ ემდური ბედს...

მგონი, გავბოროტდი!

ცხოვრების თავიდან დაწყება რომ შეიძლებოდეს, მეძაობას ვინატრებდი და ბედნიერი ვიქნებოდი, ახლა თუნდაც „ნაბიჭვრის“ ხმა რომ არღვევდეს ჩემი სახლის მომაკვდინებელ სიჩუმეს და მარტოობას!..

ვიცი, რომ ღმერთი ყველაფერს არ აძლევს ერთბაშად ადამიანს, რომ ლამაზების ხვედრი არასოდეს ყოფილა ბედნიერება, მაგრამ... რა აზრი აქვს სილამაზეს, თუ არავინ გეფერება და სული დახანჯლული გაქვს?

ერთი ლექსის ნაწყვეტს გაგახსენებ:

„არ არსებობენ ცუდი ქალები,
ქალს მარად მშვენი უჩანს თვალები...
არ არსებობენ, არ არსებობენ,
არ არსებობენ ცუდი ქალები!
...მაგრამ თუ მაინც ცუდია ქალი,
ამაში კაცებს მიგიძღვით ბრალი:
უშნო ხელებით, მკაცრი ხელებით
ქალს ამახინჯებთ, ან ეფერებით...
მოკლედ, არც მეტი და არც ნაკლები —
კაცნი ხართ ქალთა მოქანდაკენი!..“

ჰო, შენ შემქმენი ასეთი... შენ მაქციე ასეთად... სიყვარულით და მზით სავსე სული, ბოროტებით და ღვარძლით ამივსე, აქედან კი კიდევ ერთი დასკვნა: „არარაობავ, მამაკაცი უნდა გერქვას შენ!.“

...მე ამ წერილზე კომენტარის გაკეთება არ შემიძლია! არცაა ალბათ საჭირო!..

*ინგა ჯაყელი*

# გინდა გაიგოთ, მთვრალი ხართ თუ არა?

თანამშრომლებთან საღამოზე, სიდედრის დაბადების დღეზე ან ვიწრო წრეში ილხენთ. საკმაოდაც მიიღეთ ბახუსი, რომელიც უკვე არ გასვენებთ, დათვერით, მაგრამ ამას ვერ „გრძნობთ“. აი, რამდენიმე უდავო მტკიცებულება, რომ მართლა „გადაამეტეთ“.

1. ხშირად იმეორებთ — „მე საერთოდ არ ვსვამ“.
2. აღარ გეშინიათ უფროსების, სიდედრის, ცოლის და უკვე ენის წვერზე გადგათ — „შენობით ნუ მელაპარაკები!“
3. ყველაფერზე იცინით, გეჩვენებათ, რომ ყველა სასაცილო ამბებს ჰყვება.
4. ვიღაცას უმტკიცებთ, რომ მთელი სიცოცხლე გეყვარებათ.
5. მუდმივად გიქრებათ სიგარეტი.
6. გეჩვენებათ, რომ ცხოვრებაში გაგიმართლდათ.
7. ზამთარია, მაგრამ ქუჩაში ჩუსტებით მიდიხართ...
8. გეჩვენებათ, რომ ყველა შემხვედრი თავხედურად მოგჩერებიათ.
9. პოლიცია ნერვებს გიშლით.
10. ამბობთ, — ცოტა ხანს წამოვწვები და ყველაფერი გაივლის...

# იუმორი



— სად იყავი, ქალებში?
— არა, ინსტიტუტში...
— სად მიდიხარ, ქალებში?
— არა, საჯაროში...
— მერე, საჯაროშიც ხომ არიან ქალები?..

# კლასიკური კოსტიუმი და მისი მრავალფეროვნება

**მამაკაცისთვის, რომელიც „მენეჯერის“ ამაყ სახელს ატარებს, ტანსაცმლის ძირითად ფორმად კოსტიუმი იქცა. კოსტიუმში ნებისმიერი აღნაგობის მამაკაცი ელეგანტურად და საქმიანად გამოიყურება. მაგრამ სამოსი რომ მოირგოთ, მისი შერჩევისას აუცილებელია დაიცვათ რამდენიმე წესი.**





## კოსტიუმის ორი სამშობლო

კოსტიუმის დღევანდელი მოდელი შემუშავდა დიდ ბრიტანეთში, XX ს-ის დასაწყისში. ლონდონი სათერძო ხელოვნების დედაქალაქად ითვლებოდა თითქმის მეორე მსოფლიო ომის დასაწყისამდე. შემდგომ იტალიურმა მარკამ ღირსეული კონკურენცია გაუწია ინგლისურს. დღეს ინგლისი და იტალია კვლავ რჩებიან მამაკაცის საქმიანი კოსტიუმის მთავარ მომწოდებლებად მთელ მსოფლიოში.

კლასიკური ინგლისური პიჯაკი, იტალიურისაგან განსხვავებით, მოუხდება დაშვებულმხრებიან მამაკაცს. პიჯაკს აქვს სამხრეები, თავად მხრები კი ფორმით ოდნავ დავიწროებულია. იტალიური პიჯაკის სახელოებზე ამჯობინებენ ჩაჭრილ ღილკილოებს.

ინგლისურ კოსტიუმებზე, თვით ძვირფასი მარკის პიჯაკებსაც კი, ტრადიციულად მხოლოდ ზედა ორი ღილკილო აქვს გაჭრილი. ეს სრულიად არ აკნინებს თვით კოსტიუმის ხარისხს, მაგრამ უნდა გაითვალისწინონ იმათ, ვინც მიჩვეულია პიჯაკის სახელოს აკაპიწებას, ვთქვათ, ხელების დაბანისას.

სათერძო ოსტატობის ყველა კანონის თანახმად, კლასიკური კოსტიუმი-ორეული შედგება შარვლისა და ორ ღილზე შეკრული პიჯაკისაგან, რომელიც გვერდებზე ჩაჭრილია, რათა შეუფერხებლად ჩაიყოთ ხელები ჯიბეებში. უკან ჩაჭრილი სამღილიანი პიჯაკიც კლასიკურადაა მიჩნეული.

გვერდებზე და უკან გაუხსნელი პიჯაკი ქვეყნის ეტიკეტითაა განპირობებული. მაგ. გერმანიაში ჯიბეებში ხელების ჩაყოფა მიღებული არ არის, ამიტომ გერმანული მარკის პიჯაკები არ არის ჩახსნილი. ინგლისში კი ეტიკეტი არ არის მკაცრი და კერავენ ჩახსნილ პიჯაკებს, თუმცა პრინცი ფილიპი, დედოფლის მეუღლე, თავის დროზე ამჯობინებდა გერმანული სტილის პიჯაკებს.

ძვირფას კოსტიუმებს კერავენ საუკეთესო შალით. საყოველდღიურო კოსტიუმი სწორედ შალისა უნდა იყოს, სელისა და ბამბის კოსტიუმები კი — ზაფხულის ვარიანტია.

## როგორ მოვირგოთ კოსტიუმი

კოსტიუმის შესაძენად როცა წახვალთ, თან ის ფეხსაცმელი იქონიეთ, რომლის ჩაცმასაც აპირებთ მასთან. თუ ფეხსაცმელიც საყიდელი გაქვთ, ჯერ ის შეიძინეთ, შემდეგ კი კოსტიუმი შეუხამეთ.

ძველი ინგლისური წესით, შარვლის ტოტიდან უნდა ჩანდეს ფეხსაცმლის ერთი მესამედი. ამგვარად, შარვლის ტოტის სიგანე უნდა იყოს ფეხსაცმლის ორი მესამედის ტოლი, წესს მხოლოდ იმ შემთხვევაში არღვევთ, თუ ფეხის ზომა ძალზე დიდია.

კოსტიუმის შერჩევისას აუცილებლად უნდა ჩაიცვათ ის პერანგი და გაიკეთოთ ის ჰალსტუხი, რომლის ჩაცმას აპირებთ კოსტიუმთან ერთად. თუ გინდათ, პერანგი ზოგჯერ უჰალსტუხოდ ატაროთ, შეიძლება მას საყელოზე ჰქონდეს ღილი. ეს ვარიანტი ნაკლებად ოფიციალურია, მაგრამ კლასიკური კოსტიუმი მას დასაშვებად მიიჩნევს.

## როგორი ფეხსაცმელი შევარჩიოთ

საქმიან კოსტიუმს უნდა ავსებდეს „ოქსფორდული“ ფეხსაცმელი დახურული შესაკრავით. ეს არის მკაცრი მოდელის ტყავის ფეხსაცმელი, ზომიერად მომრგვალებული ცხვირით, თხელი ტყავის ლანჩით, ყოველგვარი დეკორის გარეშე.

## ჰალსტუხი

თანამედროვე ჰალსტუხს უამრავი წინაპარი ჰყავს — რომაელი ლეგიონერების უბრალო ყელსახვევით დაწყებული, როკოკოს ეპოქის არისტოკრატთა ძვირფასი მაქმანის ყელსახვევებით დამთავრებული. თანამედროვე ფორმა ჰალსტუხმა XVIIს-ში მიიღო, როცა ოქსფორდელმა სტუდენტებმა თერძს მისი შეკერვა დაუკვეთეს. იდეა სპორტული შეჯიბრის დროს დაიბადა — ერთ-ერთი კოლეჯის სტუდენტებმა თავიანთ ჩალის ქუდებს მოხსნეს ლენტები და ყელზე შეიბეს. XIX ს-ში ჰალსტუხები ინგლისის კლუბებსა და სკოლებში, შემდეგ კი მთელ მსოფლიოში გავრცელდა. აბრეშუმის ჰალსტუხები პირველად XX ს-ის დასაწყისში გამოჩნდა.

არსებობს ჰალსტუხების შეკვრის რამდენიმე ხერხი. პოპულარულია კლასიკური და უინძორული კვანძები. კლასიკური — რამდენადმე ასიმეტრიულია. იგი განსაკუთრებით უხდება წვრილკისრიან მამაკაცებს. უინძორული კვანძი — უფრო ფართო და სიმეტრიულია, ამიტომ ვიზუალურად ამსხვილებს კისერს. მისი შეკვრა უფრო რთულია.

## ვის ირჩევენ ვარსკვლავები

კინემატოგრაფის ისეთი ვარსკვლავები, როგორებიც არიან ანტონიო ბანდერასი, ჯონ ტრავოლტა და ბრედ პიტი, ამჯობინებენ Hugo Boss-ის პიჯაკებს.

კენედების კლანის მამაკაცებს ერჩივნათ Francesco Smalto-სა და Ermenegildo Zegna-ს კოსტიუმები.

ბილ გეიტსს საქმიან კოსტიუმებს უკერავს ნიუ-იორკელი მემოდელე ენტონი გილიბერტო. მასთანვე იმოსებიან ჯორჯ ბუში-უმცროსი და კინომსახიობი ჯეიმს განდოლფინი.

Brioni-ს დიდება ნაწილობრივ ბრიტანეთის პრემიერ-მინისტრის ტონი ბლერის დამსახურებაა. მისი კლიენტები არიან აგრეთვე კინომსახიობები, რომელთა შორის ყველაზე იმპოზანტურია კლარკ გეიბლი.

# მამაკაცის სუნამო — „სამურაი“



ცოტა ხნის წინ პარიზში შედგა პრეზენტაცია მამაკაცის ახალშექმნილი სუნამოსი, რომელსაც „სამურაი ალენ დელონი“ ჰქვია.

პრეზენტაციაში მონაწილეობა მიიღო ცნობილმა კინოვარსკვლავმა ალენ დელონმა.

მსახიობმა სუნამოს დაარქვა თავისი სახელი, რომელიც დიდი ხანია იქცა ელეგანტურობის, სილამაზის და სექსუალურობის სიმბოლოდ.

ამ სუნამოს სურნელი მეტად ჰარმონიული, მძაფრი და გრძნობიერია.

„სამურაი“ იმიტომ ეწოდა, რომ ამ ლეგენდარული იაპონელი რაინდების მრწამსი გახლდათ ვაჟკაცობა, ერთგულება, სიწრფელე და სიყვარული...

# სიყვარულმა არც ასაკი იცის და არც...

თეონა ახლა 25 წლისაა. 18 წლის იყო, როცა იგრძნო, რომ მამის მეგობარი, თენგო, უყვარდა.

— ჩემი მშობლები 17 წლისანი იყვნენ, როცა დაქორწინდნენ და დღემდე ძალიან უყვართ ერთმანეთი, — მითხრა თეონამ, — სიყრმის შვილი მე გახლავართ. ორი ძმა მყავს, ჩემზე 4 და 7 წლით უმცროსები. მშობლები მე უფრო მანებივრებდნენ. მამამ იცოდა ხოლმე თქმა — თეონა ჩვენი პირველი სიყვარულია, თანაც გოგოა და ამიტომაც სულ ვეფერებიო. საკმარისი იყო, რაიმე მომესურვებინა, რომ უმალ შემისრულებდნენ.

მამაჩემის ბავშვობის მეგობარი, თენგო რომ გავიცანი, სკოლა ახალი დამთავრებული მქონდა და მისაღები გამოცდებისთვის ვემზადებოდი. თენგო რუსეთში ცხოვრობდა და მუშაობდა. უნდოდა თავის ბიზნესში ახლობელიც ჩაერთო. ამ მიზნით მოვიდა ჩვენთან. ძალიან გულღია ადამიანი იყო, თავადაც კარგი შესახედავი. უცებ დავახლოვდით. ინსტიტუტში რომ ჩავირიცხე, დიდი, ლამაზი თოჯინა და ძვირფასი სუნამო მაჩუქა. ისე გამიხარდა, მადლობის ნიშნად ვაკოცე. ვერ გეტყვით, როდის შემიყვარდა. ჯერ მეგონა, ღირსეული და კარგი ადამიანი რომ არის, იმიტომ მხიბლავს-მეთქი, მაგრამ ერთი შემთხვევის მერე საბოლოოდ დავრწმუნდი, რომ ეს არ იყო უბრალო მეგობრული გრძნობა...

ლექციების შემდეგ მე და ჩემი ჯგუფელები რუსთაველის გამზირზე მივსეირნობდით. ოპერასთან ვიღაც ბიჭები შეგვეფეთნენ. თვალი დაგვადგეს — გინდა თუ არა, ერთმანეთი გავიცნოთო. ძალიან შეგვაწუხეს, აღარ ვიცოდით, რა გვექნა. უცებ ჩვენ წინ მანქანა გაჩერდა. იქიდან გადმოხტა გაცეცხლებული მძღოლი, ბიჭებს დაერია და აქეთ-იქით მიმოფანტა. როცა ჩვენკენ მოტრიალდა, მერეღა ვიცანი — თენგო იყო!.. მეგობრები გავაცანი. მან ყველანი რესტორანში დაგვპატიჟა. გოგონები აღფრთოვანებას ვერ მალავდნენ, ისე მოეწონათ თენგო, მე კი მივხვდი, გაგიჟებით მიყვარდა. მასაც ვატყობდი, რომ გულგრილი არ იყო ჩემ მიმართ, თანაც მოუხშირა ჩემთან შეხვედრას. მე და ჩემი მეგობრები სასეირნოდ დავყავდით, მაგრამ ერჩივნა, მარტონი ვყოფილიყავით. ერთხელ წამოსცდა, — მამაშენს ძალიან გაუკვირდება, ერთად რომ დაგვინახოსო. ეს იყო და ეს, სხვა არაფერი უთქვამს.

ერთხელ ბორჯომის ხეობაში წამიყვანა და მაშინ გადავწყვიტე, გამოვტყდომოდი სიყვარულში. ლაპარაკი რომ დავიწყე, მანქანა გააჩერა, უნდოდა ჩემთვის თვალებში ჩაეხედა, მაგრამ ისეთი დაბნეული ვიყავი, სახე სად წამეღო, აღარ ვიცოდი. როგორც იქნა, ყველაფერი ვუთხარი და გადმომცვივდა ცრემლები. გულში ჩამიკრა, მომეფერა. ვატყობდი, რომ ისიც ძალიან ღელავდა, ხელები უთრთოდა. მერე მითხრა:



ჩემო პატარა, სულელო გოგო, მეც ძალიან მიყვარხარ, უშენოდ სიცოცხლე ძალიან მიჭირს, მაგრამ მე და მამაშენი მეგობრები ვართ, ის მენდობა, თანაც ცოლ-შვილი მყავს. ნატაშა სიყვარულით მოვიყვანე, ამიტომ მასთან გაშორებაზე ფიქრიც კი ტკივილს მაყენებსო.

ვიცოდი, თენგოს რუს ცოლს თბილისის გაგონებაც არ უნდოდა, მაგრამ მისმა ნათქვამმა, ცოლს ვერ გავცილდებიო, საგონებელში ჩამაგდო. თბილისში ისე ჩამოვედით, ხმა აღარ გამიცია მისთვის. გადავწყვიტე, დამევიწყებინა თენგო, მაგრამ ვერაფერს გავხდი. როცა გვესტუმრებოდა ხოლმე ან შინიდან მივდიოდი, ან ჩემს ოთახში ვიკეტებოდი, ვითომდა სამეცადინოდ. ერთხელ დამიმარტოხელა და ჩამჩურჩულა: ახლა რომ წახვიდე, იცოდე, გავგიჟდები და არ ვიცი, რას ჩავიდენო. მოჯადოებულივით დავემორჩილე... იმ საღამოს ძალიან მოილხინა ჩემს მშობლებთან ერთად. დამშვიდობებისას მითხრა, — ხვალ ინსტიტუტთან დაგელოდებიო.

მართლაც, მეორე დღეს, ლექციებიდან გამოსულს ინსტიტუტის წინ დამხვდა. შევეცადე, აღელვება არ დამტყობოდა. ჩავსხედით თუ არა მანქანაში, დაიწყო: — ამ დილით ჩემს ცოლს დავურეკე და ვუთხარი, უნდა გავშორდეთ-მეთქი. ჩემი ნაბიჯი ბევრის აღშფოთებას გამოიწვევს, მაგრამ რა ვქნა, ასე ველარ გავაგრძელებ ცხოვრებასო. მერე მე მკითხა: მზად ხარ, რომ ჩემ გამო ბარიერები გადალახოო? ბარიერს გადავლახავდი კი არა, ყველაფერზე მზად ვიყავი, ოღონდ თენგო არ დამეკარგა.

სახლამდე მიმიყვანა და დამპირდა, როგორც კი ცოლთან ურთიერთობას გავარკვევ, თქვენთან მოვალ და ჩემს მეგობარს შენს ხელს ვთხოვო. იმ საღამოს უბედნიერესი ვიყავი.

თენგოს ცოლმა, როგორც იქნა, იკადრა თბილისში ჩამოსვლა. როცა გაუგია, ვის გამოც შორდებოდა ქმარი, ჩვენ მოგვადგა. სად წავსულიყავი, აღარ ვიცოდი. ჩემი მშობლები სახტად დარჩნენ, ხმას ველარ იღებდნენ. თენგოს ცოლი კი არ ჩერდებოდა: — რას არ გვაბრალებთ რუს ქალებს, უწესობას და ყველაფერ ცუდს ჩვენ მოგვაწერთ, არადა ყოველ ქართველ ქალში მტაცებელი ზის, რას ვიფიქრებდი, თითისხელა გოგო, ჩემი შვილის ტოლი, ქმარს თუ წამართმევდაო, თქვენ, ქართველებს, რატომ გგონიათ, რომ ჩვენზე დიდი სიყვარული და ერთგულება შეგიძლიათ, ქმარი შვილზე მეტადაც კი მიყვარს და ცოცხალი თავით არ დავთმობო...

თენგოს ცოლის წასვლის შემდეგ ჩემი მშობლები თავზარდაცემულები იყვნენ, ცოცხალმკვდარი ვიყავი, სიტყვის თქმაც არ შემეძლო. ბოლოს ისევ მამამ დაარღვია დუმილი: — მინდა გაგიგო და ალბათ გაგიგებ კიდეც, რადგან სიყვარულმა მართლა არ იცის ასაკი. იმასაც გაპატიებ, რომ ეს ამბავი დამიმალე, მაგრამ რას უშვრები ღირსებას, რომელიც ხშირად დიდ გრძნობაზედაც გვათქმევინებს უარს, ან იმ ქალს რას ერჩი, ხომ ხედავ, როგორ უყვარს ქმარი და ვინ მოგცა უფლება, ცოლ-ქმარს შორის ჩადგეო...

ხმას ვერ ვიღებდი. თავჩაღუნული ვიჯექი და ვტიროდი.

ეს ყველაფერი იმით დამთავრდა, რომ მამამ უარი უთხრა მეგობარს თანამშრომლობაზე და ჩვენთან სტუმრობაც აუკრძალა. საკუთარი თავი ვაიძულე, აღარ მეფიქრა თენგოზე. როცა ინსტიტუტში მომაკითხა, მტკიცედ ვუთხარი: ჩვენ ერთად არასოდეს ვიქნებით ბედნიერი, იმიტომ რომ, სხვის უბედურებაზე უნდა ავაგოთ ურთიერთობა-მეთქი.

თენგო ცოლთან ერთად გაემგზავრა რუსეთში.

და... რომ არ ველოდი, მაშინ გამოჩნდა.

ივლისის მიწურული იყო. ორ მეგობართან ერთად ბათუმში ვისვენებდი. ერთ საღამოს ბუნგალოში შევედით სასადილოდ. თვალმა მაშინვე დაინახა კუთხეში, მაგიდასთან მჯდომი მზემოკიდებული თენგო და ძალიან ლამაზი გოგონა. მივხვდი, მისი ქალიშვილი იყო. თენგო უმალ ჩემთან გაჩნდა. მაკოცა. მერე მე და ჩემი მეგობრები თავის მაგიდასთან მიგვიწვია, თავისი გოგონაც გაგვაცნო. თურმე ათი დღის ჩამოსულები იყვნენ და ოთხ დღეში უკან აპირებდნენ გაბრუნებას. ის დარჩენილი დღეები ერთად გავატარეთ...

გამგზავრების დღეც დადგა. ორივეს გვიჭირდა გამომშვიდობება. თენგომ მითხრა: სექტემბრის ბოლოს თბილისში ჩამოვდივარ და ძალიან გთხოვ, შეხვედრაზე უარი არ მითხრაო. თავი დავუქნიე მხოლოდ. მისი წასვლის მერე მოსვენება დავკარგე, ადგილს ვერ ვპოულობდი. ისე ნელა მიიზლაზნებოდა დრო, როგორც არასდროს. სექტემბერიც მიიწურა, ის კი არ ჩანდა.

ოქტომბრის დასაწყისში დამირეკა და მითხრა, თბილისში ვარო. ქაშუეთის ეკლესიასთან დავთქვით შეხვედრა. მთელი საათით ადრე გავეშურე პაემნის ადგილისკენ. ვიფიქრე, ნელ-ნელა გავუყვები გზას-მეთქი. უცებ ნაცნობი ხმა გავიგონე. შევტრიალდი და ელდანაკრავი გავშეშდი. თენგო ჩემ უკან იდგა...

იგი მაინც გაშორდა ცოლს. ჩვენ ჩუმად დავიწერეთ ჯვარი და მერე ვუთხარით ეს ამბავი მშობლებს. მამამ მხოლოდ ხელები გაშალა და თავი გადაიქნია...

ხელის მოწერას ორ კვირაში ვაპირებთ და პეტერბურგში წავალთ. ალბათ იქ მოგვიწევს ცოტა ხანს ცხოვრება, რადგან თენგომ თავისი საქმიანობა პეტერბურგში განაგრძო.

ვიცი, ჩვენი ახლობლები ერთ ამბავს ატეხენ, გაგვკილავენ (ალბათ მკითხველიც გამოთქვამს აზრს), მაგრამ გთხოვთ, მკაცრადაც ნუ განგვსჯით, ჩვენ გვიყვარს ერთმანეთი, ძალიან გვიყვარს...

***მარინა ბაბუნაშვილი***

## ჩვენ გვწერენ...

*რამდენიმე წერილი მივიღეთ და იმედია „ავტორები“ არ გაგვინაწყენდებიან, თუკი მცირედით შევამოკლებთ:*

„ძალიან მიყვარხართ და ყოველთვის მოუთმენლად ველით ორშაბათს.

წინა ნომერში უცნობი ჟურნალისტის ამბავი იყო მოთხრობილი, რომელიც კინაღამ ძმას გაჰყვა ცოლად. ჩემმა მეუღლემ (ისიც თქვენი ერთგული მკითხველია) მითხრა: ამგვარი ამბავი ჩვენს სამეზობლოშიც მოხდა, ადექი და მისწერე „კვირის პალიტრას“. გაიგოს ყველამ, რომ გასაიდუმლოებული ამბავი ბოლოს მაინც მჟღავნდებაო. სამწუხარო ისაა, რომ როგორც თქვენი რესპონდენტი ამბობს, ყოველთვის როდი მთავრდება ყველაფერი კარგად...

ბიჭს და გოგოს ერთმანეთი შეუყვარდათ. თურმე ბიჭი გოგონას ნახევარძმა იყო (მამით ერთნი). ბიჭის დედა კაცმა ადრე მიატოვა. ისინი ქუთაისში ერთად სწავლობდნენ. ქალი ქუთაისში დარჩა და ბიჭი გააჩინა. კაცი თავის რაიონში დაბრუნდა, დიდ თანამდებობას მიაღწია და ცოლი გვიან შეირთო. შეეძინათ ქალიშვილი. მერე, სრულიად შემთხვევით, თბილისში, უკვე გაზრდილმა შვილებმა ერთმანეთი გაიცნეს და შეუყვარდათ (ბიჭი დედის გვარზე იყო). გოგონას მამამ როცა გაიგო, რომ მისი შვილი ქუთაისელ ბიჭს უყვარდა, ქვა ააგდო და თავი შეუშვირა: ქუთაისელს არ გავაყოლებ ერთადერთ ქალიშვილსო (მისი ცოლ-შვილი დედაქალაქში ცხოვრობდა, თვითონ კი კვლავ რაიონში იყო, რადგან, როგორც გითხარით, კარგი თანამდებობა ეჭირა).

გოგონამ მაინც თავისი გაიტანა და ერთ მშვენიერ დღეს, შეყვარებულები გაიპარნენ. ერთი კვირის შემდეგ, როცა გოგონას მშობლებმა „შემოსარიგებელი“ სუფრა გაშალეს და სიძის ნათესავები მიიწვიეს, საშინელება დატრიალდა... ბიჭის დედას გული წაუვიდა, არანაკლებ შავ დღეში ჩავარდა გოგონას მამაც... ყველაფერი გამოაშკარავდა. ბიჭმა ისე განიცადა ეს ამბავი, თავის მოკვლა სცადა. ძლივს გადაარჩინეს. გოგონა რამდენიმე თვის მერე ძლივძლივობით გამოვიდა დეპრესიიდან...

მართალი გითხრათ, ბიჭის შემდგომი ამბავი აღარ გაგვიგია, გოგონას კი იმ ამბავმა საშინელი იარა დაუტოვა სულში და ოჯახის შექმნაზე აღარც უფიქრია. მას აღარ ჰყავს მშობლები, ახლა იგი მარტოხელაა, თუმცა, მარტოხელა მაინც არ ეთქმის, რადგან დიდი მადლი გააკეთა — უპატრონო ბავშვთა სახლიდან წლინახევრის გოგონა იშვილა და ზრდის.

აი, რამხელა ტრაგიკული შედეგი მოჰყვება გაუფრთხილებელ და წინდაუხედავ ნაბიჯს.

***თქვენი ერთგული მკითხველი, ლეილა მაჭარაშვილი, საჩხერე.“***

„ბევრი ამბავი გამოქვეყნებულა თქვენს გაზეთში დანგრეულ ოჯახებსა და მიტოვებულ ქალებზე. დიდი ხნის მანძილზე მჯეროდა, რომ ცოლ-ქმარს შორის ურთიერთობის გაცივებაში ორივეს, ქალსაც და კაცსაც მიუძღოდათ ბრალი, მაგრამ ასე არ ყოფილა...

ხუთ წელზე მეტია მარტო ვარ. ქმარს სიყვარულით გავყევი. მერე კი... ჩვენ შორის სხვა ჩადგა.

ვერ ვიკადრებ და სხვებივით ვერ დავიწყებ იმ ქალზე აუგის ლაპარაკს, ვისთანაც ახლა ჩემი ქმარყოფილი ცხოვრობს, მაგრამ ერთს ვიტყვი, დღემდე ვერ გამიგია, რატომ მანაცვალა ჩემი შვილების მამამ იმას, ვისაც ორი ქმარი ჰყავდა და ვერც ერთს ვერ შეეწყო. მე ხომ მისთვის არც სიყვარული, არც სითბო და მზრუნველობა არ მომიკლია?

ზოგი ქალი ქმარს ღალატზე ღალატით უხდის სამაგიეროს. პირველ ხანებში მეც ძალიან გამწარებული ვიყავი და ვფიქრობდი, რომ შური ასეთი „სახით“ მეძია მასზე, მაგრამ ბოლოს მივხვდი, რომ უსიყვარულოდ ვერავისთან გავიყოფდი სარეცელს. სიყვარულით კი მხოლოდ ის ერთი, ჩემი შვილების მამა მიყვარდა...

თუ ეს ამბავი დაგაინტერესებთ, შემიძლია უფრო დაწვრილებითაც გადაგიშალოთ გული... იქნებ ცოტათი მომეშვას გულზე და დარდიც გამინელდეს...

***უცნობი, თბილისი“***

# უბრალოდ ცეკვას კი არა, ცეკვით საუბარს ვითხოვდი...

*ამას წინათ, ერთმა ძალიან ცნობილმა მოცეკვავემ მითხრა, ცეკვა უბრალოდ ხელოვნება კი არა, სიყვარულის ახსნის ერთ-ერთი ხერხიაო და რამდენიმე ქვეყნის ეროვნული ცეკვის ფსიქოლოგია ისე ამიხსნა, რომ გული დამწყდა, ზოგიერთი მათგანი და მათ შორის, მშობლიური ქართული ცეკვაც რომ ხეირიანად არ ვიცი. სხვათა შორის, ძველ ინდურ ფილოსოფიურ-ფსიქოლოგიურ ტრაქტატში „კამა სუტრა“ (სიყვარულის ხელოვნება), ბევრ სხვა მნიშვნელოვან ცოდნასთან ერთად ქალის აუცილებელ მოვალეობად ითვლება ფლობდეს ცეკვის ხელოვნებას და შეიძლება ითქვას, რომ სიყვარულის თამამად ახსნის თვალსაზრისით, ინდური ცეკვა მართლაც უბადლოა. შემიძლია ათასჯერ ვნახო შესანიშნავი ამერიკული ფილმი „ქალის სურნელი“, სადაც გენიალური ალ პაჩინო ისე ფანტასტიკურად ცეკვავს ლამაზმანთან ერთად ტანგოს, რომ მაყურებელს ცეცხლი ედება, რაღა დაგიმალოთ და მეც ძალიან მინდება ცეკვა, თუმცა, ეს სულაც არ ნიშნავს იმას, რომ იმ დროს ვინმესთვის სიყვარულის ახსნის გუნებაზე ვარ. ვფიქრობ, ცეკვა ახალისებს სიცოცხლეს...*

*...შეიძლება თუ არა ცეკვის დროს უცნაური თავგადასავლები გადაგხდეს?*

**რუსკა (24 წლის):** — ბავშვობიდან დავდიოდი ქართული ცეკვების სტუდიაში. კარგადაც ვცეკვავ. თუმცა, რასაც მოგვიანებით მივხვდი ცეკვასთან დაკავშირებით, იმას ბავშვობაში ნამდვილად ვერ ვაცნობიერებდი. 20 წლის ვიყავი, ერთი ბიჭი რომ მომეწონა, ხშირად სუფრასთან, დისკოთეკებზე გვიწევდა ერთად ყოფნა. მე ვცეკვავდი და ყოველთვის ისეთი განცდა მქონდა, რომ რაღაც სპორტულ ილეთს ვასრულებდი, მაგრამ როცა იმ ბიჭთან ერთად ვცეკვავდი ქართულს და აჭარულს, მივხვდი, რომ მაშინ მარტო მოცეკვავე არ ვიყავი და პარტნიორისაგანაც საცეკვაო ილეთების უბრალოდ შესრულებას კი არა, ცეკვით საუბარს ვითხოვდი. ჩვენი „საუბარი“ შედგა და მოგვიანებით როცა სიტყვებით გამომიტყდა სიყვარულში, მითხრა, იმიტომ გავბედე გრძნობის გამხელა, მჯერა, შენც გიყვარვარ, შენ ისე ცეკვავ ჩემთან, ისე მიწვევ, რომ თავბრუს მახვევო. წარმოგიდგენიათ? ქართული ცეკვა, თანაც ქალის პარტია, უნაზესი, კდემამოსილი, მორცხვი — თავბრუს ახვევს კაცს. ჯერ ბოლომდე ვერ დავახვიე თავბრუ იმ კაცს, ვატყობ, სხვა ცეკვების შეშველებაც დამჭირდება, რომ მითხრას — მოვრჩეთ ახლა მხოლოდ ცეკვასო...



**თაკო (29 წლის):** — შარშან ახალ წელს მეგობრებთან ერთად რესტორანში შევხვდი. მე დიდი მხიარული და ტაშფანდურა ვინმე ვარ. ორ ჭიქა ღვინოს რომ დავლევ, მერე ველარ მაჩერებენ სუფრასთან, სულ ვცეკვავ და ვცეკვავ. მოკლედ, ისე „გავუბერე“, რომ ლამის იმ საღამოს მოვლენად ვიქეცი, თანაც ამას ერთმა ამბავმაც შეუწყო ხელი — უცებ ბოლეროს ფანტასტიკური ჰანგები ახმიანდა და ისევ ამიტანა ცეკვის ჟინმა, მაგრამ ჩემი მეგობრებიდან პარტნიორობას ვერავინ გამიწევდა, მე კიდევ მარტო ხომ არ ვიცეკვებდი? ამიტომაც ადგილზე დავიწყე ცქმუტვა და უცებ მომესმა „იქნებ გვეცეკვა“. „დაცემა“ ბიჭი მიღიმოდა. კი მაგრამ, ეს ბოლეროა-მეთქი, ირონიულად ვუთხარი. რას ვიფიქრებდი, ის შეჩვენებული თუ იყო მუსიკის შემკვეთი. „მუსიკა ჩვენ გველის“ — ისე მითხრა, თვალის დახამხამებაში საცეკვაო მოედანზე ვიდექი. ცეცხლს ვაკვესებდით ორივე. ვცეკვავდი და ვფიქრობდი, „დედა რა კაცია ეს შეჩვენებული-მეთქი“. თანაც ისე უელავდა თვალები, სულ გადამრია. ბოლოსკენ რომ წავიდა მუსიკა, ხელი აუქნია მუსიკოსებს, განაგრძეთო. სხეული თითქოს ხელიდან მეცლებოდა და რაღაც უხილავი ძალა მმართავდა. როგორც იყო, დამთავრდა სიგიჟე, ის გადარეული ტუჩებში ისე „დამაკვდა“, რომ წინააღმდეგობის გაწევის თავიც აღარ მქონდა. ერთი გენახათ ტაში და ჩემი სახე. ჩემი პარტნიორი კი სადღაც გაქრა...

**ლუკა (32 წლის):** — სამწუხაროდ, არ ვიცი ცეკვა. ზოგჯერ რაღაც ვალსისმაგვარს ვახერხებ... ქართული ცეკვა მართლა სიყვარულის ასახსნელად არის გაჩენილი. თუ „პროსტო გევასება“ და ჩახუტება გინდა, ბრაზილიური ცეკვით უნდა უთხრა ქალს სათქმელი. დარწმუნებული ვარ, უარს ვერ გეტყვის. ისე, ჩემმა ძმაკაცმა მითხრა, მსგავს შემთხვევაში ბევრს თუ იცეკვებ გოგოსთან, მერე შეიძლება აღარც მიგიზიდოსო. მე კი მგონია, თუ გიყვარს ქალი, ცეკვა უფრო დააახლოებს მასთან. მაგრამ თუ არ გიყვარს, მაშინ შეიძლება დაიღალო, ვნებებისაგან დაიცალო. ამიტომ, თავისუფალი სექსის პროპაგანდას სჯობს ცეკვების აქტიური პროპაგანდა მიდიოდეს. ასე კაცობაც იქნება, ქალობაც და მგონი, ყველას ზუსტად ეცოდინება, რა უნდათ.

***ეკა ლომიძე***

# თმის გაუფერულების ბუნებრივი საშუალებები



**1.** 0,5 ლ წყალში ჩაყარეთ 24 ცალი გვირილის ყვავილი და 3 წუთი ადუღეთ. გააჩერეთ 1 საათი და კარგად გაწურეთ. ნახარში გადაივლეთ თმის დაბანის შემდეგ. თმა დაიწყებს არა მარტო ბრწყინვას, არამედ ოქროსფერი გახდება.

**2.** თუ ჯანმრთელი თმა გაქვთ, დაბანის შემდეგ ყოველთვის გადაივლეთ ლიმონის წვენგარეული წყალი. ეს პროცედურა უკეთესია ზამთარში ჩაიტაროთ, რადგან ზაფხულში თმა ვერ იტანს მზის სხივებსა და ლიმონის წვენს. ამ დროს თმა უხეშდება, შრება და მსხვრევადი ხდება.

**3.** ერთ მუჭა ცაცხვის ყვავილს დაასხით 1 ლ წყალი და 30 წთ ადუღეთ. გაწურეთ და გააცივეთ ნახარში. შეიზილეთ თმაში, როგორც ლოსიონი; ამ პროცედურის სისტემატურად ჩატარების შემდეგ თმა დაიწყებს ბრწყინვას და შეწყდება ცვენა.

# სკანვორდი ფრაგმენტებით






პატარა კაზი

ღმერთთა მეფე და მამა ეგვიპტურ მითოლოგ.

შტრაუსის მშობლიური ქალაქი

რეპუტაცია

რუსული ლუდი

დათვის „ხელი"

1000 კგ

ბრტყლად შემწვარი წიწილა

ტოლსტოის რომანი „... კარენინა"

ციცერონი განთქმული იყო როგორც...

ასკორბინის მჟავა ანუ ვიტამინი ...

ბრიჯიტ ბარდოს მეტსახელი

გერმანული სამოდელო ფირმა

გამოგონილი, ტყუილი ამბავი (ჟარგ.)

კომისარ მეგრეს „მამა"

ქუთაისი ძველად

მსოფ. ცივილ. ერთ-ერთი ცენტრი ინდოეთში

რეინის მარჯვენა შენაკადი

ისლამის რელიგიური ცენტრი

ანგოლის დედაქალაქი

კედლის შანდალი

„დინამო"-„კარლცეისი" (მსაჯი)

ღამის ფრინველი

მუსიკალური გამის მეორე ბგერა

ჟ. ვერნი „20000 ... წყლის ქვეშ"

... მორჩილაძე

„ლივერპულის" მწვრთნელი

მამბოს „მეფე" ...მეგა

დიდი მტაცებელი ფრინველი



რაიონული ცენტრი საქართველოში

ქართველი მევიოლინე ... ისაკაძე

მეტყველების ორგანო

ჯენიფერ ლოპესი – ჯეი ...

კომში

მუამარ კადაფის ქვეყანა

არტემიდეს ტაძრის ადგილმდებარეობა

იტალიელი მოგზაური ... პოლო

ყალმუხეთის დედაქალაქი

გერმანული ავტომობილი

უკრაინის პარლამ.

იაპონელი მწერალი

იმპრესიონიზმის ფუძემდებელი

მალის დედაქალაქი

„ბაიერის" მეკარე

ცნობილი კომიკოსი მსახიობის სახელი

დედამიწის შემცირებული ნახაზი

ფრანგული ჯიშის ვაზი

შესაძლო შედეგი თამაშში

რიშელიეს აშენებული სასახლე ...-როიალი

ყველაზე დაბალი რეგისტრის ჩასაბერი საკრავი

ცნობილი კუბიკის გამომგონ. სახელი

კურორტი სოჭი რუსებისთვის

ტბა თბილისში

ისტორიის მუზა

ქეთო–მედეა კოტე–...

მსუბუქი ძილი

სკარლეტ ოჰარა (მსახიობი)

ფუტკრის სახლი



პოლონ. ფერმწერი

ვუდი ალენის ყოფილი ცოლი ... ფეროუ

იგივეა რაც ბავშვი

მაყურებლის ადგილი თეატრში

სექტემბერი – ... თვე

მოხარშული ძეხვის სახეობა

გაფუჭებული კვერცხი

ბოშათა თვითსახელწოდება

„და ... მუსიკა"

...–ფშაველა

მწკლარტე ნაყოფის მქონე ხე



**წინა სკანვორდის პასუხები:** 1. ჯარა; 2. ამადუ; 3. მარილი; 4. ნერგი; 5. ემა; 6. რუ; 7. ილი; 8. ჭა; 9. აია; 10. ცუნი; 11. აგა; 12. ვაკე; 13. ნიკ; 14. უი; 15. ვიზა; 16. არაუ; 17. რიგა; 18. გომური; 19. „რონინი"; 20. რენი; 21. კუ; 22. არკა; 23. რაუ; 24. დუმა; 25. სინა; 26. ხოსე; 27. სია; 28. რაგუ; 29. გემა; 30. სანტა; 31. ტირანია; 32. შიო; 33. ასო; 34. მოლ; 35. სოდა; 36. მერხი; 37. მაი; 38. ლი; 39. შობა; 40. ნიუ; 41. იოანე; 42. ელიბო; 43. აფრა; 44. ბის; 45. დოლი; 46. ვო; 47. ჩანთა; 48. ფურნე; 49. უთო; 50. ბელი; 51. გო; 52. ველი; 53. ლუი; 54. ლივ; 55. ბლიცი; 56. სვასტიკა; 57. სმა; 58. ბონდო; 59. ინგა; 60. „ნინო"; 61. დო; 62. ყომარი; 63. დიქცია; 64. ნოა; 65. რატი; 66. ქცია; 67. კურანტი.

1. ჯანდაცვის სამინისტროს გაფრთხილების მიუხედავად; 2. ადგილი ჭკუით უნდა შეარჩიოთ; 3. აფრენის მოლოდინში; 4. დატყვევებული ვირუსი; 5. აბბა.

**პასუხები მოცემულია სკანვორდში კითხვების განლაგების მიხედვით, თანმიმდევრობით, მარცხნიდან მარჯვნივ.**

**ქვედა ხაზზე მოცემულია ფოტოების პასუხები.**

**შეადგინა რამაზ ალანია**

## მაიას და სტეფანეს ჯვრისწერას 8-10 კაცი დაესწრება...

**— გავიგე, რომ მაია დარსმელიძეს და სტეფანეს ჯვრისწერა განუზრახავთ, რომ თურმე ისინი 3 წელია ერთად არიან, ეს ამბავი კი გასაიდუმლოებული ყოფილა. რაში დასჭირდათ ამის დამალვა შეყვარებულებს. როდის და სად აპირებენ დაქორწინებას. გადაიხდიან თუ არა ტრადიციულ ქორწილს?.. — ერთი სიტყვით, ყველაფერი გვაინტერესებს.**

***თიკა გვენეტაძე***



კითხვაზე უპასუხებს **მაია დარსმელიძე.**

— საზოგადოებისთვის ჩვენი გრძნობების შესახებ ხმამაღლა ნამდვილად არ გაგვიცხადებია, თუმცა ამას თავისი მიზეზები ჰქონდა. უბრალოდ, არ გვინდოდა პირად ცხოვრებაზე ხმამაღლა ლაპარაკი მანამ, სანამ თავად არ გავერკვეოდით ჩვენს ურთიერთობებში. მე და სტეფანე ერთმანეთს დიდი ხანია ვიცნობთ. სამი წელია, რაც ერთმანეთი გვიყვარს და ერთად ვართ... ვფიქრობთ, ახლა უკვე დადგა დრო, როცა დავრწმუნდით, რომ ჯვარი უნდა დავიწეროთ... მაგრამ როდის, ეს ჯერ არ ვიცით. ორივენი ვთვლით, რომ საკმაოდ სპონტანური ხასიათი გვაქვს — შეიძლება ხვალაც ვიქორწინოთ და შეიძლება რამდენიმე თვის შემდეგ. ისე წელიწადის დროებიდან ასეთი დღესასწაულისთვის უპირატესობას შემოდგომას ვანიჭებ, რომელიც თითქმის გაილია... რაც შეეხება ქორწილს, მას შოუდ ნამდვილად არ ვაქცევთ. 8-10 კაცით მივალთ ტაძარში და სულ ეს იქნება. სამოქალაქო ქორწინებაზე არც გვიფიქრია, ჩემთვის და სტეფანესთვის მთავარია, რომ ჯვარდაწერილნი ვიქნებით.

## სიტყვათა კონა

**დუგლუგი** — იგივეა, რაც კონდახი.

**დუდკო** — ფრჩხილის ქვეშ ინფექციის შეჭრით გამოწვეული თითის ანთება და დაჩირქება.

**დუდლუბო** — დაბალი მრავალწლოვანი ბალახი.

**დუთმა**: დუთმა ნესვი — ყვითელი ფერის ნესვი ერთგვარი, აქვს ხეშეში კანი, ნაზი, ტკბილი გემო.

**დუნდგო** (ძვ.) — ადამიანთა ბრბო.

**დურაკი** — ძველად გამოსაწვავ ჭურჭელსა და კასრს უწოდებდნენ.

**დურალი** — ავადმყოფობა, რომელიც ზამთარში დამზრალ ცხვარს (საქონელს) ზაფხულში გამოაჩნდება (დახეთქილი ფეხებიდან ჩირქი და სისხლი სდის).

**დურაყი** — ერთი წლის ჯიხვი (საბა).

**დურდო** — 1. ღვინის დანალექი. 2. წამხდარი ყურძენი (საბა); 3. დაჭყლეტილი ყურძნის მასა.

**დუქარდი** (სპარს.) — დიდი მაკრატელი ცხვრის საპარსად.

**დუყი** — ახლად გამოტანილი ყლორტი (ჩვეულებრივ ჩაის ბუჩქისა).

**დუშაყი** — ცხენის ფეხების დასაბორკი თოკი ან ბორკილი.

**დღლუ** — თხელი, არამკვრივი (ცომისებური მასა.)

## ვულკანები, ვულკანები...

**— ვულკანების შესახებ იშვიათად წერენ. იმედი გვაქვს, „ანიდან ჰოემდე“ მსოფლიოში მოქმედ და ჩამქრალ ვულკანთა შესახებაც მოგვითხრობს: რომელია მათ შორის ყველაზე დიდი, ყველაზე მაღალი, ყველაზე აქტიური და ა.შ.**

***ზაზა ფერაძე***



— ვულკანურ ამოფრქვევათა შორის ყველაზე მასიური ახალ ზელანდიაში, „ტაუპრის“ ამოფრქვევა იყო. მეცნიერული მონაცემებით, ამოიფრქვა 30 მილიარდი ტონა ქანი. ამოფრქვევის სიჩქარე შეადგენდა 700კმ/სთ-ს. ლავამ უზარმაზარი ტერიტორია — 16 000 კვადრატული მეტრი დაფარა.

ლავის ყველაზე გრძელი დინება დაფიქსირდა 1783 წელს სამხრეთ-დასავლეთ ისლანდიაში ვულკან „ლააკის“ ამოფრქვევისას. გავარვარებული მასა 65-70 კმ-ზე მიედინებოდა.

აშშ-ში, ჰავაიზე მდებარე ვულკანი „კილააუზა“ ყველაზე აქტიურია მსოფლიოში. ყოველ წამში იგი 5 კვადრატულ მეტრ ლავას ამოაფრქვევს.

ჰავაიზე მდებარეობს მოქმედ ვულკანთა შორის ყველაზე დიდი — „მაუნა-ლია“. მისი სიმაღლე 4 170 მ-ს შეადგენს, სიგრძე 120 კმ-ს, ხოლო სიგანე 50 კმ-ს. 1843-იდან 1984 წლამდე „მაუნა-ლია“ იფრქვეოდა საშუალოდ 4-5-ჯერ წელიწადში. ყველაზე მაღალ ვულკანად ითვლება ჩამქრალი „აკონკაგუა“, რომლის მწვერვალი თოვლითაა დაფარული. იგი მდებარეობს ანდებში, არგენტინის ტერიტორიაზე. მისი სიმაღლეა 6 690 მ.

ყველაზე ახალგაზრდაა ვულკანური კუნძული „ტონგა“, რომელიც ჰააპაის კუნძულების ჯგუფში შედის. კუნძულზე ვულკანური აქტივობის ნიშნები 1955 წლის 6 ივნისს შენიშნეს და ეს თარიღი ითვლება მის დაბადების დღედ. ამ კუნძულის ფართობი მხოლოდ 5 ჰა-ს შეადგენს.

## ინდოეთში კიტრი ლიანებივით იზრდება...

**— მამაჩემი ჩინეთში გახლდათ ამ ზაფხულს. იგი ხშირად გვეხუმრება და გვატყუებს ხოლმე. იქიდან ჩამოსულმა უცნაური კიტრის შესახებ მოგვითხრო, იქ ზოგიერთი ჯიში ერთ მეტრსაც კი აღემატება სიგრძეში და 15-20 კილოგრამს იწონისო. ეს რომ მეგობრებს მოვუყევით, დაგვცინეს. იქნებ თქვენმა გაზეთმა გაგვიწიოს დახმარება და გვითხრათ სიმართლე.**

***აკო და ნინი ბერიძეები***

— კიტრის სამშობლო ჩრდილო-დასავლეთი ინდოეთია. აქ ველური კიტრი ტყეში იზრდება და ლიანების მსგავსად ხეზეა შემოხვეული. ჩინეთსა და იაპონიაში კიტრის სიგრძე 1,5 მეტრამდეც კი აღწევს. ასე რომ, მამათქვენი სულაც არ ხუმრობს და როგორც თავად აღნიშნეთ, ეს მისი მორიგი ფანდი არ გახლავთ. 1989 წელს დაფიქსირდა შემთხვევა, როდესაც ავსტრალიელმა ელინ ჩაპელმა 30 კილოგრამიანი კიტრი წარუდგინა საზოგადოებას და გინესის რეკორდების წიგნშიც მოხვდა.

## სიტყვა «ხოლოკოსტი» კაცობრიობის წინაშე ჩადენილი დანაშაულის სინონიმია

**— რას ნიშნავს სიტყვა „ხოლოკოსტი“? მას ხშირად ხმარობენ ებრაელი ერის მიმართ. „კვირის პალიტრას“ იმიტომ მოვმართე, რომ ვერც ერთ ლექსიკონში ვერ შევძელი ამ სიტყვის განმარტების მოძიება.**

***დავით ნიკურაძე***



— სიტყვის ფუძე ბერძნული „ხოლოკოსტიდან“ მოდის. ეს ტერმინი ჯერ კიდევ ძველმა ბერძნებმა ებრაული თორას თარგმნისას გადმოიტანეს. ივრითულად იგი შემდეგნაირად ჟღერს — „შია“, რაც ნიშნავს რელიგიური ცეცხლშეწირვის რიტუალის შესრულებას ტაძარში. ამ რიტუალისას აუცილებელი იყო, რომ მსხვერპლი ბოლომდე დამწვარიყო. მოგვიანებით ამ სიტყვამ სხვა მნიშვნელობაც შეიძინა. სიონისტები მას ნაცისტების მიერ ებრაელების მასობრივი განადგურების აღმნიშვნელ სიტყვად ხმარობენ. ის ებრაელები კი, რომლებიც ნაცისტების გენოციდს გადაურჩნენ, ამ ტერმინს კაცობრიობის წინაშე დანაშაულის სინონიმად იყენებენ.

## ქართველებმა რეკორდი მოხსნეს

**— შევიდა თუ არა გინესის რეკორდების წიგნში ჩვენი თანამემამულე (სახელი და გვარი არ მახსოვს), რომელმაც ყურებით გადააადგილა მანქანა?**

***ვახტანგ ჯანეზაშვილი***



დიმიტრი ქინქლაძე



ლაშა პატარაია

კითხვაზე უპასუხებს **გვანჯი მანია,** საქართველოს მსოფლიო მიღწევათა და მოგზაურობათა ხელშეწყობის კავშირის (კლუბი „გიორგი“) თავმჯდომარე.

— თავისთავად ეს რეკორდი მართლაც საინტერესოა. ლაშა პატარაია ფალავანი და მძლეოსანი გახლავთ. იგი 23 წლისაა. ლაშამ 2003 წლის 29 ოქტომბერს თბილისში, რიყეზე ორი მსოფლიო რეკორდი (გინესის) დაამყარა: ყურეზე ჩამარყუჟებული თოკით ადგილიდან ასწია 52,5 კგ-იანი სიმძიმე და გააჩერა 19.9 წამი (წინა რეკორდი დამყარებულია ჩინელის მიერ 50 კგ და 9.3 წამი). 20 წუთის შემდეგ კი ლაშამ ახალი რეკორდი დაამყარა — ყურებით ადგილიდან დაძრა და 48 მეტრსა და 60 სმ-ზე გადააადგილა 2 350 კგ-იანი მიკროავტობუსი „ფორდი“. ამ რეკორდს, მას მსოფლიოში ანალოგი არა აქვს. აღნიშნული რეკორდები განეკუთვნება „ეგზოტიკურ“ სახეობებს. მსოფლიოში პირველი განაცხადი ამ სახეობაში (ყურებით სიმძიმის აწევა და გადაქაჩვა) გააკეთა ქართველმა დიმიტრი ქინქლაძემ 1997 წელს. მან ყურებით ასწია და 10 წუთი შეაყოვნა სამფუთიანი გირი (48 კგ). 2000 წელს გინესის წიგნში ორგზის აღინიშნა მისი მიღწევა. შემდეგ ეს რეკორდი გააუმჯობესა ჩინელმა მძლეოსანმა, ხოლო მისი მიღწევა — ლაშა პატარაიამ. გინესის წიგნში ჯერ ეს რეკორდი დაფიქსირებული არ არის და ვერც იქნება, რადგანაც ნებისმიერ მსოფლიო რეკორდს ამ წიგნში მოხვედრამდე სპეციალური კომისია სწავლობს. გინესის წიგნის გამომცემლობა ამჟამად განიცდის რეორგანიზაციას. განაცხადი რეკორდზე და სრული ფოტომასალა უკვე გადაგზავნილია და ველოდებით გამოხმაურებას.

## რა ღირს ავტომანქანების ტექდათვალიერება?

*ვინაიდან ჩვენი გაზეთის მკითხველები ძალზე ხშირად გვეკითხებიან ამა თუ იმ ავტომობილის ტექდათვალიერებაში კანონით რა თანხის გადახდა ეკუთვნით, გადავწყვიტეთ ყველასთვის ერთდროულად გაგვეცა პასუხი. ინფორმაცია მოგვაწოდა საქართველოს საგზაო ინსპექციის პრესსამსახურმა.*

საგადასახადო კოდექსის 161-ე მუხლით, გადასახადის განაკვეთები გამოიანგარიშება სატრანსპორტო საშუალებათა ტვირთამწეობის მიხედვით.

**I. საგზაო ფონდის გადასახადი: მსუბუქი ავტომობილისათვის** — 5 ლარი; **სატვირთო ავტომობილისათვის**, რომლის ტვირთამწეობაა **3 ტონამდე** — 10 ლარი; **3-დან 10 ტონამდე** — 50 ლარი; **10-დან 20 ტონამდე** — 80 ლარი; **20 ტონაზე მეტი** ტვირთამწეობით — 100 ლარი. **ავტობუსები: 12 ადგილამდე** — 50 ლარი; **13-დან 30 ადგილამდე** — 70 ლარი; **30-ზე მეტი ადგილით** — 100 ლარი.

**II. სამოქალაქო პასუხისმგებლობის სავალდებულო დაზღვევის გადასახადი:** გადასახადი გაანგარიშებულია მსუბუქი ავტომანქანებისათვის ძრავის მოცულობის (კუბურ სანტიმეტრში) მიხედვით სადაზღვევო თანხის — 3 750 ლარის პროცენტები:

**1200-მდე კუბური სმ** ძრავის მქონე ავტომანქანისათვის — 0,3% — 11,25 ლარი;

**1201-1800-მდე** — 0,4% — 15,0 ლარი;

**1801-2200-მდე** — 0,5% — 18,75 ლარი

**2201-2500-მდე** — 0,6% — 22,5 ლარი;

**2500-ზე მეტი** — 0,7% — 26,25 ლარი.

შენიშვნა: ტაქსებისა და გასაქირავებელი ავტოტრანსპორტის მფლობელები იხდიან გაორმაგებულ თანხას.

ავტობუსზე სავალდებულო დაზღვევის გადასახადი განისაზღვრება მგზავრთა დასაჯდომი ადგილის მიხედვით:

**25-ადგილიანი** — 0,7% — 26,25 ლარი; **25-ზე მეტი ადგილით** — 0,9% — 33,75 ლარი; **ტრამვაი-ტროლეიბუსები** — 0,7% — 26,25 ლარი.

სატვირთო ავტომანქანებისათვის ტვირთამწეობის მიხედვით:

**2 ტონამდე ტვირთამწეობის** — 0,9% — 33,75 ლარი;

**2 ტონაზე მეტი** — 1,2% — 45,0 ლარი;

**მისაბმელიანი და ნახევარმისაბმელიანი** — 1,1% — 41,25 ლარი;

**დამატებით მისაბმელზე** — 0,2% — 7,5 ლარი;

**მოტოციკლზე** — 0,2% — 7,5 ლარი;

**სხვა ავტომობილებზე** — 1,2% — 45,0 ლარი.

**III. ავტოსატრანსპორტო საშუალებების გამონაბოლქვის, ანთებისა და კვების სისტემის შემოწმებისთვის გადასახადი** შეადგენს 5 ლარს.

შენიშვნა: თუ გამონაბოლქვი მავნე აირების რაოდენობა დასაშვებ ნორმაზე მეტია, ავტომფლობელთან შეთანხმებით ეკოლოგი-ოპერატორის მიერ ხდება მისი დარეგულირება, რისთვისაც დამატებით გადასახდელია 3 ლარი.

**IV. დიაგნოსტიკური შემოწმება** — აქ გადასახდელი თანხა მერყეობს 7-დან 13 ლარამდე:

**მსუბუქი ავტომანქანებისათვის** — 7 ლარი;

**ავტობუსებისთვის, 25-მდე ადგილით** — 10 ლარი;

**25 და მეტი ადგილით** — 13 ლარი.

სატვირთო ავტომანქანებისათვის:

**2 ტონამდე ტვირთამწეობის** ავტომანქანებისათვის — 10 ლარი;

**2 ტონაზე მეტი ტვირთამწეობის** — 13 ლარი.

**V. ავტოსატრანსპორტო საშუალებების ტექნიკური დათვალიერების გავლის დამადასტურებელია საქარე მინაზე გასაკრავი ფირნიშანი და ტექნიკურ პასპორტში ჩასაკრავი კლიფსი,** რომელთა საერთო ღირებულება 1 ლარია და რომელთაც გასცემს იმ რაიონის ავტოინსპექციის წარმომადგენელი, სადაც ტექდათვალიერებაგავლილი სატრანსპორტო საშუალებაა აღრიცხვაზე.

***რუბრიკა მოამზადა რუსუდან ჟორჟოლიანმა***

**ძვირფასო მკითხველო, „ანიდან ჰოემდე“ ეცდება თქვენი შეკითხვები უპასუხოდ არ დატოვოს, და ყველა მათგანზე კომპეტენტური პასუხი გასცეს...**

CMYK

# მედიცინა

## შეკითხვა ექიმს

*ძვირფასო მკითხველო! რედაქციაში უამრავი წერილი მოდის, რისთვისაც ულრმეს მადლობას მოგახსენებთ — ჩვენი რუბრიკის და მთლიანად გაზეთის მასულდგმულებელი ხომ თქვენი გამოხმაურება და თანადგომაა. რაც შეეხება თქვენს შეკითხვებს, გვერწმუნეთ, თითოეულ მათგანს დიდი გულისყურით ვეცნობით და მასზე პასუხს უსათუოდ მიიღებთ, მაგრამ რადგან შეკითხვების რიცხვი საკმაოდ დიდია, ნუ დაგვემდურებით, თუ პასუხის ლოდინი გიწევთ.*

**ყოველთვის ხომ არ აფერხებს ბავშვის ზრდას ჰორმონთა ნაკლებობა და შეიძლება თუ არა, რომ ზრდის სტიმულირებაში არ დაგვეხმაროს ჰორმონალური პრეპარატები?**

***ერთგული მკითხველი ლ. სხულუხია***

ზრდის შეფერხების მიზეზი მრავალგვარია. ერთ-ერთი მათგანია ზრდის ჰორმონის ნაკლებობა. მაგრამ შეიძლება იყოს ქრომოსომული გენეტიკური დაავადებაც, რომელიც ზრდის შეფერხებით ხასიათდება (საკმაოდ ხშირია), აგრეთვე ფარისებრი ჯირკვლის ფუნქციის ნაკლებობა, ზრდის შეფერხების კონსტიტუციური ოჯახური ფორმები. დაბალი სიმაღლე შეიძლება ჰქონდეთ სხვა მძიმე დაავადების (თირკმლების, ღვიძლის, ქრონიკული პნევმონიის) მქონე ბავშვებს. აგრეთვე ბავშვებს, რომლებსაც აქვთ სხვადასხვა ლოკალიზაციის (განსაკუთრებით თავის ტვინის) სიმსივნე. მკურნალობის მიზნით გლუკოკორტიკოიდების დიდი დოზებით დანიშვნა, ქონდროდისტროფია, ძვლების თანდაყოლილი მსხვრევადობა, სახსრების დაავადებები — ყოველივე ეს შეიძლება გახდეს ზრდის შეფერხების მიზეზი.

რაც შეეხება ჰორმონული თერაპიით სარგებლიანობას, არსებობს დაავადება — ლარონის სინდრომი, რომლის დროსაც ადამიანს ჭარბად გამოუმუშავდება ზრდის ჰორმონი, მაგრამ რატომღაც იგი ვერ ავლენს ზრდის ეფექტს. ასეთ შემთხვევაში ზრდის ჰორმონის დამატებითი დოზის შეყვანა არაეფექტიანია.

საერთოდ კი დღეს, მთელ მსოფლიოში სიმაღლის ნებისმიერი შეფერხების დროს არის ტენდენცია, რომ დაინიშნოს ზრდის ჰორმონები. ავსტრალიასა და ინგლისში ზრდის შეფერხებისას ნიშნავენ ზრდის ჰორმონის მოკლე კურსებს (6 თვით ან 1 წლით), რომელიც აძლევს ბიძგს ზრდის სტიმულირებას, შემდგომ კი ადამიანი თავისით იზრდება. ასეთი პრეპარატები საკმაოდ ძვირად ღირებულია და ბევრ ქვეყანაში ასეთ პროგრამებს სახელმწიფო აფინანსებს.

**მაქვს მაღალი წნევა. მაინტერესებს, რით განსხვავდება ერთმანეთისაგან „არტერიული ჰიპერტონია“ და „არტერიული ჰიპერტენზია“?**

***ერთგული მკითხველი***

ძალიან ხშირად ამ ორი ტერმინის არსი ერთმანეთს ემთხვევა, თუმცა პირველი აღნიშნავს სისხლძარღვთა (დაჭიმულობის) მომატებას, მეორე კი არტერიული წნევის (სისხლძარღვთა კედლებზე სისხლის წნევის) მატებას. თუ თქვენს დაავადებაზე ვისაუბრებთ, ტერმინი „არტერიული ჰიპერტენზია“ უფრო მართებულია, რადგან სისხლის წნევამ შეიძლება მოიმატოს მაშინაც კი, როდესაც სისხლძარღვთა ტონუსი შეუცვლელი ან დაქვეითებულიც კია.

ჯანდაცვის მსოფლიო ორგანიზაციამ განსაზღვრა, რომ არტერიულ ჰიპერტენზიად ითვლება არტერიული წნევის მატება 140/90მმ ვწყ. სვ-ზე მეტად. ეს დაავადება აუცილებელ მკურნალობას საჭიროებს, რადგან გამუდმებულად მომატებულმა არტერიულმა წნევამ შეიძლება გამოიწვიოს ისეთი გართულებები, როგორიცაა გულის ან თირკმლის უკმარისობა, ინსულტი, გულის იშემიური დაავადება, მხედველობის გაუარესება, ინფარქტი.

***მოამზადა თამარ მამაცაშვილმა***

## მკითხველი — მკითხველს

მინდა ვთხოვო თქვენს მკითხველებს, თუ იციან სახის კანის გამაახალგაზრდავებელი ბუნებრივი ეფექტიანი საშუალებები, გამიზიარონ გამოცდილება. ასაკი მემატება და ძალიან განვიცდი კანის ცვლილებებს. წინასწარ გიხდით მადლობას გულისხმიერებისათვის.

***ა.ლ***

*ძვირფასო მკითხველო! რედაქციაში უამრავი შეკითხვა მოდის. ყველა მათგანს ჩვენი რუბრიკა ვერ დაიტევს. ამიტომ გადავწყვიტეთ ზოგიერთზე პასუხი „კვირის პალიტრის“ დამატებაში — სამედიცინო ჟურნალ „ოჯახის მკურნალში“ მოგაწოდოთ. ჟურნალმა უკვე შეიძინა უამრავი მკითხველი და საკმაოდ ფართო გამოხმაურებაც ჰპოვა საზოგადოებაში. გავითვალისწინეთ მკითხველის ინტერესები და უფრო მრავალფეროვანი ინფორმაციის მიწოდების მიზნით ჟურნალის მოცულობა გავზარდეთ — ახლა იგი 60-გვერდიანია.*

## ტიბეტური მედიცინის საიდუმლოებები

ტიბეტური მედიცინის კოდექსი იუწყება — მიწაზე არ ხარობს სამკურნალოდ გამოუსადეგარი მცენარეო. თუმცა, ტიბეტური მედიცინა ვერ კურნავს ბოლო საუკუნეში გამოჩენილ დაავადებებს — შიდსს და ებოლის ვირუსს. არ არის შემორჩენილი რეცეპტები, რომლებიც მათ მოერეოდა, მაგრამ წარმატებით კურნავენ კიბოს ადრეულ სტადიაში, განსაკუთრებით სისხლის კიბოს — ბალახთა სისტემა წმენდს სისხლს წიდებისაგან, თუმცა ყოველთვის არა.

ჩრდილოეთ ინდოეთის ქალაქ დჰარმსალაში, სადაც დალაი-ლამას რეზიდენციაა, უამრავი ტურისტი ირევა. აქ ჩამოდიან ადგილობრივ კლინიკაში სამკურნალოდ. ტიბეტური მედიცინა დღემდე რჩება ამოუცნობ ფენომენად. ჯერ კიდევ IV ს-ში იმართებოდა ძველ ტიბეტში ინდოეთიდან, სპარსეთიდან და ჩინეთიდან ჩამოსულ ექიმთა კონფერენციები, რომელზეც ესკულაპები ერთმანეთს უზიარებდნენ მკურნალობის საიდუმლოებებს. ტიბეტელები უარს ამბობენ ელექტრონულ აპარატურაზე და ამჯობინებენ მთის მცენარეებისგან დამზადებულ წამლებს. დიაგნოზი მარტივად ირკვევა — პაციენტის პულსით, რომელსაც სამი თითით სინჯავენ.



ტიბეტურ კლინიკაში ათასობით ბალახის თავბრუდამხვევი სურნელი ტრიალებს. ექიმს პატარა ოთახი უჭირავს, უზარმაზარ ნაგებობაში კი ასობით თანამშრომელი ახარისხებს ბალახებს, აწყობს მათ ათობით ქილაში: ეს — ალკოჰოლიზმის წინააღმდეგ, ეს — გაციებისთვის, ეს — კბილის ტკივილის დასაამებლად და სხვა.

— ტიბეტური მედიცინის საფუძველი — ესაა ბალახები ჰიმალაის ქედიდან, — ჰყვება სამდუპ ლჰაცე, ტიბეტის მთავარი კლინიკის დირექტორი — ადრე ტიბეტელები (ჩინელების მსგავსად) სამკურნალოდ ცხოველურ კომპონენტებსაც იყენებდნენ, მაგრამ მას შემდეგ, რაც ტიბეტში სულთა გადასახლება ირწმუნეს, მთავრობამ აკრძალა ნებისმიერი ცოცხალი არსების მოკვლა წამლის დასამზადებლად. ჩვენი მედიცინა ბალახების გარდა იყენებს მინერალებს და თვით მძიმე ლითონებსაც კი — მაგალითად, ოქროს. გამონაკლისად შეიძლება ჩაითვალოს მხოლოდ ირმის რქების ნაყენი, ირემი ხომ რქას შემოდგომაზე თვითონვე ყრის. შეიძლება ითქვას, რომ ჩვენი მედიცინა ყველა დანარჩენისაგან განსხვავდება იმით, რომ სხვა ექიმები მკურნალობენ უკვე არსებულ დაავადებებს, ჩვენ კი — ვებრძვით დაავადების მიზეზს, ვცდილობთ, რომ იგი საერთოდ არ გაჩნდეს. ძველი ტიბეტური პოსტულატის თანახმად, ადამიანმა ექიმს თვეში ერთხელ უნდა მიაკითხოს, რათა ადრეულ სტადიაზევე აიცილოს თავიდან დაავადება. თუმცა, ჩვენი მეთოდი არ არის ჯადოქრობა და სასწაულებს ვერ ვახდენთ. ატიპური პნევმონია კი დავამარცხეთ, მაგრამ როგორც არ ვეცადეთ, შიდსის წამალი ვერ მივიღეთ.

ტიბეტელ ექიმებს მიაჩნიათ, რომ ადამიანმა თავის ჯანმრთელობაზე ზრუნვა უზმოზე, ცხელი წყლის სმით უნდა დაიწყოს. ამის შემდეგ ტიბეტელები გვთავაზობენ აბებს, რომელთაგან თითოეული შეიცავს იმუნიტეტის ასამაღლებელ 130 სამკურნალო ბალახის კომპონენტს. მისი მიღება კვირაში ერთხელაა საჭირო. გარდა ამისა, ტიბეტური მედიცინა დიდ პატივს სცემს ოქროს თვისებებს. ეს ლითონი არა მხოლოდ ახორცებს ჭრილობას (რამდენადაც აქვს ანტისეპტიკური თვისებები), არამედ ამაღლებს მამაკაცურ პოტენციას. ძველ ტიბეტში მას მოიხმარდნენ არა როგორც ანაზღაურების საშუალებას, არამედ როგორც წამალს. ალბათ მხოლოდ ტიბეტელი ქალები ატარებენ ოქროს არა სილამაზისთვის, არამედ ჯანმრთელობისთვის. ოქროს კულონი იცავს მათ მკერდის კიბოსაგან, ვერცხლი კი — ისეთი საშიში დაავადებისაგან, როგორიცაა სისხლის ანთება. სამკურნალოა აგრეთვე მარგალიტი, რომელიც უხდება ტვინის ტრავმებს და ნერვულ ციებას. ძვირფასი ქვები არჩენენ 404 დაავადებას, როგორც იუწყება ძველი ტიბეტური სამედიცინო ტრაქტატი „გული“.

გთავაზობთ რამდენიმე რეცეპტს ტიბეტური მედიცინიდან.

**რევმატიზმის დროს:** შეიზილეთ მტკივნეული ადგილები სამკურნალო ნაყენით: სექტემბერში უნდა შეგროვდეს ყვავილები და ქერქი — ნახევარი ჭიქა გვირილის, ნახევარი ჭიქა გეორგენის ფურცლების, 1 სუფრის კოვზი კესანეს ფურცლების, 1 სუფრის კოვზი მიხაკის, 1 სუფრის კოვზი თხმელას ქერქი, 1 ჩაის კოვზი ტირიფის ქერქი და დაესხას 1 ჭიქა წყალი იდუღოს 25-30წთ. მოხმარებამდე ნახარში მინიმუმ ორი კვირით უნდა დაიდგას გრილ, ბნელ ადგილას.

**თირკმლებში კენჭების წინააღმდეგ:** ერთ ჭიქა წყალზე 200გ თხმელის ქერქს დაუმატეთ 250გ თაფლი, აურიეთ და ადუღეთ 10-15წთ. დაუმატეთ ცოტა სოდა. მიიღეთ სუფრის კოვზით ყოველი ჭამის შემდეგ.

**ასთმის წინააღმდეგ:** 1ჭ წყალი, ნახევარი ჭიქა მაისში შეგროვებული ოროვანდი, ნახევარი ჭიქა ვერხვის ფოთლები, 1ჩ/კ სოჭის წიწვები აურიეთ, დაუმატეთ ცოტა სოდა, დააყენეთ ბნელ ადგილას ერთი კვირით და მიიღეთ დილაობით 1სფ. კოვზი.

***არგუმენტი ი ფაქტი №43***

## გრიპი

გრიპი მსოფლიოში ერთ-ერთი ყველაზე უფრო გავრცელებული ინფექციაა. პერიოდულად მისი გავრცელება კატასტროფულ მასშტაბებს აღწევს და დიდი პრობლემა ხდება საზოგადოების ჯანმრთელობისათვის.

გრიპს იწვევს გრიპის ვირუსები, რომელთა სხვადასხვა ვარიანტი არსებობს.

ჯანმრთელობის მსოფლიო ორგანიზაციის მონაცემებით, წელს გრიპის ვირუსის ახალი „მოდრეიფე“ ვარიანტები არ გამოუვლენიათ. მსოფლიოში გრიპის სიტუაციის შეფასების საფუძველზე შეიძლება მაღალი ალბათობით ვივარაუდოთ, რომ საქართველოში გრიპის ავადობის მატებას ზამთრის სეზონში გამოიწვევს ძირითადად A(H3N2) ვირუსები.

სეზონური მატება უნდა დაიწყოს ნოემბრის მეორე ნახევარში, პიკს უნდა ველოდოთ იანვრის მეორე ნახევარში და თებერვლის დასაწყისში.

გრიპი ჰაერწვეთოვანი გზით ვრცელდება, ხველების, ცემინების ან ლაპარაკის დროს ავადმყოფის გარშემო 1 მეტრის რადიუსში მოკლე ხნით ვირუსების დიდი რაოდენობა იფრქვევა.

დაავადების დასაწყისი „მწვავეა“, ავადმყოფს ხშირად შეუძლია დაასახელოს არა მარტო დაავადების დაწყების თარიღი, არამედ მიუთითოს ზუსტი დროც.

**ცხელება** — დამახასიათებელია მაღალი ტემპერატურა, როგორც წესი, შემცივნებით. ტემპერატურის სწრაფი დაწევისას აღინიშნება ოფლიანობა. დაავადების მსუბუქი მიმდინარეობისას სხეულის ტემპერატურა 38$^0$C-ზე მეტად არ იწევს, ხანგრძლივობა — 1-2 დღე. საშუალო სიმძიმის მიმდინარეობისას კი 39$^0$C-მდე, ხანგრძლივობა 2-3 დღე. მძიმე მიმდინარეობისას — 39-40$^0$C-ზე მეტად, ხანგრძლივობა 4-5 დღე.

**ინტოქსიკაცია** — ვლინდება საერთო სისუსტით, ოფლიანობით, კუნთებსა და სახსრებში ტეხვის შეგრძნებით და ტკივილით, თავის ტკივილით, ტკივილით თვალების მოძრაობისას.

**რინიტი** (ცხვირის გასავლების ლორწოვანი გარსის ანთება) — საწყის პერიოდში დამახასიათებელია ცხვირიდან უხვი თხიერი ლორწოვანი გამონადენი (სურდო). თანდართული ბაქტერიული ინფექციის შემთხვევაში გამონაყოფი სქელდება.

**ფარინგიტი** (ყელის ანთება) — დამახასიათებელია ხეხვისა და ფხაჭნის შეგრძნება ყელში, წამოხველება, ზედაპირული ხველა.

**ლარინგიტი** (ხორხის ანთება) — დამახასიათებელია მშრალი, ხშირ შემთხვევაში შეტევითი მტანჯველი ხველა, ხმის ჩახლეჩა.

**ტრაქეიტი** (ტრაქეის ანთება) დამახასიათებელია მშრალი ან სველი ხველა, ტკივილი მკერდის ძვლის უკან.

**ბრონქიტი** (ბრონქების ანთება) — სველ ხველასთან და ნახველთან ერთად ვლინდება ხიხინი ფილტვებში სუნთქვის დროს.

**პნევმონია** (ფილტვების ანთება) — ვლინდება თითქმის ყოველ მე-10 ავადმყოფში.

გარდა „ტრადიციული“ ნიშნებისა, გრიპის მძიმე მიმდინარეობისას შეიძლება გამოვლინდეს ცენტრალური ნერვული სისტემის დაზიანების ნიშნები: .

**როგორ დავიცვათ თავი დაავადებებისაგან:**

გრიპისაგან დაცვის რამდენიმე მეთოდი არსებობს: მოვერიდოთ ხალხმრავალ ადგილებს, ვიხმაროთ სამედიცინო ნიღაბი ან დოლბანდის 4-ფენოვანი საფენი. ხშირად გავანიავოთ სამუშაო და სასწავლო ოთახები, დავალაგოთ ისინი სველი წესით.

ხალხური საშუალებები: ნიორი, ხახვი, ბალახების ნაყენი, გამოვლებები, გაკაჟება და ა.შ. რაც დაგვიცავს არა მარტო გრიპისაგან, არამედ სხვა „გაციებისაგანაც“.

ერთი-ორი კვირით ადრე, დაავადების მატების დაწყებამდე, შეიძლება ისეთი პრეპარატების მიღება, როგორიცაა ასკორბინის მჟავა (C ვიტამინი), ვიტამინების კომპლექსი, ინტერფერონის მალამო ნესტოებში, პლაფერონი, დიბაზოლი და ა.შ. ეს საშუალებები ამაღლებენ ორგანიზმის დამცველ ძალებს.

არსებობს სპეციალური პრეპარატები, რომელთაც შეუძლიათ გრიპის ვირუსისაგან დაცვა (ამანტადინი, რემანტადინი, არბიდოლი და სხვა). მაგრამ ისევე როგორც ნებისმიერი წამლისათვის, მათთვისაც დამახასიათებელია შესაძლო გვერდითი ეფექტები.

ვაქცინაცია გრიპის პროფილაქტიკის ეფექტური საშუალებაა, განსაკუთრებით მაღალი რისკის ჯგუფებისათვის. ჯანმრთელობის მსოფლიო ორგანიზაციის რეკომენდაციების მიხედვით, გრიპის საწინააღმდეგო აცრები პირველ რიგში სასურველია ჩაუტარდეს: 65 წელზე უფროსი ასაკის პირებს; სასუნთქი ორგანოების და გულ-სისხლძარღვთა სისტემის ქრონიკული დაავადებებით შეპყრობილ პირებს, აგრეთვე ბავშვთა სახლების აღსაზრდელებს, უპირატესად, ქრონიკულად მოავადე ბავშვებს. აცრილ პირებში გრიპით დაავადების შემთხვევაშიც კი დაავადება მიმდინარეობს მსუბუქი ფორმით, როგორც წესი, გართულებების გარეშე. განსხვავებით სავალდებულო აცრებისაგან გრიპის ვაქცინაცია სახელმწიფოს მიერ უმრავლეს ქვეყნებში არ ფინანსდება.

ავადმყოფობის შემთხვევაში აუცილებელია წოლითი რეჟიმი.

მკურნალობა ძირითადად სიმპტომატურია. ანტიბიოტიკის დანიშვნა (მხოლოდ ექიმის მიერ) მიზანშეწონილია გართულებების შემთხვევაში.

იკვებეთ ახალი ბოსტნეულით და ხილით, მიიღეთ ვიტამინი C, მოერიდეთ ცხიმიანი ხორცის მიღებას. კარგ ეფექტს იძლევა ქათმის ბულიონი. აუცილებელია სითხის მიღება, დღეში 6-8 ჭიქა წყალი, წვენი, ლიმონიანი ჩაი. საერთოდ კარგია სხვადასხვა ბალახეულის ნახარშები, განსაკუთრებით ექინაცეის.

ტკივილებისა და ტემპერატურის დასაწევად გამოიყენეთ ასპირინი, პარაცეტამოლი და აცეტამინოფენი. მაგრამ 20 წლამდე ასაკში ასპირინის გამოყენებას მოერიდეთ.

აუცილებლად მიმართეთ ექიმს თუ: ტემპერატურა 37,8$^0$ C-ზე 3 დღეზე მეტხანს გრძელდება, ბავშვებში კი — 24 სთ-ზე მეტხანს; გრძნობთ ნებისმიერ მწვავე ძლიერ ტკივილს, ყურის, ყელის, ფილტვების ან მკერდის არეში; დიდი რაოდენობით ნახველი გაქვთ ან ნახველი მომწვანო ფერისაა ან სისხლიანი; ძლიერ გიჭირთ ყლაპვა, მადა საერთოდ დაკარგეთ; ხველა გაქვთ ხიხინით, სუნთქვა გიჭირთ — მოხრჩობის გრძნობა გაქვთ.

***დაავადებათა კონტროლის ეროვნული ცენტრი***

**მათთვის, ვისაც სურს თავიდან აიცილოს გრიპი და მისი საშიში გართულებები, ვისაც სურს მშვიდად გაატაროს კარს მომდგარი ზამთარი, მათთვის, ვინც ზრუნავს საკუთარი და ახლობელი ადამიანების ჯანმრთელობაზე, ჩაიტარეთ გრიპის საწინააღმდეგო ვაქცინაცია თანამედროვე, ჰოლანდიური ვაქცინით.**

ინფორმაციისათვის დაუკავშირდით 09-ს (ზარი უფასოა), იმუნიზაციის ცენტრს — მისამართი: ყაზბეგის №16. ტელ: 94-22-78, უბნის პოლიკლინიკებს

იყავით ჯანმრთელნი!

R

# მკურნალი ცირცელი



ცირცელის მოწითალო-მონარინჯისფერო ნაყოფი, ფოთლები, ყვავილები და ქერქი უძველესი დროიდან გამოიყენება დიზენტერიისა და სურავანდის სამკურნალოდ.

მისი ნაყოფი შეიცავს P ვიტამინს და A პროვიტამინს, პექტინებს, რომელიც ხელს უშლის ნაწლავებში მავნე გაზების დაგროვებას. გარდა ამისა, ცირცელი ხელს უშლის მიკროორგანიზმების, სოკოებისა და ობის ზრდას, ამიტომ ის არა მარტო აწესრიგებს ნაწლავების მუშაობას, ნივთიერებათა ცვლას, აქრობს ანთებით პროცესებს, არამედ შარდმდენიცაა, ხოლო მისი ზეთოვანი ექსტრაქტი ანტიბაქტერიულია და გამოიყენება პარატიფოზური დაავადებების დროს. არჩენს ძნელად შეხორცებად ჭრილობებსა და წყლულებს. ცირცელის ნაყოფი ხელს უწყობს საჭმლის მონელებას, ბოლო მონაცემებით — შველის ათეროსკლეროზს.

***ლიზა №40***

# ვირტუალური ვარჯიში

არ გაკმაყოფილებთ თქვენი სხეულის პროპორციები და გინდათ შეიცვალოთ ფიგურა? მხოლოდ ფიზიური ვარჯიში და დიეტა ვერ დაგეხმარებათ. იოცნებეთ. გონებაში წარმოიდგინეთ თქვენი საოცნებო აღნაგობა.

ფსიქოლოგიური ტრენინგი მნიშვნელოვან როლს თამაშობს მიზნის მიღწევაში. სპეციალისტების მეთვალყურეობით, 10 პაციენტი ერთი თვე აკეთებდა გონებრივ ვარჯიშებს და კუნთებმა მიღწეული შედეგები შეინარჩუნეს სამი თვე. ეს არაა სასწაული, არამედ იმის დასტურია, რომ ყველა პროცესი, რაც ხდება ორგანიზმში, დაფუძნებულია თავის ტვინის რეაქციაზე.

***ოჰ დოხნ! №43***

# ასე გაიწმინდეთ ორგანიზმი



1. უპირველესად უნდა ჩაიტაროთ გამოკვლევა, რათა გაარკვიოთ, რისი „გაწმენდა“ გჭირდებათ: ღვიძლის, თირკმლებისა თუ ნაწლავების.

2. დიეტისა და ორგანიზმის „გაწმენდის“ დროს უნდა იკვებოთ ცილებით, ცხიმებითა და ნახშირწყლებით მდიდარი საკვებით.

3. ჯანმრთელმა ადამიანმა შეიძლება ერთი დღე-ღამე იშიმშილოს, მაგრამ, ვისაც ქრონიკული დაავადებები აწუხებს (გული, ღვიძლი, კუჭი) — ეს არ უნდა გააკეთოს.

4. ორგანიზმის გამწმენდი ოყნა კეთდება კვირაში 2-ჯერ, მეტ შემთხვევაში, ნაწლავების სასარგებლო მიკროფლორა გამოირეცხება და ქვეითდება მისი ფუნქცია.

5. ორგანიზმის გაწმენდის დროს აუცილებელია სპეციალისტის კონტროლი.

6. ხშირად, გარკვეული დროის განმავლობაში, ადამიანი, „გაწმენდის“ შემდეგ, თავს სუსტად გრძნობს, სინამდვილეში, ორგანიზმი განიცდის შიმშილს, უწყლობასა და ინტოქსიკაციას. ამ დროს ყველაზე ძნელია საჭმლისგან თავის შეკავება. როდესაც ეს ეტაპი გაივლის — შედარებით უკეთ გახდებით.

7. თუ „გაწმენდის“ საშუალებები არ მიესადაგება ფსიქოფიზიოლოგიას, თქვენ ავნებთ არა მარტო კუჭს, არამედ ნერვებსაც, რამაც შეიძლება გამოიწვიოს ნევროზი და დეპრესიაც კი.

***კომსომოლსკაია პრავდა***


**გაიზომეთ სისხლში შაქრის შემცველობა ბინიდან გაუსვლელად**

შეიძინეთ!!! 95 ლარად

• აპარატები
• ტესტ-ჩხირები
• ერთჯერადი ნემსები
• ავტომატური საჩხვლეტი



შპს „კონტრასტი“
ბორჯომის ქ. 4
☎35-44-05; 34-74-03
899-19-60-55



**ვმკურნალობთ**

**ქრონიკულ პროსტატიტს**

– ექსპრეს-დიაგნოსტიკა 15-20 წთ-ში;
– ექოსკოპია იაპონური აპარატურით;
– კომპლექსური მკურნალობა დღეისათვის არსებული ყველაზე თანამედროვე მეთოდებით, მათ შორის, პროფ. გუსკოვის აპარატით „ინტრატონი“, რომელსაც ეფექტურობით ანალოგი არ აქვს.

**მეცნიერებათა აკადემიის სპეც. პოლიკლინიკა, კაბ. №7 (სპორტის სასახლის უკან, მარჯვნივ). 10-14 სთ.**






**გთხოვთ მოგვაწოდოთ ინფორმაცია ფარისებრი ჯირკვლის დაავადებების შესახებ.**

***ქ. ქარჩავა, ქ. თბილისი***

ფარისებრი ჯირკვლის ჰორმონების ფუნქცია ორგანიზმში ნივთიერებათა ცვლის დარეგულირებაა. ჯირკვალი გამოიმუშავებს სამ ჰორმონს: ორს თირეოიდულს და მესამე — კალციტონინს.



# ფარისებრი ჯირკვლის დაავადებები

ფარისებრი ჯირკვლის დაავადებები განპირობებულია ჰორმონების გამომუშავების ორი ტიპის დარღვევებით. ის პირდაპირ კავშირშია გამომუშავებული ჰორმონების რაოდენობასთან.

ჰორმონების სიჭარბისას ვითარდება თირეოტოქსიკოზი — ბაზედოვის დაავადება, ხოლო ჰორმონების ნაკლებობისას — ჰიპოთირეოზი. ბაზედოვის დაავადების — თირეოტოქსიკოზის დროს აღინიშნება 3 სიმპტომი. საკუთარ თავს დიაგნოზი შეგიძლიათ თქვენვე დაუსვათ.

*1. ჩიყვი* — ფარისებრი ჯირკვლის მოცულობაში მატებაა. ჩიყვი არის ფარისებრი ჯირკვლის დაავადებების ერთ-ერთი სიმპტომი და არა თვით დაავადება. გადიდებული ფარისებრი ჯირკვალი ვიზუალურადაც, თვალითაც შეიმჩნევა.

*2. თვალების ეგზოფთალმი* — კაკლების გადიდება, ორბიტიდან გამოწევა, ქუთუთოების შეშუპება. თვალები მბრწყინავია, აღინიშნება ცრემლდენა, ქვიშის შეგრძნება თვალებში.

*3. ტაქიკარდია* — გულისცემის აჩქარება წუთში 100-ჯერ და მეტჯერ. თირეოტოქსიკოზი 5-ჯერ უფრო ხშირია ქალებში, განსაკუთრებით 40 წლის მერე. დაავადების დროს იცვლება ადამიანის ხასიათი, რადგანაც ირღვევა ორგანიზმში ცენტრალური და ვეგეტატიური ნერვული სისტემის ფუნქციონირება. ადამიანი ხდება ემოციურად ძალზე ლაბილური, მტირალა და აგრესიული. არის აპათიური, ხან არის აღგზნებული. აღინიშნება სხვა სიმპტომებიც:

— ადამიანი მკვეთრად ხდება — 10-15 კგ-ით და მეტით;

— ვითარდება სუნთქვის გაძნელება, ქოშინი;

— ვითარდება მუდმივი სიცხის გრძნობა, ადამიანის კანი შეხებისას ძალზე თბილია და ნოტიო;

— ხშირდება კუჭის მოქმედება. დღეში 3-4-ჯერ და მეტად;

— პულსი 100 და მეტია წუთში;

— აღინიშნება თითების კანკალი. განსაკუთრებით ხელების წინ გაწევისას;

— აღინიშნება ტკივილის გრძნობა გულის არეში;

— ადამიანი ძალზე ადვილად იღლება.

*ბაზედოვის დაავადება* უმეტესად ვითარდება ფსიქიკური ტრავმის, დეპრესიის ან სტრესის ფონზე. დაავადების პროვოცირება შეიძლება გამოიწვიოს ინფექციურმა ან ანთებითმა პროცესებმა. აღინიშნება დაავადების მიმართ გენეტიკური განწყობაც.

*ჰიპოთირეოზი* — ამ დროს ადგილი აქვს ჯირკვლის მიერ ჰორმონების მცირე რაოდენობით გამომუშავებას. დაავადება შეიძლება განვითარდეს ნებისმიერ ასაკში, განსაკუთრებით ქალებში. ჰიპოთირეოზი ხშირია ორსულობის დროს, მშობიარობის შემდეგ. ირღვევა ორგანიზმის იმუნური სისტემის ნორმალური ფუნქციონირება; შედეგად იმუნური სისტემა საკუთარ ფარისებრ ჯირკვალს ვერ ცნობს და მის წინააღმდეგ გამოიმუშავებს ე.წ. ანტისხეულებს. ვითარდება დაავადება — ქრონიკული აუტოიმუნური თირეოიდიტი. ჰიპოთირეოზი ვითარდება ორგანიზმში იოდის დეფიციტის ფონზეც, ამ დროს იმატებს ფარისებრი ჯირკვლის მოცულობაც. არსებობს თანდაყოლილი ჰიპოთირეოზიც.

*ჰიპოთირეოზისთვის* დამახასიათებელი სიმპტომებია:

— ადამიანი მატულობს წონაში, მიუხედავად მადის დაქვეითებისა;

— კანი და ფრჩხილები მშრალი ხდება, ფრჩხილები იქერცლება, იმტვრევა და ორად იყოფა;

— ადამიანს მუდმივად სცივა. კიდურები ცივია;

— პულსი 60-ზე ნაკლებია წთ-ში;

— აღინიშნება შეშუპებები;

— აღინიშნება ყაბზობა;

— ადამიანი აპათიური, დეპრესიულია. ენერგიისაგან დაცლილი.

*დიაგნოსტიკა:* კეთდება ფარისებრი ჯირკვლის ექოსკოპია, რომლის მიხედვით ირკვევა ჯირკვლის მოცულობა — ნორმა — ქალებში 18-მლ-მდე. მამაკაცებში 25 მლ. ასევე განისაზღვრება ჯირკვლის სტრუქტურა. შეიძლება ის შეცვლილი იყოს — წვრილმარცვლოვანი მსხვილმარცვლოვან სტრუქტურამდე. ექოსკოპიით დადგინდება კვანძებისა და კისტების რაოდენობა და ზომები ჯირკვლის ქსოვილში. კეთდება სისხლის ანალიზი — ჰორმონებზე — თიროქსინი, ტრიიოდთირონინი, თირეოტროპული ჰორმონი და სხვა. ასევე ისაზღვრება ანტისხეულების ტიტრი. საჭიროების შემთხვევაში კეთდება მიზანმიმართული ბიოფსია — ქსოვილის აღება შემდეგი გამოკვლევისათვის, სიმსივნური პროცესის დასადგენად .

*მკურნალობა:* ფარისებრი ჯირკვლის დაავადებები მკურნალობას ექვემდებარება. თუმცაღა, საჭიროა მიზანმიმართული, კვალიფიციური და უმეტესად ხანგრძლივი მედიკამენტური მკურნალობა.

*თირეოტოქსიკოზის დროს* — ინიშნება ე.წ. თირეოსტატიკური პრეპარატები, რომლებიც თრგუნავენ ჯირკვლის მიერ ჰორმონების გამომუშავებას.

*ჰიპოთირეოზის დროს* — ინიშნება ჰორმონების შემცველი პრეპარატები, რომელთა დოზირება ინდივიდუალურია და ექიმის მიერ უნდა განისაზღვროს.

თუკი ჯირკვალი ძალზე დიდია, არის ერთი ან რამდენიმე კვანძი, რომლებიც არ ემორჩილება მედიკამენტოზურ ხანგრძლივ მკურნალობას, ხდება ჯირკვლის სიმსივნური გადაგვარება, კეთდება ქირურგიული ოპერაცია.

***მაია მუხიგული***

# მთვარე და დიეტა

მთვარის ფაზები რომ ჩვენს ორგანიზმზე ძლიერ ზეგავლენას ახდენენ, ყველასათვის ცნობილია. ფრანგმა ექიმმა, ფიტო და არომათერაპევტმა, კრისტიან დიურაფურმა მთვარის აღვსებისა და ახალი მთვარის დიეტაც კი შეიმუშავა.

როდესაც მთვარე ცის კაბადონზე მიმოიქცევა, ღამის მანათობელი ცვლის დედამიწაზე ატმოსფერულ წნევას, არეგულირებს წყლის მიმოქცევას. ამიტომ, სავსე მთვარეზე „წყალი იკუმშება“, ხოლო ახალ მთვარეზე კი, პირიქით — „ფართოვდება“. თავის მხრივ, ეს პროცესები ზემოქმედებენ სითხისა და მიკროელემენტების ორგანიზმში განაწილების მიმდინარეობაზე, სავსე მთვარეზე წყალი „გამოდის“ უჯრედს შორისი სივრციდან, ხოლო ახალ მთვარეზე — უჯრედიდან ქსოვილებში გადადის. დიურაფურის დიეტა ეხმარება ადამიანს, ეს პროცესები მის საკეთილდღეოდ წარმართოს.

**მთვარის აღვსების დიეტა.** ის უნდა დაიწყოთ, აღვსებამდე ერთი დღით ადრე, ექვსდღიანია. I დღე — მიირთვით მხოლოდ მოხარშული ან უმი ბოსტნეული. II-III დღეები: ანანასისა და სოკოს დღეებია. დღეში ოთხჯერ მიირთვით ანანასი. დაუმატეთ ამას მოხარშული სოკო. შეიძლება, სოკო სუნელებით და ზეითუნის ზეთით შეაზავოთ. IV დღე — შიმშილობის დღეა. შეიძლება მხოლოდ წყლის დალევა. V დღეს დაუბრუნდით ანანასებს და სოკოს. VI დღეს ისევ ბოსტნეულით იკვებეთ. ექვს დღეზე მეტად დიეტაზე ყოფნა არ შეიძლება.

**ახალი მთვარის დიეტა.** მისი ხანგრძლივობა მთლიანობაში 36 საათია. ამ ხნის განმავლობაში თქვენს მენიუში უნდა იყოს მხოლოდ ბოსტნეულის წვენი ან ნახარში. სხვა შეზღუდვები არ არსებობს. მთავარია, ყველაფერი უცხიმო იყოს.

დიეტა უნდა დაიწყოთ ახალი მთვარის გამოსვლამდე სამი დღით ადრე, ერთი დღე ახალ მთვარეზე და მომდევნო ორი დღე კიდევ გააგრძელოთ.

ამგვარი დიეტა წმენდს ორგანიზმს, შლის ცხიმს, ნივთიერებათა ცვლას არეგულირებს.

თუ დიეტას რეგულარულად დაიცავთ, გათავისუფლდებით ჭარბი წონისაგან, კუჭის შეკრულობისა და სხვა არასასიამოვნო მოვლენებისაგან.


**კლინიკური მედიცინის ცენტრი გთავაზობთ:**

• დიაგნოსტიკურ განყოფილებაში პედიატრის, ენდოკრინოლოგის, ნევროპათოლოგის, თერაპევტის, კარდიოლოგის, ალერგოლოგის, ქირურგის, ტრავმატოლოგის, ოტოლარინგოლოგის, ოფთალმოლოგის, დერმატოლოგის, ექიმ-კოსმეტოლოგის (აგრეთვე ეპილაცია) მომსახურებას, ფიბროგასტროსკოპიულ, ულტრასონოგრაფიულ, რენტგენოლოგიურ (მამოგრაფიის ჩათვლით), კლინიკურ, იმუნოლოგიურ, ბაქტერიოლოგიურ გამოკვლევებს;
• ქალთა კონსულტაციას, რეპროდუქტოლოგიურ კაბინეტს, მომავალი მშობლების სკოლას;
• სამეანო განყოფილებას;
• ახალშობილთა განყოფილებას;
• გინეკოლოგიურ განყოფილებას;
• თავისა და კისრის განყოფილებას (თვალის სნეულებანი, ყელ-ყურ-ცხვირის ქირურგია, ყბა-სახის ქირურგია, ენდოკრინული და სისხლძარღვთა ქირურგია);
• ქირურგიულ-ორთოპედიულ განყოფილებას (ტრავმატოლოგია, ორთოპედია, ზოგადი ქირურგია, ნეიროქირურგია, უროლოგია, ენდოსკოპიური ქირურგია – ლაპარასკოპია);
• სტომატოლოგიურ განყოფილებას თერაპიული, ქირურგიული და ორთოპედიული მომსახურებით;
• რეაბილიტაციის სამსახურს(ფიზიოთერაპია, სამკურნალო ფიზკულტურა, მასაჟოთერაპია).

კლინიკაში პაციენტებისათვის შექმნილია საუკეთესო ოჯახური პირობები (ინდივიდუალური პალატები და სამშობიარო ბლოკები აბაზანებით, აუზი, გათბობა, ცხელი წყალი, ტელევიზორი სატელიტური პროგრამებით, ტელეფონი, კვება) და მაღალი ხარისხის სამედიცინო სამსახური თანამედროვე ტექნოლოგიური აღჭურვილობით.

**ვემსახურებით ყველას, განურჩევლად ასაკისა და სქესისა.**
**მობრძანდით, კმაყოფილი დარჩებით.**
**მადლობას გიხდით ნდობისთვის.**

*მის: ცოტნე დადიანის №255*
*(ყოფ. I სამშობიარო სახლი)*
*☎ 66-73-70 71 72 73 74*




***ორაკული №11***

## გვერდის ფოტო



ერაყში ომის შეწყვეტის შემდეგ კოალიციის 112-ზე მეტი მეომარია მოკლული. „მძიმე სიტუაციაა, არ გვეგონა, თუ მდგომარეობა ასე გართულდებოდა და ერაყის კონფლიქტი ასე გაჭიანურდებოდა“, — წუხან ამერიკელი სამხედროები.

**ინდოეთი**

## დელიმ პაკისტანს „საგზაო რუკა“ შესთავაზა

პალესტინა-ისრაელის პრობლემის მოწესრიგების გეგმას, რომელიც „საგზაო რუკის“ სახელითაა ცნობილი, მოულოდნელად სამხრეთ აზიაში მიმდევრები გამოუჩნდნენ. ინდოეთმა პაკისტანს შესთავაზა სამშვიდობო გეგმა, რომელიც სადავო ტერიტორიისთვის, ქაშმირისათვის, ომს აარიდებთ თავიდან.

ორივე ქვეყანას სადავო ტერიტორიის საზღვრის ორსავ მხარეს ჯარის ნაწილები ჰყავს განლაგებული. მათ პოზიციებს ე.წ. საკონტროლო ხაზი ყოფს.

პაკისტანელები ირწმუნებიან — ინდოელებმა თავიანთ მხარეს დაიწყეს იმის მსგავსი კედლის აგება, რომელსაც ისრაელი პალესტინის ტერიტორიის ირგვლივ აგებსო. მიზანი კი ის




არის, რომ პაკისტანელმა ბოევიკებმა ვერ შეაღწიონ ინდოეთში. პაკისტანელებს მიაჩნიათ, რომ ქაშმირი ინდოეთს უკანონოდ მიეკუთვნა, სასაზღვრო ტერიტორიაზე არც ისე იშვიათია სროლა, ორივე მხარე ურობს — ჩვენ არ დაგვიწყია სროლაო.

სამხრეთ აზიის „საგზაო რუკაც“ დასახლოებელ, პატარ-პატარა ნაბიჯების გადადგმას გულისხმობს და ძირითადად მიმართულია ორ ქვეყანას შორის სახმელეთო, საზღვაო და საჰაერო გზების გასახსნელად. ავტობუსები ივლიან ინდოეთის შტატის „ჯამუსა და ქაშმირის“ დედაქალაქ სრინაგარსა და „პაკისტანის ქაშმირის“ დედაქალაქ მუზაფარაბადს შორის. ინდოეთის მუმბაი კი პაკისტანის ყარაჩის ბორნით დაუკავშირდება, დაიწყება მოლაპარაკება სამოქალაქო ავიაციის ხაზების აღდგენაზე. ინდოეთში ამბობენ — ახლა სიტყვა ისლამაბადზეაო. პაკისტანი საკმაოდ ცივად შეხვდა ინდოეთის წინადადებას — „საგზაო რუკაში“ ერთი სიტყვაც კი არ არის ნათქვამი პოლიტიკური დიალოგის განახლებაზე ქაშმირის პრობლემასთან დაკავშირებით.

*ვლასტი №43*

## „რკინის ლედის“ მოლოდინში

გერმანელი პოლიტიკოსები — მემარცხენეებიც, ცენტრისტებიც და მემარჯვენეებიც — მარგარეტ ტეტჩერის სახელს ადრე რატომღაც სიძულვილით იხსენიებდნენ, მაგრამ რა ცვალებადია დრო! ახლახან გერმანულ ჟურნალ-გაზეთებში გაჩნდა უამრავი სტატია მარგარეტ ტეტჩერის როლზე ბრიტანეთის თანამედროვე სახის ჩამოყალიბებაში. ბევრი ჟურნალისტი სვამს კითხვას — შესაძლებელია თუ არა გერმანიაშიც განხორციელდეს ისეთი მკაცრი რეფორმები, როგორიც ტეტჩერმა ბრიტანეთში განახორციელა და რა არის საჭირო ამისთვის. პასუხიც იქვეა — შესაძლებელია და განმახორციელებელიც არსებობს — ქალბატონი მეგი მერკელი. საინტერესოა, რომ დღევანდელი კანცლერის, შრედერის მიერ დაწყებულ რეფორმებს გერმანელები ნაკლებად უჭერენ მხარს და მეტ რადიკალიზმს ითხოვენ. სწორედ ამ დროს არენაზე გამოდის ქრისტიანულ-დემოკრატიული პარტიის წარმომადგენელი მერკელი, რომელმაც გერმანიის გაერთიანების მე-12 წლისთავზე ქვეყნის განვითარების სრულიად ახალი, რადიკალური გზა დასახა. მან განაცხადა, რომ ხალხი მეტი მორალური პასუხისმგებლობით უნდა მოეკიდოს თავისი ქვეყნის განვითარებას, მეტი ამბიციურობა უნდა გამოიჩინოს და ბევრიც იშრომოს. მერკელი აპირებს, ბოლო მოუღოს პროფკავშირების ჩარევას ხელფასების რეგულირებაში და მხარს უჭერს ამერიკას ტერორიზმთან ბრძოლაში. მერკელმა განაცხადა, რომ ხელისუფლების სათავეში მოსვლა სურს ერთადერთი მიზნით, — გერმანიაში რადიკალური სოციალურ-ეკონომიკური რეფორმები განახორციელოს. მისი ვარაუდით, სწრაფი რეფორმების შედეგად, 5-7 წელიწადში, გერმანია უმდიდრეს ქვეყნად იქცევა ევროპის კონტინენტზე. მერკელი აღმოსავლეთ გერმანიიდან არის და გერმანიის დემოკრატიულ რესპუბლიკაში ცხოვრებამ გამოაწრთო, მიზანდასახული „რკინის ლედი“ გახადა. შეუპოვარი ხასიათით მან შეძლო პოპულარობა მოეპოვებინა გერმანიის მმართველ წრეებში.



*ნიუზუიქი*

## ბომბები უცხოელებისთვის

ერ-რიადში ცოტა ხნის წინ, ისევე როგორც მაისში, ტერორისტები უცხოელებით კომპაქტურად დასახლებულ უბანს დაესხნენ თავს. ისინი ნაცადი „სცენარით“ მოქმედებდნენ. კამიკაძეები პოლიციის დანაღმული მანქანით მივიდნენ საცხოვრებელ კვარტალში, სადაც უმთავრესად ლიბანელები და 4 ევროპული ოჯახი ცხოვრობდნენ. დაცვა დახოცეს და სამი ბომბიააფეთქეს. დაიღუპა 20 კაცი, 30-ზე მეტი მძიმედ დაიჭრა. მათ შორის ბევრია ბავშვი. მათი მშობლები რამადანის მარხვას იცავდნენ და აფეთქების მომენტში, მზის ჩასვლის შემდეგ, მაღაზიებში იყვნენ სავაჭროდ. აშშ-ის სახელმწიფო დეპარტამენტის განცხადებით, დაიჭრა ერთი ამერიკელი, ერთიც უგზოუკვლოდაა დაკარგული, დაკარგულია აგრეთვე ბრიტანეთის ორი მოქალაქე.

საუდის არაბეთში უცხოელების წინააღმდეგ ტერაქტების მზადების შესახებ ხმები დიდი ხანია ვრცელდებოდა. ჩანს, ამერიკის სპეცსამსახურებს სერიოზული ინფორმაცია ჰქონდათ მოსალოდნელ საფრთხეზე, რაკი ტერაქტის წინა დღეს საუდის არაბეთში აშშ-ის დიპლომატიური წარმომადგენლობა დახურეს.

მომხდარში საუდის არაბეთი „ალ-ქაიდას“ ადანაშაულებს, რომელმაც გამოაცხადა, რომ მიზნად ისახავს არაბეთის ნახევარკუნძულის წმინდა მიწის „ურწმუნოთაგან“ გათავისუფლებას.

Control Risks Group-ი, რომელიც მსოფლიოს მსხვილ კომპანიებს უწევს კონსულტაციას, ირწმუნება, რომ უახლოესი 12 თვის მანძილზე დასავლეთს ტერორისტების მხრიდან შესაძლოა სერიოზული საფრთხე ელოდეს. „ალ-ქაიდას“ წევრებს შეუძლიათ ორგანიზაციის ხელმძღვანელობასთან შეუთანხმებლად მიაყენონ დარტყმა დასავლეთის ინტერესებს. კონსულტანტების აზრით, დიდი საფრთხე ემუქრება კენიის, მაროკოს, ინდონეზიისა და საუდის არაბეთის ხალხმრავალ ადგილებს, მაგრამ ტერორისტთა მთავარი სამიზნე აშშ და ევროპაა.

*იზვესტია №260*

## ჩრდილოეთ კორეა ნარკომაფიასთან კავშირში დაადანაშაულეს

ჩრდილოეთ კორეის რეჟიმის შემოსავლის ერთ-ერთი წყარო რომ ნარკოტიკების კონტრაბანდა და სამხედრო ტექნოლოგიით საიდუმლო ვაჭრობა იყო, არავის ეეჭვებოდა, მაგრამ ეს ოფიციალურად მხოლოდ ახლა დადასტურდა. მელბურნის სასამართლოში დაიწყო ავსტრალიის ტერიტორიაზე 150 კგ ჰეროინის შეტანის მცდელობის საქმის მოსმენა.

შარშან, აპრილში, ავსტრალიის სამხედრო-საზღვაო ძალებმა ვიქტორიას შტატის სანაპიროსთან აღმოაჩინეს გემი Pong Su, რომლის თავზე პაწაწინა სახელმწიფოს, ტუვალუს, დროშა ფრიალებდა. გემის შეჩერება გაჭირდა. მესაზღვრეებმა, რომლებიც მას მისდევდნენ, დაინახეს, ეკიპაჟის წევრები როგორ ყრიდნენ წყალში ტომრებს. საბოლოოდ, ავსტრალიის სპეცნაწილის ქვედანაყოფმა მაინც შეძლო გემის შეჩერება და ეკიპაჟის დაპატიმრება. მოგვიანებით გაირკვა, რომ ავსტრალიელი მესაზღვრეები სპეცსამსახურების მითითებით მოქმედებდნენ. ისინი Pong Su-ს ჩრდილოეთ კორეის ერთ-ერთი პორტიდან გამოსვლის წუთიდანვე ადევნებდნენ თვალს. ეკიპაჟთან ერთად დაპატიმრებული არიან ხმელეთზე მყოფი მათი თანამზრახველები. ნარკოტიკებით სავსე ტომრები ავსტრალიელმა მყვინთავებმა წყლიდან ამოიღეს. გემის ეკიპაჟთან ერთად დამნაშავის სკამზე აღმოჩნდება ჩრდილოეთ კორეის ხელისუფლებაც, რომელიც მომხდარის თაობაზე ჯერჯერობით დუმს.

მელბურნში, სასამართლო პროცესის წინ, ფხენიანის საინფორმაციო სააგენტომ გაავრცელა ცნობა იაპონელი ბიზნესმენის დაპატიმრების თაობაზე — იგი თითქოს ცდილობდა კორეის სახალხო დემოკრატიული რესპუბლიკის ტერიტორიის გავლით გაეტანა ნარკოტიკები. სააგენტო ხაზს უსვამს იმ გარემოებას, რომ ნარკოტიკების კონტრაბანდა, ჩრდილოკორეული კანონების თანახმადაც, მძიმე დანაშაულია და ქვეყნის ხელისუფლება მტკიცედ იცავს ამ კანონს.

*კომსომოლსკაია პრავდა №204*

## მოკლედ

**ლონდონის** სასამართლომ უარი უთხრა რუსეთს აჰმედ ზაკაევის გადაცემაზე და გაათავისუფლა იგი. მოსამართლე ტიმოტი უორკმენმა განაცხადა, — რუსეთის მოთხოვნას, ზაკაევის გადაცემის თაობაზე, პოლიტიკური მოტივები უდევს საფუძვლადო. რუსეთის საგარეო საქმეთა სამინისტროს მიაჩნია, რომ ზაკაევის გათავისუფლება დარტყმას მიაყენებს ორი ქვეყნის პარტნიორობას, ბრიტანეთის ხელისუფლება ორმაგ სტანდარტს იყენებს — ვითომ ტერორიზმის წინააღმდეგ ილაშქრებს, სინამდვილეში კი ტერორისტებს თავის ტერიტორიაზე მალავსო.

**აშშ**-ის აღმოსავლეთ შტატებში ქარიშხლის გამო მილიონზე მეტი მოქალაქე უშუქოდ დარჩა. სტიქიურმა უბედურებამ ორი ადამიანი იმსხვერპლა. გზებზე მოძრაობა შეფერხდა, გადაიდო ავიარეისები. ქარიშხალმა ვაშინგტონის ერთ-ერთ ელექტროსადგურში ხანძარი გამოიწვია.

**სერბეთის** პრეზიდენტის მოვალეობის შემსრულებელმა და სპიკერმა ნატაშა მიჩიჩმა პარლამენტის დათხოვნა გამოაცხადა — ახლანდელმა პარლამენტმა ამოწურა დემოკრატიული პოტენციალი და რეფორმების განხორციელების უნარიო. ვადამდელი საპარლამენტო არჩევნები დეკემბრის ბოლოსთვისაა დანიშნული.

**უკრაინის** პრეზიდენტმა ლეონიდ კუჩმამ საკონსტიტუციო სასამართლოს გაუგზავნა მოთხოვნა პარლამენტის უფლებამოსილების ვადამდე შეწყვეტის თაობაზე. მისი თქმით, პარლამენტის ამჟამინდელი სესიების მუშაობა გამუდმებით ფერხდება, რაც ხელს უშლის უმნიშვნელოვანესი საკითხების გადაჭრას.

**სტამბულში** მომხდარმა ორმა აფეთქებამ 16 ადამიანის სიცოცხლე შეიწირა, 150 დაშავდა. ორივე აფეთქება სინაგოგებთან მოხდა. ჯერჯერობით დაუდგენელია, ბომბები დისტანციური მართვის საშუალებით ააფეთქეს, თუ კამიკაძეები მოქმედებდნენ.

**ედინბურგში**, MTV-Europe-ს მუსიკალური ჯილდოების გადაცემის მე-10 ცერემონიას მსოფლიოს დაახლოებით 28 ქვეყნის მილიარდი ტელემაყურებელი ადევნებდა თვალს. ყველაზე მეტი — სამი ჯილდო — გადაეცა ჯასტინ ტიმბერლეიკს — იგი აღიარეს საუკეთესო მომღერლად, მსახიობად, მისი ალბომი კი საუკეთესო მუსიკალურ ალბომად.

**ბელორუსიის** პრეზიდენტმა ალექსანდრ ლუკაშენკომ განაცხადა, რომ არ გამორიცხავს, საპრეზიდენტო არჩევნებში მესამედ მონაწილეობას. ქვეყნის კონსტიტუციით, ეს აკრძალულია, მაგრამ ლუკაშენკოს თქმით, თუ საჭირო გახდა, რეფერენდუმსაც მოაწყობს კონსტიტუციაში ცვლილებების შესატანად.

**პალესტინის** პარლამენტმა მოიწონა პრემიერ-მინისტრ აჰმედ ქორიას ახალი კაბინეტის შემადგენლობა და ამით ბოლო მოუღო ორთვიან სახელისუფლებო კრიზისს. ისრაელი და აშშ შეშფოთებულები არიან იმით, რომ არაფატმა შეინარჩუნა გავლენა ძალოვან სტრუქტურებზე, თუმცა იმედი გამოთქვეს, რომ მინისტრთა ახალი კაბინეტი პალესტინა-ისრაელის კონფლიქტის მშვიდობიანი მოგვარების გზას დაადგება.

**ევროკავშირმა** მხარი დაუჭირა საზღვრების დაცვის სააგენტოს შექმნას, რომელიც კოორდინირებას გაუწევს საზღვრების დაცვის საქმეს. სააგენტოს არ ექნება კონტროლის უფლებამოსილება, მისი მიზანია ერთიანი სტანდარტების შემუშავება და დანერგვა, აგრეთვე ევროკავშირის ტერიტორიიდან არალეგალური იმიგრანტების გასაძევებლად ზომების მიღება.

**ჯორჯ სოროსმა** — ცნობილმა მეწარმემ და მსოფლიოს ერთ-ერთმა უმდიდრესმა ადამიანმა, ომი გამოუცხადა ჯორჯ ბუშს — იგი მზადაა, დააფინანსოს ორგანიზაციები, რომლებიც მეტოქეობას გაუწევენ მას მომავალ საპრეზიდენტო არჩევნებზე.

*გვერდი მოამზადა ნანა ანტონოვა-ილურიძემ*


კომპანია „ნუტრიმენტ ჰაუსი“ გისურვებთ ჯანმრთელობას

ეძღვნება ნამდვილ მამაკაცებს!




უკვე არაერთი ათწლეულია მსოფლიოს უროლოგები ეფექტურად გამოიყენებენ მცენარეულ პრეპარატს "პროსტა სტრონგი"-ს. სწორედ ამ პრეპარატს გთავაზობთ კომპანია "ნუტრიმენტ ჰაუსი"

"პროსტა სტრონგ"-ის ფორმულა ხელს უწყობს:

- პროსტატის ჯანმრთელობას,
- შარდის ნორმალურ გამოყოფას,
- იცავს პროსტატის ჯირკვალს თავისუფალი რადიკალების ზემოქმედებისაგან, რომლებიც თავის მხრივ ზრდიან პროსტატის სიმსივნის რისკს.



ფლეჟა ფილი – სიამოვნება აბებში

უძლიერესი სექსუალური სტიმულატორი

„ფლეჟა ფილი“ ეფექტურია როგორც მამაკაცებისათვის, ასევე ქალებისათვის. იგი აძლიერებს სისხლის ცირკულაციას გენიტალიებში, რაც იწვევს აღგზნებადობას. აგრეთვე „ფლეჟა ფილი“ შეიცავს საკმაოდ კომპონენტებს, რომლებიც ახდენს ქალის გონების სტიმულაციას, რის შედეგადაც მიიღწევა სექსუალურობის უმაღლესი მწვერვალი. „ფლეჟა ფილი“ ეფექტურად გამოიყენება სექსუალური დისფუნქციის დროს როგორც ქალებში, ასევე მამაკაცებში იმ ოთხივე ცნობილი ფიზიოლოგიური სისტემის გათვალისწინებით, რომლებიც აუცილებელია ოპტიმალური სექსუალური ფუნქციონირებისათვის:

1. ზრდის სექსუალურ აღგზნებადობას და გამძლეობას;
2. ზრდის Nitric Oxide-ის და GMP-ს დონეს;
3. აძლიერებს სისხლის მიწოდებას გენიტალიებში;
4. ზრდის ლიბიდოს, მგრძნობელობას და ორგაზმს.

თქვენ შეგიძლიათ ისიამოვნოთ სექსით მთელი სათის განმავლობაში.




„ფლეჟა ფილი“ – უბრალოდ სცადეთ !!!

ნუტრიმენტ ჰაუსი NUTRIMENT HOUSE

„ნუტრიმენტ ჰაუსში“ კვალიფიციური და გულისხმიერი ექიმები იზრუნებენ თქვენს ჯანმრთელობაზე და დაგეხმარებიან მტკივნეული პრობლემების გადაჭრაში.

მის: დავით აღმაშენებლის 150 ტელ: 95-65-03; 96-06-67 w w w . s h o p g e . c o m

## რა უნდოდა აბაშიძეს სომხეთში?

(დასაწყისი იხ. გვ. 14)

მაგრამ ისიც უნდა გავიხსენოთ, რაც მერე მოხდა — როცა შეიარაღებული ზვიადისტები თბილისისკენ დაიძრნენ, ახლა უკვე შევარდნაძემ მიმართა სომხებს დახმარებისთვის. ცნობილია, რომ საქართველოს მთავრობა ოფიციალურ ერევანს სთხოვა ჯარები შემოეყვანა ამბოხებული ზვიადისტებისგან თავის დასაცავად. ცხადია, სომხეთის ჯარები თბილისში წესრიგის დამყარების შემდეგ, კარგა ხნით დარჩებოდნენ ჯავახეთში. მაგრამ მაშინ ლევონ ტერ-პეტროსიანმა ეს არ გააკეთა და მხოლოდ მორალური მხარდაჭერას დასჯერდა. შევარდნაძემ კარგად გათვალა, როცა ასლან აბაშიძე ერევანში გაგზავნა, რადგან მას სომხეთში კონსერვატორის სახელი აქვს. თანაც ერევანში დიდი სიმპათიებით არ სარგებლობს ზოგი ქართველი ოპოზიციონერი. ოფიციალური ერევანი მართლაც შეწუხებულია საქართველოში მიმდინარე დესტაბილიზაციით. მაგრამ რა გარანტიაა, რომ მხოლოდ ედუარდ შევარდნაძის სახელთან შეიძლება იყოს დაკავშირებული სტაბილურობა საქართველოში? რად სჭირდება სომხეთს მეზობელი ქვეყნის შინაურ საქმეებში ჩარევა? — ამაზე გარკვეული პასუხი ჯერ არ არსებობს. შესაძლოა აბაშიძის ვიზიტს კონკრეტული მიზანი არც ჰქონდა, აჭარის ლიდერმა იქნებ მხოლოდ შეახსენა ყველას, რომ საქართველოში ყველაფერი წარმავალია — არჩევნებიც, ხელისუფლებაც და ოპოზიციაც. მუდმივი მხოლოდ თავად არის — აქედან გამომდინარე, მასთან კონტაქტი საჭიროა.

*პანა არმენიან რუ*
*გოლოს არმენიი*

## „აჭარის ლომს" ავტონომიური რესპუბლიკა ევპატარავება



ეს ფოტო ბათუმის უნივერსიტეტის გახსნის დროს არის გადაღებული, საინტერესოა, ახლა რისი გასაღები მიიღო ასლან აბაშიძემ ედუარდ შევარდნაძისგან

აჭარის პრორუსული ლიდერი ნელ-ნელა რეგიონული დონის პოლიტიკოსი ხდება. 11 ნოემბერს, გვიან ღამით, ბაქოში ასლან აბაშიძე ჩავიდა. აეროპორტში მას აზერბაიჯანის ვიცე-პრემიერი და სხვა ოფიციალური პირები დახვდნენ. აბაშიძემ ჟურნალისტებს განუცხადა, ილჰამ ალიევს პრეზიდენტობა უნდა მივულოცოო. მაგრამ გულწრფელი იყო კი აბაშიძე? ნუთუ მარტო ამისთვის ჩავიდა ბაქოში? თანაც იმ დროს, როცა თავად საქართველო თითქმის სამოქალაქო ომის პირასაა? საინტერესოა, სომხეთში ქოჩარიანსაც მეორედ გაპრეზიდენტება ხომ არ მიულოცა? თუ ასეა, ნამეტნავად დაუგვიანებია. აქამდე აბაშიძეს მაინცდამაინც არ უყვარდა თავისი სამფლობელოს დატოვება, თბილისშიც არ ჩადიოდა — მარტო მოსკოვს სტუმრობდა ხშირ-ხშირად. ახლა, ეტყობა, „აჭარის ლომს" ავტონომიური რესპუბლიკა ეპატარავება... სრულიად კავკასიური მნიშვნელობის პოლიტიკოსობა უნდა. ამას კიდევ გაუძლებდა კაცი, აბაშიძე თურქმენბაშივით ავტორიტარული ტიპის ლიდერი და რუსეთის ვასალი რომ არ იყოს. მას აჭარა საკუთარ მამულად მიაჩნია, სადაც ცენტრალური ხელისუფლების მიერ მიღებული კანონები არ მოქმედებს და არც მის საგარეო პოლიტიკას იზიარებს. თბილისი მოსკოვთან რუსეთის ჯარების გაყვანაზე მოლაპარაკებებს აწარმოებს, აჭარის საზღვარს კი დღემდე რუსი მესაზღვრეები იცავენ. მოვლენების ასეთი შემობრუნება არა მარტო მთელი რეგიონისთვის არის სახიფათო და არა მარტო აზერბაიჯანს უქადის საშიშროებას, ეს მძლავრი დარტყმაა რეგიონში აშშ-ის ინტერესებზეც. აბაშიძის გაძლიერება და უარესი — მისი ქვეყნის ხელისუფლების სათავეში მოქცევა, აშშ-ის რეგიონიდან განდევნას ნიშნავს. ფაქტობრივად, ევროპის სამხრეთ ფლანგზე ირღვევა პროამერიკული ქვეყნების ჯაჭვი (აზერბაიჯანი-საქართველო-თურქეთი). ამის შემდეგ აზერბაიჯანმა რომც შეინარჩუნოს პროამერიკული ორიენტაცია, აშშ-ის გეოპოლიტიკური ინტერესების რეგიონში განსახორციელებლად, მას აღარ ექნება ისეთივე მნიშვნელობა, როგორიც ადრე ჰქონდა. პროამერიკული ქვეყნების დამაკავშირებელი ჯაჭვის მთავარი რგოლი — საქართველოა. თუ ის გამოვარდება, მაშინ აზერბაიჯანი პრორუსულ ბლოკადაში აღმოჩნდება...

*ზერკალო, ბაქო*

## რატომ აუქციეს „რუსთავი-2"-ს ხელი

### „თუ ვინმე ფიქრობს, რომ ჩვენ ჟვანია-სააკაშვილისთვის ვირჯებოდით, ეს მისი პრობლემაა..."

(დასაწყისი იხ. გვ. 6)

**— ბოიკოტის მიზეზი ის ხომ არ გახდა, რომ „რუსთავი-2" საზოგადოების ნაწილში იმ პოლიტიკურ ძალებთან ასოცირდება, რომლებიც რუსთაველის გამზირზე მართავენ მიტინგს?**

— ჩვენთვის არაერთხელ უთქვამთ — ჟვანია-სააკაშვილის ტელევიზია ხართო. მე არც დამიმალავს, რომ მხარს ვუჭერდი მომიტინგეებს. ასეთ შემთხვევაში, ბუნებრივია, ობიექტური ვერ ვიქნებოდით. გადაცემის შემდეგ ყოველთვის მივდიოდი აქციაზე ჩემი თანამშრომლებისა (რომლებიც დილიდან იქ მუშაობდნენ) და იმ უამრავი ნაცნობის სანახავად რომლებიც იქ იყვნენ. იქ ჟვანიასა და სააკაშვილის გამო არ მივსულვარ. მე თანავუგრძნობდი ხალხს, რომელსაც მოთმინების ფიალა აევსო, მომიტინგეებზე ზოგიერთებივით ვერ ვიტყოდი, 25 ლარის გამო გავიდნენ ქუჩაში-მეთქი. ვერ ვიტყოდი, მომიტინგეები შტურმით მიდიან კანცელარიაზე-მეთქი. ჩემთვის არ არის სულერთი ხალხი, რომელსაც 10 წელია აბუჩად იგდებს ხელისუფლება და თუ ვინმე ფიქრობს, რომ ჩვენ ჟვანია-სააკაშვილისთვის ვირჯებოდით, ეს მისი პრობლემაა...

**— ბევრი ამბობს, რომელი SMS-ებიც აწყობთ, იმას უშვებენ ეთერშიო.**

— არ მოვყვები მტკიცებას, sms-ები შერჩევით არ გადის-მეთქი. შეუძლებელია, 2 საათის განმავლობაში ყველა SMS-ის მიღება და ეთერში გაშვება. ჩემს ნაცნობებსაც არაერთხელ უთქვამთ, — გამოვაგზავნეთ SMS, მაგრამ არ გასულაო. როგორც ხელმძღვანელი, მე მხოლოდ უცენზურო სიტყვებისა და ლანძღვა-გინების გაშვებას ვკრძალავ, თორემ სხვაგვარად SMS-ები არ იცხრილება.

ყველაფრის მიუხედავად მერწმუნეთ, კვლავ პირველები ვიქნებით საინფორმაციო სივრცეში. ყველა მოვლენის სრული სურათი გვექნება. უარესი შეზღუდვები დაგვიძლევია.

პრეცედენტი რომ მედიას უცხადებენ ბოიკოტს, აღმაშფოთებელია, მაგრამ საქართველოს რეალობისთვის ეს მისაღები აღმოჩნდა, ისევე როგორც წინასწარმეტყველი პოლიტიკოსების არსებობა ჩვენს სინამდვილეში... სამაგიეროდ, უპრეცედენტოა ფაქტია, როცა ჯერ კიდევ გუშინ ადამიანის უფლებათა დამცველი, დღეს კი ცესკოს თავმჯდომარე, აკრედიტაციას გვიუქმებს, მაგრამ ამით ვერ შეგვაჩერებენ.

*იზო რიკაძე*

## „გადატრიალება არ უნდა დავუშვათ"

*აჭარის ავტონომიის მეთაურმა ასლან აბაშიძემ სომხეთით და აზერბაიჯანით დაწყებული ბლიცტურნე მოსკოვში დაასრულა. საქართველოში პოლიტიკური კრიზისია. მის განსამუხტავად აბაშიძემ თანადგომისთვის მეზობლებს მიმართა. რფ-ის საგარეო საქმეთა მინისტრთან, იგორ ივანოვთან შეხვედრის შემდეგ ივანოვის მოადგილეს, ვალერი ლოშჩინინს ორი საათი ესაუბრა იმის შესახებ, თუ როგორ შეიძლება განვითარდეს მოვლენები რესპუბლიკაში.*

**ასლან აბაშიძეს** „იზვესტიის" მიმომხილველი შეხვდა:

**— ბატონო ასლან, შესაძლებელია ოპოზიციასთან მოლაპარაკება?**

— ისინი მოლაპარაკებაზე არ დათანხმდებიან, რადგან თავისი მიზნები ამოძრავებთ. მათ უკვე აქვთ პროექტი და ფინანსებიც. თამამად შეუძლიათ სამოქალაქო ტანსაცმელში გადაცმული სამხედროები გამოიყვანონ და ეს იქნება ყველაფრის დასასრული. ისევ 90-იან წლებს ვუბრუნდებით, გამსახურდიას მმართველობის პერიოდს.

**— ვიცით, მაშინ როგორც დამთავრდა ყველაფერი. ხომ არ განმეორდება შეტაკება?**

— ყველაფერი ისევ იქითკენ მიდის. მაშინ ვეცადე, როგორმე შემეჩერებინა პროცესი და გავაკეთე ის, რასაც ახლაც ვაკეთებ... მაგრამ დრო წავაგეთ... მინდა დავარწმუნო ჩვენი მეზობლები, რომ აუცილებელია დიალოგში ჩართვა, რათა არ დავუშვათ საქართველოში გადატრიალება. ადამიანი, რომელსაც მხოლოდ ორი-სამი ათასი მომხრე ჰყავს, კანონიერად არჩეული პრეზიდენტის გადადგომას მოითხოვს — ეს როგორმე უნდა შევაჩეროთ, რადგან ხვალ ისეთივე ხალხი მოვა, როგორიც სააკაშვილია და მომავალი თაობაც იმავე გზით ივლის.

**— რას ფიქრობთ, რუსეთი, სომხეთი და აზერბაიჯანი დაეხმარებიან საქართველოს? რამდენად ნაყოფიერი იყო თქვენი შეხვედრები?**

— საქართველოში შექმნილ სიტუაციაზე უკვე ველაპარაკე ორ პრეზიდენტს — ქოჩარიანს და ალიევს. ძალიან შეწუხებულნი არიან. ყველა ერთ აზრზეა — გადატრიალება არ უნდა დავუშვათ. ღმერთმა ქნას, მტყუანი აღმოვჩნდე, მაგრამ თუ მაინც გადააყენებენ პრეზიდენტს, ვფიქრობ, ეს სცენარი დსთ-ის სხვა რესპუბლიკებშიც განმეორდება. თუ საქართველოში გადატრიალება ან სამოქალაქო ომი მოხდება — მშვიდობა მთელ ამიერკავკასიაში დაირღვევა.

**— როგორ მოიპოვა სააკაშვილმა ასეთი პოლიტიკური წონა? 20 პროცენტი ცოტა არაა...**

— არა მგონია, მართლა 20 პროცენტი მიეღო. სააკაშვილს და მის მომხრეებს ეშინიათ, რომ ხელახალი დათვლისას რეალური სურათი გამოჩნდება, რაც არ სჭირდებათ. მათ გაყალბებული, მომატებული ხმები უნდათ. წარამარა ტელევიზიით გამოდიან და სიტუაციას ძაბავენ.

**— როგორ კომენტარს გაუკეთებთ სააკაშვილის განცხადებას იმის შესახებ, რომ თქვენ შევარდნაძეს გაურიგდით და შეიძლება მისი ადგილი დაიკავოთ?**

— წარმოიდგინეთ, რომ თქვენი მთავარი რედაქტორი მოადგილეს შეხვდა რაღაც საკითხის განსახილველად, თანამშრომლებმა კი უსაყვედურეთ, — რატომ არაფერი გვითხარით თქვენი საუბრის შესახებო. ეს ერთი და იგივეა.

**— ე.ი. თქვენ მშვიდად შეხვდით ამ ბრალდებას?**

— ეს ავადმყოფი ხალხია. ისინი პრეზიდენტმა, ასე ვთქვათ, ევერესტზე აიყვანა და ახლა მწვერვალს ვერ ელევიან, პირიქით, უფრო მაღლა უნდათ აფოფხება.

**— თუ ახლა ყველაფერმა მშვიდობიანად ჩაიარა, უკვე დროა, რომ შევარდნაძემ მემკვიდრეზე იფიქროს...**

— თუ მე მგულისხმობთ, გეტყვით, ისე მომაბეზრა თავი პოლიტიკამ, რომ ვერც კი წარმომიდგენია საპრეზიდენტო არჩევნებში მონაწილეობის მიღება.

**— წინა არჩევნებზე რატომ მოხსენით თქვენი კანდიდატურა?**

— მე რომ თანხმობა განმეცხადებინა, სამოქალაქო ომი ატყდებოდა. ამის შესახებ ერთ-ერთმა ძალოვანმა მინისტრმა გამაფრთხილა. ამიტომაც უარი ვთქვი ბრძოლაზე.

**— დღევანდელი წინააღმდეგობები შეიძლება სამოქალაქო ომით ან გადატრიალებით დამთავრდეს?**

— გამორიცხული არ არის. ახლანდელი სიტუაცია სპონტანურად არ წარმოქმნილა. ოპოზიციას ვიღაც აფინანსებს. ჩვენი ანალიტიკოსების ანგარიშით, მარტო ტელერეკლამაში სააკაშვილი დღეში 109 ათას დოლარს ხარჯავს. ამას კიდევ გაზეთები, ქუჩის აგიტაცია და მრავალი სხვა რამეც დაუმატეთ.

**— ვფიქრობ, ახლა წყდება საკითხი, თუ რა გზას დაადგება საქართველო. ოპოზიციას ხომ აშშ უჭერს მხარს, ოფიციალურ რეჟიმს კი — რუსეთი.**

— საქართველოს დამოუკიდებელი პოლიტიკა უნდა ჰქონდეს, მაგრამ ისიც უნდა ესმოდეს, რომ რუსეთთან და მეზობელ სახელმწიფოებთან მეგობრობის გარეშე არაფერი გამოუვა. ყველასთან უნდა ვიმეგობროთ, მათ შორის ამერიკასთანაც, მაგრამ არა მეზობლების საზიანოდ. ამასთან, შეღავათები უნდა შევთავაზოთ იმ ქვეყნებს, რომლებიც ამ რეგიონში თავისი ინტერესების რეალიზებას აპირებენ. ისინი ჩვენი ხელის შეწყობის გარეშეც გააკეთებენ თავის საქმეს, მაგრამ ამჯერად ჩვენს საზიანოდ.

**— რას გკარნახობთ ინტუიცია და გამოცდილება — დარჩება შევარდნაძე პრეზიდენტად?**

— ინტუიციას ვერ ენდობი კაცი... ხვალინდელი დღისა კი მეშინია. მე მგონია, რომ ჩვენი ხალხი ბედნიერია, რამეთუ მეასედიც კი არ იცის იმ ინფორმაციისა, რომელსაც ჩვენ ვფლობთ. თუ ამ სიძნელეებს მოვერევით, მაშინ საქართველოს მშვიდობიანი ცხოვრების შანსი ექნება. მაგრამ დრო ცოტა გვაქვს...

*იზვესტია. რუ*

*რუბრიკა მოამზადა თინათინ მარგველაშვილმა*

საქართველოს ეროვნულმა ბანკმა 15 ნოემბრიდან დაადგინა ლარის მიმართ უცხოური ვალუტის შემდეგი კურსი:

| | |
|---|---|
| აშშ დოლარი | 2,1200 |
| ევრო | 2,6018 |
| ინგლ. გირვანქა სტერლინგი | 3,7298 |
| რუსული რუბლი | 0,0741 |
| თურქული ლირა (1.000.000) | 1,5029 |

ასლგადამღები აპარატები
1. იჯარა - ლიზინგი
უნივერსიტეტებს, ორგანიზაციებს, ოფისებს
2. იჯარა გამოსყიდვით
3. საერთო ბიზნესი
თქვენგან მოითხოვება საკუთარი ფართი
4. გაყიდვა გარანტიით
ტექნიკური მომსახურება და სერვისი

ქსეროასლები
შავ-თეთრი ნითელი ლურჯი
2-დან 5 თეთრამდე
ტირაჟის, ფერის და ქაღალდის მიხედვით
ფერადი ქსეროასლები
კომპიუტერიდან ბეჭდვის შესაძლებლობით
აკინძვა, ლამინირება
პლაკატების, ბუკლეტების, ეტიკეტების, ლოგოების და მოსაწვევი ბარათების
მხატვრულ-დიზაინერული და კომპიუტერული გაფორმება

შ.პ.ს. კომპანია „ლიბკო"
Libco. Company LTD
თბილისი, დ. აღმაშენებლის №99/1, მოზარდ-მაყურებელთა თეატრი, ყოფ. შეროზიას ქ-დან, ტელ/ფაქსი: 96-32-89

„ტრანსტრონსის" ფირმის
მეტალოპლასტმასის კარ-ფანჯრები
ძალიან იაფად
ფერები: თეთრი, ნაბლის ტექსტურით, მუხა, მუქი მუხა, მაკაგონი, წითელი ხე და ა.შ.
ჩვენი პროფილი — 3-კამერიანია
მის: წერეთლის 141 მ. „დიდუბის" გვერდით
☎ 966-779; 61-32-37; 34-49-40; 899-51-51-09; 899-902-091


აწარმოებს ბურღვით სამუშაოებს სასმელი და ტექნიკური წყლის მისაღებად
მის: აკურის ქ. №8 (საორბის სასახლის უკან), ოთ. 118
ტ: 33-26-75; 38-24-02

# ცხოვრებისეული კურიოზები

## დარაჯი ბუდარია



სამსახურში ერთი დარაჯი გვყავდა, ლოთ ვანოს ვეძახდით. ერთი ბოთლი არყისთვის ეშმაკს მიჰყიდდა სულს. ერთ მშვენიერ დღეს ჩემი მეგობარი ნუკრი ეუბნება, — ვანო ძია, მანქანას თუ გამირეცხავ, არყის და საუზმის ფული ჩემზე იყოსო.

ვანომ დაამშვიდა, შენ არხეინად იყავი, ფული მომეცი და 20 წუთში მანქანას გაგიკრიალებო.

ნუკრიმ ფული და მანქანის გასაღები მისცა და აუხსნა, რომ მისი თეთრი „ჟიგული“ — 07 ელბაქიძეზე ეყენა, ღვინის ქარხნის შესასვლელთან.

ვანო 20 წუთში დაბრუნდა, ტანსაცმელიც კი დასველებოდა, „კლიენტს“ გასაღები დაუბრუნა და კმაყოფილი წავიდა.

ნუკრი ერთ საათში მივიდა ღვინის ქარხნის შესასვლელთან და რას ხედავს, მისი მანქანა გაურეცხავია!

დარაჯისთვის არაფერი უთქვამს... ერთი კვირის შემდეგ ისევ სთხოვა მანქანის გარეცხვა, ოღონდ ამჯერად „ჭკუა იხმარა“ და ფულს მერე მოგცემო, უთხრა. ვანომ უდარდელად გამოართვა გასაღები და ისევ 20 წუთში დაბრუნდა უკან. ტანსაცმელი ისევ სველი ჰქონდა...

ნუკრი მაშინვე გაქანდა მანქანის სადგომისკენ. შეშინებული ვანოც უკან მიჰყვა.

იქ კი ვიღაც შუახნის მელოტი მამაკაცი იდგა და იგინებოდა:

— მე მაგის დედა ვატირე, ბუდარიაა თუ ვიღაცაა, წინა კვირასაც ასე გამიკეთა. ერთი საათით დავაყენე გაურეცხავი მანქანა, მოსულა, გაუღია და გაურეცხავს შიგნით და გარეთ!..

***გიორგი ჟ., თბილისი***

ორიგინალური განცხადება

## ვაკანსიების შესახებ

*გაერთიანება „ნიაზი და არადემოკრატები + ანარქისტები“ გთავაზობთ შემდეგ სამუშაოს:*

**1.** გვაქვს ერთი ვაკანტური ადგილი ფსიქიატრიულ საავადმყოფოში (პალატა №1) ნაპოლეონის თანამდებობაზე. ანაზღაურება მზარდი: 8-დან 14 ლარამდე.



აუცილებელი პირობები: უნდა იყოს ქუთაისელი და უნდა ჰქონდეს ქუთაისელი ფსიქიატრის დასკვნა, რომ მას სამხედრო ბილეთში აქვს ჩანაწერი — 9ბ.

**2.** №5 იზოლატორში — ერთი ადგილი 25 წლით. აუცილებელი პირობა: გურული, უნდა შეძლოს შოშიას (დუმბაძის რომანიდან) მაგივრობა და ყოველ დილით მამალივით ყივილი. სასურველია გამოდგეს აზერბაიჯანული ენის თარჯიმნად. ისეთი პიროვნება უნდა შეირჩეს, რომელსაც აღარ სჭირდება ხელფასი (ნაქურდალი ბევრი უნდა ჰქონდეს).

**3.** ერთი ადგილი (50-60 წლის მამაკაცისათვის) — საცობისა („პროპკის“), რომელიც გამოდგება ყველანაირი ბოთლისათვის, პიროვნება უნდა იყოს გარეგნობით გამორჩეული, სიმპათიური და უნდა იცოდეს უწყლო აუზში ცურვა. ანაზღაურება: თუ ჭკვიანად მოიქცევა, აუზში წყალს ჩავუსხამთ.

*შენიშვნა: მას, ვინც მოგვაწვდის შესაფერის კანდიდატურებს, გადაეცემა პრეზიდენტის პრემია, რომელიც დაზღვეულია „ალდაგის“ მიერ და გაიცემა 2005 წლის ბოლოს.*

***ნიაზი***



## ტაშიი!

შუაღამეა, ქორწილიდან საკუთარი მანქანით ბრუნდება აკორდეონისტი ბუხუტი ბერაძე. გვერდით მედოლე კოლია ღლონტი უზის.

კასპს გამოსცდნენ და რეიდზე გამოსულმა ინსპექტორმაც ჩაუსტვინა. წელათრეული გადავიდა ბუხუტი მანქანიდან.

— გახსენი „ბაგაჟნიკი“, — მძღოლი მთვრალი რომ არ იყო, ინსპექტორი დაიბოლმა. ბუხუტიმ გახსნა.

— რა ყუთი გიდევს ესა? ტერორისტი ხარ, ბიჭო?

— აკორდეონია, ბატონო და... დოლი. დამკვრელები ვართ ჩვენ, ქორწილიდან ვბრუნდებით.

— მოიყვანეთ აქა! — მოისმა „ტეკის“ უკანა მხრიდან. „ნაშრომ“ ინსპექტორებს სახელდახელო პურმარილი გაეშალათ და არც „თეთრი“ ბოთლები დავიწყებოდათ. კარგა შეჟუჟუნებულები ჩანდნენ.

— რაც არი, არი, გადმაიღეთ თქვენი ინსტრუმენტები და შაუბერეთ, — ბრძანა ერთმა, რომელსაც ეტყობოდა, რომ დანარჩენების უფროსი იყო.

რაღას იზამდნენ? ჩათრევას ჩაყოლა ამჯობინეს და... შეუბერეს.

— ტაშიი! — იყვირა ერთმა. ჩამოურა და რა ჩამოუარა (ტრასაზე არავინ ჩანდა და რა დააკავებდათ?). ცოტა ხანში უფროსიც გამოიცეკვა, მანაც არ დააყოვნა.

„ნომერი“ „სირტაკით“ დაასრულეს და მუსიკით და ცეკვით გახალისებულმა ერთერთმა ინსპექტორმა ორი ათლარიანი ჩაუკუჭა ჯიბეში ბუხუტიას.

რიჟრაჟამდე „უბერავდნენ“ და 50 ლარიც გაიკრეს.

— რას არ მოესწრება კაცი? — როხროხებდა „მთლად“ უფროსი. — პირველი შემთხვევაა კაცობრიობის ისტორიაში, ინსპექტორები რომ იქით აძლევენ ფულს მძღოლს!

გადაეხვია ბიჭებს და გზა დაულოცა...

***მურმან მერკვილიშვილი, თბილისი***

## რა სარგებლობა მოაქვს „ეი-ი-ეს თელასს“?



— უფრთხილდება ჩვენს თვალებს (გვიცავს ტელევიზორის მავნე ზემოქმედებისგან!).

— ავარჯიშებს მეხსიერებას (როდესაც შუქი ჩაქრება, აუცილებელია გაიხსენო, თუ სად დადე ბოლოს ასანთი).

— გვაგრძნობინებს ბრმების მწარე ხვედრს!..

და ბოლოს:

— გვასწავლის გამოთქმით გინებას!

***ვახტანგ ჯანეზაშვილი, თბილისი***

# მკითხველის საყვარელი ანეკდოტი

ვაკელი თიკა და ნატა „ბმვ“-ში სხედან და მიქრიან.

— ცოტა შეანელე რა, თვალები მიჭრელდება!.. — წამოიძახა ნატამ.

— გიჭრელდება და ჩემსავით გააკეთე! — დაამშვიდა თიკამ.

— როგორ?

— თვალები დახუჭე!

***ნინო გავაშელი, ზესტაფონი***





— მარო, ერთ გამოცანას გეტყვი და გამაიცან!

— აბა, მიდი!

— წინ ქალი, უკან მრგვალი!

— აი, რატო არ მაჰკვდები, მიხო!..

— ფილარმონიაა, დედაკაცო, წინ ქალი არ უდგა? — ჩაიცინა მიხომ და მეორე გამოცანა შესთავაზა.

— წინ სამი, უკან — ერთი! მაგას კი ნაღდად გამაიცნობ!

— სამიც გაგიხმა და ერთიცა!

— ოცდათერთმეტია, ოცდათერთმეტი, სამიანი და ერთიანი! — ხითხითებდა მიხო.

***ლადო კაკაბელი, სიღნაღი***



მეთექვსმეტე სართულზე ორი ნარკომანი საუბრობს:

— ისე, აქედან რო გადავვარდე, რამდენ ხანს მოვუნდები ძირს ჩავარდნას?

— მოუნდები ალბათ ერთი ხუთი დღე.

— მერე მოვკვდები?

— 5 დღეში ან ლომკა მოგკლავს, ან შიმშილი, აბა რა იქნება?!

***ჯანსუღ ბოჭორიშვილი, ქუთაისი***

ჟორაია დგას მოსკოვის გარეუბნის ერთ-ერთ ქუჩაზე, წინ ტომარა უდევს ხილით სავსე. სიცივეა, -18 გრადუსი. შეფუთულ ჟორაიას მხოლოდ თვალები და ტუჩები მოუჩანს. მივიდა ერთი ვანია და ეკითხება: — ბრატოკ (რუსებს, როცა სჭირდებით, მაშინ ბრატოკი ხარ), სკოლკო ვრემია?

ჟორაიამ იფიქრა, რავარი ამოსაღებია ახლა ჯიბის საათიო და ეუბნება ვანიას: — ბრატოკ, ლეტომ პრიხადი, ლეტომო.

***ვაჟა ჭყონია, ქუთაისი***



ოფიცერი სვან ჯარისკაცებს:

— ხვალ სხვა ნაწილში გადავდივართ. გასვლა დილის 10 საათზეა. მანქანა 10 წუთით ადრე იქნება, მაგრამ ვინც ვერ დაეტევა, მისაბმელზე ახვალთ. შეკითხვები არის?

— დიახ, მისაბმელი რომელ საათზე გავა?

***თამაზ ხელაძე, ვანი***



***ბატონო მკითხველო, რედაქცია კურიოზებსა და ანეკდოტებთან ერთად ელის მხიარულ კარიკატურებს, მეგობრულ შარჟებს, ახალ სასაცილო ამბებს, რომელთაგან საუკეთესოებს სიამოვნებით გამოვაქვეყნებთ.***

***მასალები გამოგვიგზავნეთ „კვირის პალიტრის“ საფოსტო ყუთების საშუალებით. ყუთების მისამართი იხილეთ ბოლო გვერდზე.***

## მადლობა

თქვენი გაზეთის საშუალებით მინდა უდიდესი მადლობა გადავუხადო იმ ადამიანებს, ვინც მე, პირველი ჯგუფის ინვალიდს, უანგაროდ გამომიწოდეს დახმარების ხელი, გამიკეთეს სასწრაფო ოპერაცია და თუმცა ნაწილობრივ, მაგრამ მაინც აღმიდგინეს მხედველობა. ყველა სხვა კლინიკისაგან განსხვავებით, აქ უკან არ დაიხიეს და ყველა ღონე იხმარეს ჩემს გამოსაჯანმრთელებლად. მე არასოდეს დავივიწყებ მათ და ჩემს თორმეტი წლის ტყუპ შვილსაც ვთხოვ, მუდამ ილოცონ ამ ადამიანებისთვის. აი, ისინი, ვინც მე სიცოცხლის ხალისი დამიბრუნა: ოფთალმოლოგიის ეროვნული ცენტრის I განყოფილების უფროსი, დოცენტი **ოლეგ გოლოვაჩოვი** და განყოფილების მომსახურე პერსონალი, თბილისის ჯანმრთელობის და სოციალური დაცვის ქალაქის სამმართველოს უფროსი **დავით პავლიაშვილი** და მისი მოადგილე **არჩილ მორჩილაძე**.

*პატივისცემით, I ჯგუფის ინვალიდი*
*ლილი თაგვიაშვილი*

## ქირავდება

1, 2 და 3-ოთახიანი კომფორტულად მოწყობილი ბინები დღიურად. ასევე 1 ოთახი თბილისის ცენტრში – პარლამენტთან ახლოს, ბესიკის ქ. №9-ში. ერთდროულად მივიღებ 10-15 კაცს და მეტს. ფასები ნომრების შერჩევით ღირს: $15, $30, $40, $50 და $100. არის შეღავათებიც. ბინაშია ავეჯი, ტელევიზორი, მაცივარი, თეთრეული და ა.შ. ტელ. 92-03-85; 99-94-67; 893 33-03-86. სტუმრების მიღება სადღეღამისოა.

## გთავაზობთ სამუშაოს

ვიწვევთ სამუშაოდ ამერიკულ კომპანიაში 17-40 წლამდე ადამიანებს, კონსულტანტ-მენეჯერის ადგილზე. მიმდინარეობს შერჩევა. 93-57-50; 99-81-71. ნინო

უცხოურ კომპანია „ასფარმას“ თბილისში ესაჭიროება თანამშრომლები შემდეგი პირობებით: უმაღლესი სამედიცინო განათლება, ასაკი – ოცდაათ წლამდე. აუცილებელია ფლობდეს რუსულ ენას, სასურველია იცოდეს ინგლისური ენაც. მის: შევჩენკოს ქ. №12. ტელ: 93-91-09

18-25 წლამდე გოგონებს ვთავაზობთ გამგზავრებას გერმანიასა და საფრანგეთში 1 წლით, ოფიციალური ხელშეკრულებით, AU-PAIR პროგრამით, დასაქმებისა და სწავლის შეთავსებით. უზრუნველყოფა ჯიბის ფულით (ხელფასით), საცხოვრებლით, კვებით, სამედიცინო დაზღვევით და საქალაქო ტრანსპორტით მგზავრობის ხარჯებით. ტელ: 95-64-18; 7-74-79 (ქუთაისი)

კომპანია აწარმოებს თანამშრომელთა შერჩევას. ანზღაურება – სტაბილური. აუცილებელია უ/გ, სასურველია რუსული ენის ცოდნა. ასაკი – 25-დან 45 წლამდე. ტელ: 96-72-10. ნანა

გვაქვს 4 ვაკანსია. სათანამშრომლოდ მივიღებდით განათლებულ, რუსულის მცოდნე ადამიანებს. ვმუშაობთ მსოფლიოში. საუკეთესო თანამშრომლებს ეძლევათ შანსი საზღვარგარეთ მუშაობისა (კომპანიის ხარჯებით). გამომუშავება 200-400$ აშშ სტანდარტებით. მიმდინარეობს შერჩევა. იჩქარეთ! მის. მ. „დიდუბე“, „სამთო ქიმიის ინსტიტუტი“, I სართ. ოთახი 6. ტელ: 34-02-38; 899 90-54-78; მენეჯერი: ბ-ნი დიმიტრი

GIJ – პირველი ქართული Au-pair-სააგენტო გთავაზობთ გერმანიაში Au-pair-პროგრამით გამგზავრებას. ასაკი – 18-25 წლამდე. შუამავლობა – უმოკლეს ვადებში. კონსულტაციები და ცნობარები უფასოა. საშუამავლო თანხა – 78-90 ევრო ლარებში (წინასწარ – ნახევარი). ტელ: 34-66-02; 91-19-61

Требуется на постоянную работу: 1. Руководитель отдела; 2. Зам. руководителя; 3. Инспектор по кадрам; 4. Педагоги и психологи. Отбор на конкурсной основе, высшее образование, возраст 24-50 лет. Тел: 95-79-32

## მომსახურება

ვაწარმოებ ნებისმიერი ავეჯის რესტავრაციას, სამეულების შალითების შეცვლა-აღდგენას; სკამების მატრასების გარემონტება-დარბილებას. ვღებავ ტყავის სამეულებს. ტელ: 95-97-12; 893 24-94-40. ვალერი

ვთარგმნი ინგლისური, ფრანგული და რუსული ენებიდან, აგრეთვე ქართულიდან ინგლისურადაც (ნებისმიერ ტექსტს, წმინდად მეცნიერულ-ტექნიკურის გარდა). ტელ: 69-28-25 (12-13 სთ). დათო

ეპილაცია ვოლფრამის ერთჯერადი ნემსით, ანესთეზიით (ყოველგვარი გაღიზიანების გარეშე), 1 სთ – 6 ლარი; თმის მოცილება სხეულზე მცენარეული ნაყენით (გარანტიით), სახის გაწმენდა (კოსმეტიკური მასალები იაფად). წარბების კორექცია. საერთაშორისო სერტიფიკატის მქონე კოსმეტოლოგი ნ. ყიფშიძე. მის: მ. „300 არაგველი“, არამიანცის საავადმყოფოს ზედა კართან, ახმეტის ქ. №15. მიღება წინასწარი ჩაწერით. ტელ: 77-86-27

ვაკეთებ ეპილაციას ვოლფრამის ნემსით და ანესთეზიით, მორჩენის გარანტიით. მიღება ყოველდღე, ჩაწერით. სეანსების რაოდენობა ინდივიდუალურია: 1 სთ – 10 ლარი. მომსახურებით კმაყოფილი დარჩებით. მაქვს საკუთარი დენის წყარო. მის: ვარკეთილი-3, II მ/რ, IX კორპ, VI სად, III სართ, ბინა 109. ტ: 79-50-12; 899 90-44-93. ლიკა გიორგობიანი

სხეულის კორექცია: 1. სიმაღლეში ზრდა 5-10 სმ-ით, 25 წლამდე, მცენარეული არაჰორმონული საშუალებებით; 2. გახდომა იაფად! წონაში დაკლება დიეტისა და ვარჯიშის გარეშე ძალზე ეფექტურად, იმუნური სისტემის აღდგენის, ნივთიერებათა ცვლისა და ნერვული ფონის მოწესრიგების ხარჯზე. ტელ: 96-62-58; 899 14-64-95

## მკურნალობა

ისრაელში შემუშავებული მეთოდიკით, გარანტიით იკურნება სკოლიოზი, ოსტეოქონდროზი, ნევროზი, პოსტინსულტური დამბლა, კიფოზი, შაკიკი, დიარეა (კუჭის ქრონიკული აშლილობა), სუბფებრილიტეტი (t = 37,2°C), შიშები, რადიკულიტი, სუიციდის (თვითმკვლელობის) მცდელობები. კონსულტაცია და დიაგნოსტიკა უფასოა. მის: მეტრო „გურამიშვილი“, ძმები გარიშვილების ქ. №18. ანატოლი შავიძე. ტელ: 61-65-03.

პირველად საქართველოში! აკადემიკოს ვ.ა. ლიხარიოვის მეთოდით: ნევროზი, უძილობა, შიშები, თავის ტკივილები, ჰიპერტონია, ინსულტის შემდგომი პერიოდი, სახსრების მარილოვანი დაავადებები, ასთმა, ალერგია, ჩიყვი, ენურეზი, სოკო, ფსორიაზი, პრობლემური კლიმაქსი, დიაბეტი, კუჭის წყლული. ტელ. 99-75-90 (დღისით); 899 21-13-66. ლალი

პირველად საქართველოში! მკურნალობა აკადემიკოს ლიხარიოვის მეთოდებით: ნევროზი, უძილობა, შიშები, დეპრესია, ქრონიკული დაღლილობა, ჰიპერტონია, სისხლძარღვების შევიწროება, ვენების ვარიკოზული გაგანიერება, ინსულტი, პრობლემური კლიმაქსი. ტელ: 93-25-61; 899 22-63-90

ტრადიციული მეთოდებით მედიცინის მუშაკი მაყვალა ცინცაძე ამზადებს თეთრ მუმიოზე მალამოებს, ხსნარებს და საფენებს. მკურნალობს: ოსტეოქონდროზს (მარილებს), სახსრებს, პოლიართრიტს, სამწვერა ნერვის ანთებას, დისკოზს, კისრის, მენჯ-ბარძაყის, მუხლსახსრის ართროზს. მხოლოდ ჰაიმორიტი იკურნება 8-10 დღეში. მკურნალობა გარანტირებულია. ტელ: 34-62-51; 899 20-19-66

## ვასწავლი

კომპიუტერული სტუდია „დაჯი“ კომპიუტერი გიწვევთ კომპიუტერზე მუშაობის, კომპიუტერული ბუღალტერიის, პროგრამირების ენების, უცხო ენების სწრაფშემსწავლელ კურსებზე, შესწავლის გარანტიით, სწავლის დამთავრების შემდეგ უფასო კონსულტაციებით. სწავლების მეთოდი ინდივიდუალურია. გაიცემა სერტიფიკატი. მის: ბარნოვის ქ. №1 („მაკდონალდსის“ უკან). ტ: 98-44-20; 899 14-03-31

ფირმა „ქართი“ აცხადებს მიღებას პროფესიული მომზადების კურსებზე: 1. მასაჟისტი (სამკურნალო, ჰიგიენური, ჩვილ ბავშვთა მასაჟი); 2. კოსმეტიკა (ეპილაცია, მასაჟი, მალამოები), პარიკმახერი (ქალთა და მამაკაცთა ხელოსანი). კურსების დამთავრების შემდეგ გაიცემა ლიცენზირებული სერტიფიკატი. მის. აღმაშენებლის №115, კაბ. №20. ტ: 94-01-82; 95-83-18 (სამსახ.); 96-22-89 (ბინა)

„ელიტა-სკ“ შეგასწავლით პროგრამებს: WINDOWS XP, WORD (EXCELL, PHOTOSHOP) და ინტერნეტს. ფასი 120 ლარი. ცოდნის მიღება გარანტირებულია. ტელ: 30-39-20; 23-72-95

მაღალკვალიფიციური ლექტორი მოამზადებს ინგლისურში აბიტურიენტებს, ყველა უმაღლეს სასწავლებელში ჩასაბარებლად. ტელ: 51-68-61; 899 53-10-08

ვარ ინგლისური ენის სპეციალისტი. ვამზადებ ინგლისურ ენაში ბინაზე მისვლით. ორი ან მეტი მსურველის შემთხვევაში გათვალისწინებულია შეღავათი. ტელ: 343-116; 899 950-887

## იყიდება

სასწრაფოდ! ავტოგასამართი სადგური 3000 კვმ ფართი მიწით, აღმაშენებლის მე-14 კილომეტრზე. ტელ: 59-51-55; 899 55-43-17

საორსულო ტანსაცმელი და ბანდაჟები; მოხრილობის, რადიკულიტის, დისკოზის, ფეხის ასადგმელი ქამრები; ყველანაირი სამედიცინო და ოპერაციის შემდგომი ბანდაჟი; სუპინატორები – ბრტყელტერფიანობისთვის; ორთოპედიული ბალიშები და საყელოები; კუზნეცოვის ეპლიკატორების ყველანაირი ვარიანტი. ტელ: 53-46-41; 899 58-60-64

სმენის აპარატები შეღავათიან ფასად, სპეციალური ინდივიდუალური ყურის ჩასართით. აგრეთვე, ელექტრონული და მექანიკური წნევის აპარატები, გარანტიით. ტ: 95-95-22 (15-19სთ); 93-46-74 (20სთ-ის შემდეგ); 899-27-38-99

## სხვადასხვა

შპს ფირმა „გარანტის“ ავტოსადგომის ფუნქციონირების შეწყვეტასთან დაკავშირებით, ავტომანქანების მფლობელებს: ჟიგული „ვაზ-011“, სახელმწიფო ნომრით: ABC-662, „ნივა“ – AAR-764, „რენო-მოსკვიჩი“ – AAV-399 – გთხოვთ, სასწრაფოდ გაიყვანოთ ავტომანქანები. წინააღმდეგ შემთხვევაში ფირმის ადმინისტრაცია იხსნის პასუხისმგებლობას. მის: თემქა, XI მ/რ „ალიონის“ მიმდებარე ტერიტორია. ტელ: 64-94-80




აქცია ძალაშია პროკრედიტ ბანკის ყველა ფილიალსა და განყოფილებაში 2003 წლის 15 დეკემბრამდე

პროკრედიტ ბანკი
ProCredit Bank

პროკრედიტ ბანკს
მოაქვს შუქი!

ყოველი 21-ე, რომელიც 15 დეკემბრამდე გახსნის დეპოზიტს პროკრედიტ ბანკში (ყოფილი ემ-ბი-ჯი ბანკი) მიიღებს შესანიშნავ საჩუქარს, ხოლო ყოველი მე-200 საჩუქრად მიიღებს გენერატორს. დეპოზიტის მინიმალური თანხა შეადგენს 40 ლარს



ცენტრალური ფილიალი
0112 თბილისი
თამარ მეფის გამზ. 18
ტელ: (995 32) 20-16-16
ფაქსი: (995 32) 77-96-11
central@procreditbank.ge

ვაკის განყოფილება
0179 თბილისი
მცხეთის ქ. 8
ტელ: (995 32) 25-28-06
ფაქსი: (995 32) 25-28-07
vake@procreditbank.ge

საბურთალოს განყოფილება
0177 თბილისი
ვაჟა-ფშაველას გამზ. 46
ტელ: (995 32) 20-17-17
ფაქსი: (995 32) 20-17-18
saburtalo@procreditbank.ge

ვაგზლის განყოფილება
0112 თბილისი
თევდორე მღვდლის 3/32
ტელ: (995 32) 92-16-16
ფაქსი: (995 32) 77-96-11
stationsquare@procreditbank.ge

ქუთაისის განყოფილება
4600 ქუთაისი
წმინდა ნინოს ქ. 4
ტელ: (995 231) 4-87-05
kutaisioutlet@procreditbank.ge

ზუგდიდის განყოფილება
2100 ზუგდიდი
თაბუკაშვილის ქ. 1
ტელ: (995 215) 5-11-23
ფაქსი: (995 32) 93-43-74
zugdidi@procreditbank.ge

გორის ფილიალი
1400 გორი
ჭავჭავაძის ქ. 10
ტელ: (995 270) 2-16-09, 7-30-64
ფაქსი: (995 32) 33-46-57; 33-46-58
gori@procreditbank.ge

მარნეულის განყოფილება
3000 მარნეული
ჩოლოყაშვილის ქ. 3
ტელ: (995 257) 2-16-00; 2-16-50
ფაქსი: (995 32) 94-31-36
marneuli@procreditbank.ge

გლდანის ფილიალი
0167 თბილისი
ომარ ხიზანიშვილის ქ. 1
ტელ: (995 32) 57-01-01
ფაქსი: (995 32) 57-10-01
gldani@procreditbank.ge

ვარკეთილის ფილიალი
0182 თბილისი
ჯავახეთის ქ. მე-2 ჩიხი
ტელ: (995 32) 76-44-82
ფაქსი: (995 32) 76-44-81
varketili@procreditbank.ge

ლილოს განყოფილება
0115 თბილისი
კახეთის გზატკეცილი 112
ტელ: (995 32) 77-96-35
ფაქსი: (995 32) 77-96-36
lilo@procreditbank.ge

ქუთაისის ფილიალი
4600 ქუთაისი
თამარ მეფის ქ. 85
ტელ: (995 231) 4-14-14
ფაქსი: (995 231) 4-51-64
kutaisi@procreditbank.ge

ფოთის ფილიალი
4400 ფოთი
დ. აღმაშენებლის ქ. 23
ტელ: (995 293) 28-28-5; 28-28-3
ფაქსი: (995 293) 28-28-4
poti@procreditbank.ge

ბათუმის ფილიალი
6000 ბათუმი
ლეკა ასათიანის ქ. 18
ტელ: (995 222) 7-24-20
ფაქსი: (995 222) 7-19-54
batumi@procreditbank.ge

ბათუმის განყოფილება
6000 ბათუმი
ჭავჭავაძის ქ. 10
ტელ: (995 222) 7-74-19
ფაქსი: (995 222) 7-74-19
batumioutlet@procreditbank.ge

ქობულეთის განყოფილება
6201 ქობულეთი
დ. აღმაშენებლის ქ. 2
ტელ/ფაქსი: (995 236) 66-439
kobuleti@procreditbank.ge

## დათო ჯაფარიძის ხსოვნას!



ღამის სიჩუმეში თითქოს სადღაც ჩაიკარგა მთვარე. ჩემი ფიქრი შორით ისევ შენკენ მოდის, უცბად გაქრალი და ჩაფერფლილი, დაღლილი და სიყვარულით მთვრალი, ამყი და პატარასავით გულჩვილი ახალგაზრდა ვაჟკაცის აჩრდილისაკენ. უცბად გაქრა შენი სიცოცხლე, როგორც ანთებული სანთელი, როგორც შორით მონაბერი ქარი, როგორც ციდან მოწყვეტილი ვარსკვლავი.

იმ ღამით, როცა შენი ვარსკვლავი მოწყდა ციდან, თითქოს ყველაფერი დასრულდა, თითქოს გაქრა ირგვლივ ყოველივე. დრო გადის დაუკითხავად და ეს მონატრება უფრო მეტად გვტანჯავს. შენი პატარა ვაჟკაცები ყოველდღე გელიან, მაგრამ...

უკვე ერთი წელი გავიდა ასე თვალსა და ხელს შუა. მე ისევ მტკივა სული, რაც შენ წახვედი, რაც აღარ არის ირგვლივ სინათლე. მუდამ უღალატო, უანგარო, კეთილი, სიყვარულით სავსე, ღიმილიანი – ასეთად დარჩები ყველას მეხსიერებაში. გვჯერა, რომ შენი გამოცხადება დაბადებასა და სიკვდილს შორის ძალიან ხანმოკლე იყო, მაგრამ სიკვდილსა და ახალ დაბადებას შორის იქნება დიდი. ძალიან გვიყვარხარ და გვენატრები, ჩვენო საყვარელო დათო მამიკო.

*შენი მეუღლე ნატო ფირცხალავა, თორნიკე და ლუკა*

## მაია და გურამ გეგუჩაძეების ხსოვნას!





ჩემო გურამ, ჩემო მაიკო, ჩემო ახალგაზრდა და ლამაზო ქმარ-შვილო, მეგონა ძლიერები და ბედნიერები იყავით, მაგრამ შევცდი. სად არის ბედნიერება, როცა 17 წლის ბიჭს დედა მოუკვდება და 93 წლის ბაბუის ამარა დარჩება; ფუფუნებაში გაზრდილს, შიმშილი, სიცივე და მარტოობა დაეუფლება. რამდენჯერ იხსენებდი ბაბუის ღამცხვარ მჭადს და მეზობლის შემოგზავნილ სადილს.

შემდეგ ბედნიერების ზენიტზე შემდგარს, სამაყო ქალიშვილის უეცარმა დაღუპვამ გაგვწირა ტანჯვისვის. ორი წელი ცრემლიანი თვალებით მაინც რიხიანად დაბიჯებდი. ოჯახს კი არა, ქუჩასაც ახმიანებდი. თითქოს ასწრებდი, შენი ხმა დარჩენილიყო სივრცეში. უცბად მოვარდნილი უკურნებელი სენი, ერთი თვით ავადმყოფობა და, გაქრა ხარივით ძლიერი მამა. 2 წლის მონატრებულ ქალიშვილთან წაიღო 9 წლის მონატრება, შორს გადახვეწილი ვაჟიშვილისა. მჯერა, რომ შენც და მაიკოც სასუფეველში დაიმკვიდრებთ ადგილს.

გილოცავთ 23 ნოემბერს, გიორგობის დღესასწაულს. გური, ეს რიცხვი ხომ შენი გარდაცვალების მეორმოცე დღეა.

*ლენა*

## ნუგზარ გოგოხიას გახსენება



23 ნოემბერს გახდება ერთი წელიწადი, რაც ჩვენ შორის აღარა ხარ. ძალიან ძნელია წარსულ დროში შენზე საუბარი. ბავშვობიდან გიყვარდა შრომა და სიკვდილამდე არ ჩაგიმუხლია. გიხაროდა სიცოცხლე, გიყვარდა მოყვასი, სამშობლო, შენი ოჯახი, შვილები, რომლებზე ზრუნვაშიც დღე და ღამე გაგისწორებია. ყოველთვის იქ იყავი, სადაც შენს მოყვასს უჭირდა, დაჩაგრულის გვერდში იდექი. უკურნებელი სენით შეპყრობილს, უსასრულობაში მომზირალს, თვალები ცრემლით გევსებოდა. ამქვეყნად ჩემი ყოფნის დრო დასრულდა, – თქვი და უშიშრად შეხვდი სიკვდილს.

ენატრები შენს ნათესავებს, მეზობლებს და მეგობრებს. დიდი გულისტკივილით გიხსენებენ ყველანი. შენს სახელს დავიწყება არ უწერია. ღმერთმა ნათელში ამყოფოს შენი სპეტაკი სული.

*შენი საყვარელი ოჯახი*

## ნუგზარ გოგოხიას გახსენება

ჩვენო ნუგზარ, უკვე წელიწადია, არ გაგვიგონია შენი მხიარული, იუმორით აღსავსე საუბარი, ლექსები. გამორჩეული იყავი შრომისმოყვარეობით, პატიოსნებითა და პოეტური ნიჭით. გვიჭირს შენზე წარსულში ლაპარაკი. გულსატკენია, რომ შენ, რომელიც გასაჭირში ყველას გვერდით იდექი და დაუნანებლად ეხმარებოდი, ვერავინ დაგეხმარა. ყველას ძალიან დაგვწყვიტე გული.

მსუბუქი იყოს შენთვის მშობლიური მიწა.

*ბენდელიანების ოჯახი*

## ნორა კაჭარავას მონატრება



ჩვენო საყვარელო დედა, 15 ნოემბერს 1 წელი გახდა, რაც შენმა სულმა მარადისობაში დაიმკვიდრა ადგილი. გვენატრები, გვიძნელდება უშენოდ. შენ ხომ ყველასთვის კარგი, თბილი იყავი.

ღმერთმა ნათელში გამყოფოს, ჩვენო საყვარელო დედა.

*შვილები*

## ანა ბიბილაშვილის მონატრება



ექვსი ცრემლიანი თვე გავიდა მას შემდეგ, რაც შენ ჩვენთან აღარ ხარ, მამიდა. წყნეთის ცაზე მეხის გავარდნას ჰგავდა შენი ტრაგიკულად დაღუპვის ამბავი. რამდენი ლამაზი მოგონება დაგვიტოვე, შვილო ანა... ძალიან გვიყვარხარ, გეფერებით და გვენატრები, ჩემო სიცოცხლევ – ჩემი საფიცარი ძმის, რეზოს ერთადერთო შვილო.

ღმერთმა ნათელში ამყოფოს შენი უმანკო სული. ია და ვარდი ჰყვაოდეს მარადჟამს შენს საფლავზე, ანა.

*შენი მამიდა ნათელა*

## ზოია კვირკველია-ქარჩავას გახსენება



გაუნელებელი ტკივილით გავიდა 40 დღე, ჩვენო დედა. წახვედი და დაგვიტოვე დიდი სიცარიელე, ტკივილი, მოგონებებით სავსე ცხოვრება და დიდი სიყვარული.

საყვარელი შვილის გარდაცვალების გამო გამოწვეულ გაუნელებელ ტკივილს თან დაერთო მშობლიური სახლისა და ახლობლების საფლავების დაკარგვა. შენმა ტანჯულმა გულმა ვეღარ გაუძლო ამდენ განსაცდელს, ვერაგულმა სენმა წაგვართვა შენი თავი.

გვიჭირს უშენობა შენს შვილს, რძალს, შვილიშვილებს, მთელ სანათესავოს და სამეზობლოს. შენ ხომ საოცრად კეთილი, ღვთისნიერი, ფაქიზი და სათნო ბუნების ადამიანი იყავი, ყოველთვის გულთან ახლოს მიგქონდა სხვისი ტკივილი და გასაჭირი.

გაოგნებული დავდივართ ყველა. უსაზღვროდ ენატრები შენს მერაბს და მარიანას, რომლებიც ბოლო წუთამდე არ მოშორებიან შენს სასთუმალს და უფალს შესთხოვდნენ შენს გამოჯანმრთელებას.

უფალმა ნათელში ამყოფოს შენი სპეტაკი სული.

*ოჯახი*

გაოგნებულები ვართ შენი დანატოვარი ლექსით:

### მწარე მოგონება

*მე არ მქონია ლაღი ბავშვობა, ომის შემდგომი წლები ტანჯული,*
*ობლებს სიცოცხლე რომ გაუმწარა, მამის ნატვრაში რომ ვიზრდებოდით.*
*ყველაზე მწარე ისიც ყოფილა, არ გაგიმართლებს შემდგომ ცხოვრება.*
*სულ მატირა და ცრემლები ვღვარე, ავადმყოფ შვილის ტანჯვას ვუყურე.*
*ბედმა დამღუპა, შვილი მომიკვდა, ცრემლები ვღვარე, სიკვდილს ვნატრობდი,*
*წუთისოფელმა ისევ დამტანჯა და მომკვეთეს მშობლიურ მხარეს.*
*მინდა ბოლოდეს ეს ჩემი ლექსი, როგორც დაჭრილი ირმის ბღავილი,*
*და ჩემი გული სიმწრით აღვსილი აი ამ ალთქმით დამიწყნარდება*
*ეს დამრჩენია, რომ ღმერთს შევთხოვო, რომ დამილოცოს გოჩას ოჯახი,*
*იყვნენ დღეგრძელნი და ბედნიერნი, იცოცხლოს ყველა ოჯახის წევრმა*
*და სიხარული ჰქონდეთ ულევი.*
*აღარ მაკმარა ბედმა წუხილი, ამ ცხოვრებაში ცუდის დანახვა,*
*სიმწრით მატირებს, ტანჯვას მაჩვენებს, სულ ვფიქრობ იმას – რა დავაშავე?*
*წავალ, დავტოვებ მე ამ ქვეყანას, იმედით წავალ, ჩემებს დავლოცავ.*
*ალბათ იმ ქვეყნად კარგად ვიცხოვრებ, ეს იმედი კი მრჩება ყოველთვის.*
*ეს ჩემი ლექსი გქონდეთ სახსოვრად, არ დაივიწყებთ დედას, ბებიას,*
*რომ თქვენთან ერთად იყო ოდესმე, დედა ზოია და ბებო თქვენი.*

## თამაზ ყულოშვილის გახსენება



აი უკვე ერთი ტკივილიანი და დარდით სავსე წელი გავიდა უშენოდ, ჩვენო ლამაზო თაზო, მაგრამ ამ ვრცელმა წელმა ვერაფერი დააკლო ჩვენს მწუხარებას და გულისტკივილს. უფრო მეტად გვიყვარხარ, ძალიან ძალიან გვაკლიხარ და უსაზღვროდ გვენატრები.

უფალს შევთხოვთ ლოცვებით, ნათელში ამყოფოს შენი ლამაზი, უმანკო სული.

*ბული დეიდა ოჯახით*

## დავით გიორგის ძე გელაძის გახსენება



21 ნოემბერს ერთი წელი შესრულდა, რაც აღარ გვყავხარ, დათო! ჩვენ ირგვლივ შნო და ლაზათი დაკარგა ყველაფერმა. მექანიკურად მივდევთ ცხოვრებას, შენს ობლებს პატრონობა უნდა.

აღარ ელოდებიან შენი შვილები მანქანის ხმას, სიხარული და ხალისი რომ შემოჰქონდა ჩვენს ეზო-კარში. აღარ გავყურებთ გზას, ვაითუ მშვიდობით არ მოვიდესო.

რამდენი ცხოვრებისეული პრობლემა მქონდა, ახლა აღარ მახსოვს არაფერი. თურმე რა ბედნიერი ვყოფილვარ. მაპატიე, თუკი რაიმეზე გსაყვედურობდი. შენმა სიკვდილმა დამითაფლა ის დრო, ყოველ დღესა და საათს მივტირი. არაერთხელ გამწარებული მამაშენი მდუმარედ აგრძელებს შრომას და გარჯას. გიორგი უკვე სტუდენტია, როგორ გაიხარებდი! თამარი და ნინო ყოველდღე ლოცულობენ შენთვის. პატარა იაგოს არ ავიწყდები, სიყვარულით გიხსენებს.

ჩვენი დიდი იმედია შენი საყვარელი და – ლელა. შენი საამაყო ნათესავები თავზე გვევლებიან, ცდილობენ მწარე ხვედრის შემსუბუქებას.

შენ კი იძინე მშვიდად, შენს სათაყვანებელ ძმასთან და დედასთან ერთად. ღმერთმა ნათელში ამყოფოს თქვენი სულები!

*შენი მეუღლე ნათელა ქუმაშვილი; შვილები: გიორგი, თამარი, ნინო, იაგო*

## ნუკრი გოგაშვილის მონატრება



ორი წელია გელოდები, ორი წელია გეძებ, გპოულობ, მაგრამ მაინც მენატრები. სიზმრად მანუგეშებ, მაგრამ მაინც უზომოდ მიჭირს. უშენობამ სევდად მაქცია. ნაღველს თავს ვეღარ ვართმევ, ვეღარ ვერევი. სულ თან დამყვება შენი ჭაღარა, შენი თვალები. შენი ხმა ძილისპირულს მეუბნება, წამოვხტები და გიყვები გეძებ, მაგრამ ამაოდ... თანაგრძნობით მიმზერ. მხოლოდ შენ გესმის ჩემი ტკივილი, ბაჩო, რადგან შენც იგივე გტანჯავს – ურთმანეთობის სენი გვაწამებს ორივეს.

გიორგიში ცოცხლდები, მასში იბადები დღითი დღე. შენი ელფერი აქვს, შენი ნირი, შენი იერი. ორი წელია, მამიკოს სითბო ენატრება გიოს. სანთლის ანთებით იკლავს მონატრებას. ერთად ვლოცულობთ შენი სულისთვის, ჩვენო ერთადერთო!

*მარად შენი აზიკო*

## ჩვენო ძვირფასო ანზორ!



ჩვენს წმინდა ბერს, როცა ის საქართველოზე ლოცულობდა, ღვთისმშობელი დედა თავად გამოეცხადა და ნიშნისმოგებით უთხრა: გაბრიელ თავის ხალხს რომ არ ინდობს, ნუთუ ღირსია ლოცვისა? ბერი დიდხანს გაშეშებული გაჰყურებდა სივრცეს. მართლაც რა უნდა ვუთხრათ იმ საქართველოს, შენისთანებსაც რომ არ ინდობენ. ყველა, ვინც შენ გიცნობდა, ერთხმად აღიარებს, რომ შენზე აუგის მთქმელი კაცი არ უნახავთ. გულწრფელი, უღალატო, უბოროტო, უკეთილშობილესი პიროვნება იყავი – ასე გიცნობს ყველა.

22 ნოემბერს 40 დღე გადის შენი ავბედითი სიკვდილისა. თქმაც ზედმეტია, როგორი მამა, როგორი მეუღლე, როგორი ძმა, როგორი დიდი სიყვარული იყავი ყველა შენიანისა. შენიანებიც – ყველა გულში გიხუტებდა და უმეტესობა – დიდტანჯვაგამოვლილები, სამშობლოწართმეულები, ურთიერთსიყვარულში ვცხოვრობდით. შენ მაინც, ჩვენო ანზორ, სულ სხვა სიყვარული იცოდი, რომელსაც უსიტყვოდ, უხმაუროდ, საოცარი სითბოიანი თვალებით არიგებდი. სწორედ ეს ვერ აიტანა ბოროტმა არაკაცმა, ცივსისხლიანმა, გველგულამ, რომელმაც სასიკვდილო ტყვია გესროლა, განუმეორებლად ღვთისნიერს, მადლშემოსილს, ნაშრომ-ნაჯაფს, ლამაზი ცხოვრებისთვის დაბადებულს. რა ოჯახი გაუბედურეს, რა დიდებულ ხალხს ჩააცვეს შავები, რა ნათელი მიზნები დაუმსხვრიეს, როგორ დაიქცა ქვეყანა, როგორ დაბინდდა მათთვის.

ახლა, როგორ, რით უნდა ვანუგეშოთ შენი დატოვებული ოჯახი, ჩვენო ანზორ? მხოლოდ მაცხოვრის სიტყვებით: ნეტარ არიან მგლოვიარენი, რამეთუ ნუგეშისცემულნი იქნებიან. შენი ნუგეში სუფთად განვლილი ცხოვრება, გულკეთილობა, უბრალოება, სიკეთისა და მადლის უჩინრად კეთება, გაჭირვებულისთვის ხელის გამართვა, ქრისტეს ათი მცნების ღირსეულად დაცვაა.

შენ! ქრისტეს სისხლითა და ხორცით ნაზიარები, ეკლესიის თაღებქვეშ, მოძღვრის ხელიდან, არა ხარ სატირალი, ჩვენო ანზორ. გაუსაძლისი ტკივილი მხოლოდ ისაა, რომ ფიზიკურად დატოვე უკუღმართი წუთისოფელი, შენი თბილი ოჯახი, დიდი, ტკბილი წრე შენიანებისა და გასახარია, რომ დაემკვიდრები იმ უბედნიერეს ადგილას, რომელსაც მართალთა სასუფეველი ჰქვია და სადაც მხოლოდ რჩეულნი და შენისთანა ღირსეულები განისვენებენ. ტკბილად განისვენე, სული შენი აქბედე უფალსა, ჩვენო უსაყვარლესო და მუდამ მოსაგონარო ანზორ!

*დაუვიწყარი სიყვარულით, ინდიკო და ლეილა ძაგანიები*

## ირაკლი ჩიტორელიძის მონატრება



ჩემო ძვირფასო, ჩემო კარგო, ჩემო ვაჟკაცო, ჩემო საოცნებო ირაკლი, უკვე ორი წელი გავიდა, რაც შენმა თვითმკვლელობამ მთელი შენი ოჯახი შეგვარყია. თითქოს ჩვენს არსებობას აზრი არა აქვს. რატომ გაგვაუბედურე იმ გაუგებრობით, რომლის გამოც ორი წელია ჯოჯოხეთში ვცხოვრობთ?! შენს უბედურებას შეეწირა შენი საყვარელი ბაბუა, რომლის გულმაც ვერ გაუძლო უშენობას და წელიწად-ნახევარში შენთან გამოეშურა. ღირდა კი შენი თვითმკვლელობა იმ უსულგულო ადამიანისთვის, რომელსაც მე ადამიანადაც კი არ ვთვლი. ალბათ იგი ცხოვრების და სიცოცხლის ღირსი არც არის. ან როგორ უნდა იარსებოს იმხელა ცოდვით, რომელიც მას ადევს, მან ხომ შენი დატოვებული წერილი დაუმალა შენს მშობლებს. ირაკლი, გვენატრები და სულ იმის მოლოდინში ვართ, რომ მოხვალ, ყველას მოგვეფერები, ჩვენც გულში ჩაგიკრავთ და აღარასოდეს არსად გაგიშვებთ. ვოცნებობთ შენზე და მუდამ გელოდებით.

*დედა ლია*

## მაია ლურჯაიას მონატრება



22 ოქტომბერს საშინელი ამბავი შევიტყვეთ შენმა ახლობლებმა და მეგობრებმა. რუსთაველზე, ავარიაში ტრაგიკულად დაიღუპა ჩვენი მაიკო... ნიჭიერი, სიცოცხლეზე შეყვარებული გოგონა, გაზეთ „აფხაზეთის ხმის“ ჟურნალისტი. „ღამე... მოწმენდილ ცაზე ვარსკვლავები ციმციმებენ. უეცრად ვარსკვლავი ცას მოსწყდა და დაბლა დაეშვა. ვთქვი, ჩავიფიქრებ-მეთქი, რამეს, მაგრამ... გამახსენდა, როცა ვარსკვლავი ცას სწყდება, ვიღაცა სიცოცხლეს ეთხოვება და მისი სულისთვის დავიწყე ლოცვა“... ეს შენი სიტყვებია, ჩემო მაიკო. ასე სხვებისთვის ლოცულობდი, სხვებზე წერდი მოგონებებს და... შენ მართლა ვარსკვლავებს მოსწყდი... ჩვენ კი ყოველთვის ისე გაგიხსენებთ, როგორც ცოცხალს... ნათელში იყავი, ჩვენო სინათლით და სიყვარულით სავსე მაიკო...

*ჯილდა*

## ვახო გოჯიაშვილის მონატრება



23 ნოემბერს, გიორგობის ბრწყინვალე დღესასწაულს დაიწერე, შვილო, ჯვარი, ყველაზე ბედნიერ დღეს... დაგვრჩა მწარე მოგონებად სიცოცხლის ბოლომდე. ისევ მოვალთ შენს საფლავზე, მოგიტანთ ყვავილებს, დაგინთებთ სანთლებს და ღმერთს შევთხოვთ, წმინდა გიორგის მადლი ფარავდეს ახალგაზრდა, გაუხარელ სულს.

*დიდი მონატრებით, შენგან მიტოვებული დედა*

---

მეუღლე ლიზა, შვილები თამარ, მარინა; შვილიშვილები ანდრო, ქეთევან, ნიკოლოზ იუწყებიან, რომ გარდაიცვალა



### რაიმონდ კონსტანტინეს ძე გოგიძე

*პანაშვიდი:* 17.XI 16 სთ-ზე;
*დაკრძალვა:* 18.XI 14 სთ-ზე.
*მისამართი:* ირაკლი აბაშიძის ქუჩა №22ა, I სადარბაზო, IV სართული

---

ლალი გუნთაიშვილი, მანანა ჯანელიძე, თინა მარგველაშვილი, ციცო ნიკოლაიშვილი, ნანა ანტონოვა, სალომე ნიკოლეიშვილი, ნათელი კეშელავა ოჯახებით თანაუგრძნობენ გოგიძეების ოჯახს კეთილშობილი პიროვნების

**რაიმონდ გოგიძის**

გარდაცვალების გამო.

---

გიორგი ქარლიშვილი, გელა ხეცაძე, გიორგი ჩიჩილიძე ოჯახებით, ღრმა მწუხარებით იუწყებიან: პავლე ჩიჩილიძის სიდედრის, სათნო ქალბატონის

**ნატალია (მერი) სიჭინავას**

გარდაცვალებას და თანაგრძნობას უცხადებენ განსვენებულის ოჯახს.

---

ნელი ილურიძე, მანანა ბენდელიანი, თინიკო მეტონიძე, კახა და ლია ხარშილაძეები, ნანა და ლელა ჩხაიძეები, მაია რაჭველიშვილი, ფატი გელაშვილი, მირანდა ხურცილავა მწუხარებით თანაუგრძნობენ *მზია და ირაკლი გურჩიანებს* მამისა და ბაბუას გარდაცვალების გამო.

---

# ელენე ახვლედიანი: „ასეთი მშვენიერია თბილისი, მე კი, მგონი, მივდივარ...



1975 წელს მხატვარ ქალთა ნამუშევრების გამოფენა გაიხსნა, რომელსაც ელენე ახვლედიანი ხელმძღვანელობდა. დიდი მონდომებით ცდილობდა კოლეგების ღვაწლის წარმოჩენას. გამოფენის დახურვისათვის სიტყვით გამოსვლა სთხოვეს. 74 წლის მხატვარი დათანხმდა, მაგრამ სიტყვის დასრულება არ დასცალდა ელენე ახვლედიანს – ცუდად გახდა. ეს მისი სიცოცხლის ბოლო წუთები აღმოჩნდა. სიმბოლურია, რომ სიკვდილის წინაც მისი სული და გონება ფერწერას დასტრიალებდა თავს. თუმცა მისი ცხოვრების ყოველი წუთი სავსე იყო ხელოვნებით. მაშინაც, როცა თავის საყვარელ სამზარეულოში ტრიალებდა, მაშინაც, როცა აივანზე იდგა და თბილისს გაჰყურებდა.

ელენე ახვლედიანი მოულოდნელობებით სავსე ადამიანი იყო. ალბათ, ბევრმა არ იცის, რომ შესანიშნავი ხელოვანი გულუხვი დიასახლისიც გახლდათ. მის სახლში ჩამოკიდებული ნივრის გალა თუ სიმინდის ტაროების ასხმულაც ხელოვნების ნიმუშს წარმოადგენდა... მხოლოდ ელენე ახვლედიანს შეეძლო, სამზარეულოში ჭაღის ნაცვლად ნათურაზე ჩვეულებრივი ლითონის ხილის სახეხი ჩამოეცვა...

ძველი ნივთები, ფარდაგები, სურები, ყველაფერი ეს ერთ დიდ სილამაზედ შეკრული ეგებებოდა მნახველს. ერთი შეხედვითაც კი იგრძნობოდა, რომ უსაზღვრო კეთილშობილება და დიდი ნიჭი მიჰმადლა უფალმა ამ სახლის დიასახლისს. დიმიტრი ახვლედიანის და ელიზავეტა ერისთავის წარჩინებულ ოჯახში აღიზარდა. უაღრესად განათლებული ქალბატონი იყო. ბავშვობიდან ხატავდა.

ქალთა მეორე გიმნაზიის დამთავრების შემდეგ სწავლა სამხატვრო აკადემიაში, გიგო გაბაშვილის კლასში განაგრძო. ჯერ კიდევ სრულიად ახალგაზრდას შესანიშნავი გემოვნება, თავისი ხედვა ჰქონდა. ადრეული წლებიდანვე ჩამოყალიბებული იყო, როგორც მხატვარი. როცა პირველად შეუსწორეს ნახატი, თამამად განაცხადა, მე ასე არ ვხედავო.

მისი, როგორც შემოქმედის ბოლომდე გაცნობა, კიდევ არ ნიშნავდა იმას, რომ იცნობდით მას.

ელენე ახვლედიანი ცხოვრებაში იყო საოცრად ლამაზი, საინტერესო ადამიანი. მისი და, მაკო ახვლედიანი იხსენებდა ელენესა და აპოლონ კაკაბაძის ქორწილს: ფაეტონების ესკორტი ქაშუეთის ეკლესიისაკენ დაიძრა. იქ დაიწერეს ჯვარი მომხიბვლელმა საპატრძლომ და მისმა საქმრომ. შინ დაბრუნებულებს სადღესასწაულო სუფრა ელოდათ. იოსებ გრიშაშვილი მათთვის საგანგებოდ მიძღვნილ ლექსებს უკითხავდა ახალდაქორწინებულთ, ქეთო ჯაფარიძე კი მღეროდა. მალე მშენებელ-ინჟინერი აპოლონ კაკაბაძე იტალიაში მიავლინეს. ელენე ახვლედიანი სასწავლებლად პარიზში გაუშვეს.

უცხოეთში მეუღლეები ჯერ შეხვდნენ ერთმანეთს, მაგრამ მალე დაშორდნენ და იქიდან ცალ-ცალკე დაბრუნდნენ. ელენე ახვლედიანი სხვა სამყაროში ცხოვრობდა – ყოფიერი, თუნდაც მშვენიერი, ძნელად მოიკიდებდა ფეხს მის ცხოვრებაში...

სამშობლოსა და თბილისს მონატრებულ ელენე ახვლედიანს მილანში ერთ-ერთ ოჯახში ქართული სიმღერები უმღერია. ამას ცნობილი კომპოზიტორი ჯაკომო პუჩინიც შესწრებია და რამდენიმე მელოდია ჩაუწერია კიდეც...

ზოგჯერ მოზღვავებული განცდები აიძულებდა, უჩვეულო რამ ჩაედინა. ერთხელ პარიზში დიდხანს უცქეროდა გასაქირავებელ მანქანებს. ვეღარ მოითმინა. ერთი მანქანა იქირავა და პარიზის ქუჩებში გაისეირნა... გასეირნება იმით დასრულდა, რომ მაღაზიის ვიტრინის მინას შეეჯახა და სოლიდური თანხა გადაიხადა ჯარიმად.

ბობოქარი შემოქმედი სათნო, ალერსიანი შვილი და ნათესავი იყო. დედის ავადმყოფობის გამო მიატოვა პარიზი და თბილისში ჩამოვიდა.

...თუმცა მის სულს არც არასოდეს დაუტოვებია თბილისი. მშობლიური ქალაქის ხიბლთან შედარებით ფერმკრთალი იყო ყველა ქალაქი. ელენე ახვლედიანს გახსენებაც კი არ სჭირდება, იმიტომ, რომ მას გვახსენებს თბილისის ქუჩები, აივნები. თბილისი იყო ის, რომლის დათმობაც ყველაზე მეტად უჭირდა. აივანზე გასულს უთქვამს კიდეც ერთხელ: „ასეთი მშვენიერია თბილისი, მე კი, მგონი, მივდივარ...“.

მარადისობაში გადასულიც კი საქართველოს სიყვარულად ანთებული დარჩა თავის შემოქმედებაში. მისი სახლ-მუზეუმი დღესაც თავისი დიასახლისის იქ ყოფნის განცდას უტოვებს მნახველს. თითქოს ეს-ესაა, დიდი მხატვარი გამოჩნდება ხილით სავსე ლარნაკით ხელში, გულუხვად გაგიმასპინძლდება და ფანჯრიდან სიყვარულით გახედავს თბილისს და შენც დაგანახებს, რა მშვენიერია ჩვენი ქალაქი.

*ლელა ჯიყაშვილი*

# „ამ პლანეტაზე შემთხვევით არავინ იბადება!..“



— ჩემი უფროსი ძმა, ბუდუ, სვანეთის მთებში ერთ-ერთი ნადირობისას დაიკარგა, — დაიწყო ბატონმა ბიძინამ, — ორი კვირა მთა და ხევი შევაჯერეთ. ცოცხალს ვინღა ჩიოდა უკვე, მკვდრის ნახვას ვნატრობდით... ბოლოს, ხრამში ვიპოვეთ. კარგა დიდი სიმაღლიდან გადაჩეხილიყო. იწვა და მშვიდად ეძინა. ალაგ-ალაგ განაკაწრი ეტყობოდა მხოლოდ. შინ გადავიყვანეთ. სამი დღის შემდეგ გაიღვიძა...

ამის შემდეგ ძალიან შეიცვალა ჩემი ძმა, სულ დაფიქრებული დადიოდა. ბოლოს, გამენდო:
— მეგონა, უგონოდ მყოფს მომელანდა ყველაფერი, მაგრამ ასე არაა და ისინი არ მანებებენ თავს, რაღაცას მოითხოვენ ჩემგანო.

ვინ ისინი-მეთქი, — შევშფოთდი.

— ის ტყე კარგად ვიცი და თვალდახუჭულიც გამოვიგნებდი გზას, რომ არა ისინი... დაახლოებით 1,5 მ სიმაღლის უცნაური არსებები, უცებ ბავშვები მეგონა. დავუყვირე კიდეც — ამ დროს ტყეში რა გინდათ-მეთქი. ხმა არ ამოუღიათ, მაგრამ თვალები გაუბრწყინდათ, თითქოს ლაზერულ სხივებს ასხივებდნენ და პირდაპირ ჩემს გონებაში შემოაღწიეს — ჩვენ მეგობრები ვართ და გვსურს სიყვარული გავახსენოთ ადამიანებს, სიყვარული, რომელიც გადარჩენის ერთადერთი გზაა თქვენთვის... შემეშინდა და გავიქეცი. ავცდი ბილიკს და ხრამში გადავიჩეხე. აუტანელმა ტკივილებმა გონი დამაკარგვინა და როცა თვალი გავახილე, ისევ ისინი მადგნენ თავს, ოთხნი თუ ხუთნი იყვნენ. გავეშიშვლებინე და სხეულზე ხელებს მისვამდნენ. დაჟინებული მზერით ახდენდნენ ჩემს გონებაზე გავლენას და ასეთი რამ „მესმოდა“: „დედამიწისეული სიცოცხლე ჩვენი ჩარევის შედეგია და სულაც არ გვაინტერესებს თქვენი დამორჩილება. დედამიწა მხოლოდ იმიტომ „გავაცოცხლეთ“, რომ მაღალგანვითარებული ცივილიზაციების გადარჩენის პრობლემა დგას და გზებს ვეძებთ. ყველა ცივილიზაცია დაპირისპირების და ბოროტების აღზევების შედეგად იღუპებოდა ყოველთვის. დედამიწაზე წარმოქმნილი სიცოცხლის ერთადერთი მიზანი მარადიული სიყვარულის დამკვიდრება იყო, არადა აქაც გავრცელდა ვირუსი, რომელმაც თვით ღმერთი გაამეტებინა ადამიანებს... წმინდა წიგნში ხომ დაგიტოვეთ ანდერძის მსგავსად, რომ სიყვარული თავად ღმერთი, ანუ სიცოცხლე და უკვდავება იყო... ადამიანი უკვდავ არსებად იყო ჩაფიქრებული იმ პირობით, თუ სიყვარულის გადარჩენას შეძლებდა, ასე არ მოხდა და თანდათან მცირდება ადამიანის დედამიწაზე ყოფნის ვადა და ასაკი, შეიძლება სულ მალე სიყვარულიც მოკვდეს და მაშინ ჩვენც კი ველარ გიშველით... ჩვენ გვყავს ჯგუფები, ვინც სიყვარულს იქადაგებენ და... ღმერთისკენაც მოაბრუნებენ ადამიანებს... შენც უნდა იქადაგო!“

ბუდუ 2000 წლის გაზაფხულზე „ძილში გაიპარა“... ეჭვი არ მეპარება, მათ „დასაჯეს!“

ჩემი ძმა ერთ-ერთი საწარმოს ხელმძღვანელი იყო, პოლიტიკაშიც ცდილობდა დამკვიდრებას და ვერ თქვა უარი მიწიერ სურვილებზე. სიყვარულს ქადაგებდა კი არა, ხშირად უკადრებელს კადრულობდა მიზნის მისაღწევად: ჩაგრავდა, იპარავდა, იტყუებოდა და... ძალიან მაშფოთებს ფრაზა, რომელიც ბუდუსთვის უთქვამთ კოსმოსურ სტუმრებს: „თქვენ სასტიკ სამყაროში ცხოვრობთ, სადაც შეუძლებელი ხდება სიყვარულის გადარჩენა. გულგრილობით ყოველდღე ქვას და ტალახს ესვრით უფალს და კლავთ საკუთარ სულში, ეკლესიაშიც კი მხოლოდ მოვალეობის მოსახდელად შედიხართ!..“

მე ფიზიკოსი ვარ და ვცდილობ, უცხო ცივილიზაციების წარმომადგენლებთან კონტაქტის დამყარებას სწორედ ფიზიკის საშუალებით. რაც ჩემს ძმას, ბუდუს, „დაავალეს“ უცხოპლანეტელებმა, მან არ გაითვალისწინა. მე ვიკისრე ეს მისია და იქნებ „დამიკავშირდნენ“... ძალიან მინდა ადამიანებს მათი დახმარებით დავუბრუნო სიყვარული და, აქედან გამომდინარე, მომავლის უფლებაც, — დაასრულა ბატონმა ბიძინამ.

***ინგა ჯაყელი***

## ჩვენ გვწერენ

# მიწისქვეშეთში მოვხვდით

სულაც არ მინდა, არასერიოზული კაცის შთაბეჭდილება დავტოვო, თუმცა, რასაც გწერთ, თვითონაც ძლივს ვიჯერებ; არც დავიჯერებდი, მაგრამ მე სერიოზული არგუმენტების მოყვანა შემიძლია და იმასაც ვამტკიცებ, რომ ეს ყველაფერი მართლა გადამხდა თავს.



შარშან შეძლებულმა ბიძამ თავისი გამონაცვალი მანქანა მაჩუქა. წარმოიდგინეთ, როგორ გამიხარდებოდა! ნებისმიერი ახალგაზრდა ოცნებობს ასეთ მანქანაზე. ნახმარი კი იყო, მაგრამ ახალივით ბრწყინავდა. მოდელსაც წუნს ვერ დასდებდი. ამ საჩუქრის მიღებიდან რამდენიმე თვეში მეგობარმა მთხოვა, ქართლის ერთ-ერთ სოფელში გავყოლოდი, ბიძაშვილის ქორწილში. პარასკევს, შუადღისას გავედით თბილისიდან. გზად ათას სახალისო ამბავს ვიხსენებდით, სულ სიცილ-სიცილით გავცდით მცხეთას, იგოეთთან გადავუხვიეთ. ერთი-ორი კილომეტრი ნამდვილად მშვიდობიანად გავიარეთ. უცებ საჭე არ დამემორჩილა. მერე რა მოხდა, არ ვიცი. ერთი რამ მახსოვს, ჯერ სინანულმა გამკენწლა, რომ ეს ნაოცნებარი მანქანა დამემტვრეოდა და მგზავრებსაც არ დაგვადგებოდა კარგი დღე... ნამდვილად ვიცი, რომ წინ შემხვედრი მანქანა არ მოდიოდა, არც უკან წამოგვწევია ვინმე... არაფერი დამინახავს, მაგრამ ვიგრძენი, როგორ შევეჯახე უხილავ ბარიერს და ძირს დავეშვი, მთაში რომ მინახავს, სწორედ ისეთ თავდაღმართში, უფსკრულივით ხევში... გაოცებისგან თვალები გადმოვკარკლე, მეგობარს შევხედე. მას ცალი ხელი საქარე მინაზე ჰქონდა მიბჯენილი და ფერწასული მიყურებდა. მანქანა კი... მანქანა ძალიან დიდი სისწრაფით მიბღუოდა თავქვე. საოცარი ის იყო, რომ რბილად დავეშვით... იქ, სადაც მოვხვდით, გათენებისას რომ ბინდბუნდია, ისე იყო. რა ვიცი, თენდებოდა თუ მოსაღამოებული იყო, ვერ გეტყვით. გაშლილი მინდორი გასდევდა გზას ორივე მხარეს.

— რა იყო ეს, ბიჭო? — ძლივს ამოვიღე ხმა. ბედნიერმა, რომ ცოცხლები ვიყავით, მანქანიდან გადმოსვლა დავაპირე, მინდოდა მენახა რა დაუზიანდა.

მეგობარმა ხელი მტაცა. შევხედე. თვალებში შიშჩამდგარი წინ იყურებოდა. მეც გავიხედე. ოთხი ან შეიძლება ხუთი ადამიანის მსგავსი მანათობელი არსება მოდიოდა ჩვენკენ. მანქანას შემოეხვივნენ, ხელებს ადებდნენ და შიგ იყურებოდნენ. ერთმანეთს რაღაცას ანიშნებდნენ. ერთბაშად მოვიკრიბე ძალ-ღონე და საჭეს მოვკიდე ხელი. საჭე ცხელი იყო, ხელი დამიწვა და 3-4 დღე მაწუხებდა შემდეგ. მანქანა დაიძრა, ოღონდ არა წინ, არამედ ზემოთ აჰყვა რაღაც ძალას. ამოვედით. კასპის რაიონი უკან მოგვეტოვებინა.

სასწრაფოდ გადმოვედით მანქანიდან. დავათვალიერეთ. არაფერი სჭირდა გარდა ერთისა — საღებავი იყო დამსკდარი.

სადღაც სხვა განზომილებაში ვიყავით, მგონი, მიწისქვეშეთში. თუკი ყველაფერი მომეჩვენა, მაშინ საიდან გაჩნდა ეს მხურვალებისაგან დახეთქილი საღებავი ან ჩემი დამწვარი ხელი?

ბიძაჩემს ვუამბე, გაეცინა. მითხრა, რაღაცას იგონებთ, რა ხევი, რის ხევი, სად არის თავდაღმართი იგოეთთანო...

აბა, მე რა ვიცი, სად არის! მეც და ჩემმა მეგობარმაც ერთი რამ ვიცით — მივდიოდით წყნარად და მიწისქვეშეთში მოვხვდით.

***სანდრო კ.***
***თბილისი***

## „საზალღო-სალაღო“ გვერდის პასუხები

**I. აბა, გამოიცანი:**

1) — ბ); 2) — გ); 3) — დ); 4) — დ); 5) — დ); 6) — ბ); 7) — დ); 8) — დ).

**II.** მე-5; **III.** მთვარე.



## თუ წააგეს — შეჭამენ

საფრანგეთის მორაგბეთა ეროვნულ ნაკრებს ამიერიდან ცოცხალი თილისმა — მამალი, მეტსახელად დიომედი ეყოლება. იგი ავსტრალიაში იყიდეს, სადაც გუნდი მსოფლიო ჩემპიონატისთვის ემზადებოდა და ოფიციალურად მიანიჭეს 31-ე მოთამაშის სტატუსი.

ტრადიციულად, მამალი გალების — საფრანგეთის უძველესი მოსახლეობის სიმბოლოდ ითვლება და სიმამაცეს განასახიერებს. ფრანგ ფეხბურთელებსა და მორაგბეებში ბედნიერ ნიშნად ითვლება მატჩის წინ მინდორზე მამლის გაშვება და დიომედიც ამაყად დაბრძანდება აქეთ-იქით.

გულშემატკივრების ერთი ნაწილი ირწმუნება, სახელი დიომედი მამალს ტროას ომის გმირის პატივსაცემად დაარქვესო. სხვები კი ამტკიცებენ, რომ ეს იმ ფეხბურთელის სახელია, რომელმაც ნაკრების ყველა მატჩი სათადარიგო სკამზე გაატარა. ერთს კი ყველა ერთხმად აღიარებს — თუ მორაგბეთა ნაკრები მსოფლიო ჩემპიონატში დამარცხდა, დიომედს, რომელმაც მოთამაშეთა ნდობა ვერ გაამართლა, ალბათ შებრაწავენ და შეჭამენ.

*ეხო პლანეტი №42*

## ეროტიკული საკონდიტრო



მეწარმეთა ფანტაზიას საზღვარი არა აქვს — დიდი მოგების მიღების სურვილი მათ წარმოსახვას სულ უფრო და უფრო ამძაფრებს და შედეგიც არ აგვიანებს. მაგალითად, ჩილეში ერთმა საკონდიტრომ, რომელიც ძირითადად ეროტიკული, ვნების აღმძვრელი ნამცხვრებითა და ტკბილეულით ვაჭრობს, ქალებს დიდი სიურპრიზი მოუმზადა(!).

მუდმივ კლიენტ ქალბატონებს შეუძლიათ მომინანქრებული ნამცხვრები შეიძინონ... მათ (სხვა გზა არ არის, უნდა გამოვტყდეთ!) ფალოსის ფორმა ექნება. მსურველებს ქალის სხეულის ინტიმური ადგილების (რასაკვირველია, ნამცხვრის სახით) შეძენაც შეუძლიათ.

საკონდიტროს მეპატრონის თქმით, სპეციფიკური ტკბილეულის მომხმარებლების 90% ქალია. ეროტიკულ ნამცხვრებს ისინი ე.წ. დახურული წვეულებებისთვის ყიდულობენ. მეტიც, ბევრ ქალბატონს თურმე ეროტიკული ნამცხვრებისა და პუდინგების ესკიზებიც კი მოაქვს.

*ოკნა №41*

## გარემოს დამცველიც და „არქიტექტორიც“

ერთმა არგენტინელმა გარემოს დამცველმა ზღვის პირას შეგროვებული ძველი პლასტიკატის ბოთლებისგან სახლი ააშენა. არქიტექტურის ეს სასწაული გარემოს დამცველმა პლაჟის დამსვენებლებისგან გადაყრილი ბოთლებით შექმნა. სახლში საძინებელი, სასტუმრო ოთახი და სამზარეულოა. თავდაპირველად, საპროტესტო კედლის აშენებას აპირებდა, მაგრამ იმდენი „საშენი მასალა“ დაუგროვდა, სახლიც კი გამოუვიდა. ამ მშვენიერ წამოწყებაში მარტო არ ყოფილა — მეზობლის ბავშვები ეხმარებოდნენ. ადგილობრივი სკოლის ადმინისტრაციას კი ისე მოეწონა ნაგებობა, „არქიტექტორს“ სკოლისთვის დამხმარე შენობის დაპროექტება სთხოვა.

*ინტერპოლ ექსპრესი*

## ჩინეთი — დამწერლობის სათავე

ამერიკელი და ჩინელი არქეოლოგების ერთობლივი ექსპედიციის წევრებმა დასავლეთ ჩინეთში აღმოაჩინეს უძველესი წარწერა. პირველყოფილი ადამიანების სადგომში არქეოლოგები წააწყდნენ კუს კვერცხის ნაჭუჭს, დაფარულს პიქტოგრამებით, — უძველესი იეროგლიფებით. შორეული წარსულიდან მომდინარე ეს გზავნილი თარიღდება ძველი წელთაღრიცხვის 8600 წლით. ეს იეროგლიფები ძალზე წააგავს იმათ, რომლებსაც იყენებდნენ ძველი ჩინელები.

მაშასადამე, დამწერლობის შემქმნელები არიან ჩინელები და მესოპოტამიაში მცხოვრები ხალხები, რომელთა წერილობითი ძეგლები ძველი წელთაღრიცხვის 7000 წლით თარიღდება.

*მირ ნოვოსტეი*

## საყვარელი და ლამაზი იუბილარი



ყველასათვის საყვარელი საჰაერო ბუშტი იუბილარია — მას 155 წელი შეუსრულდა.

პირველად საჰაერო ბუშტი ლონდონში, 1847 წელს დაამზადეს ვულკანიზებული რეზინისაგან. რა თქმა უნდა, კაცობრიობა მანამდე ამ სფეროში გულხელდაკრეფილი არ მჯდარა. მაგალითად, აცტეკები ცხოველების ნაწლავებსა და კუჭებს იყენებდნენ — ასეთი ბუშტები მსხვერპლშეწირვის ერთ-ერთი ატრიბუტი იყო. დღევანდელი ბუშტის პირდაპირი წინაპარი კი ლონდონური გასაბერი ბუშტი გახდა. იმ დროს ბუშტები ძალზე ძვირი ღირდა და მხოლოდ შეძლებული ხალხი თუ ყიდულობდა. ასი წლის შემდეგ ევროპასა და ამერიკაში დღესასწაულების ერთ-ერთ მოსართავ საშუალებად ბუშტების გამოყენებაც დაიწყეს. დღეს კი მათ გარეშე არც ერთი საბავშვო ზეიმი არ ტარდება. რა ფორმისა და ფერის ბუშტებს აღარ აკეთებენ — ცხოველების და ყვავილების ფორმის, თუ სხვადასხვა გეომეტრიულ ფიგურას.

საჰაერო ბუშტი დიდსა თუ პატარას უყვარს. მას უამრავი ღირსება აქვს — მაგალითად, ევროპაში კლასიკური მუსიკის კონცერტებზეც კი ნახავთ ფერად-ფერად ბუშტებს. მათი წყალობით ახალგაზრდობა სიამოვნებით მიუბრუნდა მოცარტს, ჰაიდნს, შოპენს. სხედან ტინეიჯერები დარბაზში, ყურთან საჰაერო ბუშტი მიუტანიათ და მუსიკას უსმენენ — რეზონანსის გამო ხმის გაძლიერების ეფექტი იქმნება და უფაქიზესი ნიუანსების აღქმა ხდება შესაძლებელი. ზოგიერთი საკონცერტო დარბაზი მაყურებელს თეატრალურ ბინოკლთან ერთად ლატექსის ბუშტსაც სთავაზობს.

გახსოვთ ია-ია, პატარა სახედარი, ვინი-პუჰს ლამაზი, მაგრამ უკვე გამსკდარი ბუშტი რომ აჩუქა? „მე რომ მიყვარს, სწორედ იმხელა იყო“ — დარდობდა ია-ია. მაგრამ ჩვენ უკვე ასეთი რამ იშვიათად თუ დაგვემართება — რაც დრო გადის, ბუშტს უფრო გამძლე მასალისგან აკეთებენ. ასე რომ, ყველას შეხვდება სწორედ სასურველი ფერისა და ზომის ლამაზი საჰაერო ბუშტი.

*ნიუ ზუიქი*

## მოდელის ნოვაცია



ცნობილი მოდელი კეიტ მოსი, რომელიც კარგა ხანია პოდიუმზე არ გამოჩენილა, პირველსავე ჩვენებაზე ჩაფლავდა.

კეიტმა ერთ დროს პირობა დადო, წვეთ სასმელს პირში არ ჩავუშვებ, ამიერიდან ცხოვრების ჯანსაღ წესს უნდა მივდიოო. მიუხედავად ამისა, სიტყვა მაინც გატეხა. ჩვენებაზე შამპანურით გამომთვრალი ათასობით მაყურებლისა და ტელეობიექტივების წინ პოდიუმზე გაიშხლართა... მარცხის მიუხედავად, დიზაინერები მოდელის გაგდებას არ აპირებენ — დაცემისას კეიტს კაბა ჩამოუცურდა და მისმა შიშველმა მკერდმა მამაკაცების ბობოქარი ოვაციები გამოიწვია. სამოდელო შოუს ორგანიზატორებს კეიტის „ილეთი“ მოეწონათ და პრაქტიკაში მისი ფართოდ დანერგვა გადაწყვიტეს. მაგრამ ქალბატონი მოსის კონტრაქტში ახალი პუნქტი შეიტანეს — მოდელების ჩვენების დროს ის სასმელს არ უნდა გაეკაროს — ორგანიზატორები შიშობენ, რომ ერთ მშვენიერ დღეს კეიტ მოსი პოდიუმზე კი არა, მაყურებელს დაეცემა თავზე. ეს კი საზოგადოებას ნამდვილად აღარ მოეწონება.

*ტვ პარკი*

## ელექტროენერგია ყურძნის მტევნისაგან

ტეხასის შტატის უნივერსიტეტის თანამშრომლებმა შეძლეს ელექტროენერგიის მიღება ყურძნისგან. ამისათვის მათ გამოიყენეს ბიოთერმული ელემენტი, რომელიც ითვისებს ნივთიერებათა ცვლისას გამოყოფილ ენერგიას. ჯერჯერობით ყურძნისაგან მიღებული ენერგია საკმაოდ სუსტია, მაგრამ ის თავისუფლად ჰყოფნის სამუშაოდ მიკროსკოპულ ელექტრონულ სენსორს ან გადამცემს.

ცხადი შეიქნა, რომ ამგვარი ბიოთერმული ელემენტების კვება ადამიანის ორგანიზმში მიმდინარე ნივთიერებათა ცვლის შედეგად გამოყოფილი ენერგიითაც არის შესაძლებელი. ამიტომ იგი თავისუფლად გამოდგება სხვადასხვა დაავადებათა დიაგნოსტიკისათვის.

*ტაიმსი*

## თურმე ჩაცმა-დახურვა უფრო ემარჯვება



რუსმა ჩოგბურთელმა ანა კურნიკოვამ, როგორც იქნა, გამარჯვება მოიპოვა... თუმცა არა ჩოგბურთში.

კურნიკოვამ 5:4 მოუგო მერაია კერის. ასპარეზობა ჩაცმა-დახურვაში მიმდინარეობდა, მონტე-კარლოში, მუსიკალური პრიზების გადაცემის ცერემონიაზე.

ამ ცერემონიაზე მხოლოდ იმ მომღერლებს იწვევენ, რომლებსაც ას მილიონზე მეტი მუსიკალური ალბომი აქვთ გამოშვებული. საღამოს წამყვანობა 22 წლის ჩოგბურთელს სთხოვეს. ცერემონიის დროს რუსმა ლამაზმანმა ხუთჯერ გამოიცვალა სამოსი. მას ოდნავ ჩამორჩა მერაია კერი — მან ოთხჯერ აჩვენა დამსწრეთ ახალი კაბები. მაგრამ მომღერალი ამით თურმე გულნაკლული სულაც არ დარჩენილა — მან მთავარი პრიზი დაიმსახურა. როგორც კურნიკოვამ განაცხადა, იგი კორტიდან სცენაზე გადასვლას აპირებს. რამდენიმე წელია კინო და ტელეპროდიუსერების წინადადებებზე თურმე უარს ამბობს, დროის უქონლობის გამო. ახლა კი გაუთავებელმა ტრავმებმა აიძულა პროფესიის შეცვლაზე იფიქროს(!).

თუმცა, თუ ჭორებს დავუჯერებთ, კურნიკოვასათვის არავის არაფერი შეუთავაზებია. უბრალოდ, შემთხვევით ისარგებლა და შოუბიზნესს თავი შეახსენა. მერაია კერიზე „შთამბეჭდავი გამარჯვების“ შემდეგ სამუშაოს შოვნის შესაძლებლობა მიეცემა. ცერემონიაზე მიწვეულმა მონაკოს პრინცმა ალბერმა კურნიკოვას პირადი მწვრთნელობა შესთავაზა (იქნებ არა მხოლოდ მწვრთნელობა)... თუკი ჩოგბურთელი ენრიკე იგლესიასს მიატოვებს.

*გარდიანი*

## ძაღლების ფიურერი

ფანატიზმს არასოდეს მოუტანია სიკეთე. იგი სხვადასხვა დროს, სხვადასხვა სფეროში და სხვადასხვა სახით ვლინდება. არცთუ ისე იშვიათია შემთხვევა, როცა იგი გროტესკულ სახეს იღებს. ამის დასტურად ეს ამბავიც გამოდგება.

ერთ ბერლინელ მოქალაქეს როლანდ ტ-ს სასამართლოს წინაშე მოუწევს პასუხისგება ანტიკონსტიტუციური ორგანიზაციის სიმბოლიკის გამოყენებისათვის.

საქმე ის არის, რომ ბატონმა როლანდმა თავის ძაღლს ბრძანებაზე „ჰაილ, ჰიტლერ“! თათით ფაშისტური მისალმება ასწავლა. ძაღლს სახელიც შესაფერისი — ადოლფი დაარქვა. აბა, წარმოიდგინეთ, რა სანახავი იქნება ორ ფეხზე დასკუპებული, ცალ თათშემართული „ადოლფი“? პატრონი ყველას ამაყად უჩვენებს თავისი სამწვრთნელო მოღვაწეობის შედეგს.

თუ როლანდ ტ-ს სასამართლო დამნაშავედ ცნობს, სამწლიან პატიმრობას ვერ ასცდება. საბრალო „ადოლფს“ კი ალბათ ძაღლების თავშესაფარში მიაბრძანებენ.

*ვოკრუგ სვეტა*

## ყველაზე ბრიყვი ქურდი



რა მოსაწყენი იქნებოდა ცხოვრება, ადამიანები, ყველანი უკლებლივ, ჭკვიანები რომ ყოფილიყვნენ. ბედმა გაგვიღიმა და ჩვენ შორის უამრავი ბრიყვია. მათი წყალობით ცხოვრება ერთფეროვანი და პროზაული აღარ გვეჩვენება. რაკი ბრიყვები არსებობენ, ე.ი. გასართობიც არ გამოგველევა. მაგალითად, ბრიტანეთის პოლიცია ეძებს ბოროტმოქმედს, რომელმაც უმაგალითო სიბრიყვე გამოიჩინა. ერთ-ერთ ოფისში შეპარულმა ჯერ ყავის ავტომატი დაამსხვრია იმ იმედით, შიგ ბლომად ხურდა ფული იქნებაო, თუმცა ავტომატზე დიდი ასოებით ეწერა, რომ დანადგარი ჟეტონებით მუშაობდა. ეტყობა, ქურდი ან მხედველობადაქვეითებული, ან წერა-კითხვის უცოდინარი იყო. მან ხელს ის მობილური ტელეფონიც გააყოლა, რომელიც მხოლოდ კომპანიის ტერიტორიაზე მუშაობს. ასეც რომ არ ყოფილიყო, ბრიყვს თან არ წაუღია დასამუხტი მოწყობილობა და ბატარეები. თავისი სიბრიყვის დასტურად მან წასვლისას „კოკა-კოლას“ ქილა გამოცალა — მისი ხმარების ვადა ზუსტად ერთი წლის წინ იყო გასული.

*ოჯი*

## ჟურნალ „კარუსელის“ საფირმო კროსვორდი „კვირის პალიტრისთვის“



**შევსების წესი:** უპასუხეთ კროსვორდში დასმულ შეკითხვებს და პასუხები შესაბამის გრაფაში ჩაწერეთ. კროსვორდის სწორად ამოხსნის შემთხვევაში გამუქებულ უჯრებში ფრანგი მეიგავის, ლაფონტენის სიტყვებს ამოიკითხავთ.




**კ.** საზღვაო მოგზაურობა; **ვ.** შურისძიების კორსიკული ხერხი; **ი.** იმამის ხელისუფლება; **რ.** თბილისის ერთ-ერთი უბანი; **ი.** სუფთა მოგება ძიუდოში; **ს.** ძველი ბერძენი პოეტი ქალი; **პ.** ბავშვთა ნებაყოფლობითი კომუნისტური ორგანიზაციის წევრი; **ა.** ყველაზე გრძელი ჩანჩქერი მსოფლიოში; **ლ.** სიგრძის საზომი ერთეული საფრანგეთში; **ი.** ლათინური ასო, რომლითაც უცნობ სიდიდეს აღნიშნავენ მათემატიკაში; **ტ.** ბრძოლის მომზადებისა და წარმოების თეორია და პრაქტიკა; **რ.** ბრაზილიელი ფეხბურთელი; **ა.** სამხედრო ნადავლი; **თ.** წვრილი ღვედი; **ქ.** „გვადი ბიგვას“ ავტორი; **ვ.** ქალაქი, სადაც მიმდინარეობს „რომეო და ჯულიეტას“ მოქმედება; **ე.** საეკლესიო-ადმინისტრაციული ერთეული, რომელსაც განაგებს ეპისკოპოსი; **ნ.** გერმანული პარფიუმერიული ფირმა; **ი.** ქართული ხალხური შეჯიბრი ცხენოსნობაში; **გ.** კოლუმბის მშობლიური ქალაქი; **ა.** რა ერქვა სიონის მგელთა ხროვის მეთაურს კიპლინგის ნაწარმოებში „მაუგლი“; **ზ.** ნოდარ წულეისკირის რომანი; **ე.** ატმოსფერული მოვლენა; **თ.** ხელსაწყო, რომლითაც რაიმე ზედაპირის ჰორიზონტალურობას ამოწმებენ; **ი.** ქალაქ ტროას მეორენაირი სახელწოდება; **ა.** ყაჩაღი, რომელსაც ქალაქ მცხეთაში ძეგლი დაუდგეს.

**წინა ნომერში გამოქვეყნებული კროსვორდის პასუხები:**

**დ.** დოცენტი; **ა.** ანხელი; **ი.** იპონი; **ს.** სევანი; **ვ.** ვერსალი; **ე.** ეფენდი; **ნ.** ნობელი; **ე.** ეტალონი; **კ.** კოშევოი; **ვ.** ვაიკულე; **ი.** ილაჯი; **რ.** რურუა; **ი.** იზაურა; **ს.** სევილია; **პ.** პრიზი; **ა.** აქსიომა; **ლ.** ლუთერი; **ი.** იავა; **ტ.** ტაისონი; **რ.** როსინი; **ი.** იადონი; **ს.** სლალომი; **ფ.** ფუმფულა; **ე.** ელიოზი; **რ.** რეცეპტი; **ე.** ემისია; **ბ.** ბუნგალო; **შ.** შაილოკი; **ი.** ირანი.

**გამუქებულ უჯრებში იკითხება: ცხოვრებაში არავისთვის დამიცინია.**

CMYK

# ავი ბედისწერა



ჩალურჯებული გვამები გააფთრებით გლეჯენ ნაკუწ-ნაკუწ ადამიანებს — გოგონა-ზომბი წერაქვით კლავს საკუთარ დედას, ბიჭი გოგონების სისხლს სვამს, წინასწარ კი მათ ვენაში საძილე საშუალებას უშხაპუნებს... საძილე საშუალების გარეშე ვერც მაყურებელი გადარჩება, თუკი შუაღამისას ჯორჯ რომეროს ფილმს ნახავს.

საშინელებათა ფილმების მეფე, ამერიკელი რეჟისორი **ჯორჯ რომერო** მიიჩნევს, რომ განგსტერული და საშინელებათა ფილმები არ ბადებს განგსტერებსა და მანიაკებს. ძალადობის პირველმიზეზი, მისი აზრით, იმედგაცრუება, პირადი ცხოვრებით უკმაყოფილებაა. შეგახსენებთ, რომ რომერო არის „ცოცხალი გვამების ღამის" ავტორი. დიდი ხანია, რაც მას საშინელებათა ფილმების ავტორთა შორის უპირველესი რეჟისორის ადგილი უჭირავს. ახლო მომავალში იგი აპირებს, გადაიღოს ბრემ სტოკერის „დრაკულა".

ალბათ ჩვენს მკითხველს დააინტერესებს რეჟისორთან საუბარი თემაზე, რატომ არის ასე პოპულარული საშინელებათა ფილმები, საიდან ჩნდებიან რეალურ ცხოვრებაში ვამპირები, მანიაკები და სხვა უწმინდურები? ხელს ხომ არ უწყობს მათ გაჩენას 63 წლის მაესტროს ფილმები?

**— ბატონო ჯორჯ, არ მოგბეზრდათ ხალხის დაშინება? ჟანრის შეცვლას ხომ არ აპირებთ?**

— ჟანრს თუ შევიცვლი, არავინ არაფერს გადამიხდის. ერთხელ ვუღალატე ჩემს ჟანრს, მაყურებელი ენთუზიაზმის გარეშე შეხვდა ჩემს მცდელობას. მოგვიანებით პოლიტიკური თრილერის გადაღება განვიზრახე, ენტონი ქუინს მოველაპარაკე მთავარ როლზე, მაგრამ, სამწუხაროდ, იგი გარდაიცვალა და პროექტიც ჩაიშალა.

**— როგორ გაგიჩნდათ ინტერესი საშინელებათა ფილმების მიმართ?**

— საშინელებათა კომიქსებზე ვარ გაზრდილი. ბავშვობაში არ გამომიტოვებია გულუბრყვილო ფილმები მონსტრების შესახებ. ვერ ვიტყვი, რომ მაშინ გადავწყვიტე ამ ჟანრში მოღვაწეობა. უბრალოდ, სიამოვნებას განვიცდიდი.

**— მოგწონდათ, ბავშვობაში რომ გაშინებდნენ?**

— კინოში არასოდეს შემშინებია საშინელებებისა, ყოველთვის სერიოზულად მეშინოდა ატომური ბომბის. დავიბადე ბრონქსში. მამა კუბელი იყო, დედა — ლიტველი. თავს ყოველთვის კუბელად ვთვლიდი, ვიზრდებოდი, როგორც ჩვეულებრივი ესპანელი ბიჭი. ხშირად მიხდებოდა ჩხუბი იტალიელ ბიჭებთან და ყოველთვის მეშინოდა, მარტო არ გამომიჭირონ და ძვალ-რბილი არ გამიერთიანონ-მეთქი. კინომ ადრიდანვე დამაინტერესა და 14 წლისა 8 მმ-იანი კამერით უკვე ვიღებდი მოკლემეტრაჟიან ფილმებს.

**— როგორც პროფესიონალმა, როდის დაიწყეთ მუშაობა?**

— პიტსბურგში მეგობრებთან ერთად პირველი სტუდია გავხსენი, სარეკლამო ფილმებს ვიღებდით. როცა გადაღების ტექნიკა ავითვისე, სერიოზული ფილმების შექმნის სურვილი გამიჩნდა, ბერგმანის სტილში, მაგრამ ჩემი ჩანაფიქრით არავინ დაინტერესდა. ფული ვერ ვიშოვე და მაშინ დავწერე მოთხრობა — „ანუბისის ღამე", რაც საფუძვლად დაედო „ცოცხალი გვამების ღამეს". ვინაიდან პირველ ფილმს დიდი წარმატება ხვდა, ჩემით დაინტერესდნენ და მეც გამიტაცა ამ ჟანრმა.

**— თქვენ დაამსხვრიეთ ამერიკული კინოს რამდენიმე ძირითადი ტაბუ. ნატურალისტურად აჩვენეთ ძალადობა, თქვენს ფილმებში ხოცავენ ბავშვებს, ბავშვები ხოცავენ უფროსებს...**

— ჩვენი მიზანი იყო ამ ჟანრის საზღვრების გაფართოება. იმედი გვქონდა, რომ რაღაცას შევცვლიდით ქვეყანაში, სადაც ადგილი ჰქონდა რასობრივ ამბოხებებს და ლინჩის წესით გასამართლებას. მინდოდა აბუჩად ამეგდო ყოველივე ეს; ამაში ძალზე დამეხმარნენ მონსტრები.

**— არსებობს აზრი, რომ ეკრანზე ნაჩვენები ძალადობა ბადებს ძალადობას ცხოვრებაში. ეთანხმებით ამ აზრს?**

— ვფიქრობ, ყველაფერი სხვაგვარადაა. ცხოვრება განსაზღვრავს ყველაფერს. წარმოქმნილი პრობლემების გადასაწყვეტად ყველაზე გავრცელებული საშუალებაა ძალადობის ჩვენება კინოში.

**— მაგრამ ფსიქიკურად გაუწონასწორებელ ადამიანებს, რომლებიც ნახავენ თქვენს ფილმებს, მეტიც არ უნდათ...**

— ამას ვერ გამოვრიცხავ, მაგრამ ხომ იცით, ჭკუანაღრძობი ბევრია, ისინი ჩემი ფილმების გარეშეც ჩაიდენენ რაიმეს.

**— თუ გაკრიტიკებენ რელიგიური და კონსერვატიული ორგანიზაციები?**

— დროდადრო. ბევრი მათი წევრი არც ნახულობს ჩემს ფილმებს.

**— აღიარებთ ალფრედ ჰიჩკოკის გავლენას თქვენს შემოქმედებაზე?**

— კრიტიკოსები წერენ ამის შესახებ, მაგრამ მე არასოდეს ვყოფილვარ ჰიჩკოკის მხურვალე თაყვანისმცემელი, ის უფრო სქემატურია, არა მგონია, რომ მას რამე მოვპარე.

**— ყოველთვის ახერხებთ, ზუსტად მიაწოდოთ მაყურებელს თქვენი ჩანაფიქრი?**

— სამწუხაროდ, არა. ბევრს ბოლომდე არ ესმის, რისი თქმა მინდოდა, ვის დავცინოდი, რის პაროდირებას ვახდენდი...

***7 დღეი №35***

# შავკანიანი ვარსკვლავის შავი მაგია



მოაქვს თუ არა ადამიანისათვის ფულს ბედნიერება? დაუსვით ეს შეკითხვა მსოფლიო ესტრადის ვარსკვლავს უიტნი ჰიუსტონს... ჰიუსტონი მულტიმილიონერია, მისი დისკები საოცარი პოპულარობით სარგებლობს, მაგრამ უზარმაზარმა ქონებამ მას ბედნიერება არ მოუტანა. ეს უდავოდ იმის საფასურია, რომ მომღერლის დედა ყოველთვის ვუდისტური კულტით იყო გატაცებული. უიტნის დედა სისი ჰიუსტონი კარგად არის ცნობილი გასული საუკუნის 60-იანი წლების რიტმ-ენდ-ბლუზის მოყვარულთათვის, როგორც ერთ-ერთი უნიჭიერესი ბექ-ვოკალისტი.

არ იყო უიტნი, როცა ნიუ-ჯერსიში 11 მილიონად ღირებული სახლი შეიძინა. ვისაც ჯადოსნობის რაიმე გაეგება, უცებ იტყვის, რომ სურვი-

გაზეთები ხშირად აშუქებდნენ სისის სასიყვარულო რომანებს იმ დროის ბლუზმენებთან. სისის რჩეული ყველა მამაკაცი ჯადოქრობით გატაცებული ზანგი იყო. სისის და — დაიონა ვარვიკიც შოუბიზნესში ძალიან პოპულარული იყო. სწორედ მან გააცნო დას ბლუზის ყველაზე ძლიერი შამანები, მათ სისის რამდენიმე საიდუმლო ასწავლეს.

უიტნის მშობლები გამუდმებით ჩხუბობდნენ, რისი მიზეზიც სისის გაუთავებელი ღალატი იყო. სისი ქმარს უკრძალავდა შვილთან — უიტნისთან ურთიერთობას. გოგონას აღზრდა მთლიანად დედამ იკისრა, უიტნიც ნიჭიერი მოწაფე აღმოჩნდა, ადრე ისწავლა ადამიანებით მანიპულირება და საწადელს მიაღწია. მხოლოდ 12 წლის იყო უიტნი, პირველად რომ გამართა სოლო კონცერტი. დებიუტმა გოგონას საოცარი წარმატება მოუტანა. პუბლიკა ღრიალებდა და ტიროდა. რა თქმა უნდა, ამაში მაგიამ დიდი როლი ითამაშა. ეს მხოლოდ დასაწყისი იყო...

რამდენიმე წლის შემდეგ უიტნიმ გააფორმა თავისი პირველი კონტრაქტი. დედა-შვილი ჰიუსტონების მაგიური რიტუალის მსხვერპლი აღმოჩნდა კონცერნ „არისტას" ყოვლისშემძლე პრეზიდენტი კლაივ დევისი. მოჯადოებულმა დევისმა ყველასათვის უცნობი მომღერლისათვის შეკრიბა აშშ-ის საუკეთესო პოეტები და კომპოზიტორები... პირველი ალბომის გამოსვლისთანავე უიტნი ვარსკვლავი გახდა. მიზანი მიღწეულია. მისი შვიდი სინგლი ამერიკის ჰიტ-პარადებში ზედიზედ პირველ ადგილს იკავებს. მან მიიღო რამდენიმე „გრემი". მისი ალბომების ტირაჟმა ყოველგვარ მოლოდინს გადააჭარბა. 25 წლისაც

ლის ასრულებას აუცილებლად მოჰყვება შურისძიება, მანაც არ დააყოვნა. ის მუდმივად იმყოფება პრესის წნეხის ქვეშ, მის ყოველ ნაბიჯს აკონტროლებენ პაპარაცები და საბოლოოდ ბედმა საშინელი დარტყმა მიაყენა, უიტნის შეუყვარდა მამაკაცი, რომელმაც მისი ცხოვრება დაანგრია.

უიტნის რჩეული გახლდათ ნაძირალა, ხულიგანი, ნარკომანი და კრიმინალური დამნაშავე ბობი ბრაუნი, რომლის შესახებაც ამბობდნენ, რომ ბრაუნი უმაღლესი ვუდუს ადეპტია. ახალგაზრდა და თავხედმა მაგმა აჯობა უკვე ხანში შესულ სისის და ახალგაზრდები დაქორწინდნენ. მალე მათ ქალიშვილი შეეძინათ. გოგონას დაბადების შემდეგ ბობიმ აიწყვიტა, ის ცოლს საშინლად ექცეოდა — ცემასა და შეურაცხყოფას არ აკლებდა. თავიდან უიტნი მალავდა ქმრის ასეთ საქციელს, მაგრამ პაპარაცებმა მოახერხეს დალილავებული უიტნის კამერებით დაფიქსირება. მიუხედავად ყველაფრისა, უიტნის არ უნდოდა ქმართან გაყრა და ბედისწერას შეურიგდა.

2000 წლის ზამთარში უიტნის შესახებ პრესა ისევ ალაპარაკდა. მომღერალი დააკავეს აეროპორტში — მარიხუანა აღმოუჩინეს, რომელიც ვუდუს რიტუალში გამოიყენება. ეს მხოლოდ ერთის მაჩვენებელია: თამაში დამთავრდა, უიტნი მთლიანად დაემორჩილა ქმრის შავბნელ ძალას.

...მიუხედავად ყველაფრისა, ყველაზე იდუმალი ამერიკელი მომღერლის მაგიური ძალა ეტყობა, ჯერაც არ დაშრეტილა და შესაძლოა, მის ისტორიას კიდევ ჰქონდეს ბედნიერი დასასრული...

***ტვ პარკი №37***

# მსახიობი, რომელსაც ფრენა უყვარს



ჰარისონ ფორდმა „ვარსკვლავთა ომში" კოსმოსელი კოვბოი, „ინდიანა ჯონსში" განძთმაძიებელი, „გზააბნეულში" რობოტებზე მონადირე, პრეზიდენტი, პოლიციელები და კიდევ ვინ მოთვლის, რა და როგორი გმირები არ განასახიერა.

**— ერთ ფილმში მსახიობობაზე მეოცნებე თქვენს კოლეგა პოლიციელს ეუბნებით: „არტისტობა იდიოტების საქმეაო". მართლა ასე ფიქრობთ?**

— ეს ფრაზა სცენარში ეწერა და ის მე კი არა, ჩემმა გმირმა წარმოთქვა. შეფასება ჩემი საქმე არ არის, კინომცოდნე კი არ ვარ. ჩემი საქმე გადასაღები მოედანია. იქ ჩემს სამუშაოს ვასრულებ, საღამოს კი შინ ვბრუნდები.

**— თქვენთვის მსახიობობა ხელოვნებაა თუ ხელობა?**

— ხელობა. ამისთვის საჭიროა იცოდე ცოტა რამ განათების, კამერის და რეჟისორის ჩანაფიქრის შესახებ. სულ ეს არის. სხვა მსახიობები ელოდებიან, მუზა როდის ეწვევათ. მე კი ოსტატობის იმედად ვარ.

**— 60-იან წლებში ხურო იყავით. ჰოლივუდში როგორ მოხვდით?**

— ხუროობით თავს ვირჩენდი, მაგრამ კოლეჯს რომ ვამთავრებდი, ერთი რამ ზუსტად ვიცოდი, — რომელიმე ბიუროში მუშაობა არ მინდოდა. 40 წელი ერთ სკამზე ჯდომა ჩემი საქმე არ იყო. მე თავგადასავლები მხიბლავდა და მსახიობობა გადავწყვიტე. მამა და ბაბუაც მსახიობები გახლდნენ და ამიტომ ოჯახისგან წინააღმდეგობა არ შემხვედრია.

**— ეს 70-იან წლებში იყო, მაშინ დაიწყეს სტივ სპილბერგმა ჯორჯ ლუკასმა და ფრენსის ფორდ კოპოლამ ჰოლივუდის ძველი სისტემის წინააღმდეგ ბრძოლა.**

— დიახ, მღელვარე დრო იყო. 1964 წელს „კოლუმბია ფიქჩერსთან" პირველ კონტრაქტს მოვაწერე ხელი და მაშინვე შემტენეს რაღაც პროგრამაში, რომელიც ახალგაზრდა მსახიობის სუპერვარსკვლავად ქცევას ითვალისწინებდა.

**— თქვენ ირგვლივ ყვითელი პრესის ნამდვილი ბუმი 2001 წელს ატყდა, როცა მეორე ცოლს, სცენარისტ მელისა მატისონს გაშორდით და დაიწყო თქვენი და თქვენზე 22 წლით უმცროსი მსახიობის კალისტა ფლოკჰარტის რომანი. ეს თქვენთვის შოკი იყო?**

— შოკის რა მოგახსენოთ, მაგრამ გავცოფდი კი. საერთოდ, არასოდეს ვაძლევდი პრესას ჩემს პირად ცხოვრებაში ჩარევის საშუალებას. აქ კი, ღმერთმა იცის, რას არ წერდნენ. დაბეჭდილის 98% სიცრუეა. თანაც ირწმუნებოდნენ, რომ ეს ზღაპრები „საიდუმლო წყაროებიდან" და „უახლოესი მეგობრებიდან" შეიტყვეს. ეს საზიზღრობა იყო.

**— უფრთხილდებით თქვენს სახელს?**

— მე ის კაცი არა ვარ, იმიჯზე ფიქრით თავი ავიტკივო. პირში წყალი მაქვს ჩაგუბებული და მივუყვები ჩემს გზას.

**— თქვენი როლებიდან რომელს გამოარჩევდით?**

— იცით, ამაზე არც მიფიქრია. ყველა კერძი ერთნაირად მიყვარს, ყველა შვილს ერთნაირად ვაღმერთებ. გამორჩეულად არც ერთი ფერი არ მიყვარს. ყველა ჩემი როლი ერთმანეთისგან განსხვავებულია, ვერც ერთს ვერ გამოვარჩევ.

**— კინოში გყოლიათ კერპი ან მასწავლებელი?**

— რაღა თქმა უნდა, არიან მსახიობები, რომლის თამაშიც აღმაფრთოვანებს, მაგრამ მათი თამაშის მანერას ხომ ვერ გავიმეორებ? საკუთარი გამოცდილებიდან ვსწავლობ. ჰარისონ ფორდის მასწავლებელი იყო და არის ჰარისონ ფორდი... სამყაროსადმი კრიტიკული დამოკიდებულება მაქვს და არა რომანტიკული. ვიყავი და დავრჩი ცინიკოსად, რომელიც თავისი თავისუფლებით ტკბება.

**— ამბობენ, რომ თვითმფრინავი თქვენი დიდი გატაცება არის.**

— დიახ, ყველაზე დიდ ბედნიერებას და თავისუფლების შეგრძნებას ფრენა მანიჭებს.

**— მესამედ დაქორწინებას როდის აპირებთ?**

— მე და კალისტა დანიშნულები ვართ. ქორწილიც მალე გვექნება.

***შტერნი №38***



# საქართველოს ნაკრებს ანრი მიშელი ჩაიბარებს?!

სამიოდე კვირა და გაირკვევა საქართველოს ნაკრების მეტოქეთა ვინაობა მსოფლიოს 2006 წლის ჩემპიონატის შესარჩევ ეტაპზე. ბუნებრივია, გულშემატკივართა შორის დაიწყება შანსებზე საუბარი, მეტოქეთა შეფასება... ერთი სიტყვით, 5 დეკემბრის კენჭისყრას ყველა მოუთმენლად ელის. მაგრამ ამ თარიღს და კონკრეტულად მეტოქეთა გარკვევას კიდევ ერთი მეტად მნიშვნელოვანი მოვლენა სდევს თან — უთავკაცოდ დარჩენილ საქართველოს ნაკრებს ბოლოს და ბოლოს, პატრონი გამოუჩნდება. როგორც ფეხბურთის ფედერაციის თავკაცობა აცხადებს, საქართველოს ნაკრებისთვის უცხოელი სპეციალისტის მოწვევისას საჭიროა ვიცოდეთ ჩვენი მეტოქეების ვინაობა, რათა თავად მწვრთნელმაც გააანალიზოს, თუ რა სირთულის ამოცანის გადაჭრა მოუწევს. ამოცანა კი მეტად ძნელი და საპატიოა — მსოფლიო ჩემპიონატის ფინალურ ეტაპზე გასვლა.

ფეხბურთის ფედერაციის პრეზიდენტი მერაბ ჟორდანია არ აკონკრეტებს არც ერთი სავარაუდო კანდიდატის ვინაობას, თუმცა იმას კი არ მალავს, რომ ის სპეციალისტი, რომელიც სათავეში ჩაუდგება საქართველოს ნაკრებს, საქვეყნოდ აღიარებული და ყველასთვის მისაღები კანდიდატურა იქნება.

ამ ფონზე კულუარებში გამოიკვეთა რამდენიმე ვარიანტი — მათ შორის სახელდება არაერთი აღიარებული სპეციალისტი — არიგო საკი, ექტორ კუპერი, ფაბიო კაპელო, რომელებთანაც ასევე კულუარული ინფორმაციით, მიმდინარეობს წინასწარი მოლაპარაკებები.

მაგრამ, როგორც ჩანს, ბოლოს მაინც ფრანგი სპეციალისტებისკენ გადაიხრება სასწორი. ამას თავისი ლოგიკაც აქვს. ბოლო მსოფლიო ჩემპიონატში მონაწილე ნაკრებთაგან სამს ფრანგი მწვრთნელი უძღვებოდა: როჟე ლემერი საფრანგეთს წვრთნიდა, ფილიპ ტრუსიე — იაპონიას, ბრუნო მეტციუ ხომ საერთოდ ბოლოდროინდელი სენსაციების ერთ-ერთ შემოქმედად იქნა აღიარებული, მისი გაწვრთნილი სენეგალი მართლაც რომ შესანიშნავად წარდგა მუნდიალზე. ჩემპიონატზე კიდევ ერთი ფრანგი მწვრთნელი უნდა ყოფილიყო — ანრი მიშელი, რომელმაც ტუნისის ნაკრებს ფინალური ეტაპის საგზური მოუპოვა, მაგრამ ბოლოს, ჩრდილოაფრიკელებმა თავისიანი არჩიეს ცნობილ ფრანგ სპეციალისტს.

იმას, რომ ანრი მიშელი საქართველოს ნაკრების ერთ-ერთ სავარაუდო კანდიდატად მოიაზრება, ფეხბურთის ფედერაციაშიც ადასტურებენ, საქმის გასაჩარხად კი თურქი აგენტი, ბაირამ თუთულმუ ირჯება, რომელიც მეტად საინტერესო განცხადებას აკეთებს:

„ანრი მიშელი დაინტერესებულია საქართველოს ნაკრებით, ამასთანავე დაინტერესებულია იმ მიმდინარე მოვლენებით, რაც საქართველოში ხდება.“

ერთი სიტყვით, ჯერი ფეხბურთის ფედერაციაზეა, რომელიც თავის მხრივ, 5 დეკემბერს კენჭისყრას ელის.

და ასეთ დროს ბუნებრივია, საინტერესოა იმის შეხსენება მკითხველთათვის, თუ ვინ არის ანრი მიშელი, რა სამწვრთნელო წარმატებებისთვის მიუღწევია მას და თუ რატომ არის საუკეთესო ვარიანტი საქართველოს ნაკრებისთვის მისი მთავარ მწვრთნელად დანიშვნა.

ნაკლებმნიშვნელოვანი არ უნდა იყოს ის ფაქტი, რომ ანრი მიშელს საკმაოდ წარმატებული საფეხბურთო კარიერა ჰქონდა. ის „ნანტში“ ნახევარმცველის პოზიციაზე თამაშობდა, ამ გუნდის შემადგენლობაში ხუთასზე მეტი მატჩი აქვს ჩატარებული. სამჯერ გახდა ქვეყნის ჩემპიონი და ერთხელ საფრანგეთის თასსაც დაეუფლა. საფრანგეთის ნაკრებში 58-ჯერ ითამაშა, თანაც ისეთი აღიარებული ვარსკვლავის გვერდით, როგორიც მიშელ პლატინი გახლდათ.

ანრი მიშელი 1980 წლიდან სამწვრთნელო კარიერას იწყებს და მას ფრანგული ფეხბურთის მამები თავიდანვე დიდ ნდობას უცხადებენ — საქმე ისაა, რომ პირველივე ჯერზე მიშელს საფრანგეთის 21-წლამდელთა ნაკრები ჩააბარეს. ეს ის დროა, როცა საფრანგეთში ოქროს თაობა მოდის. 1984 წელს, მიშელ იდალგოს ხელმძღვანელობით „მამლები“ ევროპის ჩემპიონატის ტრიუმფატორები გახდნენ. თავიანთ უფროს მეგობრებს არც 21-წლამდელები ჩამორჩნენ, რომელთაც ანრი მიშელის ხელმძღვანელობით ოლიმპიური ოქროს მედალი მოიგეს. ეს იყო პირველი სერიოზული ნიშანი იმისა, რომ ფრანგული ფეხბურთი მნიშვნელოვან პრეტენზიას აცხადებდა სერიოზული წარმატებებისთვის. ამ წარმატებათა ერთ-ერთი შემოქმედი სწორედ ანრი მიშელი გახლდათ.

1986 წლის მექსიკის ჩემპიონატისთვის საფრანგეთის ეროვნული ნაკრები სწორედ ანრი მიშელს ჩააბარეს. მიზანი საკმაოდ ნათელი იყო — მსოფლიო ჩემპიონატის მოგება. წინა მუნდიალზე იდალგოს ხელმძღვანელობით გუნდმა მართლაც რომ საუკეთესო თამაში აჩვენა და გერმანიის ნაკრებთან დათმო ნახევარფინალი. ეს დაპირისპირება ფეხბურთის ისტორიაში ერთ-ერთ საუკეთესო შედევრად ითვლება.

მექსიკაში სამფეროვნებმა მშვენივრად ითამაშეს, მათ მეოთხედფინალში ბრაზილიის ბრწყინვალედ მოთამაშე გუნდს გადაუკეტეს ფინალისკენ მიმავალი გზა, თავად კი ნახევარფინალში გავიდნენ, სადაც ისევ გერმანული „მანქანა“ შეეჩეხათ და ისევ ფინალს მიღმა დარჩნენ. მესამე ადგილისთვის შეხვედრისთვის ანრი მიშელის შეგირდებს დიდი მნიშვნელობა არ მიუნიჭებიათ, თუმცა მიუხედავად ამისა, მაინც ღირსეულად ჩაამთავრეს მუნდიალი და ბელგიის ნაკრებთან ბრძოლაში ბრინჯაოს მედლებს დაეუფლნენ.

მუნდიალის მესამე ადგილი წარუმატებელ შედეგად აღიქვეს საფრანგეთში, სწორედ ამგვარი განწყობის გამო, ანრი მიშელს ეროვნული ნაკრების მთავარი მწვრთნელის პოსტის დატოვება მოუწია.

ეროვნულ ნაკრებში ანრი მიშელი 1994 წელს კვლავ გამოჩნდა. ამერიკის შეერთებულ შტატებში ჩატარებულ მსოფლიო ჩემპიონატზე მან კამერუნის ნაკრები გაიყვანა, თუმცა, კამერუნელებმა დიდად ვერაფრით დაგვამახსოვრეს თავი. ოთხი წლის შემდეგ კი ანრი მიშელი ისევ მსოფლიო ჩემპიონატის ფინალური ეტაპის მონაწილეა — ამჯერად მაროკოს ნაკრების მთავარი მწვრთნელის რანგში. საფრანგეთის მსოფლიო ჩემპიონატზე მაროკოელები მართლაც რომ ღირსეულად გამოვიდნენ და სულ მცირე დააკლდათ იმისთვის, რომ ჯგუფიდან გასულიყვნენ.

ამის მერე ანრი მიშელი ისევ უნდა ყოფილიყო კორეა-იაპონიის მსოფლიო ჩემპიონატზე, რომლის საგზურიც მისი ხელმძღვანელობით ტუნისის ნაკრებმა მოიპოვა, მაგრამ ტუნისელი ფეხბურთის მამები ერთობ ეჭვიანი ხალხი აღმოჩნდნენ — მათ მიშელს თანაშემწედ თავისიანები დაუნიშნეს, რომლებიც ფაქტობრივად ყველაფერს წყვეტდნენ, დაწყებული ორგანიზაციული საკითხებიდან, დამთავრებული გუნდის შემადგენლობის შერჩევით. ასეთ დროს კი ბუნებრივია, მიშელმა მუნდიალის წინ ტუნისელებთან განშორება არჩია.



ანრი მიშელი დღეს მაროკოს ჩემპიონატში მონაწილე გუნდს, „რაჯა კასაბრლკას“ წვრთნის, არადა მას აქვს იმის სურვილი, რომ კვლავ იმუშაოს ეროვნულ ნაკრებში.

ბუნებრივია, ასეთი სპეციალისტის მოწვევას ძლიერი ფინანსური ზურგი სჭირდება. მას შემდეგ, რაც კომპანია „ყაზბეგსა“ და სფფ-ს შორის დაიდო კონტრაქტი, ეს პრობლემა ნაწილობრივ მოიხსნა.

„საქართველოს ნაკრებისთვის უცხოელი მწვრთნელის მოწვევისთვის რა თანხაა გამოყოფილი, ვერ დავაკონკრეტებ, მაგრამ იმას კი ვიტყვი, რომ ეს თანხა სერიოზული გახლავთ. ის კიდევ უფრო სერიოზული გახდა მას შემდეგ, რაც ფედერაციასა და ნაკრებს სპონსორი გამოუჩნდა კომპანია „ყაზბეგის“ სახით“ — ამბობს მერაბ ჟორდანია.

ასე რომ, როგორც ქართული ფეხბურთის თავკაცი აცხადებს, ფინანსური საკითხი არ დააბრკოლებს ცნობილი სპეციალისტის მოწვევას, ამასვე ადასტურებენ ბიზნესმენები, რომლებიც სფფ-სთან მჭიდროდ თანამშრომლობენ.

ერთი სიტყვით, დარჩა თავად ანრი მიშელი, რომელიც წინასწარი ინფორმაციით, თანახმაა საქართველოს ნაკრები ჩაიბაროს. საყურადღებოა ისიც, რომ რამდენიმე ხნის წინ სომხეთის ნაკრებში ანრი მიშელის მთავარ მწვრთნელად დანიშვნა არ მოხდა იმ უბრალო მიზეზის გამო, რომ ჩვენმა მეზობლებმა ფრანგთან ხანგრძლივი კონტრაქტის დადებაზე უარი განაცხადეს. საქართველოს ფეხბურთის ფედერაციაში ბუნებრივია, გაცნობიერებული აქვთ, რომ ერთწლიანი მუშაობის შედეგად დიდი მიზნები არ მიიღწევა. არაერთი სპეციალისტი ადასტურებს, რომ კარგი მწვრთნელი ჯერ კიდევ არ ნიშნავს იმას, რომ საქართველოს ნაკრები აუცილებლად მოიპოვებს მუნდიალის საგზურს. ამისთვის საჭიროა დრო, დრო, რომელიც ანრი მიშელს საშუალებას მისცემს თავის სურვილისამებრ ჩამოაყალიბოს საქართველოს ნაკრები.

ჩვენი ინფორმაციით, არც კონტრაქტის ხანგრძლივობა უნდა იყოს ფეხბურთის ფედერაციისთვის დამაბრკოლებელი მომენტი მიშელთან გარიგებისა.

ერთი სიტყვით, ორივე მხარე 5 დეკემბრის კანჭისყრის შედეგებს ელოდება. საქართველოს ნაკრების მეტოქეთა ვინაობის გარკვევა მათ მისცემს საშუალებას კიდევ ერთხელ დაფიქრდნენ, რამდენად რეალური იქნება საქართველოს ნაკრების გასვლა მსოფლიო ჩემპიონატის ფინალურ ეტაპზე.

არადა, ქართული ფეხბურთის თავკაცთა აღიარებით, ამ შესარჩევი ციკლისას ჩვენი ნაკრების პროგრამა მინიმუმიც და მაქსიმუმიც სწორედ ეს უნდა იყოს.

# ვინ წავა პორტუგალიაში?

ცნობილია იმ თერთმეტი გუნდის ვინაობა, რომელიც მონაწილეობას მიიღებს მომავალ წელს ევროპის ჩემპიონატის ფინალურ ეტაპზე. დანარჩენი ხუთი ფინალისტის ვინაობა უნდა გაარკვიოს ევროპის ჩემპიონატის შესარჩევ ეტაპზე ჯგუფებში მეორე ადგილზე გასული გუნდებისგან შემდგარი ხუთი წყვილის ორჯერადმა დაპირისპირებამ.

შაბათს, 15 ნოემბერს პირველი შეხვედრები გაიმართა. ხუთიდან ოთხი მატჩი მოულოდნელი შედეგით დასრულდა. ბერტი ფოგთსის გაწვრთნილმა შოტლანდიის ნაკრებმა ჰოლანდიელებს შინ 1:0 მოუგო და საპასუხო მატჩის წინ „ნარინჯისფრებს“ სერიოზული თავსატეხი გაუჩინა. რიგაში ლატვიელებმა კიდევ ერთხელ დაამტკიცეს, რომ შემთხვევით არ გასულან თავის ჯგუფში მეორე ადგილზე. ბალტიისპირელებმა ამ ბოლო დროს გაყოყოჩებულ თურქებს იმავე ანგარიშით მოუგეს, რა ანგარიშითაც „სქოთებმა“ ჰოლანდიელებს და მიუხედავად იმისა, რომ საპასუხო შეხვედრის წინ თურქეთი მაინც ფავორიტია, ხელაღებით ველარავინ იტყვის, ოსმალები პორტუგალიაში გაემგზავრებიანო. ბევრისათვის მოულოდნელი იყო რუსეთისა და უელსის შეხვედრის საყაიმო შედეგი, თუმცა ამ ორი გუნდის შემადგენლობას თუ გადავხედავთ, რუსები სულაც არ უნდა ჩაითვალონ უპირობო ფავორიტებად. გულშემატკივართა უმრავლესობა ხორვატთაგან სლოვენიის იოლად დამარცხებას მოელოდა, დიდი უპირატესობის მიუხედავად მასპინძლები მხოლოდ ფრეს დასჯერდნენ. მხოლოდ ესპანეთისა და ნორვეგიის შეხვედრა დასრულდა ლოგიკური შედეგით, თუმცა 2:1 ის ანგარიში არ გახლავთ, ესპანელებს ოსლოში თამაშის წინ დამშვიდების საშუალება რომ მისცეს.

| | | | |
|---|---|---|---|
| **შოტლანდია** | — | **ჰოლანდია** | **1:0** |
| **რუსეთი** | — | **უელსი** | **0:0** |
| **ხორვატია** | — | **სლოვენია** | **1:1** |
| **ლატვია** | — | **თურქეთი** | **1:0** |
| **ესპანეთი** | — | **ნორვეგია** | **2:1** |

განმეორებითი შეხვედრები შედგება 19 ნოემბერს.

***გვერდი მოამზადა გიგა ხირსელმა***

# იაშვილი გერმანელებმა საუკეთესოდ აღიარეს



გასულ შაბათს საიუბილეო, მეასე მატჩი ითამაშა ბუნდესლიგაში ალექსანდრე იაშვილმა და ეს მნიშვნელოვანი თარიღი ღირსეულადაც აღნიშნა — „ვოლფსბურგთან“ დაძაბულ ბრძოლაში მოპოვებული გამარჯვება „ფრაიბურგმა“ სწორედ „იაშკას“ გატანილი სამი გოლის წყალობით მოახერხა.

ეს კიდევ არაფერია იმასთან შედარებით, რაც ჩვენებურს მატჩის შემდეგ ელოდა. ცნობილმა საფეხბურთო გამოცემა „კიკერმა“ ჩვენებურის გარჯა ყველაზე მაღალი ქულით — ერთიანით შეაფასა და იაშვილი ტურის საუკეთესო მოთამაშედ დაასახელა. შეფასება კი ისეთი მისცა, რომ არათუ ჩვენი ლეგიონერი, მსოფლიოში სახელგანთქმული არაერთი ვარსკვლავი რომ ინატრებდა:

„იაშვილი დაუღალავი და ვერცხლისწყალივით მოძრავია, გააჩნია შესაშური კოორდინაციის უნარი. როცა ის მოედანზეა და ჩვეულებისამებრ ბზრიალებს, ქომაგი აღფრთოვანებას ვერ მალავს. მეტოქე კი დაბნეულია და წონასწორობასაც იოლად ჰკარგავს. ბურთიან იაშვილს მოწინააღმდეგე ისე უნდა ერიდოს, როგორც გაშმაგებული ვეფხვის თავდასხმას.“

**ალექსანდრე იაშვილი:** „ვოლფსბურგთან“ მატჩისთვის განსაკუთრებულად ვემზადებოდი, ჩემთვის ეს ბუნდესლიგაში ნათამაშევი მეასე მატჩი უნდა ყოფილიყო და მინდოდა, რომ გულშემატკივრისთვის თავი დამემახსოვრებინა. რა თქმა უნდა, უპირველესად კარგ თამაშს ვგულისხმობ. გოლის გატანას ვგეგმავდი, მაგრამ თუკი ერთბაშად სამ გოლს შევაგდებდი, ბუნებრივია, ამაზე არ ვფიქრობდი. ჩემთვის მთავარია, რომ გუნდმა გაიმარჯვოს და მე ამ გამარჯვებაში ჩემი წვლილი შევიტანო. თუკი გოლითაც შევეშველები, ამას რა სჯობს. იმასაც ვიტყვი, რომ გოლის გატანა ჩემთვის თვითმიზანი არ არის. ბოლო ხანს ფინკემ უკანდახეული თავდამსხმელის პოზიციაზე გადამიყვანა, აქედან უფრო მეტი საგოლე მომენტების შექმნა შევძელი და გუნდისთვისაც ეს გადაადგილება სასარგებლო გამოდგა, თუმცა ეს ფაქტი არ მიშლის ხელს ინდივიდუალურად გადავწყვიტო წინ წასვლა. ბუნებრივია, მოედანზე ბევრი რამ დაუგეგმავად ხდება და წამის მეათედებში უნდა მიიღო გადაწყვეტილება. „ვოლფსბურგთან“ სამი გოლის შემდეგ ბუნდესლიგაში 22 გატანილი გოლი დამიგროვდა“.

რაც შეეხება მომავლის მიზნებს, ალექსანდრე იაშვილს აქაც საკმაოდ ჩამოყალიბებული პოზიცია აქვს:

„ამ სეზონში „ფრაიბურგი“ ათეულში მოსახვედრად იბრძოლებს. გუნდს ამის ძალა შესწევს. როგორ განვითარდება ჩემი საკლუბო კარიერა, ჯერ ვერაფერს ვიტყვი, ბუნებრივია, მსურს უფრო ამბიციურ გუნდში თამაში. მაგრამ სატრანსფერო სეზონის გახსნამდე არაფრის თქმა არ შემიძლია. სეზონს „ფრაიბურგში“ ჩავამთავრებ მერე კი ვნახოთ. რაც შეეხება ნაკრებს, ჩემი ოცნებაა, რომ საქართველოს ნაკრები მსოფლიო ჩემპიონატის ფინალში გავიდეს. ჩვენს გუნდს აქვს ამის პოტენციური შესაძლებლობა და ეს აუცილებლად უნდა გამოვიყენოთ. საჭიროა საქმისადმი სწორი მიდგომა და მიზანდასახულად მოქმედება. ბოლო ხანს ბევრი რამის შეცვლა იგეგმება ნაკრებში, ასე რომ, მეც იმედიანად ველი ამ სიახლეებს.“

## №45 (371) საპრიზო გამოკითხვა-რეიტინგის შედეგები

რეიტინგს 529 მკითხველი გამოეხმაურა. 8 ბარათი არასწორად იყო შევსებული. 215-მა ქალმა და 306-მა მამაკაცმა უპასუხა კითხვას: **„რომელი პოლიტიკური ძალის ქცევა მიგაჩნიათ ყველაზე ღირსეულად არჩევნების შემდგომ პერიოდში?“**

როგორც შედეგებმა გვიჩვენა, რესპონდენტთა 62,4-ს ყველაზე ღირსეულად „ნაციონალური მოძრაობის“ ქცევა მიაჩნია. თუმცა, მკითხველთა დაახლოებით 10-მა მას მინიმალური — 1 ქულა დაუწერა. **6,51** საშუალო ქულით ნაციონალები პირველ ადგილზე არიან.

რესპონდენტები ასევე დადებითად აფასებენ „ბურჯანაძე-დემოკრატების“ ქცევასაც. ჟვანია-ბურჯანაძის გაერთიანება მეორე ადგილზეა საშუალო ქულით 6,02. თუმცა, მაქსიმალური ქულების რაოდენობის მიხედვით, საგრძნობლად დიდი სხვაობით „ბურჯანაძე-დემოკრატებს“ (9,2) წინ „ლეიბორისტები“ (19,9) უსწრებენ, რომლებიც რეიტინგში მესამე ადგილზე არიან, საშუალო ქულაა 5,09.

დაბალი შეფასებებით გამოირჩევიან „აღორძინება“ და სახელისუფლებო ბლოკი. „აღორძინება“ — 25-მა, ხოლო ბლოკი „ახალი საქართველოსთვის“ 52,3-მა შეაფასა მინიმალური — 1 ქულით.

„აღორძინების კავშირის“ არჩევნების შემდგომი ქცევა მხოლოდ ერთმა მკითხველმა (0,2) შეაფასა მაქსიმალური — 8 ქულით.

საინტერესოა, მკითხველთა 62,4 ღირსეულ საქციელად რას უფრო უთვლის „ნაციონალურ მოძრაობას“ — გაყალბებული არჩევნების წინააღმდეგ პროტესტს თუ პრეზიდენტის გადადგომის მოთხოვნას.

ფაქტი ერთია და მართლაც ჯიუტი. ხალხს უკვე ძალიან მობეზრდა გაუსაძლისი ცხოვრება, კორუფცია, ცრუდაპირებები, ტყუილი, უიმედობა. თორემ გაყალბებული არჩევნები ხომ ადრეც უნახავთ ქართველებს... მაშინ ასეთი პროტესტი არავის გამოუხატავს. რადგან დღევანდელი პროტესტანტები მაშინ მოქალაქეთა ერთი დიდი, ძმური კავშირის „გამარჯვებას“ პრეზიდენტთან ერთად ზეიმობდნენ. დღეს ხალხის განწყობა — უკეთესი ცხოვრების სურვილი და ამ სურვილის დასაკმაყოფილებლად ბრძოლა ზუსტად ემთხვევა მომიტინგე ოპოზიციის სურვილებს.

ოღონდ, რა იქნება ხვალ?..




საპრიზოს ზუსტად 3 ბარათი-რეიტინგი დაემთხვა. ჩვენი გამარჯვებულები არიან — 33 წლის **მაია ჩიბუხაშვილი** (თბილისი), 19 წლის **ბაჩანა ლიპარტელიანი** (წყალტუბო) და 20 წლის **ვაჟა ბერაია** (ბათუმი).

საპრიზო ფონდი — 100 ლარი მათ შორის თანაბრად განაწილდება.

გამარჯვებულებს პრიზის მისაღებად ველით რედაქციაში ოთხშაბათს, 19 ნოემბერს, 17 საათზე.

## №46 (372) საპრიზო გამოკითხვა-რეიტინგი

„კვირის პალიტრა“ თავისი მკითხველებისთვის აწყობს გამოკითხვებს სხვადასხვა საინტერესო საკითხზე, რაც საშუალებას მოგვცემს (ჩვენ და თქვენ), გავიგოთ საზოგადოების აზრი ამა თუ იმ მოვლენაზე, ფაქტზე და ა. შ.

გარდა ამისა, გამოკითხვა-რეიტინგები საპრიზოა, საპრიზო ფონდით —

**100 ლარი**

თქვენ მიერ შედგენილი რეიტინგებით დგება ერთი საერთო რეიტინგი, რომელიც გამოქვეყნდება „კვირის პალიტრის“ მომდევნო ნომერში გამარჯვებულის ვინაობასთან ერთად.

პრიზს მიიღებს გამოკითხვის ის მონაწილე, რომლის მიერ შედგენილი (და, რა თქმა უნდა, რედაქციაში გამოგზავნილი) რეიტინგიც დაემთხვევა საშუალოს.

საპრიზო გამოკითხვაში შემოთავაზებული თემების თითოეული გრაფისათვის მკითხველთა მიერ დაწერილი ქულები ჯამდება და შემდეგ იყოფა რეიტინგის მონაწილეთა რაოდენობაზე, რაც გვაძლევს ამ გრაფის საშუალო ქულას.

რამდენიმე გამარჯვებულის შემთხვევაში, საპრიზო ფონდი მათ შორის განაწილდება, ხოლო თუ არც ერთი მკითხველის რეიტინგი არ დაემთხვა საშუალოს, პრიზს მიიღებს მასთან ყველაზე მიახლოებული ვარიანტის ავტორი.

იმ შემთხვევაში, თუკი მიახლოებული ვარიანტიც არ იქნება, თანხა ემატება შემდეგი რეიტინგის საპრიზო ფონდს.

საპრიზო გამოკითხვა-რეიტინგის შევსებისას ნუ დაგავიწყდებათ, უპასუხოთ დამატებით კითხვას და **მკითხველის პრემიას.**

**№46 (372) საპრიზო გამოკითხვა-რეიტინგის ბარათი რაიონებში განთავსებულ „კვირის პალიტრის“ საფოსტო ყუთებში მოათავსეთ ოთხშაბათის, 19 ნოემბრის 10 საათამდე, თბილისში — ხუთშაბათის, 20 ნოემბრის 13 საათამდე.**

© თბილისი

რეიტინგის ბარათები პარალელურად იბეჭდება ჟურნალ „რეიტინგშიც“. თქვენ შეგიძლიათ ამოჭრათ ისინი, შეავსოთ და მითითებულ ვადებში გამოგვიგზავნოთ „კვირის პალიტრის“ საფოსტო ყუთების საშუალებით. აღნიშნული ბარათებით ისევე მიიღებთ მონაწილეობას კონკურსში, როგორც „კვირის პალიტრიდან“ ამოჭრილი ბარათებით.

**თემა №46 (372) — „ახალი“ პარლამენტარები**

**თქვენი აზრით, რა პროფესიის „ახალი“ პარლამენტარები გადაარჩენენ ქართულ პოლიტიკას** (ჩამოთვლილთაგან)? დაუწერეთ მას 9 ქულა, მომდევნოს — 8 და ა.შ. 1-მდე.

**№46(372) საპრიზო გამოკითხვა-რეიტინგი**

| № | | ქულა |
|---|---|---|
| 1 | სპორტსმენები | |
| 2 | მსახიობები, რეჟისორები | |
| 3 | ბიზნესმენები | |
| 4 | მწერლები, კრიტიკოსები | |
| 5 | ექიმები | |
| 6 | სამართალდამცავები | |
| 7 | ეკონომისტები | |
| 8 | იურისტები | |
| 9 | ყოფილი ჩინოვნიკები | |

**დამატებითი კითხვა**

ვისკენ იხრება თქვენი სიმპათია?

| | |
|---|---|
| მომიტინგე ოპოზიცია | |
| ხელისუფლება | |
| არც ერთი | |

*შესაბამისი უჯრა გადახაზეთ*

**მკითხველის პრემია**

დაასახელეთ ნომრის საუკეთესო ჟურნალისტური ნამუშევარი

✓ ____________________

თქვენი სახელი, გვარი

ქალაქი (რაიონი)

ასაკი ტელეფონი

**ყურადღება! თუ საპრიზო გამოკითხვა-რეიტინგში მონაწილეობის მისაღებად რამდენიმე ბარათს ავსებთ, გთხოვთ, „მკითხველის რეიტინგსა“ და „მკითხველის პრემიაში“ მხოლოდ ერთხელ (ერთ ბარათში) დააფიქსიროთ თქვენი აზრი.**

## მკითხველის რეიტინგის შედეგები

### არჩევნების შემდგომ პერიოდში ვისმა საქციელმა გაგაღიზიანათ ყველაზე მეტად?

| | | ქულა |
|---|---|---|
| 1. | ედუარდ შევარდნაძე | 445 |
| 2. | ირინა სარიშვილი-ჭანტურია | 367 |
| 3. | ასლან აბაშიძე | 312 |
| 4. | მიხეილ სააკაშვილი | 250 |
| 5. | შალვა ნათელაშვილი | 178 |
| 6. | ვახტანგ რჩეულიშვილი | 136 |
| 7. | ზურაბ ჟვანია | 123 |
| 8. | ნინო ბურჯანაძე | 81 |
| 9. | ცოტნე ბაკურია | 77 |
| 10. | ლევან მამალაძე | 64 |

როგორ ხდება ქულების მინიჭება: თქვენ უნდა დაგვისახელებინათ მაქსიმუმ სამი პიროვნება. პირველ ადგილზე დასახელებულ პიროვნებას მიეკუთვნება სამი ქულა, მეორე ადგილზე – ორი, ხოლო მესამეზე – ერთი ქულა. ქულები შეიკრიბა და მათი ჯამის მიხედვით შედგა რეიტინგი.

*მკითხველის რეიტინგში 425-მა მკითხველმა მიიღო მონაწილეობა.*

## ფოტოანტიკვარი © • ფოტოპალიტრა •



აბა, ვინ ვარ ახლა მე?

____________________

— ეროვნული კი ვარ, მაგრამ „ჩერჩილისტიც“ ვარ...

**ე.შ.** — (ფიქრობს) თურმე გვერდით გამიზრდია უბეში, თანაც მარტო ეს კი არა, სხვებიც არიან!

***თეიმურაზ ვარდოსანიძე, თბილისი***

**ზ.ჟ.** — ბ-ნო ედუარდ, თქვენი ბლოკის რეკლამის ბიჭუნაა მოსული და შველას ითხოვს — მამაჩემი ყოველდღე მცემს, ეს რა ქენი, შე შობელძაღლოო.

***ალიკო ნადირაშვილი, თბილისი***

**ე.შ.** — ზურაბ, სადა გაქვს მესამე თვალი?

**ზ.ჟ.** — სადღაც აქ, უკან უნდა მქონდეს.

**ე.შ.** — პრეზიდენტობა თუ გინდა, უკან კი არა, აი აქ, წარბებშუა უნდა გქონდეს.

***პაატა ნაზღაიძე, რუსთავი***

**ე.შ.** — (ფიქრობს) ჩამეყოლებინა ზურაბი სამების ტაძრის კედელში და მეც დავისვენებდი და საქართველოც.

***კ. თაყაიშვილი, ბორჯომი***

თეთრი მელა და ლურჯი მელია.

***ქეთი, თბილისი***

*თქვენ დაამკვიდრეთ ამქვეყნად მოქკავშირული მაფია. გეყოთ, რაც ჭამეთ ორთავემ პოლიტიკური ქაქა!*

***ტ.ჭ., თბილისი***

რამ ჩაგაფიქრა, ედიკა, ცხედავ, გაშინებს „კმარაო“, ბრძოლაში დაზრდილ „ბარტყებთან“ გამოგლევია ძალაო.

***ენგული იობაძე, ფოთი***



ედუარდ შევარდნაძე, ზურაბ ჟვანია

**ზ.ჟ.** — კაცო, ეს რა დღეში ჩავვარდი, ფიცი უნდა გავტეხო? მამცეს ორასი თუმანი და გავტეხამ.

**ე.შ.** — ვერაფერსაც ვერ მიიღებ. „აქა ვდგავარ და სხვაგვარად არ ძალმიძს“.

***ანზორ თავართქილაძე, სამტრედია***

## ფოტო კომენტარით



ტრადიციული ინგლისური ნადირობა წითელ მელიებზე შეიძლება აიკრძალოს... პარლამენტში ეს საკითხი უკვე დაისვა. შოტლანდიაში უკვე უარი თქვეს ამ სასტიკ სისხლის ღვრაზე... უელსსა და ინგლისში შეიძლება ეს ნოემბრის ნადირობა ამ ძაღლებისთვის ბოლო „გაგულავება“ იყოს...

# იგლესიასმა უკვე უღალატა კურნიკოვას



ენრიკე იგლესიასმა უღალატა თავის „უსაყვარლეს“ ანას. მან კურნიკოვას გრძელფეხება ქერათმიანი ტოპ-მოდელი მია მაიერი ამჯობინა.

ტოპმოდელი იფიცება, კურნიკოვაზე სიტყვა არ მსმენიაო.

პრესა წერს, — ანა ძალიან ნერვიულობს, როცა ენრიკეს ახალ-ახალი გატაცებების შესახებ იგებს და ცდილობს, მარტო არ გაუშვას წვეულებებზე, ვინაიდან იცის, რომ მის გვერდით თვალის დახამხამებაში სხვა ქალი აღმოჩნდება.

* * *

ამერიკელმა მეცნიერებმა გამოკვლევით დაადგინეს, რომ მწეველი მოზარდი 15-ჯერ უფრო ხშირად ვარდება პანიკაში უმიზეზოდ, ვიდრე მისი არამწეველი თანატოლი.

* * *

ატლანტის ოკეანეში ულამაზესი გემი მიცურავს. მგზავრები სამეჯლისო ცეკვით არიან გართულნი. დარბაზში შედის კაპიტანი და ხმამაღლა აცხადებს:

— ძვირფასო მგზავრებო, ორი ახალი ამბავი უნდა მოგახსენოთ. ერთი კარგია, მეორე — ცუდი. რომლით დავიწყო?

— კარგით, კარგით!

— ჩვენ 11 „ოსკარს“ ავიღებთ...



**17/XI**

**უკანასკნელი მეოთხედი**

**მაგნიტური დღეა:**

**23/XI 15-დან 17 საათამდე**

## წინა ნომრის კროსვორდის პასუხები





**თარაზულად:** 1. უდიდესი ნეტარების მდგომარეობა ბუდიზმში; 4. ჯეიმს ბონდის საყვარელი კოქტეილი; 6. XX საუკუნის ყველაზე პოპულარული სამოსი; 7. ქალაქი საფრანგეთში, ლოტარინგიელი ჰერცოგების რეზიდენცია; 8. მოძღვრება ზნეობის შესახებ; 9. ამერიკელი კინორეჟისორი, მსახიობი, სცენარისტი, მწერალი და... კლარნეტისტი; 10. IV საუკუნის I ნახევარში მცხეთის შემდეგ მეორე ქალაქი ქართლის სამეფოში; 13. მსახიობი, რომელსაც ახლახან მიენიჭა პრემია „გამორჩეული წვლილისთვის კინოხელოვნების განვითარებაში“; 16. საფრანგეთის უდიდესი მდინარე; 18. გერმანელი მწერალი, ავტორი რომანებისა „სამი მეგობარი“, „ტრიუმფალური თაღი“ და სხვ. 19. ბარის დახლიდარი; 20. ამერიკელი ჩოგბურთელი; 22. სინარნარე, მოხდენილობა მიხრა-მოხრაში; 23. ბესარიონ გაბაშვილი; 25. გემზე ასასვლელი კიბე; 27. ბექჰემი, ზიდანი, ფიგუ, რონალდო, რაული (გუნდი); 28. მოგრძო ვაშლის ჯიში; 29. დიდი საკონდიტრო ნაწარმი; 30. საქართველოს ავიაკომპანია; 31. ჩრდილო და სამხრეთ ნაწილებისგან შემდგარი კონტინენტი.

**შვეულად:** 1. გერმანელი რეჟისორის, მერნაუს ყველაზე ცნობილი პერსონაჟი — ვამპირი; 2. მასობრივი შეიარაღებული გამოსვლა, ამბოხება; 3. ანონსის გამოქვეყნება, ანონსით შეტყობინება; 4. ტბა აშშ-ში „დიდი ტბების“ სისტემაში; 5. პირი, რომელიც კაპიტალის გრძელვადიან დაბანდებას აწარმოებს; 11. ქვეყნის შეიარაღებულ ძალთა ერთობლიობა; 12. ძველი რომისა და იტალიის ერთ-ერთი უძველესი ღმერთი; 14. საგასტროლო მოგზაურობა; 15. საქართველოს ტელეკომპანია; 16. საფრანგეთის მეფეთა სახელი; 17. წამლის ფორმა; 21. ქართული შავი ყურძნის ჯიში; 22. ქართული მისალმება; 24. გრიპი მეცნიერულად; 25. გამომწვარი ფერადი თიხა; 26. მიბაძვა, მიმსგავსება.

**შეადგინა რამაზ ალანიამ**




# პოლ ნიუმენი არ თვლის თავს იმპოტენტად



78 წლის პოლ ნიუმენი დათანხმდა, მონაწილეობა მიეღო იმპოტენციის საწინააღმდეგო ახალი ამერიკული პრეპარატის სარეკლამო კომპანიაში. ჟურნალისტების შეკითხვას, ხომ არ აპირებთ პრეპარატის საკუთარ თავზე გამოცდასო, მსახიობმა უპასუხა — „არასოდეს!“

ერთი სიტყვით, ნიუმენი ახალი, სასწაულმოქმედი მედიკამენტის რეკლამაზე დათანხმებულა ერთი პირობით — პრეპარატის შემქმნელმა ამერიკულმა ფარმაცევტულმა ლაბორატორიებმა ფული უნდა გადაურიცხონ იმ გამაჯანსაღებელ ცენტრებს, რომლებიც დათანხმდებიან არდადეგებზე თავისთან დაასვენონ კიბოთი ან შიდსით დაავადებული ბავშვები.

ასე რომ, ჰოლივუდის ვარსკვლავის წყალობით 7000 პაციენტი დროებით მაინც დატოვებს პალატებს და 2 კვირით ულამაზეს პანსიონატებში დაისვენებს.

ყურადღება: „კვირის პალიტრის“ (გაზეთის) საფოსტო (საკორესპონდენტო) ყუთებზე საავტორო უფლება დაცულია კანონით.©

## 46 უფასო განცხადების ქვითარი

განცხადების ტექსტი ______________________________

______________________________

______________________________

______________________________

______________________________

______________________________

______________________________

სიტყვა და საქმე

*გთხოვთ, ტექსტი გარკვევით დაწეროთ: სიტყვათა მაქსიმალური რაოდენობა — 30 (მისამართის და ტელეფონის ნომრის ჩათვლით) გაურკვევლად ნაწერი განცხადება არ გამოქვეყნდება*

№46 თბილისში ქვითარი „კვირის პალიტრის“ ყუთებში ჩააგდეთ 20 ნოემბრის (ხუთშაბათი) 13.00 სთ-მდე.

*„კვირის პალიტრის“ და „სიტყვა და საქმის“ საფოსტო ყუთები განლაგებულია: თბილისში — მეტროს სადგურებთან და ხალხმრავალ ადგილებში, აგრეთვე, ქალაქებსა და რაიონებში: მცხეთა, კასპი, გორი, ქარელი, ხაშური, სურამი, ზესტაფონი, ქუთაისი, სამტრედია, აბაშა, სენაკი, ხობი, ზუგდიდი, ფოთი, ქობულეთი, ბათუმი, ოზურგეთი, ლანჩხუთი, ვანი, წყალტუბო, ბაღდათი, ხონი, ბანძა, თერჯოლა, ტყიბული, ამბროლაური, ონი, ბორჯომი, ახალციხე, რუსთავი, საგარეჯო, გურჯაანი, წნორი, სიღნაღი, ყვარელი, ლაგოდეხი, თელავი, ახმეტა, დედოფლისწყარო.*

***„კვირის პალიტრისა“ და „სიტყვა და საქმის“ საფოსტო ყუთები იცლება თბილისში — სამშაბათს, ხუთშაბათს, კვირას 13 საათიდან; რაიონებში — ოთხშაბათობით, 10 საათიდან.***

გაზეთი დამოუკიდებელია და ხელმძღვანელობს თავისუფალი პრესის პრინციპებით. რედაქციის აზრი შესაძლოა არ ემთხვეოდეს მასალის ავტორის მოსაზრებებს.

რედაქცია პასუხს არ აგებს უცხოური პრესიდან გადმოთარგმნილი მასალების, ფაქტების, ინფორმაციის სიზუსტეზე, აგრეთვე, სარეკლამო განცხადებების შინაარსსა და სტილზე.

R ნიშნით აღნიშნული სტატიები იბეჭდება რეკლამის უფლებით.

**რედაქციაში შემოსული მასალები ავტორებს არ უბრუნდებათ.**

**მთავარი რედაქტორი ლალი გუნთაიშვილი**

**მთ. რედაქტორის მოადგილეები ნუცა დუმბაძე, გიორგი თევდორაშვილი**

**სარედაქციო კოლეგია**

მის.: აკურის ქ. №8 (სპორტის სასახლის უკან)

ტელ: **რედაქცია:** 33-39-54

**რეკლამა, ფაქსი:** 33-50-32; 98-74-44

palitra@access.sanet.ge

www.opentext.ge/kvirispalitra

სარეგისტრაციო ნომერი © 1518

„კვირის პალიტრა“ გამოდის ორშაბათობით

გაზეთი დაიბეჭდა გამომცემლობა „კოლორში“.